თავისუფალი უნივერსიტეტი
სადოქტორო პროგრამა
სოციალური და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

დოქტორანტი

გიორგი ნარიმანიშვილი

სადისერტაციო კვლევა

საქართველოს ურთიერთობა ფატიმიანთა სახალიფოსთან XI საუკუნეში

დოქტორანტის ხელმძღვანელი
გიორგი კაციტაძე

სადისერტაციო საბჭოს სხვა წევრები
თინათინ ქაროსანიძე
ერეკლე ასტახიშვილი
ნიკოლოზ ალექსიძე

დისერტაცია

თბილისი 2017

შესავალი.....4
თავი I: საქართველოს სამეფოს და ფატიმიანთა სახალიფოს ჩამოყალიბება.....24
§ 1. საქართველოს სამეფოს ჩამოყალიბება.....24
1.1. ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის წინაპირობები.....24
1.2. დავით III კურაპალატის საგარეო და საშინაო პოლიტიკა 30
1.3. ბაგრატ III და საქართველოს გაერთიანება.....35
§ 2. ისმაილიტური მოძრაობა და ფატიმიანთა სახალიფოს ჩამოყალიბება.....39
2.1. შიიზმის წარმოშობა.....39
2.2. ისმაილიზმის წარმოშობა და ადრეული ეტაპი.....45
2.3. ადრეული ისმაილიტური დოქტრინა.....50
§ 3. ფატიმიანთა სახალიფოს წარმოშობა და ეგვიპტეში დამკვიდრება.....53
3.1. ფატიმიანთა დამკვიდრება იფრიკიაში.....54
3.2. ეგვიპტე ფატიმიანთა დაპყრობამდე: ტულუნიანთა და იხშიდიანთა პერიოდი.....58
3.3. ფატიმიანთა მიერ ეგვიპტის დაპყრობა და კაიროს დაარსება.....65
3.4. ფატიმიანთა ბრძოლა სირიისთვის.....73
3.5. ფატიმიანთა სახალიფოს ხელისუფლება და ადმინისტრაცია.....84
თავი II. გიორგი I და ალ-ჰაქიმი.....102
§ 1. გიორგი I.....102
1.1. გიორგი I-ის საშინაო და რეგიონალური პოლიტიკა.....102
1.2. გიორგი I-ის დახასიათება.....106
1.3. ბრძოლა ბიზანტიის იმპერიასთან.....109
§ 2. ალ-ჰაქიმი.....110
2.1. ალ-ჰაქიმის ტახტზე ასვლა.....110
2.2 ალ-ჰაქიმის დახასიათება.....113
2.3 ალ-ჰაქიმის ბრძოლა ჩრდილოეთ სირიისთვის.....115
2.4. ალ ჰაქიმის გაუჩინარება.....120
§ 3. გიორგი I-ისა და ალ ჰაქიმის დიპლომატიური ურთიერთობა.....126
3.1. გიორგი I-ის ინიციატივა 126
3.2. გიორგი I-ის გეგმის ჩაშლა და მისი შედეგები.....130
3.3. გიორგი მეფის მოღვაწეობის უკანასკნელი წლები.....135
თავი III: საქართველოს და ფატიმიანთა სახალიფოს ურთიერთობის საკითხისათვის XI საუკუნის 30-იან წლებში.....137
§ 1. ბაგრატ IV კურაპალატი.....137
1.1. ბაგრატ IV-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.....137
1.2. ბაგრატ IV-ის დახასიათება 145

§ 2. ბიზანტია XI საუკუნის 30-იან წლებში.....148
§ 3. ხალიფა აზ-ზაჰირი და ზავი ბიზანტიასთან.....150
§ 4. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.....152
თავი IV. საქართველო და ფატიმიანთა სახალიფო თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში.....155
§ 1. ფატიმიანთა სახალიფო ალ-მუსთანსირის მმართველობის დროს.....156
§ 2. ბიზანტია XI საუკუნის 40-იან წლებში.....161
§ 3. საქართველოს შიდა პოლიტიკური მდგომარეობა.....164
3.1. ბაღვაშთა სახლის ისტორიისთვის.....165
3.2. ლიპარიტ IV.....167
§ 4. ჰერეთ-კახეთის სამეფო.....177
§ 5. თურქ-სელჩუკთა დამკვიდრება ახლო აღმოსავლეთში და ახალი იმპერიის შექმნა.....181
§ 6. ქართველ მეფეთა შვილების ვიზიტი კაიროში და საქართველოს ანტისელჩუკურ კოლიციაში მონაწილეობის საკითხი.....184
დასკვნა.....187
ლიტერატურის სია.....195

შესავალი

საქართველოსა და ფატიმიანთა სახალიფოს ურთიერთობამ დიდი ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება და არაერთხელ გახდა სამეცნიერო კვლევის საგანი. XI საუკუნის საქართველოს საგარეო პოლიტიკის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება ყოველთვის ექცეოდა საქართველოს მეფეებისა და ფატიმიანი ხალიფების დიპლომატიურ ურთიერთობის საკითხებს.

X საუკუნის მიწურულსა და XI საუკუნის დასაწყისში დასრულდა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი და დაიწყო საერთაშორისო არენაზე დამკვიდრების მნიშვნელოვანი ეტაპი. ამ პროცესში ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი იყო სწორი პოლიტიკის შემუშავება და აქტიური დიპლომატიის წარმოება.

საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესების ფონზე ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საკითხი მეტად აქტუალურია. დღეს განსაკუთრებით დიდია საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების გზაზე, სადაც დიპლომატიის გამორჩეული როლი განსაკუთრებით თვალსაჩინოა. სწორედ ამიტომ, თემის აქტუალობას განსაზღვრავს ისიც, რომ წინამდებარე ნაშრომში რელიეფურად არის წარმოჩენილი ქართული დიპლომატიის როლი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

ამ გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი იყო საქართველოს სამეფოსა და ფატიმიანთა სახალიფოს ურთიერთობა. ამდენად, დისერტაციაში დაწვრილებით არის განხილული საქართველოს მეფეებსა და ფატიმიან ხალიფებს შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობები, პოლიტიკური კავშირების აუცილებლობის წინაპირობები, მიზეზები და მიზნები.

საქართველოსა და ისლამური სამყაროს ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდია ისმაილიტ ფატიმიანებთან ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი არაერთხელ იქნა განხილული, დღეისათვის არ არსებობს ნაშრომი, რომელშიც კომპლექსურად იქნებოდა შესწავლილი ქართული დიპლომატიის ისტორიის ეს მნიშვნელოვანი საკითხი.

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა მეთერთმეტე საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ძირითადი მონაწილეების (საქართველოს სამეფო, ფატიმიანთა სახალიფო, ბიზანტიის იმპერია) ისტორიას, დიპლომატიურ ურთიერთობებს, მიზნებსა და ინტერესებს.

დისერტაციაში საქართველოს და ფატიმიანთა სახალიფოს ისტორია ფართოდ არის გაშუქებული, წარმოჩენილია ამ ქვეყნების ჩამოყალიბების და განვითარების

დინამიკა, რაც მათ შორის მიმდინარე დიპლომატიური ურთიერთობების წინაპირობების და ხასიათის საფუძვლიანი განხილვის საშუალებას იძლევა.

ამასთან, ნაშრომში ახლებურად არის გაანალიზებული წერილობითი წყაროები, განხილულია საქართველოს სამეფოს წარმოქმნის წინაპირობები და ჩამოყალიბების პროცესი. განსაკუთრებით ხაზგასმულია ქართული დიპლომატიის როლი ახალი, ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში. XI საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკა განხილულია საქართველო-ბიზანტიისა და ბიზანტია-ფატიმიანთა ეგვიპტის ურთიერთობების ფონზე.

ნაშრომის ძირითადი მიზანია ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიის გადმოცემა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე, ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა როლის და ქართული დიპლომატიის მნიშვნელობის წარმოჩენა საქართველოს სამეფოს ჩამოყალიბებისა და სახელმწიფოს განმტკიცების გზაზე; საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ფატიმიანების პირდაპირი თუ ირიბი კავშირების ყველა ასპექტის შესწავლა და იმ მიზეზების ანალიზი, რომლებმაც ასეთი თანამშრომლობის შესაძლებობა წარმოშვა. ასევე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს სამეფოს როლის გამოკვეთა, როგორც დომინანტი მონაწილისა კავკასიის პოლიტიკაში (ურთიერთობა ჩრდილო კავკასიასთან, სომხურ სამეფო-სამთავროებთან და განჯის საამიროსთან, დაპირისპირება ბიზანტიასთან) და საერთაშორისო პოლიტიკის აქტიური მონაწილისა (დიპლომატიური მოლაპარაკებები, სამხედრო ალიანსები შეკვრა, კულტურული აქტივობა).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნაშრომში განხილულია ქართველთა ურთიერთობა არა ორთოდოქს მუსლიმ მმართველებთან, არამედ სუნიტურ ისლამში ერეტიკოსებად შერაცხულ ისმაილიტ ფატიმიანებთან. ამდენად, მათი ურთიერთობა ძალზე არაერთგვაროვანია და მრავალი მხრიდან შეიძლება იქნეს განხილული. პირველ რიგში კი მნიშვნელოვანია ის, რომ პოლიტიკური ინტერესები რელიგიურ ინტერესებზე მაღლაა დაყენებული.

როგორც უკვე აღინიშნა, საკითხს არაერთმა ქართველმა მკვლევარმა მიაპყრო ყურადღება. თუმცა, მათი კვლევები ან რომელიმე ერთ კონკრეტულ მოვლენას ეძღვნებოდა, ან უფრო ფართო, თუ მომიჯნავე საკითხისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებშია ცალკეულ თავებად შესული. ამდენად, ჩემი მიზნი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში ისეთი ნაშრომის შექმნა, რომელშიც ერთიან კონტექსტში იქნებოდა წარმოდგენილი ქართველი მეფეებისა და დიდგვაროვნების დიპლომატიური ურთიერთობები მეთერთმეტე საუკუნეში, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. ნაშრომში ნათლადაა წარმოჩენილი ქართული მხარის ინტერესები, მიზნები და ის ნაბიჯები, რაც ამ მიზნების

მისაღწევად იქნა გადადგმული. ასევე, განხილულია საქართველოს როლი ახლო აღმოსავლეთის დიდ პოლიტიკაში. სიახლეს ისიც წარმოადგენს, რომ ლიპარიტ IV ბაღვაში განხილულია, როგორც საქართველოს, ბიზანტისა და ფატიმიანთა სახალიფოს ანტისელჩუკური სამხედრო ალიანსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილე.

წიგნში ფართოდ არის განხილული ისტორიული კონტექსტი. ეს განპირობებულია იმით, რომ ამ პერიოდში საქართველოსა და ფატიმიანთა სახალიფოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა - ერთის მხრივ ყალიბდებოდა ერთიანი ქართული სახელმწიფო, მეორეს მხრივ კი ფატიმიანთა სახალიფოს სახით მუსლიმურ ორთოდოქსულ სამყაროში წარმოიშვა პირველი შიიტური სახელმწიფო. ორივე ეს ფაქტი ახლო აღმოსავლეთში ცვლიდა გეოპოლიტიკურ სიტუაციას.

საქართველოსა და ფატიმიანთა სახალიფოს ურთიერთობის ფართო ისტორიული ფონზე განხილვამ საშუალება მომცა რელიეფურად გამომეკვეთა ქრისტიანული და მუსლიმური სახელმწიფოების თანამშრომლობის საფუძვლები და მიზეზები. უფრო სრულად წარმომეჩინა პროცესში მონაწილე მხარეების მიზნები და ის შედეგები რაც დიპლომატიურ ურთიერთობებს მოჰყვა.

ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი მრავალი ასწლეულის მანძილზე მიმდინარეობდა. მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ უძველეს ქართულ სახელმწიფოებს ძვ.წ. II ათასწლ. ჩამოყალიბებული დიაოხი/დაიაენის და კოლხას სამეფოები წარმოადგენდნენ. ქართული საისტორიო წყაროები პირველი გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს, ქართლის/იბერიის სამეფოს შექმნას ფარნავაზს მიაწერენ. ძვ.წ. IV საუკუნის მუწურულსა და ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებულმა ამ სამეფომ, მრავალი ცვლილებისა და ტრანსფორმაციის მიუხედავად, თითქმის ათასი წელი იარსება. აღმოსავლური ცივილიზაციებისა და ანტიკური სამყაროს მიჯნაზე ყოფნა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და პოლიტიკურ მიმართულებებზეც აისახა. ქართული და უცხოური საისტორიო წყაროები მოგვითხრობენ როგორც ქართველ მეფეთა პოლიტიკაზე, ისე ქართული დიპლომატიის მიღწევებზე.

ანტიკური სამყაროს ტრანსფორმაციამ, ქრისტიანული რელიგიის გავრცელებამ და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებმა კავკასიაზეც იქონია გავლენა. I ათასწლეულის შუა ხანები უმძიმესი იყო საქართველოს ისტორიაში. სასანიანთა ირანის წარმოქმნამ კავკასიის ქვეყნების წინსვლა შეაფერხა. ირანის აგრესიულმა პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ ქართლის მეფის, გურგენის აჯანყების დამარცხების შემდეგ, 523 წელს ირანის შაჰმა კავად I-მა ქართლში მეფობა გააუქმა.

ახლო აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური ვითარება არაბთა გამოჩენამ, მათმა სამხედრო წარმატებებმა და ისლამის გავრცელებამ განაპირობა. VII

საუკუნის შუა ხანებში ქართლში არაბთა პირველი მარბიელი ლაშქარი გამოჩნდა. ომაიანთა დინასტიის მეხუთე ხალიფას, აბდ ალაჰ იბნ მარვანის (685/65 – 705/86 წწ.) დროს კი არაბებმა საბოლოოდ დაიმორჩილეს ქართლი.

დასავლეთ საქართველოში, ეგრისში VII საუკუნის დამლევისათვის კი ბიზანტიელთა ბატონობა იმდენად გაძლიერებდა, რომ „მეფის" ნაცვლად უკვე „პატრიკიოსი" იხსენიება წყაროებში.

დამოუკიდელობის დაკარგვის პირველივე დღიდან იწყება ახალი, გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა. I ათასწლეულის მეორე ნახევარში რამდენიმე საერისმთავრო თუ სამთავრო დამოუკიდებლად იწყებს ერთიანი სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლას. ეს პროცესი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ტაო-კლარჯეთმა, სადაც IX ს-ის დასაწყისში აშოტ I ბაგრატიონმა (809 – 826 წწ.) ტაო-კლარჯეთის ანუ „ქართველთა სამეფო" ჩამოაყალიბა, რომლის ფარგლებში შედიოდა შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაო, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი.

აშოტ I-ის სიკვდილის შემდეგ მისმა შვილებმა სამფლობელოები გადაინაწილეს. ადარნასემ მიიღო კლარჯეთი, ბაგრატმა ქართლი და სამცხე, გუარამ მამფალმა ჯავახეთი, თრიალეთი და აბოცი. ძმები მორჩილებდნენ ბაგრატ I-ს (826-876 წწ), რომელიც კურაპალატის ტიტულს ფლობდა. ბაგრატ კურაპალატი, აშოტ I-ის მსგავსად, მთელი ტაო-კლარჯეთის ხელისუფალი იყო.

ბაგრატ I-ს სამი შვილი ჰყავდა - დავით I კურაპალატი (876 – 881 წწ.), ადარნასე (გარდ. 874 წ.) და აშოტი (გარდ. 885 წ.). დავით I-ის გარდაცვალების შემდეგ „ქართველთა მეფე" გახდა მისი ძე ადარნასე II (881 – 923 წწ.), რომელმაც 891 წელს კურაპალატის ტიტულიც მიიღო. ადარნასე II-ის შემდეგ „ქართველთა მეფობა" მის შვილებზე გადავიდა.

954 წელს ქართველთა მეფე გახდა ადარნასე II-ს შვილი სუმბატ I (954 – 958 წწ.). სუმბათის შემდეგ კი „ქართველთა მეფე" ბაგრატ II რეგვენი (958 - 994 წწ.) გახდა. მისი შვილები არიან სუმბატ II (გარდ. 992 წ.) და გურგენი (ქართველთა მეფე 994 – 1008 წწ.).

ადარნასე II-ის შვილის, ბაგრატის შთამომავლებს კი იმიერ ტაოს მმართველობა ერგოთ. იმიერ ტაოს ერისთავთ-ერისთავს, ადარნასე III-ეს (958 – 961 წწ.) ორი შვილი დარჩა ბაგრატი (გარდ. 966 წ.) და დავით III დიდი (966 – 1001 წწ.), რომელიც ბაგრატიონთა ამ ამ შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი იყო. დავით III-ს „ქართლის ცხოვრება" ტაოს მეფეს უწოდებს. 961 წელს ადარნასე III შვილებმა, ბაგრატმა და დავითმა ბერად აღკვეცეს. იმიერ-ტაოს, თორთომის, სპერისა და ბასიანის ნაწილის ერისთავთ-ერისთავის ტიტული ბაგრატმა მიიღო. 966 წელს ბაგრატი გარდაიცვალა და ერისთავთ-ერისთავი დავითი (შემდგომში

დავით III დიდი) გახდა. 979 წელს ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ (976 - 1025 წწ.) ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობის გამო მას „ყოვლისა აღმოსავლეთის კურაპალატის“ ტიტული მიანიჭა, რადგან ამ დროისათვის „ქართველთა კურაპალატის“ ტიტულს ბაგრატ II რეგვენი ატარებდა.

დავით III-ის ახალი სტატუსი მას „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკურ ლიდერობასაც ანიჭებდა. ტიტულთან ერთად დავითმა ახალი ტერიტორიებიც მიიღო - კერძოდ „ზემონი ქვეყანანი“, რომელიც მოიცავდა არზრუმის ანუ კარინის ოლქს, სამხრეთ ბასიანს, ჩორმაირის თემს მდ. ჭოროხის სათავეებთან, ციხე სევუკს მდ. არაქსის სათავეებთან, ხალდო-არიჭის ციხეს, კლისურის ციხეს (ტრაპიზონ-არზრუმის გზაზე) ჰასქისა და აპაჰუნიქის პროვინციებს აღმოსავლეთ ევფრატის ზემო ხეობაში. ხელშეკრულების მიხედვით, დავითს მხოლოდ სიცოცხლის მანძილზე ეძლეოდა ამ ტერიტორიების ფლობის უფლება - „რათა თავისა სიცოცხლესა ჰქონდეს“. დავითი ცდილობდა ახლად შემოერთებული ტერიტორიების სამუდამო მფლობელობაში დატოვებას. ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ის ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას მიემხრო, მაგრამ 989 წელს ეს აჯანყება მარცხით დასრულდა და დავით III მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ის იძულებული გახდა თავისი სამფლობელოები ბიზანტიისათვის გადაეცა. შეთანხმების შედეგად დავითმა შეადგინა ანდერძი, რომლის მიხედვით პირობების აღსრულება მისი სიკვდილის შემდეგ უნდა მომხდარიყო. სწორედ დავითის სამფლობელოების კუთვნილების საკითხი იქცა შემდგომში ბიზანტია - საქართველოს დაპირისპირების ძირითადი მიზეზი.

დავით III საქართველოს გაერთიანების სულისჩამდგმელი იყო. ამ იდეის განხორციელების გზაზე მას არაერთი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. მას შვილი არ ჰყავდა. ამიტომ იშვილა „ქართველთა მეფის“ ბაგრატ რეგვენის შვილის გურგენის (994 წლიდან „ქართველთა მეფე“) ძე ბაგრატი და ყველაფერი იღონა, რათა ის გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე გამხდარიყო. ბაგრატი 976 წელს ქართლის მეფედ დაადგინეს, 978 წელს კი ქუთაისის ტახტზე აიყვანეს და ის აფხაზთა მეფე გახდა. 1008 წელს მამის, გურგენ „ქართველთა მეფის“ გარდაცვალების შემდეგ ქართველთა სამეფოც ბაგრატ III-ს დარჩა.

1014 წელს საქართველოს ტახტზე გიორგი I (1014 - 1027 წწ.) ავიდა, რომელმაც აქტიური საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ მესამის გარდაცვალების შემდეგ ახალგაზრდა გიორგი I-ს წილად ხვდა დაეცვა ქვეყნის ერთიანობა და განესაზღვრა ერთიანი საქართველოს მომავალი.

ბიზანტიას ხელს არ აძლევდა ქართული სახელმწიფოს შემდგომი გაძლიერება. ბიზანტიის იმპერატორს არ უნდოდა ისეთი ქართველი მეფე, რომლიც დამოუკიდებელ პოლიტიკას გაატარებდა. ამიტომ, კეისარმა ბასილი II-მ

(ბიზანტიის იმპერატორი 976-1025 წწ.) მიზეზად გამოიყენა დავით III-ის ანდერძი და გიორგი I-ს ტაოს დატოვება მოსთხოვა.

დავით III კურაპალატის ანდერძის მიხედვით სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ბიზანტიის იმპერიის უშუალო მმართველობას უნდა დაქვემდებარებოდა. ეს კი საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო იყო, რამდენადაც ერთიანი საქართველოს იდეას საფრთხეს უქმნიდა. გიორგი I-მა გაერთიანებული საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად სამხედრო, პოლიტიკური და დიპლომატიური აქტივობები განახორციელა. მიუხედავად იმისა, რომ 1023 წელს გიორგი I-მა ბიზანტიასთან ზავის მძიმე პირობები მიიღო, რომლის მიხედვით იმიერ-ტაო ბიზანტიას დარჩა და ტახტის მემკვიდრე ბაგრატი (შემდგომში საქართველოს მეფე ბაგრატ IV) ბიზანტიაში მძევლად გაგზავნა, მან დაიცვა ქვეყნის დამოუკიდებლობა და ერთიანი საქართველოს იდეა. საქართველოს საბოლოო გაერთიანება თითქმის ასი წლის შემდეგ მოხდა, როდესაც დავით IV აღმაშენებელმა თბილისი აიღო და მას საქართველოს დედაქალაქის სტატუსი დაუბრუნა.

ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბების რთულ გზაზე ერთ-ერთი საინტერესო და საყურადღებო მოვლენა იყო ქართველი მეფეების ფატიმიანთა სახალიფოსთან ურთიერთობა. საქართველოს ისტორიის ეს ეპიზოდები XI საუკუნეში ქართული დიპლომატიის ფართო ასპარეზზე მიუთითებს და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში საქართველოს უფრო ფართო მასშტაბით ჩართვის მცდელობას წარმოადგენს. გიორგი I-ის დიპლომატიური სვლები მნიშვნელოვანია იმით, რომ ქართველი მეფის დიპლომატია ახლოაღმოსავლური პოლიტიკური რუკის შეცვლისაკენ იყო მიმართული. ქართველი მეფის თამამ პოლიტიკურ ნაბიჯებს ფატიმიანი ხალიფას პრაგმატული პოლიტიკა უმაგრებდა ზურგს.

ქართველებისა და ფატიმიანების პირდაპირი ურთიერთობის პირველი, ჩვენთვის ცნობილი, ფაქტი ფიქსირდება მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში. იაჰია ანტიოქელის ცნობით, ქართველ მეფეს ფატიმიანი ხალიფა ალ-ჰაქიმისთვის შეუთავაზებია ბიზანტიის იმპერატორ ბასილი ბულგართმმუსვრელის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის შეკვრა და სამოქმედო გეგმაც წარუდგენია. ამ გეგმის მიხედვით - ისევ და ისევ იაჰია ანტიოქელის თანახმად - გიორგის ჩრდილოეთიდან და ალ-ჰაქიმს სამხრეთიდან ერთდროულად უნდა დაერტყათ ბიზანტიისთვის. ორმხრივი შეტევის შედეგად იმპერატორს ძალების გაყოფა მოუწევდა და მისი დამარცხება შედარებით ადვილი იქნებოდა.

ამ დროს აღმოსავლეთში იყო მხოლოდ ერთადერთი რეალური ძალა, რომელიც საქართველოს ბიზანტიის წინააღმდეგ ალიანსის შეკვრისთვის გამოადგებოდა და ეს ძალა ფატიმიანთა იმპერია იყო. ბიზანტიის იმპერია და ფატიმიანები სირიისათვის ბრძოლაში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და დაუძინებელ მტრებად იქცნენ.

ამდენად, გიორგი მეფის წინადადება იძლეოდა შესანიშნავ შანსს შეკრულიყო ანტიბიზანტიური ალიანსი საქართველოსა და ეგვიპტეს შორის. ორივე მხარეს, შორს მიმავალ გეგმებთან ერთად, კონკრეტული მიზნებიც ჰქონდათ. საქართველოს ინტერესი იყო დაებრუნებინა თავისი ისტორიული მიწები იმიერ ტაოში, ხოლო ფატიმიანთა მიზანს კი ჩრდილოეთ სირიაში თავისი ძალაუფლების განვრცობა წარმოადგენდა. ამ მიზნების მისაღწევად ორივე მმართველისათვის აუცილებელი იყო ბიზანტიის დასუსტება და დამარცხება. როგორც შემდეგ განვითარებული მოვლენებიდან ჩანს ანტიბიზანტიური ალიანსი ვერ შედგა. შეთანხმება ვერ განხორციელდა, რადგან ხალიფა ალ-ჰაქიმი უცაბედად გაუჩინარდა.

საქართველოსა და ფატიმიანთა სახალიფოს შორის ურთიერთობის მეორე, მნიშვნელოვან მოვლენას იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მშენებლობასთან დაკავშირებული ფაქტი წარმოადგენს. ქართული წყაროები გადმოგვცემენ რომ, 1038 წელს დასრულდა მონასტრის კომპლექსის ძირითადი ნაწილის მშენებლობა. ამ პერიოდში იერუსალიმი ფატიმიანთა იმპერიის შემდგენლობაში იყო და ნებისმიერი მშენებლობა – და მით უმეტეს ეკლესიის – მათი ნებართვის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. ამ საკითხს საფუძვლიანი კვლევა მიუძღვნა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა გოჩა ჯაფარიძემ. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ 1038 წელს ქართული მონასტრის მშენებლობა ფატიმინთა კუთვნილ მიწაზე შესაძლებელი გახადა 1036 წელს ბიზანტიასა და ფატიმიანთა სახალიფოს შორის დადებულმა საზავო ხელშეკრულებამ. თუმცა, დასძენს, რომ „მონასტრის დაფუძნების იდეა შეიძლებოდა ჩასახულიყო გაცილებით ადრე, XI ს. 20-იანი წლებიდან მაინც, როცა დაისახა კონტურები სამხედრო-პოლიტიკური კავშირისა გიორგი I-სა და ფატიმიან ხალიფა ალ-ჰაქიმს შორის“. მე სრულიად ვეთანხმები ქართველი მეცნიერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. ვთვლი, რომ კავშირი, საქართველოსა და ფატიმიანთა სახალიფოს შორის ალ-ჰაქიმის სიკვდილის შემდეგ არ შეწყვეტილა და გარკვეული ურთიერთობა შემდეგაც გრძელდებოდა.

საქართველოსა და ფატიმიანთა სახალიფოს შორის ურთიერთობის შემდეგ ფაქტს 1047 წელს ჰქონდა ადგილი. ცნობილი სპარსი მოგზაური და ისმაილიტი დაი, ნასირ ხოსროუ თავის ნაშრომში „საფარ-ნამე“ დაწვრილებით აღწერს 1047 წელს კაიროში ნილოსის არხის გახსნის ცერემონიალს, რომელიც მან საკუთარი თვალით ნახა. სპარსელი მოგზაური გადმოგვცემს, რომ გახსნაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნების მეფეთა და დიდებულთა შვილები. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ, ნასირ ხოსროუს მონათხრობის მიხედვით, მონაწილეთა შორის ყოფილან „ქართველ მეფეთა ვაჟები“.

აქ, რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვა: ვინ არიან ხსენებული ქართველთა მეფეები და მათი ვაჟები? როგორც ცნობილია 1047 წელს საქართველოს მეფეა ბაგრატ IV და მას ყავს ტახტის მემკვიდე გიორგი (მომავალში მეფე გიორგი II). ქართული

წყაროები არანაირ ცნობას არ გვაწვდიან ქართველი უფლისწულის ეგვიპტეში ვიზიტის შესახებ. ასევე ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ნასირ ხოსროუ არა ერთი მეფის ვაჟებს, არამედ მეფეთა ვაჟებს მოიხსენიებს. ვალერიან გაბაშვილი აღნიშნავს, რომ სპარსელი მოგზაური შეცდომას არ უშვებს როდესაც ქართველ მეფეებს იხსენიებს, რადგან იმ პერიოდში კახეთს დამოუკიდებელი მეფე მართავდა. ასევე არ უნდა გამოირიცხოს კლდეკარის ციხის მფლობელი, ერისთავი ლიპარიტ IV, რომელსაც იბნ ალ-ასირი იხსენიებს როგორც აფხაზთა მალიქს. რა თქმა უნდა, ყველა მოწვეულ სტუმარს ფატიმიანები რეალურ ან სავარაუდო მოკავშირეებად განიხილავდნენ. ამ პერიოდში ფატიმინათა მთავარი მოწინააღმდეგები სელჩუკები იყვნენ, ამდენად გასაკვირი არაა, რომ ხალიფა ალ-მუსთანსირი აქტიურად ეძებდა მოკავშირეებს სელჩუკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1047 წლის აგვისტოში ნილოსის არხის გახსნის აღსანიშნავად შეკრება იძლეოდა შესანიშნავ შესაძლებლობას შემდგარიყო ანტისელჩუკური სამხედრო ალიანსი, რომელშიც გაერთიანდებოდნენ ფატიმიანები, ბიზანტიელები, ქართველები და სხვა მოწვეული სტუმრები. ამ დროისთვის ფატიმიანთა სახალიფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის შესანიშნავი ურთიერთობა იყო. სწორედ 1047 წელს განახლდა 1036 წელს დადებული საზავო ხელშეკრულება.

საინტერესოა თვალი გავადევნოთ ამ პერიოდში ლიპარიტ IV ბაღვაშის მოღვაწეობას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ქართველი ერისთავი ცდილობდა სელჩუკთა წინააღმდეგ შეექმნა თავდაცვითი ზოლი, რომელიც უფრო ფართო თავდაცვითი სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნებოდა (1045 წელს ანისის აღება, 1046 წელს სასირეთისა და არყისციხის ბრძოლები, 1047 წელს ლაშქრობა დვინზე, 1048 წელს ბასიანის ბრძოლა, ლიპარიტის დატყვევება და გამოსყიდვა ბიზანტიელთა მიერ).

ზემოხსენებული ფაქტები მიუთითებენ, რომ საქართველოს აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ფატიმიანთა სახალიფოსთან XI საუკუნის მანძილზე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ საკითხს ის გარემოებაც ანიჭებს, რომ ქართული მხარე არა მხოლოდ მსოფლიო პოლიტიკისა და სამხედრო ალიანსების აქტიურ მონაწილედ გვევლინება, არამედ ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში ალიანსების შეკვრის ინიციატორის როლშიც გამოდის. ამ კავშირების საფუძველი არა რელიგია, არამედ პოლიტიკურ ინტერესთა თანხვედრა იყო. ორი განსხვავებული კულტურისა და რელიგიის მქონე ქვეყნის ინტერესები, გარკვეულ დროსა და ვითარებაში, ერთმანეთს დაემთხვა, რაც საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოსვლის საშუალებას იძლეოდა.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომში განხილულია ქართველთა ურთიერთობა არა ორთოდოქს მუსლიმ მმართველებთან, არამედ სუნიტურ ისლამში ერეტიკოსებად შერაცხულ ისმაილიტ ფატიმიანებთან.

ომაიანთა სახალიფოს აღმოსავლეთ ნაწილში, სპარსეთსა და მავერანაჰრში შიიზმი უკვე ჰიჯრის I ს-ში (VII ს-ის მეორე ნახევარსა და VIII ს-ის პირველ ნახევარში) გავრცელდა. შიიტები იმთავითვე ცენტრალურ ხელისუფლებას ოპოზიციაში ჩაუდგნენ და ომაიანი ხალიფები უზურპატორებად გამოაცხადეს. ამ მიმდინარეობამ თავიდანვე დიდი გავლენა მოიპოვა და ხალიფათა საწინააღმდეგო მოძრაობის მთავარ ძალად იქცა. შიიტთა აქტიურმა ქმედებებმა საბოლოოდ ომაიანთა დამხობა და 749/132 წელს აბასიანთა ხელისუფლებაში მოსვლა განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში მოსვლამდე აბასიანები შიიტების მიმართ ლოიალურ პოლიტიკას ატარებდნენ, ტახტზე ასვლის შემდეგ, მათ ომაიანთა მსგავსად შიიტთა დევნა განაგრძეს. ამდენად, ახალი დინასტიის გამეფებამ შიიტების დიდი იმედგაცრუება გამოიწვია.

VIII საუკუნის შუა ხანებში შიიტთა შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. ერთიან შიიტურ თემში განხეთქილება მეექვსე იმამის, ჯაფარის მოღვაწეობის პერიოდში მოხდა. უთანხმოების მიზეზად იქცა ის, რომ ჯაფარმა თავის მემკვიდრედ ჯერ უფროსი ვაჟი, ისმაილი, ხოლო 762/145 წელს, ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ, უმცროსი შვილი, ისმაილის ნახევარძმა, მუსა გამოაცხადა. შიიტების ერთმა ნაწილმა ჯაფარის გადაწყვეტილება უსამართლოდ მიიჩნია, რადგან ისმაილის სიკვდილი არ დაიჯერა და მოგვიანებით ისმაილიტურ მიმდინარეობას დაუდო სათავე. სხვა შიიტებისაგან განსხვავებით, მათ იმამად ისმაილის შვილი მუჰამადი აღიარეს, თუმცა ეს უკანასკნელი ისმაილიტური მოძრაობის დამაარსებელი არ ყოფილა.

სავარაუდოა, რომ ერთიანი ისმაილიტური მიმდინარეობის ჩამოყალიბება IX ს-ის მეორე ნახევარში მოხდა. ჰიჯრით 260 წ-მდე (873-74 წ) ერთიან ისმაილიტურ სწავლებას ვერ ვხედავთ, თუმცა ამ წლიდან მოკიდებული ისლამური სამყაროს სხვადასხვა პროვინციებში ჩნდებიან ისმაილიტი მისიონერები, რომლებიც სრულიად ახალ, რევოლუციურ სწავლებას ქადაგებდნენ. ჰიჯრით 261 წელს (874-75 წ) ისმაილიტთა რეგიონული ცენტრი ჩამოყალიბდა სამხრეთ ერაყში, რომლის ლიდერები ჰამდან კარმატი და აბდანი იყვნენ.

ისმაილიზმის გაძლიერებას მრავალმა ფაქტორმა შეუწყო ხელი. შიიტურ თემში მომხდარი პირველი განხეთქილების შემდეგ მრავალი სექტა ჩამოყალიბდა, რომლებმაც ალის ოჯახის სხვადასხვა წარმომადგენელი გამოაცხადეს იმამად. ამგვარი პატარ-პატარა სექტები და მიმდინარეობები ძირითადად მხოლოდ მათი დამაარსებლების სიცოცხლის მანძილზე არსებობდნენ და ლიდერთა გარდაცვალებისთანავე იშლებოდნენ. ცოტა ხანში ასეთი მიმდინარეობების არაორგანიზებულობით უკმაყოფილო მრავალმა შიიტმა იმამიტთა მიმდინარეობას მიაშურა. თუმცა, „თორმეტიანთა“ იმამების შტოს შეწყვეტამ (874/260 წ) იმამიტთა მიმდინარეობა საგრძნობლად დაასუსტა, რამაც ისმაილიტებს უფრო აქტიური მოქმედების საშუალება მისცა.

X საუკუნის დასაწყისში ისმაილიტმა იმამმა, უბაიდ ალაჰმა, ჩრდილოეთ აფრიკაში ახალი სახელმწიფო შექმნა, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე წარმატებით უწევდა კონკურენციას სუნიტ აბასიანთა სახალიფოს. 893/280 წლიდან მოკიდებული ამ რეგიონში აქტიურად დაიწყო მუშაობა ცნობილმა ისმაილიტმა დაიმ, აბუ აბდ ალაჰ აშ-შიიმ, რომელმაც ისმაილიტური მოძღვრება ბერბერულ ტომებში გაავრცელა და ყველაფერი შეამზადა იმამის ჩამოსასვლელად. ამით ისარგებლა უბაიდ ალაჰმა, რომელმაც 910 წლის 7 იანვარს/297 წლის 21 რაბი ას-სანი რაკადაში თავი ხალიფად გამოაცხადა და მაჰდი დაირქვა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქმედებით აღსრულდა ისმაილიტთა ოცნება და ჭეშმარიტმა იმამმა ხელისუფლება მიიღო, მათ წინაშე ახალი პრობლემები წარმოიშვა. უბაიდ ალაჰი შესანიშნავად იყო გაწვრთნილი ისმაილიტურ თეოლოგიაში და კარგად იყო მომზადებული იმამის როლისთვის, თუმცა არც მას და არც მის წინამორბედებს არ ჰქონიათ პოლიტიკური მმართველობის გამოცდილება. თვითონ მაჰდისა და მისი მიმდევრების წარმოდგენით, როგორც იქნა, მოხდა ღვთის მიერ კურთხეული იმამის გახალიფება, რაც დაახლოებით 250 წლის მანძილზე არ ყოფილა. ამიერიდან მაჰდი გაუძღვებოდა მუსლიმურ თემს ისე, როგორც ეს ალაჰმა დაადგინა, ანუ ისე, როგორც ამას მათი წინაპრები მუჰამადი და მისი ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ალი აკეთებდნენ. რაც მთავრია, ხალიფას უნდა ებრძოლა ისლამის მტრების წინააღმდეგ, როგორც სახალიფოს შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ. ამდენად, რელიგიური იდეოლოგიის გავრცელების პარალელურად საჭირო გახდა სახელმწიფო აპარატის შექმნა, შიდა დაპირისპირებებისა და უთანხმოებების მოგვარება და კარგად გააზრებული საგარეო პოლიტიკის გატარება. 969 წელს ფატიმიანებმა შეძლეს ეგვიპტის დაპყრობა, სადაც თავიანთი მომავალი დედაქალაქი, კაირო დააარსეს. ამ დროისთვის მათ უკვე კარგად ორგანიზებული სახელმწიფო აპარატი და ჯარი ჰყავდათ. ფატიმიან ხალიფთა მიზნებს ემსახურებოდა ასევე შესანიშნავად ორგანიზებული „და'ვა“ ანუ პროპაგანდა. ფატიმიანთა „და'ვა“ არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ რელიგიური იდეების ქადაგებით. პროპაგანდისტები აქტიურად იბრძოდნენ ფატიმიანთა პოლიტიკური მიზნების განხორციელებისთვის.

ფატიმიანთა სახალიფოს არსებობის პერიოდი ითვლება ოქროს ხანად ისლამის ისტორიაში. 969/358 წელს ფატიმიანთა მიერ ეგვიპტის დაპყრობითა და კაიროს დაარსებით იწყება ისმაილიტური ხელოვნებისა და მეცნიერების აყვავების ხანა. 971/360 წელს ხალიფა ალ-მუიზმა სახალიფოს დედაქალაქი კაიროში გადაიტანა. ახალ დედაქალაქში მალე მრავალმა შიიტმა მეცნიერმა მოიყარა თავი. ფატიმიანთა დედაქალაქი ეჯიბრებოდა აბასიანთა ბაღდადს ბრწყინვალებითა და განათლების დონით. ფატიმიანი ხალიფები ყველანაირად უწყობდნენ ხელს მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას. მათ სურდათ

ისლამური კულტურის ცენტრი ბაღდადიდან კაიროში გადაეტანათ და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს.

ეგვიპტეში დამკვიდრების შემდეგ ფატიმიანთა წინაშე სირია-პალესტინის დაპყრობის საკითხი დადგა. პირველ რიგში უნდა მოგვარებულიყო თავდაცვისუნარიანობის საკითხი, რისთვისაც აუცილებელი იყო დამასკო და პალესტინა ფატიმიანებს დაქვემდებარებოდა. მათ შეძლეს კარმატებისა და ბედუინთა სხვადასხვა ტომების დამარცხება და სამხრეთ სირია მთლიანად დაიმორჩილეს. თუმცა, ამ რეგიონში ფატიმიანთა მთავარი მეტოქე ბიზანტიის იმპერია იყო. დაპირისპირება გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ხშირი იყო სამხედრო რეიდები, თუმცა, ასევე იდებოდა მოკლევადიანი სამშვიდობო ხელშეკრულებები. XI საუკუნის 20-იანი წლებიდან მდგომარეობა დასტაბილურდა და მცირე დავების მიუხედავად სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდა. დაიდო გრძელვადიანი ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებდა არა მხოლოდ ტყვეების გათავისუფლებას, არამედ ეკლესიების აღდგენას, მოუსავლიანობის ჟამს სურსათით მომარაგებას და სამხედრო დახმარებას. ურთიერთობის დათბობას ასევე ხელი შეუწყო რეგიონში საერთო მტრის, სელჩუკების გამოჩენამ.

საკითხის შესწავლის ისტორია. საქართველოსა და ფატიმიანთა სახალიფოს ურთიერთობის შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება. შესაბამისად საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურაც მცირერიცხოვანია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და ფატიმიანთა ურთიერთობის საკითხების კვლევისას წინა პლანზე გამოდის საქართველო-ბიზანტიიის და ბიზანტია-ფატიმიანთა სახალიფოს ურთიერთობების საკითხები, რომლებიც უფრო სრულყოფილად არის შესწავლილი. შესაბამისად, ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა კვლევა უფრო ფართო სპექტრს მოიცავს და კონკრეტულად საქართველო - ფატიმიანთა სახალიფოს ურთიერთობის საკითხები განხილულია როგორც ერთი კონკრეტული ეპიზოდი. ხშირ შემთხვევაში ეს საკითხი ცალკეულ თავად ან პარაგრაფადაა შესული მონოგრაფიებში.

საქართველო-ბიზანტია-ფატიმიანთა სახალიფოს ურთიერთობის შესახებ კვლევების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ სათითაოდ ყველა ნაშრომის განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანს. ამდენად, ქვემოთ შევეხები მხოლოდ რამდენიმე ფუნდამენტურ ნაშრომსა და ცალკეულ სტატიას, რომლებიც კარგად ასახავენ ჩემთვის საინტერესო საკითხებს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ისეთი გამორჩეული ქართველი მეცნიერების კვლევები, როგორებიც არიან ივანე ჯავახიშვილი და მარიამ ლორთქიფანიძე.

ივანე ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორიის მეორე ტომში[1] დეტალურად განიხილავს XI საუკუნის საქართველოს ისტორიას და საქართველო-ბიზანტიისა და საქართველო-ისლამური სამყაროს ურთიერთობას. წიგნის VI თავში „საქართველოს გაერთიანება“, მეცნიერი აღწერს საქართველოს გაერთიანების პროცესს, გიორგი I-სა და ბაგრატ IV-ს ზეობის ხანას, თავი სრულდება დიდი თურქობით და გიორგი II-ს მეფობით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბიზანტიასთან ურთიერთობას და ცენტრალური ხელისუფლების დაპირისპირებას ბაღვაშთა საგვარეულოსთან.

მარიამ ლორთქიფანიძემ ამ საკითხების კვლევას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ისტორიის ნარკვევების III ტომში[2] გამოქვეყნებული ნაშრომი „საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე“, სადაც მ. ლორთქიფანიძე აღწერს იმ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობდა საქართველოში X-ის ბოლოდან დიდ თურქობამდე. მკვლევარი ეხება როგორც ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებს, ასევე საქრთველოს საგარეო პოლიტიკის მრავალ ასპექტს. საქართველო-ბიზანტიის, საქართველო-სომხეთის და საქართველო-განძის საამიროს ურთიერთობებს სპეციალური პარაგრაფები აქვს მიძღვნილი. თუმცა, საქართველოს ურთიერთობას ფატიმიანთა სახალიფოსთან მ. ლორთქიფანიძე ცალკე არ განიხილავს.

X-XI საუკუნეებში საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებს ფუნდამენტური კვლევა მიუძღვნა ვ. კოპალიანმა.[3] შესაბამის თავებში ავტორი განიხილავს საქართველოსა და ბიზანტიის კავშირებს ისლამურ სამყაროსთან, თუმცა, მისი კვლევის მთავარ მიზანს საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა წარმოადგენს. ამდენად, ცნობები საქართველოსა და ფატიმიანთა ურთიერთობებზე ფრაგმენტულია და მხოლოდ ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობების კონტექსტში განიხილება.

ქართულ-არაბულ ურთიერთობებს ფუნდამენტური ნაშრომი, „არაბთა ბატონობა საქართველოში“ მიუძღვნა ბ. სილაგაძემ.[4] ავტორი აქტიურად სარგებლობს არაბული წყაროებით და დეტალურად აღწერს საქართველოსა და არაბული სამყაროს ურთიერთობას, თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება, რაც სათაურიდანაც ჩანს, არაბობის ადრეულ პერიოდს ეთმობა და XI საუკუნე შედარებით მოკლედ არის აღწერილი.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია, ტ. II* (თბილისი 1983).

[2] მ. ლორთქიფანიძე, „საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე“. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. III*, ტომის რედაქტორები: ზ. ანჩაბაძე, ვ. გოჩუა (თბილისი: საბჭოთა საქართველო 1979).

[3] ვ. კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა* (თბილისი 1969).

[4] ბ. სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში* (თბილისი 1991).

გიორგი I-ის საგარეო პოლიტიკა განიხილა გოჩა ბუაჩიძემ თავის სადისრტაციო ნაშრომში „ბიზანტიის ახლოაღმოსავლური პოლიტიკა იაჰია ანტიოქელის ‘‘ისტორიაში’’ (X ს. 40-იანი წლები - XI ს. პირველი მესამედი).“[5] ნაშრომში დეტალურად არის განხილული ბიზანტია-ფატიმიანთა სახალიფოს ურთიერთობა აღნიშნულ პერიოდში და რა თქმა უნდა, დიდი ყურადღება საქართველოსაც ეთმობა. თუმცა, როგორც სათაურიდანვე ჩანს, ავტორი მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავს ჩვენთვის საინტერესო პერიოდს და ფოკუსირებულია ბიზანტია-ფატიმიანთა ურთიერთობებზე ერთი კონკრეტული ისტორიკოსის ქრონიკის მიხედვით.

ჩემი კვლევის საკითხს ცალკეული სტატიები მიუძღვნეს ასევე ვ. გაბაშვილმა,[6] ო. ცქიტიშვილმა,[7] გ. ჯაფარიძემ,[8] გ. ჟორჟოლიანმა,[9] გ. ბუაჩიძემ[10] და სხვებმა. ვ. გაბაშვილი, ო. ცქიტიშვილი და გ. ბუაჩიძე ყურადღებას ამახვილებენ გიორგი I-ის აღმოსავლურ პოლიტიკაზე და კონკრეტულად კი იაჰია ანტიოქელის იმ ცნობაზე, რომლის მიხედვითაც ქართველთა მეფემ ფატიმიან ხალიფა ალ-ჰაქიმს ანტიბიზანტიური ალიანსის შეკვრა შესთავაზა და კონკრეტული გეგმაც წარუდგინა. გიორგი პირველის გეგმის მიხედვით მხარეებს ერთდროულად უნდა დაერტყათ სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან, ამ შემთხვევაში ბასილი კეისარი ორ ფრონტზე ერთდროულად ბრძოლას ვერ შეძლებდა და პოზიციებს დათმობდა. მეცნიერები განიხილავენ, თუ რა იყო ამ გეგმის წინაპირობები, რა გზებით შეიძლება განხორციელებულიყო და რა შედეგები მოუტანა მხარეებს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ, ამ საკითხთან დაკავშირებით მეც მაქვს ორი სტატია გამოქვეყნებული.[11]

---

[5] გ. ბუაჩიძე, *ბიზანტიის ახლოაღმოსავლური პოლიტიკა იაჰია ანტიოქელის ‘‘ისტორიაში’’ (X ს. 40-იანი წლები _ XI ს. პირველი მესამედი).* 07.00.04 _ მსოფლიო ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი (თბილისი 2002).

[6] ვ. გაბაშვილი, „საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI - XII სს.)“, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* ტ. 125, (თბილისი, 1968).

[7] ო. ცქიტიშვილი, „მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისთვის გიორგი I-ს მეფობის ხანაში“, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. მაცნე #4* (თბილისი, 1968).

[8] გ. ჯაფარიძე, „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიის შუქზე“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IV* (თბილისი, 2005); გ. ჯაფარიძე, ‘‘ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში’’, *ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში,* ტომი I (თბილისი, 2012).

[9] გ. ჟორჟოლიანი, „ერთი ცნობა ნასერ ხოსროუს „საფარ-ნამედან“, *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები,* წიგნი II (თბილისი, 1979).

[10] გ. ბუაჩიძე, „საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო“. *ქართული დიპლომატია, წელიწდეული 4* (თბილისი, 1997).

[11] გ. ნარიმანიშვილი, „შუა საუკუნეების ქართული დიპლომატიის ისტორიისათვის“, *შრომათა კრებული #7,* გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი (შპს „საარი“, 2014); G. Narimanishvili, “Foreign Policy of George I and al-

საქართველოსა და ფატიმიანთა ეგვიპტის ურთიერთობის ერთი ეპიზოდს ეხება გ. ჯაფარიძე თავის სტატიაში ‘‘იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიის შუქზე.’’ განიხილავს რა იერუსალიმში ჯვრის მონასტრის აგების საკითხს, იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ 1038 წელს ქართული მონასტრის მშენებლობა ფატიმიანთა კუთვნილ მიწაზე შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1036 წელს ბიზანტიასა და ფატიმიანთა სახალიფოს შორის დადებული საზავო ხელშეკრულების შემდეგ.

ჩვენთვის საინტერესო კიდევ ერთ საკვანძო საკითხს ეხება გ. ჟორჟოლიანი თავისი სტატიაში „ერთი ცნობა ნასერ ხოსროუს „საფარ-ნამედან“. გ. ჟორჟოლიანი ყურადღებას ამახვილებს სპარსი მოგზაურის ნასირ ხოსროუს იმ ცნობაზე, რომელშიც გადმოცემულია 1047 წელს მისი კაიროში ყოფნა. ნასირ ხოსროუ ესწრებოდა ნილოსის არხის გახსნას და აღწერა მიმდინარე ცერემონიალი. მისი ცნობით, ხალიფას სხვა სტუმრებთან ერთად ცერემონიალს „ქართველ მეფეთა ვაჟები“ ესწრებოდნენ. გ. ჟორჟოლიანი მიუთითებს ცერემონიაზე დასწრების პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. თუმცა „ქართველ მეფეთა ვაჟების“ მისიის შეფასებისაგან თავს იკავებს. ამ საკითხს ვ. გაბაშვილიც ეხება და აღნიშნავს, რომ სპარსელი მოგზაური შეცდომას არ უშვებს, როდესაც ქართველ მეფეებს იხსენიებს, რადგან იმ პერიოდში კახეთი არ შედიოდა საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში და მას დამოუკიდებელი მეფე მართავდა.[12]

საკითხის გარშემო არსებული კვლევებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები, რომლებშიც განხილულია ბიზანტიის იმპერიისა და ფატიმიანთა სახალიფოს ისტორია. ბიზანტიის ისტორიის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი აღწერილი აქვთ: W. Treadgold,[13] J. Shepard,[14] В.Р. Розен,[15] და სხვ. ხოლო ფატიმიანთა სახალიფოს ისტორიას ნაშრომები მიუძღვნეს: P. A. Sanders,[16] P. E. Walker,[17] De Lacy o’Leary,[18] Y. Lev[19] და სხვა.

Hakim”, *International Symposium on East Anatolia and South Caucasus Cultures, Proceedings II*, Ed. by M. Isikli and B. Can (Cambridge Scholars Publishing, 2015).

[12] ვ. გაბაშვილი, „საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან“, 70.

[13] W. Treadgold, *A History of the Byzantine State and Society* (Stanford University Press, 1997).

[14] J. Shepard, “Equilibrium to Expansion”, *The Cambridge History of the Byzantine Empire c. 500 – 1492*, Edited by Jonathan Shepard, Cambridge University Press, 2008; Shepard J., “Western Approaches”, *The Cambridge History of the Byzantine Empire c. 500 – 1492*, Edited by Jonathan Shepard (Cambridge University Press, 2008).

[15] В.Р. Розен, *Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхьи Антиохийского* (Санкт – Петербург, 1883).

[16] P. A.Sanders, “The Fatimid state, 969 – 1171” in *The Cambridge History of Egypt. Vol. I. Islamic Egypt, 640 – 1517*. Edited by Carl F. Petry, (Cambridge University press, 2006).

[17] P. E. Walker, “The Isma‘ili Da‘wa and Fatimid Caliphate” in *The Cambridge History of Egypt. Volume I, Islamic Egypt 640 – 1517*. Edited by Carl F. Petry (Cambridge University Press 2006).

[18] De Lacy O’Leary, *A Short History of Fatimid Khalifat* (London, 1923).

[19] Y. Lev, *State and society in Fatimid Egypt* (Brill, 1991), „Army, Regime, and Society in Fatimid Egypt, 358-487/968-1094“ in *International Journal of Middle East Studies*, Vol. 19, No. 3 (Aug., 1987).

ფატიმინათა სახალიფოს ისტორიას ფუნდამენტური ნაშრომი მრავალმა არაბმა მეცნიერმა მიუძღვნა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მუჰამად ჯამალ ად-დინ სურურის,[20] მუჰამად სუჰაილ ტაკუშის,[21] მუჰამად აბდ ალაჰ ანანის,[22] აბდ ალ-მუნამ მაჯიდის,[23] ფუად აიმან საიდის[24] და მუჰამად ჰუსაინ მაჰასინას[25] კვლევები.

წერილობითი წყაროები. XI საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში და კავკასიაში მიმდინარე პროცესები აღწერილი აქვს არაერთ ქართველ და უცხოელ ქრონისტს. ამავდროულად გვაქვს სხვადასხვა სახის ოფიციალური დოკუმენტები, წერილები და წარწერები. ჩვენ არ შევჩერდებით ყველა იმ წყაროს აღწერაზე, სადაც ასახულია ამ ეპოქის ისტორია, რადგან ისინი ისედაც კარგად არის ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, მოკლედ შევეხებით მხოლოდ იმ წყაროებს, სადაც მოცემულია კონკრეტულად ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები.

ქართული წყაროები: XI საუკუნის ამსახველი წყაროები წარმოდგენილია როგორც საისტორიო, ისე აგიოგრაფიული ნაწარმოებებით.

მატიანე ქართლისა.[26] XI საუკუნის ანონიმი ავტორის მიერ დაწერილი საქართველოს ისტორია წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროს VIII – XI საუკუნის საქართველოს ისტორიისა და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების მკვლევართათვის. ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს წარმოადგენს ის ნაწილი, სადაც აღწერილია გიორგი I-სა და ბაგრატ IV-ის ზეობის ხანა. ავტორი დაწვრილებით აღწერს გიორგი მეფისა და ბასილი II-ს შორის დაპირისპირებას და შიდაპოლიტიკურ პროცესებს. წყაროში კარგად არის ასახული ბაგრატ IV-ის მოღვაწეობა და ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან, იქნება ეს სამხედრო დაპირისპირება, თუ დიპლომატია. ასევე დიდ ინტერესს წარმოადგენს ავტორის მიერ აღწერილი ლიპარიტ IV ბაღვაშის როლი, როგორც შიდაპოლიტიკურ პროცესებში, ასევე ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობებში.

სუმბატ დავითის ძის[27] ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა ასევე აღწერს გიორგი I-ის მმართველობის პერიოდს და ბაგრატ IV-ს მმართველობის ხანის

---

[20] Muḥammad Jamāl al-Dīn Surūr, *Tārīkh al-Dawla al-Fāṭimiyya fi qarnayn ar-rābi‘ wa al-khāmis min al-hijra* (al-Qāhira, 1970); *Syyāsa al-Fāṭimyyīn al-Khārijyya* (al-Qahira: dār al-fikr al-‘arabyi, 1994); *Tārīkh al-Dawla al-Fāṭimiyya* (al-Qāhira: Dār al-Fikr al-‘arabī, 1995).

[21] Muḥammad Suhayl Ṭaqqush, *Tārīkh al-Fāṭimiyyīn fī Shimalay Ifriqyya wa Miṣr wa bilād ash-Shām* (Bayrūt, 2007).

[22] Muḥammad ‘abd Allah ‘Anān, *al-Ḥākim bi Amr Allah wa Asrār al-Da‘wa al- Fāṭimiyya* (al-Qāhira, 1959).

[23] ‘abd al-Mun‘am Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah: al-Khalifa al-Muftara ‘alaihi* (al-Qāhira, 1982).

[24] Fu’ād Ayman Sayyd, *al-Dawla al-Fāṭimiyya fi Miṣr* (al-Qāhira: al-Dār al-Miṣryya al-Lubnānyya, 1992).

[25] Muḥammad Ḥusain Mahāsna, *Tārīkh Madīna Dimashq Khilāl al-ḥukm al-Fāṭimī* (Dimashq, 2001).

[26] „მატიანე ქართლისა“, *ქართლის ცხოვრება ტ. I*, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი: სახელგამი, 1955).

[27] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი: სახელგამი, 1955).

დასაწყისს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გიორგი I-სა და ბასილ ბულგართმმუსვრელს შორის არსებული დაპირისპირების აღწერა.

ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში[28] თანმიმდევრულად არის აღწერილი საქართველოს ერთიან სამეფოდ ჩამოყალიბების პროცესი და XI საუკუნის ქართველ მეფეთა შიდა თუ საგარეო პოლიტიკის მრავალი ასპექტი. ვახუშტი ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის XI საუკუნის კახეთისა და სხვა სამეფო-სამთავრების ისტორიის შესახებ.

XI საუკუნის საქართველოს ისტორიის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს ვპოულობთ ამ ეპოქის ქართველ წმინდანთა ცხოვრებებში. **გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში** აღწერილია ქართულ-ბიზანტიური მოლაპარაკებები ბაგრატ IV-ის ზეობის ხანაში და ამ მოლაპარაკებებში მარიამ დედოფლისა და გიორგი მთაწმინდელის მონაწილეობა[29].

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აგების ისტორიის მნიშვნელოვან დეტალებს ვკითხულობთ **გიორგი პროხორეს ცხოვრებაში.**[30]

არაბული წყაროები: სამწუხაროდ ფატიმიანთა თანამედროვე თითქმის არც ერთი ისტორიკოსის ნაშრომმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. მას შემდეგ რაც სალაჰ ად-დინმა ეგვიპტის ტახტი დაიკავა და ისმაილიტი-შიიტების ფატიმიანთა დინასტია სუნიტმა აიუბიანებმა შეცვალეს, მათ კაიროს უმდიდრესი ბილიოთეკა თითქმის სრულად განადგურეს. ამან გამოიწვია ის, რომ ფატიმიანთა თანადროული ისტორიკოსების ნაშრომების ფრაგმენტები ძირითადად გვიანდელი ავტორების ქრონიკებში შემოინახა.

ფატიმიანთა ისტორია აღწერილი აქვთ ისეთ ცნობილ სუნიტ ისტორიკოსებს როგორებიც არიან: იბნ ალ-ასირი, ალ-იდრისი, ალ-ისფაჰანი, ად-დავადარი, იბნ ხალდუნი, ალ-კალკაშანდი, ალ-მაკრიზი, ქემალ ად-დინი, იბნ ალ-კალანისი აბუ შამა, იბნ ალ-ფურატი და სხვ.

არაბ მემატიანეთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია იაჰია ანტიოქელს, რომელიც ალ-ჰაქიმის მმართველობის დროს ქალაქ ანტიოქიაში ცხოვრობდა. იაჰია ერთადერთი ავტორია, რომელიც ფატიმიანთა თანამედროვე იყო. შესაბამისად მის ცნობებს განსაკუთრებული ღირებულება აქვს.

იაჰია ანტიოქელი[31] ქრისტიანი არაბი ისტორიკოსია, რომელიც ფატიმიანთა ეპოქის შესახებ უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის. მისი ნაშრომი მოიცავს პერიოდს

---

[28] ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973).

[29] გიორგი მცირე, „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, ქართული მწერლობა, ტომი 2 (თბილისი: ნაკადული, 1987).

[30] თ. ჟორდანია, *ქრონიკები* II (თბილისი, 1897).

[31] Yaḥya, b. Saʿīd b. Yahya b. al-Antakī. *Tārīkh al-Antakī al-Maʿrūf bi Ṣilla Tārīkh Ūtīkhā*. ḥaqqaqahu wa ṣanaʿa fahārisahu ustādh duktūr ʿumar ʿabd al-Salām Tadmurī (Ṭarablus, 1990).

938 წლიდან 1034 წლამდე. იაჰია სარგებლობდა როგორც თავისი წინამორბედი ისტორიკოსების მონაცემებით, ასევე საკუთარი დაკვირვებებითა და ზეპირსიტყვიერი გადმოცემებით. მას ბევრი ისეთი მონაცემი და დეტალი მოაქვს ფატიმიანთა სახალიფოსა და ბიზანტიაში მიმდინარე მოვლენებზე, რასაც ვერც ერთი სხვა ავტორის ქრონიკებში ვერ ვიპოვით. იაჰიას დაწვრილებით ჰყავს აღწერილი ფატიმიანი ხალიფა ალ-ჰაქიმი და სწორედ იაჰია გვაწვდის იმ ინფორმაციას, რომ საქართველოს მეფე გიორგი I-მა ხალიფა ალ-ჰაქიმს ანტიბიზანტიური სამხედრო ალიანსის შექმნა შესთავაზა. იაჰია ასევე დაწვრილებით აღწერს ბასილი II-ს ბრძოლას გიორგი I-ის წინააღმდეგ.

იბნ ალ-კალანისი[32] XI – XII სს. დამასკოელი მემატიანე იყო. მისი ნაშრომი „დამასაკოს ისტორია“ მოიცავს პერიოდს X საუკუნის შუა ხანებიდან 1160 წლამდე. ცნობილია, რომ იბნ ალ-კალანისის მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობები ეკავა დამასკოში. ის მრავალი მოვლენის შემსწრე და თვითმხილველი იყო. ჩვენს ინტერესს იწვევს იბნ ალ-კალანისის მიერ აღწერილი ფატიმიანთა მიერ სირიის დაპყრობა და ურთიერთობა ბიზანტიასთან. ასევე ყურადსაღებია მისი მონაცემები სელჩუკთა გამოჩენისა და სირიაში დამკვიდრების შესახებ.

იბნ ალ-ასირი[33] XII – XIII საუკუნის მოსულელი ისტორიკოსი იყო. მისი ნაშრომი „სრულყოფილი ისტორია“ მოიცავს პერიოდს სამყაროს შექმნიდან 1230 წლამდე. იბნ ალ-ასირის „ისტორია“ ძალზე ინფორმატიულია. ავტორი დაწვრილებით აღწერს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებს. იბნ ალ-ასირი აქტიურად იყენებს მისი წინამორბედი ქრონისტების ნაშრომებს. ჩვენთვის საინტერესოა იბნ ალ-ასირის ნაშრომის ის თავები, სადაც აღწერილია ფატიმიანთა პოლიტიკა სირიასა და მესოპოტამიაში და მათი ურთიერთობა ბიზანტიასთან.

ქემალ ად-დინი[34] ასევე ცნობილია როგორც იბნ ალ-ადიმი. ის XIII საუკუნის ალეპოელი ისტორიკოსი იყო. ჩვენ ვსარგებლობთ მისი ცნობილი ნაშრომით „ნაღები ალეპოს ისტორიიდან“, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან 1243 წლამდე. ქემალ ად-დინის ამ ნაშრომში დაცულია მრავალი მნიშვნელოვანი მონაცემი, როგორც კონკრეტულად ჩრდილოეთ სირიის ისტორიიდან, ასევე ზოგადად ახლო აღმოსავლეთის ისტორიიდან. ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ის ნაწილი, სადაც მოთხრობილია ბიზანტია-ფატიმინათა ურთიერთობა და დაპირისპირება ჩრდილოეთ სირიისთვის. ასევე სელჩუკების გამოჩენა და ბრძოლები მათ წინააღმდეგ.

---

[32] Ibn al-Qalānisi, *tārīkh dimashq*, taḥqīq Suhayl Zakkār (Dimashq, 1983).

[33] Ibn al-Athīr, *Kāmil fi al-Tārīkh*, M., IX, taḥqīq Abi al-Fiḍa' 'Abd Allah al-Qaḍi, dar al-kutub al-'imiyya (Beirut, 1987).

[34] Kamāl al-Dīn, *zubdat al-ḥalab min tārīkh ḥalab*, waḍa'a ḥawāshya khalīl al-anṣūr (Bairūt: dār al-kutub al-'ilmiyya 1996),

ალ-მაკრიზი[35] XIV საუკუნის ეგვიპტელი ისტორიკოსი იყო. სხვა მრავალ ნაშრომთან ერთად ალ-მაკრიზის აქვს დაწერილი ფატიმიან ხალიფათა ისტორია. ალ-მაკრიზი აქტიურად სარგებლობდა ფატიმიანთა ისტორიკოსების ნაშრომებით, რომლებმაც დღემდე ვერ მოაღწია. ამდენად, მის მიერ დაცული ცნობები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ფატიმიანთა ისტორიის მკვლევართათვის. ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ალ-მარკიზის მიერ გადმოცემული ალ-ჰაქიმის, აზ-ზაჰირისა და ალ-მუსთანსირის ბიოგრაფიები.

ბიზანტიური წყაროები: XI საუკუნის მოვლენები საკმაოდ კარგად არის აღწერილი ბიზანტიელი ისტორიკოსების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძირითად ყურადღებას იმპერიის შიდა საქმეებზე ამახვილებენ, მათ ქრონიკებში შემონახულია მრავალი მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბიზანტია-საქართველოსა და ბიზანტია-არაბული სახალიფოების ურთიერთობის შესახებ.

იოანე სკილიცა[36] ან იოანე თრაკიელი იყო XI საუკუნის (1050 წლამდე – XII საუკუნის დასაწყისი) ბიზანტიელი ისტორიკოსი. ცნობილია, რომ ალექსი კომნენოსის დროს იოანე სკილიცას მაღალი თანამდებობები ეკავა კონსტანტინოპოლში. მისი ნაშრომი მოიცავს პერიოდს 811 წლიდან 1057 წლამდე. სკილიცა თავისი ნაშრომის შესავალშივე აღნიშნავს, რომ ის თავს უყრის მისი წინამორბედი ისტორიკოსების ტექსტებს. საყურადღებოა, რომ მას რამდენიმე ისეთი ისტორიკოსის მონაცემები მოჰყავს, ვისი ნაშრომებიც დღემდე არ შემორჩა. სკილიცას ქრონოგრაფიაში შემონახულია მნიშვნელოვანი მონაცემები საქართველო-ბიზანტიისა და ბიზანტია-ფატიამიანთა ურთიერთობის შესახებ X – XI სს-ში. სკილიცა დეტალურად აღწერს ბასილი II-ს ხანგრძლივ მმართველობას და მისი მემკვიდრეების ეპოქას. განსაკუთრებულ ინტერსს იწვევს ბასილ II-სა და გიორგი I-ის ურთიერთობა. ასევე, ბიზანტიის ურთიერთობა ბაგრატ IV კურაპალატთან და ლიპარიტ IV ბაღვაშის როლი ამ ურთიერთობებში.

გიორგი კედრენე[37] XI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსია. ნაშრომის სათაურიდანვე „ისტორიული მიმოხილვა, დაწყებული ქვეყნის გაჩენით და ვიდრე ისააკ კომნენეს მეფობამდე, შედგენილი უფალ გიორგი კედრენეს მიერ სხვადასხვა წიგნების მიხედვით“ ჩანს, რომ მისი ისტორია მოიცავს პერიოდს სამყაროს შექმნიდან 1059 წლამდე. ჩვენთვის საინტერესო პერიოდისა და მოვლენების აღწერისას კედრენე თითქმის უცვლელად გადმოგვცემს სკილიცას ქრონიკას.

---

[35] al-Maqrīzī, Taqī al-Dīn Ahmad b. ʻAlī. *Itti'āẓ al-Ḥunafā' bi Akhbar al-A'imma al-Fāṭimīin al-Khulafā'*. al-juz' al-awwal, taḥqīq al-duktūr Muḥammad Ḥulmī Muḥammad Aḥmad (al-Qāhira, 1996).

[36] John Skylitzes, *A Synopsis of Byzantine History 811 – 1057*, Translated by John Wortley (Cambridge University Press, 2010).

[37] გიორგი კედრენე, „ქრონოგრაფია“, *გეორგიკა, ტ. V*, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა (თბილისი, 1963).

მიქაელ ფსელოსი[38] XI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი (1018 – 1077 წწ.). როგორც მისივე ნაშრომიდან, ასევე სხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ მისი კარიერული წინსვლა დაიწყო კონსტანტინე მონომახოსის ზეობის წლებში და სიკვდილამდე მაღალი თანმდებობები ეკავა. მისი ისტორია მოიცავს პერიოდს 976 წლიდან 1077 წლამდე.

ლეონ დიაკვანი[39] XI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი (დაახლოებით 950 – 994-ის შემდეგ). ის სასულიერო პირი იყო, რომელიც ახლდა ბასილ II-ს ბულგართა წინააღმდეგ ლაშქრობაში. მისი ისტორია მოიცავს პერიოდს 959 წლიდან 976 წლამდე.

კონსტანტინე პორფიროგენეტი[40] ბიზანტიის იმპერატორი 945 – 959 წწ. ჩვენთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს მისი ნაშრომი „იმპერიის მმართველობის შესახებ“. იმპერატორმა ნაშრომი თავის შვილს მიუძღვნა, სადაც აღწერა იმპერია, მისი მოსაზღვრე მიწები და ხალხები. ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს X საუკუნის ოფიციალური ბიზანტიის ხედვა იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების შესახებ.

სომხური წყაროები ძირითადად სომხური სამეფო-სამთავროების ისტორიას გადმოგვცემენ და ჩვენთვის საინტერესო მოვლენებს ნაკლებად ეხებიან. სომეხი ქრონისტების ნაშრომებში რეგიონში მიმდინარე მოვლენები თანამედროვეთა თვალით არის აღწერილი და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს:

არისტაკეს ლასტივერტეცი[41] XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსი იყო. დაიბადა ლასტივერტში, ერზრუმის მახლობლად. მისი ცხოვრების შესახებ არაფერია ცნობილი. არისტაკესის „სომხეთის ისტორია“ მოიცავს პერიოდს 1000 წლიდან 1072 წლამდე. მის ნაშრომში დაცულია ისეთი მონაცემები, რაც სხვა ქრონისტების ნაწარმოებებში არ მოიპოვება. განსაკუთებით საყურადღებოა ქართველთა და ბიზანტიელთა ურთიერთობა სომხურ სამეფო-სამთავროებთან.

მათე ურჰაეცი[42] ან მათე ედესელი, XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი. ის სასულიერო პირი იყო ქალაქ ედესაში, რომელიც გახდა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის თვითმხილველი. მათე ურჰაეცის ქრონიკა მოიცავს პერიოდს 952 წლიდან 1136 წლამდე. ის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ამ პერიოდის კილიკიის რეგიონისა და ჩრდილოეთ სირიის შესახებ.

---

[38] Михаил Пселл, *Хронография* (Москва, 1978).

[39] Лев Диакон, *История* (Москва, 1988).

[40] Константин Багрянородный, *Об управлении империей* (Москва, 1989).

[41] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, ქართული თარგმანი გამოკვლევებით, კომენტარებითა და საძიებლით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1974).

[42] Matthew of Edessa, *Armenia and the Crusades: Tenth to Twelfth Centurias, The Cronicle of Matthew of Edessa*, translated from the original Armenian with a commentary and introduction by Ara Edmond Dostourian (Lanham, 1993).

სპარსული წყაროებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია **ნასირ ხოსროუს**[43] ნაშრომი. ის ცნობილი სპარსი მოგზაური და ისმაილიტი დაი იყო, რომელმაც თავისი მოგზაურობა აღწერა ნაშრომში „საფარ ნამე“. ჩვენთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს ნასირ ხოსროუს მიერ აღწერილი ვიზიტი კაიროში 1047 წელს. სხვა მონაცემების პარალელურად ავტორი გვიამბობს, რომ ნილოსის არხის გახსნის ცერემონიას, სხვა სტუმრებთან ერთად, ესწრებოდნენ ქართველ მეფეთა შვილები. ეს ცნობა სხვა არც ერთ წყაროში არ არის დაცული და ამდენად ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

[43] Насир-и Хусрау, *Сафар-наме, книга путешествия* (Москва, 1933).

თავი I: საქართველოს სამეფოს და ფატიმიანთა სახალიფოს ჩამოყალიბება

§ 1. საქართველოს სამეფოს ჩამოყალიბება

1.1. ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის წინაპირობები.

სამხრეთ კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ოდითგანვე მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენდა და მუდამ დიდი იმპერიების ინტერესების სფეროში შედიოდა.

პირველი ათასწლეულის შუა ხანებში ბიზანტიისა და ირანის ინტერესები მჭიდროდ გადაიხლართა სამხრეთ კავკასიაში, რასაც ამ რეგიონში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა. 523 წელს, ირანის შაჰმა კავად I-მა ქართლში მეფობა გააუქმა. VII საუკუნის დამლევისათვის მეფობა ეგრისშიც გაუქმდა. სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური ვითარება VII საუკუნეში კიდევ უფრო გართულდა, რადგან კავკასიას არაბების სახით ახალი დამპყრობელი მოევლინა.

არაბთა სახალიფოს ჩამოყალიბებამ ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა. VII საუკუნის შუა ხანებში არაბთა პირველი მარბიელი ლაშქარი ქართლშიც გამოჩნდა. მეცნიერთა ნაწილი ამ ფაქტს 642-643 წლებში, ან 644-645 წწ-ში ვარაუდობს.[44] ზოგიერთი მონაცემით, არაბებმა ქართლი 654-655 წწ. დაიპყრეს და მუსლიმთა მთავარსარდალმა ჰაბიბ იბნ მასლამამ ქართლის ერისმთავარს ე. წ. „დაცვის სიგელი“ გადასცა.[45] ხალიფა აბდ ალ-მალიქის[46] დროს უკვე თითქმის მთელი საქართველო არაბების ხელში აღმოჩნდა.

VIII ს-ის დასაწყისში არაბები სამხრეთ კავკასიაში გაბატონებისათვის ხაზარებს დაუპირისპირდენენ, რასაც საქართველოში მათი გაუთავებელი და სისხლისმღვრელი ლაშქრობები მოჰყვა.[47] 735/117 წელს არაბთა ლაშქარს მურვან

---

[44] ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 73; ა. ბოგვერაძე, „ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI – VIII საუკუნეებში“, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. II*, რედ. შ. მესხია (თბილისი: საბჭოთა საქართველო 1973), 286.

[45] ამგვარი სიგელების გაცემა ხშირი იყო VII - VIII სს. არაბთა დაპყრობების პერიოდში. ეს იყო ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც არეგულირებდა ურთიერთობებს დაპყრობილ ხალხებსა და დამპყრობელ მუსლიმებს შორის. შეთანხმების შედეგად დაპყრობილები უბრძოლველად უნდა დამორჩილებოდნენ მუსლიმებს და ხარკი გადაეხადათ, ხოლო დამპყრობლები მათ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ და მხოლოდ ამ შემთხვევაში გაიცემოდა ზემოხსენებული სიგელი. „დაცვის სიგელის“ სამი ვარიანტია შემონახული: ბალაზურისთან, ტაბარისთან და იაკუთთან (გ. ჯაფარიძე, „დაცვის სიგელი“, *ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი* (თბილისი 1999); ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 76.

[46] ‘აბდ ალ-მალიქ ბ. მარვან 646-7/26 – 705/86 წწ. ომაიანთა დინასტიის მეხუთე ხალიფა. მმართველობის წლები 685/65 – 705/86 წწ.

[47] ბოგვერაძე, „ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები“, 288.

ყრუ[48] ჩაუდგა სათავეში. ამ დროს ქართლის მეფეა მირი, „ძე სტეფანოზ მთავრისა“. მურვანმა ააოხრა მთელი საქართველო და მათ შორის ქვემო ქართლი და თრიალეთი, რომელსაც ამ დროს პიტიახშები განაგებენ. ისინი, ქართლის სხვა დიდებულებთან ერთად „ყოველნი მთავარნი და პიტიახშნი, ნათესავნი ერისთავთა და წარჩინებულთანი შეიმეოტნეს კავკასიად“.[49]

ამ პერიოდიდან მოყოლებული კავკასია ბიზანტიისა და არაბთა სახალიფოს ინტერესთა დაპირისპირების არენად იქცა. ორივე იმპერია ამ რეგიონში თავისი ზეგავლენის გავრცელებას ცდილობდა. VIII ს-ის 30-იანი წლებში თბილისის საამიროს დაარსების[50] და არაბთა სრული გაბატონების შემდეგ, ბიზანტია ხელს უწყობდა აქ დამოუკიდებელი, მცირე სამეფო - სამთავროების ჩამოყალიბებას, რათა შემდგომ ისინი არაბებთან საბრძოლველად გამოეყენებინა.[51] სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც IX საუკუნის ბოლოს აბასიანთა სახალიფო რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულად დაიშალა. ხალიფები თავს ვერ ართმევდნენ ქვეყნის შიგნით უამრავი პრობლემის გადაჭრას და, რა თქმა უნდა, დაქუცმაცებულ სახალიფოს[52] აღარ ძალუძდა იმპერიის პერიფერიებზე ბიზანტიისთვის სათანადო წინააღმდეგობა გაეწია.[53] თავის მხრივ ბიზანტია ცდილობდა აღმოსავლეთ ანატოლიასა და სამხრეთ კავკასიაში თავისი პოზიციების დაბრუნებასა და სრულ გაბატონებას. ამიტომ, იმპერიისთვის სრულიად მიუღებელი იყო აქ ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობა. ბიზანტიამ ეტაპობრივად დაიწყო თავისი გეგმის განხორციელება. 895 წ. ბიზანტიელთა ლაშქარმა ალყა შემოარტყა ქ. ყარსს, რომელიც კავკასიაში არაბთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორპოსტი იყო. 901 - 902 წწ. ბერძნებმა ბასიანი დაიკავეს, ხოლო 927 წელს დალაშქრეს ქ. დვინი. 934 წ. ბიზანტიელებმა დაიბრუნეს მალათია და თეოდოსიოპოლი, 943 - 944 წწ. კი ნისიბინი და ედესა.[54]

---

[48] მარვან ბ. მუჰამმად ბ. მარვან ბ. ალ-ჰაქამ 692/73 ან 695-6/76 – 750/132 წწ. ომაიანთა დინასტიის უკანასკნელი ხალიფა. მმართველობის წლები 744/127 – 750/132 წწ. ქართულ წყაროებში მოიხსენიება როგორც მურვან ყრუ.

[49] ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, *ქართლის ცხოვრება ტ. I*, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი: სახელგამი 1955), 233 – 234; ბოგვერაძე, „ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები“, 289 – 290.

[50] ბოგვერაძე, „ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები“, 290 – 291.

[51] სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში*, 169.

[52] VIII საუკუნის მეორე ნახევარსა და IX ს-ში აბასიანებმა თანდათან დაკარგეს კონტროლი იმპერიის უდიდეს ნაწილზე. IX საუკუნიდან დაიწყო სახალიფოს რღვევა და 935 წლისთვის ის რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშალა. X ს-ის დამდეგს აბასიანები რეალურად მხოლოდ ერაყზე ახორციელებდნენ კონტროლს. ირანში ბუიდები გაბატონდნენ, მესოპოტამიაში - ჰამდანიანები, სირიასა და ეგვიპტეში - იშხიდიანები, აფრიკაში - ფატიმიანები, ესპანეთში - ომაიანები, ხორასანში - სამანიანები, სამხრეთ არაბეთსა და ბაჰრეინში - კარმატები, ტაბარისტანსა და გურგანში - დეილემიტები, ხოლო ბასრასა და ვასიტში - ალ-ბარიდი. ბაღდადის ხალიფას ხელისუფლება მხოლოდ ბაღდადსა და ბაბილონის ნაწილზეღა ვრცელდებოდა.

[53] გაბაშვილი, „საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან“, 144.

[54] სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში*, 170.

ქართველთა მიერ დამპყრობელთა წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის შედეგია ის, რომ ამ დროისათვის უკვე შექმნილია „ქართველთა სამეფო“, აფხაზთა სამეფო და კახეთის სამეფო. შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახადა.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა პირველ რიგში ტაო-კლარჯეთს უკავშირდება. ამიტომ მნიშვნელოვნად მიმაჩნია მცირე ექსკურსი ამ საკითხთან დაკავშირებით.

ტაო-კლარჯეთის ანუ „ქართველთა სამეფო“ IX ს-ის დასაწყისში ჩამოყალიბდა, რომლის დამაარსებელი აშოტ I ბაგრატიონი (809 – 826 წწ.) იყო. იგი VIII ს-ის დასასრულსა და IX ს-ის დასაწყისში ქართლში არაბების სამსახურში იმყოფებოდა. IX ს. დასაწყისში აშოტმა არაბთა მოძალებას ვერ გაუძლო, არტანუჯში გადავიდა და დაიწყო ახალი სამთავროს ჩამოყალიბება.[55] ტაოში დამკვიდრების შემდეგ აშოტი გაემართა „საბერძნეთით“ და შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრებულმა, ხელმწიფობის იურიდიული დადასტურება მიიღი „ნებითა ბერძენთა მეფისათა“,[56] რაც თავისთავად გულისხმობდა, რომ ბიზანტიის იმპერატორი ამ ტერიტორიას თავისი გავლენის სფეროდ და საყრდენად განიხილავდა. ამ შემთხვევაში ეს ორივე მხარის ინტერესებს შეესაბამებოდა. „ქართველთა სამეფოს“ ფარგლებში შედიოდა შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაო, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი.

აშოტ კურაპალატს ჰყავდა ძენი - ადარნასე, ბაგრატი და გუარამი.[57] აშოტის სიკვდილის შემდეგ „დაიპყრა ქართლი ბაგრატ და ზემო ქართლი, რომელ არს სამცხე, და ადარნასემ ძმამან მისმან კლარჯეთი, და გურამ მამფალმან, ძმამანვე მისმან ჯავახეთი, თრიალეთი, აბოცი და რომელნიმე სომხითისანი“.[58] ძმები მორჩილებდნენ ბაგრატ I-ს (826-876 წწ.), რომელმაც კურაპალატის ტიტულიც მიიღო. ბაგრატ კურაპალატი, აშოტ I-ის მსგავსად, მთელი ტაო-კლარჯეთის ხელისუფალი იყო. 842 წელს თრიალეთის რეხასთან (რეჴი) მოხდა ბრძოლა არაბ მთავარსარდალ მუჰამედსა და თბილისის ამირა ისჰაკს შორის.[59] ამ ბრძოლაში მუჰამედის მხარეზე გამოვიდა აშოტ დიდი კურაპალატის ძე ბაგრატ I, რისთვისაც

---

[55] მ. ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების შექმნა“, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. II*, რედ. შ. მესხია (თბილისი: საბჭოთა საქართველო 1973), 446.

[56] Ibid. 449.

[57] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 377.

[58] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 131, 695.

[59] IX საუკუნის 30-იან წლებში თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმაილმა შეწყვიტა სახალიფოს ცენტრში გადასახადების გაგზავნა. ურჩი ამირას წინააღმდეგ ხალიფა ალ-მუთასიმმა (833/218 – 842/227) სადამსჯელო რაზმი გაგზავნა. სადმსჯელო რაზმს ხალიფამ სათავეში ჩაუყენა მუჰამად იბნ ხალიდ ბუხარხოჯა.

შემდგომ სამართავად ქართლი მიიღო.[60] აღსანიშნავია, რომ სწორედ ბაგრატ I კურაპალატის დროს მოხდა ბუღა თურქის[61] ლაშქრობა საქართველოში.

ქართლის დაუფლებისათვის აშოტ დიდის შვილებს შორის დაწყებული ბრძოლა მათმა მემკვიდრეებმა გააგრძელეს. ჩანს, რომ ბაგრატ I-ის შვილი დავით I კურაპალატი (876-881 წწ.) ფლობდა ქართლს. ქართლის დაუფლებისათვის ბრძოლაში დავითი რთულ პოლიტიკურ თამაშს იწყებს. ჩემი აზრით, სწორედ მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა თრიალეთში ახალი საერისთავო, რომელსაც სათავეში არგვეთის ერისთავი ლიპარიტ I ბაღვაში ჩაუდგა. მან დაიკავა თრიალეთი, სადაც ქართლიდან ჯავახეთში მიმავალ ერთადერთ გზაზე კლდეკარის ციხე-სიმაგრე ააგო.[62]

დავითის მიერ თრიალეთის საერისთავოს შექმნა მიმართული იყო როგორც გუარამ მამფალის, ისე აფხაზთა მეფის წინააღმდეგ.[63]

ქართლისათვის წარმოებულ ბრძოლაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული აფხაზთა მეფეები. აფხაზთა მეფე გიორგი I-მა (861 – 868 წწ.) ჯერ კიდევ ბაგრატ I-ის დროს ქართლი დაიკავა. 868 წელს გიორგი I გარდაიცვალა და აფხაზეთის ტახტი, 881 წლამდე, შავლიანების საგვარეულომ დაიკავა. ბიზანტიელთა ხელშეწყობით, 881 წელს აფხაზეთის მეფის დემეტრე II-ს (825 – 861 წწ.) შვილი, ბაგრატი (881 – 893 წწ.) აფხაზთა მეფე გახდა.

თრიალეთში ბაღვაშების დამკვიდრების შემდეგ გუარამ მამფალის შვილი, ნასრა ამ ტერიტორიაზე კანონიერი უფლებების აღდგენას შეეცადა. რადგან, მანამდე „... გუარამს დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი, და არტაანი, და ჰბრძოდა სარკინოზთა: ზოგჯერ სძლის გუარამ და ზოგჯერ სარკინოზთა“.[64]

მიუხედავად იმისა, რომ თრიალეთი გუარამ მამფალს ეკუთვნოდა, ლიპარიტმა დაიკავა „ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“.[65] ივ. ჯავახიშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 876 წლის, ანუ ბაგრატ I გარდაცვალების შემდეგ,

---

[60] „მატიანე ქართლისა“, 255; ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 97.

[61] არაბულ წყაროებში ბუღა ალ-ქაბირი (უფროსი) თურქული წარმომავლობის მთავარსარდალი, რომელიც ხალიფა ალ-მუთავაქილმა (822 – 861 წწ). მეათე აბასიანი ხალიფა, მმართველობის წლები 847 - 861) თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმაილის წინააღმდეგ გაგზავნა. ბუღამ შეძლო თბილისის აღება და ურჩი ამირას სიკვდილით დასჯა ბრძანა. არაბული წყარობით ეს მოხდა 852/238 წელს, ხოლო ატენის სიონის წარწერის მიხედვით 853 წლის 5 აგვისტოს.

[62] ბაღვაშების სამკვიდრო მამული არგვეთი იყო, რომელიც, თრიალეთისაგან განსხვავებით მათ არასოდეს დაუკარგიათ, საქართველოს ვერცერთმა მეფემ (ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II) ვერ წაართვა მათ არგვეთი. მხოლოდ დავით აღმაშენებელმა, ისიც უკანასკნელი ბაღვაშის, რატი IV-ის სიკვდილის შემდეგ გააუქმა არგვეთის საერისთაო, რეზიდენცია - კაცხი კი გელათის მონასტერს გადასცა.

[63] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 101.

[64] „მატიანე ქართლისა“, 257.

[65] Ibid. 258; ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების შექმნა“, 464.

რადგანაც წყაროები დავითს (876-881 წწ) უკვე კურაპალატად იხსენიებენ, მან კი ეს ტიტული მხოლოდ მამის გარდაცვალების შემდგომ მიიღო.[66] დ. მუსხელიშვილი ფიქრობს, რომ დავით I კურაპალატი, რომელიც „იპატრონა“ ლიპარიტმა, ფლობდა ქართლს.[67] ის ფაქტი, რომ დავითმა ლიპარიტის ვასალობა მიიღო, თავისთავად ლახავდა გუარამ მამფალის უფლებებს თრიალეთში. გუარამ მამფალი 881 წელს ბერად აღიკვეცა. ამის გამო დავით კურაპალატს გადაემტერა ნასრა, ძე გუარამ მამფლისა.[68]

ამ დროს სომეხთა ერისთავმა, აშოტ ბაგრატუნმა, გადაწყვიტა თავისი სამფლობელოები გაეფართოვებინა და ქართლი დაეპყრო, სადაც იმჟამად აფხაზთა მეფე ბატონობდა. აშოტ ბაგრატუნი თუ ქართლს დაიპყრობდა, ის საფრთხეს შეუქმნიდა გუარამ მამფალის სამფლობელოებსაც, კერძოდ კი ტაშირსა და აბოცს. აქედან გამომდინარე, ნასრამ აფხაზთა მეფეს დაუჭირა მხარი. დავით კურაპალატმა და ლიპარიტმა ამ ვითარებაში თავიანთი მეტოქეების დასუსტების კარგი შესაძლებლობა დაინახეს და სომხებს მიემხრნენ: „ხოლო ნასრა, ძე გუარამისი, და გურგენ იყვნეს აფხაზთა კერძ, ხოლო დავით და ლიპარიტ უშუელეს სომეხთა.“[69]. თუ ვის დარჩა გამარჯვება ამ დაპირისპირებაში, ამის შესახებ ზუსტი ცნობები არ არსებობს, თუმცა, როგორც მართებულად აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, გამარჯვებულები მაინც სომხები გამოვიდნენ, რადგანაც აშოტმა „სომეხთა და ქართველთა ერისთავ-ერისთავის“ ტიტული მიიღო.[70] ამ მარცხის შემდეგ ნასრამ გადაწყვიტა ბიძაშვილზე შური ეძია. 881 წელს მან დავით კურაპალატი მოტყუებით მოკლა: „მას ჟამსა, ვითარცა მოიტყუა ნასრა ძემან გუარამისმან დავით ძე ბაგრატისი, მამის ძმისწული მისი, და მოკლა იგი“. თუმცა სუმბატ დავითის ძე აღნიშნავს, რომ გუარამ მამფალი „უბრალო იყო სისხლისაგან დავით კურაპალატისათა“.[71] დავითის მოკვლის შემდეგ, ნასრას წინააღმდეგ გაილაშქრეს მოკლულის მოკავშირეებმა: „ხოლო ნასრას შეუკრბეს მტერად სომეხნი, ლიპარიტ და ქართველნი, და აშოტ ძმა დავითისი, და მათ თანა სარკინოზნი“. მოკავშირეებმა დაამარცხეს ნასრა და კონსტანტინოპოლში გააქციეს: „და შეებნეს ნასრას და გააქციეს, და მიუხუნეს ციხენი და წარვიდა საბერძნეთს წინაშე ბერძენთა მეფისა“.[72] 882 წელს გარდაიცვალა ნასრის მამა, გუარამ მამფალი,

---

[66] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 101.

[67] დ. მუსხელიშვილი, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, ტომი II (თბილისი: მეცნერება 1980), 183.

[68] „მატიანე ქართლისა“, 258-259; ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 131; ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 101.

[69] „მატიანე ქართლისა“, 259; ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 101.

[70] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 102.

[71] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 378; ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 102.

[72] „მატიანე ქართლისა“, 260; სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 379; ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 102.

„ძე აშოტისი, და დამარხეს ოპიზას“.[73] და რადგანაც მას ნასრას გარდა მემკვიდრე არ ჰყავდა, მთელი მისი სამფლობელო დავითის შვილებს უნდა რგებოდა აბოცის გარდა, რადგანაც აბოცი გუარამმა თავის ცოლისძმას, სომეხთა მეფეს გადასცა.[74]

ბიზანტიაში ნასრამ შვიდი წელი დაჰყო. ამავე დროს იქ იმყოფებოდა აფხაზთა მეფის, დემეტრეს შვილი ბაგრატი. ბიზანტიის იმპერატორის ჯარის დახმარებით ის აფხაზეთში შეიჭრა, მოკლა ადარნასე იოანეს ძე და აფხაზეთის ტახტი დაიბრუნა. მან ცოლად შეირთო ადარნესეს ცოლი, რომელიც იყო გუარამ მამფალის ასული და ნასრის და. აფხაზეთში განმტკიცების შემდეგ ბაგრატმა ნასრი ბიზანტიიდან წაიყვანა და მისცა მას აფხაზთა ჯარი, რათა მას ტაო დაებრუნებინა. შემდგომ ნასრას ოსთა ჯარიც შეუერთდა. ამ ძალებით ნასრა სამცხეში შეიჭრა და მამამისის მიერ აგებული სამი ციხე დაიკავა. მის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოვიდა დავით კურაპალატის შვილი ადარნასე, რომელსაც ასევე მიემხრო გურგენი და „უშუელეს სომეხთა“. ნასრა ამჯერადაც დამარცხდა და 888 წელს ის ასპინძასთან მოკლეს. ვინაიდან ნასრას მემკვიდრე არ ჰყავდა, მისი სამფლობელოები გამარჯვებულებმა გაინაწილეს. გურგენ კურაპალატს ერგო მისი მამული ტაო. თუ რა მიწები შეხვდათ სომხებს, ამის შესახებ ჩვენ ცნობები არ გაგვაჩნია.[75]

IX საუკუნის მიწურულისათვის ქვემო ქართლში სიტუაცია შეიცვალა; აქამდე თბილისის ამირას მფლობელობაში არსებული ქვემო ქართლის ნაწილი და სამშვილდე სომეხთა მეფე სუმბატ ტეიზერაკელმა (890-914 წწ) დაიკავა.

ამ დროისათვის თბილისის საამიროს სამფლობელო ალგეთამდე ვრცელდებოდა და მისი სასაზღვრო ციხე-სიმაგრეები ბირთვისი, ორბეთი და ფარცხისი იყო.[76] ამავე დროს გრძელდება შიდა ქართლისათვის ბრძოლა. აფხაზეთის ტახტზე 868 წელს შავლიანთა დინასტიის დამკვიდრების შემდეგ, აფხაზთა მეფეები შიდა ქართლს დროებით კარგავენ და რეგიონს „იპყრობდის ქართლის აზნაურნი“.[77] 904 წელს ქართლი დალაშქრა კონსტანტი III აფხაზთა მეფემ (893 – 922 წწ.) და დაიპყრო უფლისციხე და ყოველი ქართლი. მეფე-მთავართა დაპირისპირებამ გამოწვია ის, რომ, როდესაც აბუ ალ-კასიმი[78] (ილაშქრა 907/295 – 914/302 წწ) სომხეთსა და საქართველოში შეიჭრა, ადარნასე ქართველთა მეფე უმალ არაბ მთავარსარდალს მიემხრო. ქართველთა მეფის გარდა

[73] „მატიანე ქართლისა“, 260.
[74] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 102.
[75] „მატიანე ქართლისა“, 261; ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 102-103.
[76] მუსხელიშვილი, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, 211.
[77] „მატიანე ქართლისა“, 262.
[78] იუსუფ ბ. აბი ას-საჯ ასევე ცნობილი, როგორც აბუ ალ-კასიმი. 901/288 წელს ის აბასიანმა ხალიფა, ალ-მუთადიდმა არმინია-აზერბაიჯანის გამგებლად დანიშნა.

აბუ ალ-კასიმის მხარეზე ვასპურაკანის მთავარი გაგიკი და სუმბატის ძმისწული აშოტიც გადავიდნენ.[79]

საქართველოში შემოჭრილმა აბუ ალ-კასიმმა მხოლოდ აფხაზთა სამფლობელოები მოაოხრა. აბუ ალ-კასიმის შემოსევის შემდეგ კახთა ბატონი, კვირიკე I ქორეპოსკოპოსი (893 – 918) და აფხაზთა მეფე კონსტანტი დროებით დაზავდნენ და ჰერეთში საერთო ლაშქრობაც კი მოაწყეს.[80] ასევე, კვირიკე I-ის მემკვიდრე, ფადლა II-მ (918 – 929 წწ.), მხარი დაუჭირა გიორგი აფხაზთა მეფეს, ქართლში აჯანყებული შვილის, კონსტანტინეს წინააღმდეგ. „ხოლო ამან ფადალა ქორიკოზმან უშუელა აფხაზთა მეფესა გიორგის, რაჟამს მოადგა უფლისციხეს ძესა თჳსსა და შემდგომად ამისა მოკუდა ფადალა ქორიკოზი“.[81]

ფადლას გარდაცვალების შემდეგ კახეთსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობა გაფუჭდა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით კახეთის უწინდელ მმართველებს, გარდაბნელ დონაურთა გვარს. ისინი აფხაზეთის მეფე გიორგი II-ს (922-957 წწ.) დაუკავშირდნენ და კახეთში ლაშქრობა სთხოვეს. აფხაზთა მეფემაც არ დააყოვნა და კახეთის დიდი ნაწილი დაიპყრო.[82]

შემდგომ, ქართლის აზნაურების დახმარებით კვირიკე II-მ (929 – 976 წწ.) დაკარგულ მიწები დაიბრუნა, თუმცა გიორგი აფხაზთა მეფემ მის წინააღმდეგ შვილი, ლეონი (აფხაზეთის მეფე 957 – 967 წწ.) გაგზავნა. ლეონმა კვლავ დაიპყრო კახეთის ნაწილი, თუმცა მამის გარდაცვალების შემდეგ ბაზალეთთან კვირიკეს შეხვდა და დროებით დაუზავდა. ზავის სიმტკიცისთვის ლეონმა კვირიკეს შვილს თავისი ასული შერთო ცოლად და აფხაზეთში დაბრუნდა. ლეონის ასული მალევე გარდაიცვალა და შიდა პრობლემების მოგვარების შემდეგ მეფე ლეონმა ისევ კახეთს შეუტია. ლეონმა დაიპყრო მუხრანი და ბაზალეთი, თუმცა ამ ლაშქრობაში ავად გახდა და მალევე გარდაიცვალა, ხოლო აფხაზეთის სამეფოში შიდა არეულობა დაიწყო.[83]

ამით ისარგებლეს ქართლის დიდებულებმა და ტაოს მეფე დავით III კურაპალატს შესთავაზეს ქართლში მისი შვილობილის, ბაგრატის გამეფება. დავითმა მიიღო ეს წინადადება და ქართლი დაიკავა.

1.2 დავით III კურაპალატის საგარეო და საშინაო პოლიტიკა

IX საუკუნის დასასრულიდან ტაოში მკვიდრდება „ქართველთა მეფობა“[84] და ერთ-ერთი უმაღლესი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული - კურაპალატობა,[85] რაც

[79] „მატიანე ქართლისა“, 264; ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 105.
[80] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 105.
[81] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 560.
[82] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 560; „მატიანე ქართლისა“, 268.
[83] „მატიანე ქართლისა“, 270.
[84] ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების შექმნა“, 452.

იმის მაუწყებელი იყო, რომ უზენაესი ხელისუფლების მქონე ბაგრატიონი ამავდროულად „კურაპალატიც“ იყო[86]. ტაო-კლარჯეთის ხელისუფალნი, როგორც ბიზანტიის ვასალები, ვალდებული იყვნენ მტრად ეცნოთ იმპერიის მტერი, გაეწიათ კეისრისათვის სამსახური და არ გადაელახათ თავისი სამფლობელოს საზღვარი.[87]

„ქართველთა საკურაპალატო“, რომელიც IX ს-ის დასასრულიდან „ქართველთა სამეფოდ“ იქცევა, მთელი თავისი არსებობის მანძილზე (IX-X სს) ბიზანტიის იმპერიის ვასალი იყო. ეს ვასალობა საზღვართა დაცვასა და სამხედრო კავშირში გამოიხატებოდა. „ქართველთა სამეფოს“ სათავეში იდგა ბაგრატიონთა სახლი. უზენაეს ხელისუფლებას ახორციელებდა აშოტ I-ის შუათანა შტო, ბაგრატ I-ის შთამომავალთა ერთ-ერთი წარმომადგენლის სახით, რომელიც ქართველთა მეფისა და კურაპალატის ტიტულს ატარებდა.[88]

966 წელს ტაოს მეფე გახდა დავით III ბაგრატიონი, რომელმაც 977 წელს კურაპალატის ტიტული მიიღო.[89] დავით III ადარნასე კურაპალატის ძეა და „ქართველთა მეფეების“ გვერდით შტოს მიეკუთვნება. „ქართველთა მეფის“ ტიტულს ბაგრატ II, დავით III-ის ბიძაშვილი ატარებს. თუმცა, დავითი ძლიერი მმართველი იყო და ბაგრატიონთა შორის უპირობო ლიდერის პოზიცია მოიპოვა. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს გაერთიანების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში. დავით III საკუთარი ტერიტორიების გაფართოებაზე ზრუნავდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბიზანტიაში მიმდინარე მოვლენებში. 976 წელს ბიზანტიის იმპერატორს ბასილ II-ეს[90] ბარდა სკლიაროსი[91] აუჯანყდა,[92] იმპერატორმა ეს აჯანყება დავითის დახმარებით

---

[85] კურაპალატი - (ბიზანტ. სასახლის დაცვა) IV - V სს. ბიზანტიის კარის მოხელე, სასახლის დაცვის უფროსი. ითვლებოდა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმაღლეს პირად (იმპერატორის შემდეგ) კეისარსა და ნოველისიმოსთან ერთად. კურაპალატობას თავდაპირველად ანიჭებდანენ იმპერატორის ოჯახის წევრებს, ხშირად - ტახტის მემკვიდრეებს. ამ დროს კურაპალატი ჯერ კიდევ რეალურ სამოხელეო მოვალეობას ასრულებდა. VIII ს-ში საპატიო ტიტული გახდა, რომელსაც უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლებს ანიჭებდნენ; IX ს-დან უცხოელი ხელისუფლებიც და ბიზანტიელებიც კურაპალატობას გარკვეული დამსახურებისათვის იღებდნენ. XI-XII სს-ში კურაპალატმა თანდათან დაკარგა მნიშვნელობა, XII-XIV სს-ში მეორეხარისხოვან ტიტულად იქცა, ხოლო XV ს-ში საერთოდ აღარ მოიხსენიებოდა. კურაპალატის ტიტული IX ს-დან ენიჭებოდათ იბერიის (თავდაპირველად ტაო-კლარჯეთის, შემდეგ გაერთიანებული საქართველოს) მეფე-მთავრებს.

[86] Ibid. 458.

[87] Ibid. 465.

[88] Ibid. 462.

[89] Ibid. 475.

[90] ბასილ II 958 – 1025 წწ. ბიზანტიის იმპერატორი 976 – 1025 წლებში.

[91] ცნობილია, რომ ბარდა სკლიაროსი იყო ბიზანტიელი მხედართმთავარი, რომელმაც ბულგარეთში გამოიჩინა თავი (ვ. კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა*, 28). სკლიაროსის აჯანყებას საიმპერატორო ხელისუფლებით უკმაყოფილონიც შეუერთდნენ (Лев Диакон, *История*, 86), მათ შორის მოსულის ემირი (W. Treadgold, *A History of the Byzantine State and Society*, (Stanford University Press 1997), 508). ამბოხებულებმა ნახევარი მცირე აზია

ჩაახშო. ამ აჯანყების ჩახშობაში მნიშვნელოვანი როლი ცნობილმა ქართველმა მხედართმთავრებმა, თორნიკე ერისთავმა და ჯოჯიკმა შეასრულეს.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ბასილი II-მ დავითს სიცოცხლის ბოლომდე სამართავად გადასცა ე.წ. „ზემონი ქვეყანანი“.[93] ქართულ წყაროებში არ არის დაზუსტებული, კერძოდ თუ რა ტერიტორიას წარმოადგენდა ეს „ზემონი ქვეყანანი“. სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონელი (ასოღიკი) მოგვითხრობს რომ: „რომელსაც აღუთქვა, რომ მისცემდა ხალტო-იარიჭის, კელესურს, ჩორმაირს, კარინს, ბასიანს, პატარა ციხეს სევუკს მარდაღში, ჰასქსა და აპაჰუნიქს რომლებიც გადასცა კიდეც შემდგომში“ (იმიერ ტაო).[94] ეს ტერიტორიები მანამდე მუსლიმთა ხელში იყო და ისინი აუცილებლად შეეცდებოდნენ მათ დაბრუნებას. დავითისთვის ამ მიწების გადაცემით ბიზანტია ერთის მხრივ პასუხისმგებლობას იხსნიდა მათ დაცვაზე და მეორეს მხრივ კი აიძულებდა დავით კურაპალატს ბიზანტიის ერთგული მოკავშირე ყოფილიყო, რადგან ის მარტო ვერ დაიცავდა ახალშეძენილ ტერიტორიებს მუსლიმთა აგრესიისგან.[95]

როგორც ზემოთ აღინიშნა, დავით III აქრიურად ერეოდა ქართული სამეფოების პოლიტიკაში. მის მიერ პოლიტიკურ ასპარეზზე ბაგრატ III-ის გამოყვანით სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. შემდგომი მოვლენები იოანე მარუშის ძის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით წარიმართა. ეს გეგმა საქართველოს გაერთიანებას და ტახტზე ბაგრატ III-ის აყვანას წარმოადგენდა. ამისთვის ბაგრატს ყველა წინაპირობა ჰქონდა. ის იყო ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი და ამავე დროს აფხაზთა მეფე გიორგის ასულის, გურანდუხტის შვილი, ანუ უსინათლო თეოდოსის დის შვილი. გარდა ამისა 974-975 წლებში ბაგრატი ტაოს გამგებელმა, დავით კურაპალატმაც თავის მემკვიდრედ გამოაცხადა „რამეთუ არა ესუა შვილი დავით კურაპალატსა, და ბაგრატ, ძე გურგენისი, გაეზარდა შვილად თჳსად“.

975 წელს დავით კურაპალატმა იოანე მარუშის-ძისგან მიიღო უფლისციხე და უბოძა ის ბაგრატს და მის მამას გურგენს.[96] ქართლიდან წასვლის წინ დავითმა

დაიკავეს და კონსტანტინოპოლს დაემუქრნენ. მიუხედავად ამისა, 979 წელს ისინი, ქართველთა ჯარისა და იოანე-თორნიკეს დახმარებით, სასტიკად დაამარცხა სკლიაროსზე არანაკლებ სახელოვანმა მხედართმთავარმა, ბარდა ფოკამ. იოანე სკილიცა მოგვითხრობს, რომ ბარდა ფოკამ დავითს დახმარება სთხოვა, რადგან მათ დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ (John Skylitzes, *A Synopsis,* 309). დამარცხებული სკლიაროსი ბაღდადში გაიქცა J. Shepard, “Equilibrium to Expansion”, *The Cambridge History of the Byzantine Empire c. 500 – 1492,* Edited by Jonathan Shepard (Cambridge University Press 2008), 524).

[92] ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების შექმნა“, 477.

[93] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია,* 128; სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში,* 173 – 174.

[94] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია,* 128.

[95] სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში,* 173 - 174.

[96] „მატიანე ქართლისა“, 272.

შეკრიბა ქართლის მთავრები და ბაგრატი თავის მემკვიდრედ და ქართლის მეფედ გამოაცხადა.

შემოკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: ესე არს მკჳდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი. და დაყვნა დღენი მცირედნი და წარვიდა ტაოს.[97]

ვინაიდან ბაგრატი ჯერ სრულწლოვანი არ იყო დავითმა მას მეურვედ მამა - გურგენი დაუნიშნა. მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართლი და შემდგომ აფხაზეთი ბაგრატმა მიიღო, როგორც დედის, გურანდუხტის მემკვიდრეობა.[98]

საკუთარი ძალაუფლების დაკარგვით შეშინებული ქართლისა და კახეთის მთავრები შემოესივნენ უფლისციხეს, სადაც ამ დროს იმყოფებოდნენ მცირეწლოვანი ბაგრატი, მისი მამა გურგენი და დედოფალი გურანდუხტი.[99] ქართლ-კახეთის დიდებულთა ლაშქარმა მოახერხა უფლისციხის აღება, მათ დაატყვევეს სამეფო ოჯახი და კახეთში გაგზავნეს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ამ დაპირისპირებაში მონაწილებდა კახეთის მეფე კვირიკე II, რომელმაც „გამოიყვანა უფლისციხიდამ მეფე ბაგრატ და დედა მისი გურანდუხტ“. შეიტყო თუ არა დავით კურაპალატმა გურგენისა და მისი ოჯახის შეპყრობის ამბავი, უმალ თრიალეთში გადავიდა და კახეთის საზღვარს მიუახლოვდა. იმჟამად დავით კურაპალატი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც მთელ საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. დავით კურაპალატთან ღია ბრძოლა კახელებმა ვერ გაბედეს და იძულებულები შეიქმნენ უბრძოლველად გამოეშვათ სამეფო ოჯახი. „ესევე კვირიკე დაეზავა დავით კურაპალატს“.[100]

წყაროებში არანაირი ცნობები არ არის იმის შესახებ, თუ რა პოზიცია უკავიათ ბაღვაშებს დავითის ამ წამოწყების მიმართ, მაგრამ სავარაუდოა, რომ მათ ეს დიდად არ უნდა მოსწონებოდათ, თუმცა ღიად თავის უკმაყოფილებას მაინც ვერ

---

[97] Ibid, 272, 274.

[98] Ibid, 272.

[99] გურანდუხტი გიორგი აფხაზთა მეფის შვილია. აფხაზთა მეფე გიორგი II-ის (922 957 წწ.) გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი შვილები ადიან. აფხაზთა მეფე ჯერ ლეონ III (957 – 967 წწ.) ხდება, რომელიც ფლობს ქართლს. ის კახეთის დასამორჩილებლად წასული დასნეულდა და გარდაიცვალა. შემდეგ ტახტს მისი ძმა დემეტრე III (967 – 975 წწ.) იკავებს. ამ დროს ძმას აუმხედრდა საბერძნეთში გახიზნული თეოდოსი, რომელმაც საბრძოლო მოქმედებები სამცხიდან დაიწყო. დემეტრემ დაამარცხა აჯანყებულები, მაგრამ თეოდოსი ძამელ მთავართან გადავიდა და ძამის ციხეს შეეფარა. აჯანყებულებმა აქაც მარცხი განიცადეს და თეოდოსი დავით III კურაპალატს შეეხიზნა. ერთი წლის შემდეგ თეოდოსი კახეთში გადავიდა. კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკემ, ქართლის კათალიკოსისა და დიდებულთა თავდებით, თეოდოსი აფხაზთა მეფე დემეტრეს გადასცა. თუმცა, დემეტრემ დაარღვია მიცემული პირობა და თეოდოსის თვალები დასთხარა. 975 წელს დემეტრე III გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა დემეტრეს ძმა თეოდოსი III (975 – 978 წწ.)

[100] „მატიანე ქართლისა“, 274; ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 560; ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 124.

გამოხატავდნენ. ბაღვაშებმა ხომ ბაგრატიონთა სწორედ ის ფრთა „იპატრონეს“, რომელსაც დავით კურაპალატი ეკუთვნოდა.

978-979 წწ დავით კურაპალატის შემწეობით ბაგრატმა უკვე აფხაზეთის ტახტიც დაიკავა. აფხაზეთში გამეფებულმა ბაგრატ III-მ თავისი ბიძა, უსინათლო თეოდოსი დავით კურაპალატთან გაგზავნა და ერთპიროვნულად შეუდგა აფხაზეთის მართვას.[101] 980 წელს ბაგრატს კვლავ აუჯანყდნენ ქართლის მთავრები ქავთარ ტბელის მეთაურობით. ბაგრატმა უმალ შეკრიბა ჯარი და ქართლში გაემგზავრა, სადაც ამბოხებულები სასტიკად დაამარცხა. „მატიანე ქართლისა“ გადმოგვცემს:

იწინამძღურეს ქავთარ ტბელი, მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისასა. იხილა რა ბაგრატ აფხაზთა მეფემან, აღუზახნა სპათა თჳსთა, მივიდეს და შეებნეს. იოტნეს ქართველნი: რომელნიმე დაჴოცეს, რომელნიმე დაიპყრეს და სხუანი კუალად მეოტნი გარდაიხუეწნეს და დაიფანჩნეს. მოვიდა უფლისციხეს, აღიღო ციხე დედისაგან თჳსისა, დაყვნა დღენი და განაგნა მცირედ საქმენი ქართლისანი; წარიყვანა დედა თჳსი და წარვიდა ქუეყანად აფხაზეთისა. და ვითარცა ჴელოვანმან მენავეთ-მოძღუარმან განაგო ყოველი საქმე აფხაზეთისა: რამეთუ მცირედ ამხილის ყოველთა, ვინ უკუე პოვის ურჩი, და მისსა ადგილსა განადიდის ერთგული და მისანდობელი თჳსი .[102]

ბაგრატ III-ის მიერ 980 წელს ქავთარ ტბელის მეთაურობით მოწყობილი აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, რამდენიმე წელიწადში მეფესა და კლდეკარის ერისთავ რატი I-ს შორის დიდი დაპირისპირება იწყება. მემატიანეს ცნობით:

და ამას შინა გარდაჴდეს წელიწადნი რაოდენნიმე. იყო მას ჟამსა ერისთავად კლდე-კართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლის-ჴევი და სკჳრეთი. არა მორჩილობდა კეთილად ბაგრატ მეფესა.[103]

988 წელს ბაგრატმა ილაშქრა რატის წინააღმდეგ „... მოსრულ იყო ბაგრატ თრიალეთს; დადგა კარუშეთს. ... შეკრიბა უცნაურად სპა თჳსი ყოველი ბაგრატ მეფემან და გამოვიდა ქართლს: ენება შეპყრობა რატი ერისთავისა“. ბაგრატის დასახმარებლად გაემზადა მისი მამა გურგენი. მეფის მოქმედებით შეშინებულმა მისმა მოწინააღმდეგეებმა შთააგონეს დავით კურაპალატს თითქოს ბაგრატი თავისი გამზრდელის მოკვლას ლამობდა. დავითმა ბაგრატის საწინააღმდეგოდ სასწრაფოდ ლაშქარი შეკრიბა და „მოვიდეს და დადგეს დლივს სპითა დიდითა“. მას შეუერთდა გურგენის მამა და ბაგრატის პაპა - ბაგრატ II რეგუენი, რომელსაც „ეშინოდა ძისა თჳსისა გურგენისგან წაღებასა მეფობისასა“. გარდა ამისა, დავითმა „უჴმო ყოველთა მეფეთა სომხითისათა“. სომეხი ისტორიკოსის, ასოღიკის ცნობით

[101] „მატიანე ქართლისა“, 275; ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 125 – 126.
[102] „მატიანე ქართლისა“, 276.
[103] Ibid, 276.

დავით კურაპალატის დასახმარებლად მისულა სუმბატ სომეხთა მეფე, მისი ძმა გაგიკი და კარის მეფე აბასი. ბრძოლა გურგენსა და დავით კურაპალატის ლაშქართა შორის მოხდა შავშეთთან. ამ ბრძოლაში გურგენი დამარცხდა და წეფთის ციხეში შეიხიზნა.[104]

ამ დროს ბაგრატ III თრიალეთში, სოფელ კარუშეთთან იყო დაბანაკებული. მან მზვერავები გაგზავნა, რათა დავითის ძალები შეეფასებინა. დაბრუნებულმა მზვერავებმა მეფეს აცნობეს, რომ დავითს საკმაოდ დიდი ძალა ჰყავდა. როდესაც ბაგრატი დარწმუნდა, რომ დავით კურაპალატის ჯართან ძალით ვერაფერს გახდებოდა, ის პირადად ეახლა თავის გამზრდელს. ბაგრატმა დავითს უთხრა, რომ მის წინააღმდეგ არაფერი ჰქონდა განზრახული და თრიალეთში მხოლოდ რატი ერისთავის დასამორჩილებლად იყო მისული: „სხვისა არა რომლისათვის მოვედ, გარნა არა მორჩილებისათვის რატისა“. დავითმა მას შეუნდო და რატის წინააღმდეგ მოქმედების უფლებაც მისცა. „მითხრეს რომელ სიკუდილად ჩემდა გამოსულ იყავ, გარნა აწ ვსცან დასტური, რომელ უბრალო ხარ. არამედ მითავისუფლებიხარ რატის ზედა: დაიმორჩილე ვითაცა სახედ გწადიან“. დავითის სიტყვით გახარებული ბაგრატი აფხაზეთში დაბრუნდა რათა რატის ყურადღება მოედუნებინა და მოულოდნელად დასხმოდა თავს:

> ვითარ მოიწია ჟამი ზამთრისა, მოვიდა ძალითა თჳსითა ყოვლითა და მოადგა კლდე-კართა. იხილა რა ესე რატი, გამოვიდა გარე და გამოიტანა შვილი მისი ლიპარიტ თანა, შევედრა ბაგრატ აფხაზთა მეფესა, და მისცა ციხე თჳსი ბაგრატს და თჳთ დაჯდა მამულსა თჳსსა არგუეთს.[105]

მემატიანეს ცნობით ეს ამბავი 989 წელს მომხდარა.

1.3 ბაგრატ III და საქართველოს გაერთიანება

საქართველოს გაერთიანებაში დიდი როლი მიუძღვის ტაოს მეფეს დავით III დიდს. დავითს შვილი არ ყავდა. ამიტომ, ქართველთა მეფის ბაგრატ II-ის ძის, გურგენის შვილი ბაგრატი იშვილა და ის გამოაცხადა თავის მემკვიდრედ. დავითი ითვალისწინებდა იმასაც, რომ ბაგრატი იურიდიულად „ქართველთა სამეფოს“ ანუ მთელი ტაო-კლარჯეთის სამთავროს მემკვიდრე იყო მამის მხრივ, ხოლო ეგრის-აფხაზეთი და ქართლი მის დედულეთს წარმოადგენდა.[106]

დავით III-მ ყველაფერი იღონა, რათა ბაგრატი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე გამხდარიყო. ბაგრატი 976 წელს ქართლის მეფედ დაადგინეს, 978 წელს კი ქუთაისის ტახტზე აიყვანეს და ის აფხაზთა მეფე გახდა.

---

[104] „მატიანე ქართლისა“, 276 – 278; ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 127.
[105] „მატიანე ქართლისა“, 277 – 278.
[106] ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების შექმნა“, 488.

ვითარება გართულდა 987-989 წლებში, როდესაც ბიზანტიის იმპერატორს ბარდა ფოკა[107] აუჯანყდა. დავით III-მ აჯანყებულებს დაუჭირა მხარი და მათ დასახმარებლად ლაშქარიც გააგზავნა, მაგრამ 989 წელს ბასილმა აბიდოსთან ფოკა დაამარცხა და ქართველთა ლაშქარი იძულებულ იქნა უკან დაბრუნებულიყო.[108] აჯანყების ჩახშობის შემდეგ იმპერატორს საშუალება მიეცა შური ეძია ფოკას მოკავშირეებზე და შეუდგა აჯანყებაში მონაწილეთა და მათ მომხრეთა დასჯას.[109] მას შემდეგ რაც აჯანყების მოთავეები საკადრისად დასაჯა, ჯერი ტაოს გამგებელზე, დავით III კურაპალატზე მიდგა. ბასილი მის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემზადა, მაგრამ დავითმა თავი დამნაშავედ აღიარა, იმპერატორს პატიება სთხოვა და რადგანაც მემკვიდრე არ ჰყავდა, დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით, ბიზანტიის იმპერატორს მთელი თავისი სამფლობელოები უანდერძა.[110] ბასილ II - სა და დავით III - ს შორის მიღწეულმა ამ შეთანხმებამ ბიზანტია - საქართველოს შემდგომი ურთიერთობა თითქმის ნახევარი საუკუნით განსაზღვრა. ბასილი II-სა და გიორგი I-ს შორის ბრძოლა სწორედ „დავით კურაპალატის მემკვიდრეობის გამო“ ხდება.[111]

994 წელს გარდაიცვალა ბაგრატ II რეგვენი და ქართველთა მეფე გახდა გურგენი (994-1008 წწ). დინასტიური ინტერესებიდან გამომდინარე, ქართული მიწების შემომტკიცების და პერსპექტივაში ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის მიზნით გურგენის ტიტულატურაში „მეფეთა მეფის“ ტიტული გაჩნდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მისი შვილი ბაგრატი ამ დროისათვის უკვე აფხაზთა მეფე იყო. გურგენის მიერ მეფეთ-მეფის ტიტულის მიღებას ქართლის ცხოვრება ასე ხსნის:

> და გარდაიცვალა ბაგრატ რეგუენი ქართველთა მეფე, ძე კურთხეულისა სუმბატ კურაპალატისა, ქრონიკონსა სიდ. და დაუტევა ძე თჳსი უხუცესი გურგენ, რომელსა უწოდეს მეფეთა-მეფე. და ამას გურგენს ესუა ბაგრატ დედით აფზახთა მეფისა დისწული, დემეტრესი და თევდოსესი. ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს, და ამისთჳს გურგენს მეფეთ-მეფობა ეწოდა.[112]

---

[107] ბარდა ფოკა – ბარდა ფოკა იყო ნიკიფორე ფოკას (ბიზანტიის იმპერატორი 963 – 969 წწ.) ძმისშვილი. იგი მონაწილეობდა 971 წელს იოანე ციმისხიოსის (ბიზანტიის იმპერატორი 969 – 976 წწ.) წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში, რისთვისაც იოანემ გადაასახლა (Treadgold, *A History of the Byzantine State and Society*, 508). აღსანიშნავია, რომ ეს აჯანყება იმპერატორმა ბარდა სკლიაროსის დახმარებით ჩაახშო (Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 141; В.Р. Розен, *Император Василий Болгаробойца*,, 25).

[108] სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში*, 173 – 174.

[109] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 214; სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში*, 180.

[110] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 214; სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში*, 182.

[111] ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების შექმნა“, 481.

[112] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 382.

1001 წელს გარდაიცვალა დავით III კურაპალატი.[113] ბასილი ტაოსკენ გაემართა, რათა დაეკავებინა მისთვის ნაანდერძევი დავითის სამფლობელოები. ტაოში მოსულ იმპერატორს გურგენი და მისი ძე ბაგრატ III შეხვდნენ. ბასილს ამ მომენტისთვის მათთან ურთიერთობის გამწვავება არ აწყობდა, რადგანაც იმ დროს მისი ძირითადი საზრუნავი ბულგარეთთან ომი იყო. მან მამა-შვილი უხვად დაასაჩუქრა - ბაგრატს კურაპალატის ტიტული მისცა, ხოლო გურგენს მაგისტროსის.[114] ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლის ბოლომდე სამართავად მისცა მათ დავით III - ის სამფლობელოების ნაწილი. სუმბატ დავითის ძის ცნობით, ბასილი II-ს ამ გადაწყვეტილების მიზანი იყო მამა-შვილის გადამტერება. ამას ემსახურებოდა ის, რომ ბაგრატს მამამისზე მაღალი წოდება მისცა, მაგრამ მამასა და შვილს შორის განხეთქილების ჩამოგდება ვერ შეძლო.[115] თუმცა, ამ ფაქტს უკვალოდ არ ჩაუვლია. იმპერატორზე განაწყენებული გურგენი შეიჭრა იმიერ ტაოში და ქ. ოლთისს ალყა შემოარტყა.[116] ბულგარეთიდან კონსტანტინოპოლში დაბრუნებულმა ბასილი კეისარმა შეიტყო თუ არა ამის შესახებ, მაშინვე გაგზავნა ლაშქარი ნიკიფორე ურანოსის სარდლობით, რათა გურგენი დაესაჯა. ბერძენთა ლაშქარმა ვერ გაბედა ქართველებთან შებმა. მოწინააღმდეგეები დიდ ხანს იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, ზამთრის მოახლოებით შეწუხებულმა ნიკიფორემ გურგენთან მოლაპარაკება დაიწყო. გურგენი მიხვდა, რომ ამჯერად ვერ გაიმარჯვებდა. ის დათმობაზე წავიდა და ბიზანტიასთან დაზავდა. იმიერ ტაოს, ბასიანისა და სხვა ადგილების მთლიანად შემოერთება იმხანად ვერ მოხერხდა.[117]

1008 წელს გარდაიცვალა გურგენი და მთელი მისი სამფლობელოები ბაგრატ III-ს დარჩა.[118] ამ დროს ბულგარეთში გართულებული მდგომარეობის გამო ბიზანტიას კავკასიისთვის არ ეცალა. ბაგრატმა ამით კარგად ისარგებლა და მთელი საქართველო გააერთიანა. მან ასევე დაამარცხა განძის ამირა ფადლონი[119] და აიძულა ის საქართველოსთვის ხარკი ეხადა.

მემატიანეს თქმით:

ხოლო ამან ბაგრატ მეფემან კურაპალატმან დაიპყრა ყოველი კავკასია თჳთმპყრობლობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე, და ადარბადაგანი და შირვანი მოხარკე ყო სომხითისა

[113] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 128.
[114] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 382; ლორთქიფანიძე, „საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება“, 158 – 159.
[115] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 382.
[116] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 130.
[117] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 131.
[118] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 382.
[119] ალ-ფადლ იბნ მუჰამად. განძის შადადიანი მმართველი 985 – 1031 წწ.

ჴელმწიფებითა. მეფე სპარსთა მეგობარ და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა, უფროს სახლეულთა თჳსთასა, და ბერძენთა მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე.[120]

ამდენად, 1008 წელს ბაგრატ III (975-1014 წწ.) ერთიანი საქართველოს პირველი მეფე გახდა.

[120] „მატიანე ქართლისა“, 281.

§ 2. ისმაილიტური მოძრაობა და ფატიმიანთა სახალიფოს ჩამოყალიბება

2.1 შიიზმის წარმოშობა.

ისლამის მოციქულის მუჰამადის გარდაცვალებისთანავე (632/11 წ.) მის მიმდევართა შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ მუჰამადს, არც პირდაპირ და არც ირიბად, არ დაუსახელებია თავისი მემკვიდრე. ამდენად, მუსლიმები ძალზე რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ: ვინ უნდა გამხდარიყო მუსლიმური სახელმწიფოსა და ისლამური თემის ლიდერი? საქმეს კიდევ უფრო ართულებდა ის გარემოება, რომ VII/I საუკუნის არაბებს სახელმწიფოს მოწყობისა, თუ პოლიტიკური ორგანიზაციის გამოცდილება თითქმის არ გააჩნდათ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, მუჰამადის ერთ-ერთი პირველი მიმდევარი და თანამებრძოლი, აბუ ბაქრი,[121] არჩეულ იქნა მოციქულის ნაცვლად დედამიწაზე, ანუ ხალიფად.[122] ამ არჩევანზე იმოქმედა იმ ფაქტმა, რომ მუჰამადმა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში აბუ ბაქრი იმამად, ანუ ლოცვის წარმმართველად დანიშნა.[123] ამდენად, ჩამოყალიბდა ხალიფას კარგად ცნობილი ინსტიტუტი, რომელმაც თითქმის 1300 წელი[124] უწყვეტად იარსება და ისლამის ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულა. ხალიფად არჩევისთანავე მუსლიმთა გარკვეული ჯგუფი აბუ ბაქრს ოპოზიციაში ჩაუდგა. ისინი აცხადებდნენ, რომ ერთადერთი, ვინც ჭეშმარიტად იმსახურებდა ხალიფას ტიტულს, იყო მუჰამადის ბიძაშვილი და სიძე ალი იბნ აბუ ტალიბი. ამ ჯგუფს ეწოდა „ში'ათ 'ალი", ანუ ალის პარტია, ხოლო მოგვიანებით უბრალოდ „აშ-ში'ა". სწორედ ამან ჩაუყარა საფუძველი ყველაზე დიდ და ხანგრძლივ დაპირისპირებას ისლამში. თავდაპირველად ალის მიმდევრები, ანუ შიიტები სუფთა პოლიტიკურ ოპოზიციას წარმოადგენდნენ. მათ არ ჰქონიათ რამდენადმე ნათლად ჩამოყალიბებული რელიგიური დოქტრინა ან მოთხოვნები. ისინი, თავიანთ კანდიდატს უჭერდნენ მხარს და მისი ხალიფად არჩევა სურდათ.[125] თუმცა, მალე მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორც მათ სწავლებაში, ასევე მიმდევართა შემადგენლობაში. მრავალ მუსლიმს მოეჩვენა, რომ ისლამურმა სახელმწიფომ

---

[121] აბუ ბაქრ სამართლიანი (573 – 634/13 წწ.), მუჰამადის უახლოესი მიმდევარი და მისი სიმამრი. პირველი მართლმორწმუნე ხალიფა 632/11 – 634/13 წწ.

[122] F. M. Donner "Muhammad and the Caliphate, Political History of the Islamic Empire up to the Mongol Conquest". *The Oxford History of Islam*. Edited by John L. Esposito (Oxford University press: New York 1999), 11.

[123] Montgomery Watt W. „Abu Bakr", *The Encyclopedia of Islam*. New Edition Vol. I. Prepared by a Number of Leading Orientalists. Edited by an editional committee consistong of H. A. R. Gibb, J. H. Kramers, E. Lévi-Provençal, J. Schacht. Assissted by S. M. Stern as secretary General (pp. 1-320). B. Lewis, Ch. Pellat and J. Schacht. Assisted by Dumont and R. M. Savory as editorial secretaries (pp. 321-1359) (Leiden: Brill 1986), 110.

[124] ხალიფას ინსტიტუტი გააუქმა ქემალ ათათურქმა 1924 წელს.

[125] ნ.გელოვანი, სანიკიძე გ., *ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია)* (თბილისი 2009), 227.

მოციქულის მიერ ნაანდერძევ სწორ გზას გადაუხვია და არასწორი მიმართულებით დაიწყო განვითარება. იდეალური და თანასწორი საზოგადოების ნაცვლად, სადაც სიმშვიდესა და სამართლიანობას უნდა ებატონა, სახალიფოს სათავეში ჩაუდგა ხარბი და ამორალური არისტოკრატია, რის შედეგადაც ისლამურ თემში უკანონობამ და არათანასწორუფლებიანობამ დაისადგურა. ამდენად, მრავალმა მუსლიმმა გამოსავალი ალისა და მის მიმდევართა მხარდაჭერაში დაინახა. მათი აზრით მოციქულის შთამომავალთა ხელში ხელისუფლების გადასვლას სამართლიანობისა და თანასწორობის აღდგენა მოჰყვებოდა.[126]

აღსანიშნავია, რომ იდეალური ისლამური სახელმწიფო დაფუძნებულია ისეთ სისტემაზე, სადაც საღვთო კანონი ბატონობს. მისი ლეგიტიმურობა ღვთისგანაა ბოძებული, ხოლო ხელისუფალი, ანუ ხალიფა ვალდებულია უზრუნველყოს ისლამის შეურყევლობა და ყველა მუსლიმს საშუალება მისცეს წმინდა მუსლიმური ცხოვრებით იცხოვროს. ისლამურ სახელმწიფოში არ არსებობს განსხვავება საერო და სასულიერო ხელისუფლებებს შორის, ხოლო საზოგადოების იდენტურობა და ერთობა, ვალდებულებები და უფლებები, ისევე როგორც მორჩილება სახელმწიფოს მიმართ, რელიგიის საშუალებით რეგულირდება. ასეთ ვითარებაში პოლიტიკური უკმაყოფილება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის სოციალური მიზეზებით არის გამოწვეული, აუცილებლად რელიგიურ სახეს იღებს. ამდენად, მუსლიმთა ჯგუფი, რომელიც არსებულ ხელისუფლებას ოპოზიციაში უდგება და მის შეცვლას ცდილობს, თავის უკმაყოფილებას და მიზნებს რელიგიური გამოწვევით ნიღბავს და ქმნის ერთგვარ სექტას ან რელიგიურ ორგანიზაციას.[127]

ამგვარმა ტენდენციებმა განსაკუთრებით მყარად მოიკიდა ფეხი არაბთა მიერ ახლადდაპყრობილ ტერიტორიებზე, სადაც მკვიდრ მოსახლეობას ძალით მიაღებინეს ისლამი. ყოფილ ქრისტიანებს, იუდეველებსა და ზოროასტრიელებს უკმაყოფილების გრძნობას კიდევ უფრო უმძაფრებდა ომაიანთა[128] დამოკიდებულება მავალების[129] მიმართ. ხელისუფლებაში მყოფ არაბულ ელიტას ახლად გამუსლიმებული მოსახლეობა მეორეხარისხოვან მოქალაქეებად მიაჩნდა და შესაბამისად მავალებმა შველა შიიზმში დაინახეს, რადგანაც შიიტები

[126] მიუხედავად იმისა, რომ 656/35 წელს მესამე მართლმორწმუნე ხალიფას, ოსმანის მკვლელობის შემდეგ ხალიფად ალი იქნა არჩეული, მისი მმართველობის ხანა ხანმოკლე და ძალზე არასტაბილური აღმოჩნდა. 661/40 წელს თვითონ ალი იქცა ისლამის რადიკალური ფრთის, ხარიჯიზმის წარმომადგენლების მსხვერპლი და ხალიფას ტიტული მუავია იბნ აბუ სუფიანს ერგო, რომელმაც ომაიანთა დინასტიას დაუდო სათავე და მუსლიმური სახელმწიფოს დედაქალაქი დამასკოში გადაიტანა.

[127] B. Lewis, *The Assassins: A Radical Sect in Islam* (London 2003), 21.

[128] ომაიანები – ხალიფათა დინასტია, რომელიც მართავდა არაბულ სახალიფოს 661/41 – 750/132 წწ.

[129] მავალები - არაარაბი მუსლიმები.

მოციქულის შთამომავლის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველას სამართლიანობასა და თანასწორუფლებიანობას ჰპირდებოდნენ. ეს სურათი მიმზიდველი გახდა ბედუინებისთვისაც, რომლებმაც დაპყრობებისა და გადატანილი ომების შედეგად ვერც ძალაუფლება მიიღეს და ვერც სიმდიდრე. ისინი ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ და ძარცვა-ყაჩაღობით ირჩენდნენ თავს.

სოციალური უკმაყოფილების გარდა არსებობდა მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო შიიტთა რიგების გამრავლებას ახლად დაპყრობილი ხალხების წრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხალხების უმრავლესობამ ძალითა თუ ნებაყოფლობით ისლამი მიიღო, მათში ჯერ კიდევ მყარად იყო გამჯდარი წინამორბედი რელიგიების რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც ადრეულ მუსლიმთათვის უცნობი იყო. ზოროასტრიელებს, ქრისტიანებსა და იუდეველებს უკვე დიდი ხნის მანძილზე ჰქონდათ შექმნილი პოლიტიკური და რელიგიური ლეგიტიმიზმის, ანუ ღვთის მიერ არჩეული ოჯახის ბატონობისა (ქრისტიანთა და იუდეველთა შემთხვევაში დავითისა და სოლომონის შთამომავლები) და ესქატოლოგიური[130] ტრადიციები. ამდენად, მათთვის უფრო გასაგები და მისაღები სწორედ შიიტური სწავლება უნდა ყოფილიყო, ალიდების ოჯახის გამორჩეულობისა და მაჰდის მოლოდინის ნათლად გამოკვეთილი კონცეფციებით. ასევე მნიშვნელოვანი იყო ლეგიტიმური ხელისუფლების მემკვიდრეობის საკითხი. ცნობილია, რომ ორთოდოქსულ ისლამში მიღებული იყო ხალიფას არჩევითობის პრინციპი, რაც დამახასითებელი იყო ისლამამდელი არაბებისთვის ტომის ბელადის არჩევისას. ბელადი ირჩეოდა საერთო კრებაზე. უპირატესობა ძირითადად გამოცდილი მეომრებისა და ასაკოვანი ბრძენი ხალხის მხარეს იყო. ხმის უფლება ყველა დამსწრეს ჰქონდა და არჩევანი ხმათა უმრავლესობით კეთდებოდა, ანუ იმ პრინციპით რასაც დღეს დემოკრატიული არჩევანი ეწოდება. სწორედ ამგვარი სისტემა იყო დანერგილი ისლამის წარმოშობისა და გავრცელების პირველ წლებში. ხელისუფალის არჩევა არ უნდა ყოფილიყო სიახლე არც იმ ხალხებისთვის, ვინც რომის იმპერიის ფარგლებში ცხოვრობდა, თუმცა ირანული ტრადიციებით აღზრდილი ადამიანისთვის ეს სრულიად მიუღებელი იყო. ადამიანისთვის, რომელიც შეჩვეულია პატივით მოეპყროს ხელისუფლების მემკვიდრეობითობას იმ გაგებით, რომ ყოველი მეფის გარდაცვალებისას ნახევრად ღვთაებრივი სული გადადის მისი ღვთისრჩეული მემკვიდრის სხეულში. სწორედ ასე აღიქვავდნენ ირანელები სასანიანთა დინასტიას და მათ სწამდათ, რომ ამ დინასტიის უკანასკნელი

[130] ესქატოლოგია - რელიგიური რწმენა-წარმოდგენების სისტემა განკითხვის დღესა და მეორედ მოსვლაზე.

ხელისუფალი იეზდიგერდი[131] იყო რეინკარნაცია ნახევრად მითოლოგიური კაიანიანთა[132] დინასტიის მეფეებისა, რომლებსაც ისინი თავიანთ წარმოშობასა და კულტურას უკავშირებდნენ. იეზდიგერდი გარდაიცვალა 652 წელს და ამით შეწყდა სასანიანთა დინასტიის შთამომავალთა მამრობითი სქესის წარმომადგენელთა შტო. სავარაუდოდ, მისი ქალიშვილი, შაჰრ ბანუ, ცოლად გაჰყვა მუჰამადის შვილიშვილს, ჰუსეინ იბნ ალის[133]. ამდენად, მათ შთამომავლებში გაერთიანდა ისლამის მოციქულის ოჯახისა და ირანის უძველესი მეფეების ორი შტო. ეს ქორწინება ისტორიულად თითქოს არ დასტურდება, თუმცა, როგორც რეალური ფაქტი, ფართოდ არის მიღებული ირანის შიიტთა სწავლებაში.[134]

შიიზმში ასევე კარგად წარმოჩნდა წამებულების, გმირებისა და წმინდანების ხატები, რაც ორთოდოქსალური ისლამისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო. თუმცა, ახლო აღმოსავლეთის იმ ეპოქის მოსახლეობის ტრადიციებში მყარად იყო გამჯდარი ჩვეულებრივ მოკვდავ ადამიანებსა და ღმერთს შორის არსებული შუამავლების არსებობის აუცილებლობა.

ყველა ამ ფაქტორის ზეგავლენის შედეგად შიიზმმა ჰიჯრის I საუკუნეშივე (VII ს-ის მეორე ნახევარსა და VIII ს-ის პირველ ნახევარში) ომაიანთა სახალიფოს აღმოსავლეთ ნაწილში, სპარსეთსა და მავერანაჰრში დიდი პოპულარობა მოიპოვა. როგორც უკვე აღინიშნა, შიიტები იმთავითვე ცენტრალურ ხელისუფლებას ოპოზიციაში ჩაუდგნენ და ომაიანი ხალიფები უზურპატორებად გამოაცხადეს. ამ მიმდინარეობამ მალე დიდი გავლენა მოიპოვა და ხალიფათა საწინააღმდეგო მოძრაობის მთავარ ძალად იქცა. ქერბელაში დატრიალებული ტრაგედიის[135] შემდეგ ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი შიიტური ფრთა. შიიტთა ერთმა ნაწილმა ალის სრულუფლებიან მემკვიდრეებად ჰუსეინი და მისი შთამომავლები სცნო, მეორე ნაწილმა ჰასანის[136] შთამომავლები, ხოლო მესამე ჯგუფი ჰასანისა და ჰუსეინის ნახევარძმას, მუჰამად იბნ ალი ჰანაფიას[137] აღიარებდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ის მოციქულ მუჰამადის შთამომავალი საერთოდ არ ყოფილა.

---

[131] იეზდიგერდ III – სასანიანთა დინასტიის უკანასკნელი შაჰინშაჰი. მმართველობის წლები: 632 – 652.

[132] კაიანიანები - ირანის მეფეთა ნახევრად მითოლოგიური დინასტია. ითვლება, რომ კაიანიანთა დინასტიის შაჰები იყვნენ შაჰნამესა და ავესტის გმირების პროტოტიპები.

[133] ალ-ჰუასაინ. ალისა და ფატიმას უმცროსი ვაჟი 626/4 – 680/61 წწ.

[134] O'Leary, *A Short History of Fatimid Khalifat,* 3; E.Kohlberg, "Zayn al-'abidin", *The Encyclopedia of Islam*. New Edition Vol. XI. Prepared by a Number of Leading Orientalists. Edited by P. J. Bearman, Th. Bianquis, C. E. Bosworth, E. van Donzel and W. P. Heinrichs (Leiden: Brill 2002), 482.

[135]ქერბელას (დღევანდელი ერაყის ტერიტორია) ბრძოლაში ხალიფას ჯარებმა დაამარცხეს აჯანყებული შიიტები. ამ ბრძოლაში დაიღუპა ალის შვილი და მუჰამადის შვილიშვილი ჰუსეინი. შიიტური ტრადიციის მიხედვით ის მოწამეობრივი სიკვდილით მოკვდა.

[136] ალ-ჰასან (624/3 – 669/49 წწ.), ალისა და ფატიმას უფროსი ვაჟი.

[137] მუჰამად ბ. 'ალი (635/16 – 700/81 წწ.), ალის ვაჟი მეორე ცოლისგან.

ჰასანის შთამომავლები მალე ჩრდილოეთ აფრიკაში გადასახლდნენ სადაც იდრისიანების[138] სახელმწიფო დააარსეს. მათ ჩამოაყალიბეს ძალზე ზომიერი შიიტური მიმდინარეობა და ბევრი სუნიტური ნორმა მიიღეს. მათ თითქმის არ მიუძღვით წვლილი ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე შიიზმის განვითარების პროცესში. შიიტთა პირველი მნიშვნელოვანი გამოჩენა პოლიტიკურ არენაზე მუჰამად იბნ ალის მიმდევართაგან მოხდა, რომლებიც ერთ ჯგუფად შეკრა ვინმე კაისანმა, ალის მიერ განთავისუფლებულმა მონამ. მუჰამად იბნ ალის მიმდევრები ანუ კაისანიტები, აღიარებდნენ ალის, ჰასანსა და ჰუსეინს როგორც იმამებს, ანუ მუსლიმთა კანონიერ ლიდერებს. ჰუსეინის მკვლელობის შემდეგ, მათი აზრით, იმამის ტიტული მუჰამად იბნ ალი ჰანაფიაზე გადავიდა და იგი De Jure იქცა ლეგიტიმურ ხალიფად. თვითონ მუჰამადი კატეგორიულ უარზე იყო მათთან რაიმე სახის კავშირი ჰქონოდა, მაგრამ ეს ფაქტორი კაისანიტებს არ აბრკოლებდა. 700/81 წელს მუჰამადი გარდაიცვალა და კაისანიტებმა თავიანთ მეხუთე იმამად აღიარეს მისი, შვილი აბუ ჰაშიმი, რომელიც 717/98 წელს ისე გარდაიცვალა, რომ შვილი არ ჰყოლია. სიკვდილის წინ აბუ ჰაშიმმა თავის მემკვიდრედ დანიშნა ვინმე მუჰამად იბნ ალი იბნ აბდ ალაჰი,[139] რომელიც საერთოდ არ ყოფილა ალის ოჯახის წარმომადგენელი. ამ უკანასკნელმა საფუძველი ჩაუყარა აბასიანთა[140] დინასტიას, რომელმაც ცოტა ხანში ომაიანთა დინასტია დაამხო და თვითონ ჩაუდგა სათავეში სახალიფოს.[141]

ამ სამი შიიტური მიმდინარეობიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის ფრთა, რომლის მიმდევრებმაც ჰუსეინ იბნ ალის შვილი, ალი ზაინ ალ-აბიდინი,[142] სცნეს თავიანთ მეოთხე იმამად. ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ ეს მიმდინარეობა ორ პარტიად გაიყო. ნაწილმა თავიანთ მეხუთე იმამად ალის შვილი, ზაიდი, სცნო, ხოლო მეორე ნაწილმა ზაიდის ძმა - მუჰამად ალ-ბაკირი.[143] ჰუსაინიანთა უმრავლესობამ მაინც ალ-ბაკირის იმამობა აღიარა და მისი გარდაცვალების შემდეგ მისი შვილი, ჯაფარი, სცნეს მეექვსე იმამად. სწორედ ჯაფარ ას-სადიკის დროს მოხდა მთავარი სქიზმა შიიტ ჰუსეინიანთა რიგებში.[144] ,ჯაფარი იმამად აღიარეს 732/114 წელს, მამამისის, ალ-ბაკირის, სიკვდილის შემდეგ. ვიდრე საყოველთაო აღიარებასა და მორჩილებას მიაღწევდა, ჯაფარმა რთული და დაბრკოლებებით აღსავსე გზა გაიარა. ახალ იმამს პრობლემები ზეობის პირველსავე წლებში შეექმნა. ჯაფარს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა ბიძა,

[138] იდრისიანები - მაროკოს მმართველი დინასტია 789/172 – 985/375 წწ.
[139] მუჰამად ბ. ʻალი ბ. ʻაბდ ალაჰ. გარდ. 743/125 წ. მუჰამადის ბიძის, ალ-აბასის შვილთაშვილი.
[140] აბასიანები - ხალიფათა დინასტია, რომელიც მართავდა არაბულ სახალიფოს 749/132 – 1258/656 წწ.
[141] O'Leary, *A Short History of Fatimid Khalifat*, 5.
[142] ალი ბ. ალ-ჰუსაინ ზაინ ალ-ʻაბიდინ - 658-9/38 – 712/94 ან 713/95 წწ.
[143] მუჰამად ბ. ʻალი ალ-ბაკირ- 676/57-732/114 და 736/118 წლებს შორის.
[144] O'Leary, *A Short History of Fatimid Khalifat*, 7.

მამამისის ნახევარძმა, ზაიდ იბნ ალი. ის გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებდა იმამის ტიტულის მემკვიდრეობით გადასვლას და ამტკიცებდა, რომ იმამმა თავისი სტატუსი აქტიური მოღვაწეობითა და თუ საჭირო გახდება, ძალითაც უნდა მოიპოვოს. გარდა ამისა, მან სცნო ოთხივე მართლმორწმუნე ხალიფა, რამაც ხელი შეუწყო მის დაახლოებას არაშიიტ მუსლიმებთან.[145] ზაიდის სწავლებამ პოპულარობა ჰპოვა ქუფაში მცხოვრებ შიიტთა წრეებშიც და IX/III ს-ში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. მოგვიანებით, XI/V ს-ის დასაწყისში, ზაიდიტებმა ორი სამეფოს ჩამოყალიბებაც შეძლეს - იემენსა და ირანის დაილემის პროვინციაში.[146]

ზაიდიტთა გარდა ძალა მოიკრიბა მუჰამად ან-ნაფს აზ-ზაქიას, ჰასანიანთა მოძრაობამ. ეს მოძრაობა გაჩნდა აზ-ზაქიას მამის, აბდ ალაჰის, დროს. აბდ ალაჰი იყო ჰასან იბნ ალი იბნ აბი ტალიბის შვილიშვილი და თავის ვაჟს ბავშვობიდანვე მაჰდის როლისთვის ამზადებდა. ან-ნაფს აზ-ზაქიას მოძრაობას საკმარისი ორგანიზება აკლდა, რამაც მისი დამარცხება განაპირობა. აბასიანებმა 762/145 წელს ჩაახშეს მათი ორი აჯანყება, რის შედეგაც ამ მოძრაობამ არსებობა შეწყვიტა.[147]

ჯაფარის მოღვაწეობა ისლამის ისტორიის რთულ პერიოდს დაემთხვა. ეს ეპოქა სახალიფოსთვის საგრძნობი ცვლილებებით ხასიათდება. ომაიანთა დინასტია დასუსტდა, წინა პლანზე აბასიანთა გვარი გამოვიდა, რაც საბოლოოდ, 749/132 წელს სახალიფოს ტახტზე აბასიანი ხალიფას ასვლით დაგვირგვინდა.

აბასიანთა ტახტზე ასვლამ მრავალი პოლიტიკური და სოციალური ცვლილება მოიტანა. ხელისუფლებაში მოსვლამდე აბასიანები შიიტებისა და მავალების მიმართ მეგობრულ პოლიტიკას ატარებდნენ და სრულ მხარდაჭერას ჰპირდებოდნენ, თუმცა შემდეგ მათ გაითვალისწინეს ომაიანთა წინააღმდეგ წარმოებული აჯანყებებიდან მიღებული გამოცდილება და რადიკალურად შეცვალეს დამოკიდებულება შიიტთა მიმართ. ტახტზე ასვლის შემდეგ, დაპირებისამებრ, აბასიანებმა მოსპეს ყველანაირი განსხვავება მუსლიმ არაბებსა და მავალებს შორის, მაგრამ ომაიანების მსგავსად გააგრძელეს შიიტთა დევნა. სახალიფოს ტახტზე აბასიანთა ასვლა შიიტებისთვის დიდი იმედგაცრუება გამოდგა. მათი რწმენით ხელისუფლების კანონიერი მემკვიდრეები კვლავ დევნაში აღმოჩნდნენ და სახალიფოს ტახტი ერთი უზურპატორიდან მეორის ხელში გადავიდა.[148] გაწბილებული შიიტების ნაწილი ჯაფარს მიემხრო, ხოლო მეორე ნაწილი - აზ-ზაქიას მოძრაობას. აზ-ზაქიასა და მისი მიმდევრების დამარცხების შემდეგ ყველა შიიტი, ზაიდიტთა გარდა, ჯაფარ ას-სადიკს შეუერთდა. ზეობის ბოლო ათწლეულში მის ირგვლივ შეიკრიბა ყველა წამყვანი

[145] შიიტები ოთხი მართლმორწმუნე ხალიფადან მხოლოდ ალის აღიარებენ მუჰამადთან ნათესაობის გამო.
[146] F. Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismā'ilīn* (Dimashq 1999), 64 – 65.
[147] Ibid., 65.
[148] F. Daftary, *Ismaili literature: a bibliography of sources and studies* (New York, London 2004), 5.

შიიტი მეცნიერი და მოაზროვნე. მათი დახმარებით ჯაფარმა შეძლო ძლიერი დოქტრინის ჩამოყალიბება, რითაც მან შიიტთა რწმენა განამტკიცა.[149]

2.2 ისმაილიზმის წარმოშობა და ადრეული ეტაპი.

765/148 წელს ჯაფარის გარდაცვალების შემდეგ ჰუსეინიანთა თემში დიდი განხეთქილება მოხდა. ზოგი მონაცემით უთანხმოების მიზეზი ის იყო, რომ ჯაფარმა თავის მემკვიდრედ ჯერ უფროსი ვაჟი, ისმაილი, გამოაცხადა, ხოლო 762/145 წელს ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობა უმცროს შვილს, ისმაილის ნახევარძმას, მუსას გადასცა.[150] შიიტების ნაწილმა ისმაილის სიკვდილი არ დაიჯერა და ჯაფარის გადაწყვეტილება უსამართლოდ მიიჩნია. თვითმხილველები ამტკიცებდნენ, რომ ისმაილი ბასრას ბაზარში ნახეს, სადაც მან ხელის ერთი შეხებით დავრდომილი განკურნა. ისმაილის სიკვდილთან დაკავშირებული ყველა ეჭვის გასაქარწყლებლად ჯაფარმა შვილის ცხედარი ხალხს აჩვენა.[151] მიუხედავად ამისა, უკმაყოფილოთა ნაწილმა ეს საკმარისად არ მიიჩნია და კანონიერ მემკვიდრედ ისმაილი გამოაცხადა. მათი აზრით, ისმაილი ალაჰის მიერ იყო შერჩეული იმამად, ღვთის ნების თვითნებურად შეცვლა კი დანაშაულს წარმოადგენდა. ისინი თვლიდნენ, რომ ისმაილის გარდაცვალების შემთხვევაში, იმამობა მის შვილს უნდა რგებოდა წილად და არა ძმას. იმამის ტიტულის ძმიდან ძმაზე გადასვლა ერთხელ მოხდა, ჰასანისა და ჰუსეინის შემთხვევაში და აღარ უნდა განმეორებულიყო.[152]

მიუხედავად ყველაფრისა, ზოგიერთის მტკიცებით ისმაილმა მამის სიკვდილის შემდეგ კიდევ ხუთი წელი იცოცხლა და მემკვიდრეობით მიიღო იმამობა.[153] ისმაილის შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოიპოვება. ისმაილი და მისი უმცროსი ძმა, აბდ ალაჰი, ჯაფარს ჰყავდა პირველი ცოლის, ფატიმასგან, რომელიც ჰასან იბნ ალი იბნ აბი ტალიბის შვილიშვილი იყო. ბევრი არაფერია ცნობილი ისმაილის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. დანამდვილებით ვიცით, რომ იგი მონაწილეობდა 755/138 წლის აჯანყებაში აბასიანთა წინააღმდეგ.[154] წყაროები ასევე იუწყებიან, რომ მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აბუ ალ-ხატაბთან.[155]

---

[149] Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismā'iliīn*, 66 – 67.

[150] გ. სანიკიძე, „ისმაილიტები“, *ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი* (თბილისი 1999), 103.

[151] Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Tsmā'iliīn*, 71; Daftary, *Ismaili literature*, 7.

[152] 'Ubabyi, Aḥmad Mukhtār, *Fī at-Tārīkh al-'Abbāsiyy wa al-Fāṭimiyy*, (Bayrūt: Dār an-Nahḍa al-'Arabiyya, 2000), 265

[153] Daftary, *Ismaili literature*, 7.

[154] აბასიანთა მიერ სახალიფოს ტახტის დაკავებიდან ცოტა ხანში მათ შიიტების დიდი ნაწილი აუჯანყდა. შიიტები უკმაყოფილოები იყვნენ ახალი ხელისუფლების მიერ მათ მიმართ გატარებული შიდა პოლიტიკით.

[155] Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismā'iliīn*, 70, Daftary, *Ismaili literature*, 8.

ისმაილის სიკვდილიც საიდუმლოთი არის მოცული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზუსტად ეს ფაქტი გახდა განხეთქილების მიზეზი შიიტურ თემში. უმრავლესობის აზრით იგი მამაზე სამი წლით ადრე 762/145 წ, გარდაიცვალა. ყოველ შემთხვევაში ცნობილია, რომ 765/148 წ ჯაფარის დაკრძალვას მხოლოდ სამი შვილი დაესწრო, აბდ ალაჰ ალ-აფტაჰი (გარდ. 766/149 წ), მუსა ალ-ქაზემი (გარდ. 799/183 წ.) და მუჰამად ალ-დაბაჯი (გარდ. 815/200 წ.).[156]

როგორც უკვე აღინიშნა, ჯაფარის გარდაცვალებას დიდი არეულობა მოჰყვა. ჰუსაინიანთა შიიტური თემი ექვს ნაწილად გაიყო. ორი მათგანი ადრეულ ისმაილიტურ დაჯგუფებას წარმოადგენდა. ერთია „ალ-ისმა'ილია ალ-ხალისა“,[157] რომლის მიმდევრების მოსაზრებით, ჯაფარმა შვილის სიკვდილი მოიგონა, რათა დაეცვა ის აბასიანთა აგრესიისგან და ისმაილი ცოცხალია. მეორე არის „ალ-მუბარაქია“.[158] მათ აღიარეს ისმაილის სიკვდილი და ახალ იმამად მუჰამად იბნ ისმაილი გამოაცხადეს.[159] შიიტთა თემის ნაწილმა უარყო ჯაფარის სიკვდილი და მას მაჰდის სახით ელოდებოდა. ყველაზე მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა ისმაილის ღვიძლი ძმა, აბდ ალაჰი, გამოაცხადა ახალ იმამად, თუმცა ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ ისინი ისმაილისა და აბდ ალაჰის ნახევარძმის, მუსა ალ-ქაზემის, მიმდევართა რიგებს შეუერთდნენ. დღეს მუსა ალ-ქაზემის მიმდევართა ფრთა შიიტური თემის უმრავლესობას წარმოადგენს და „თორმეტიანთა“[160] სახელით არის ცნობილი. ყველაზე უმნიშვნელო იყო ის ნაწილი, რომელმაც იმამად მუჰამად იბნ ჯაფარი აღიარა. ამ უკანასკნელის 815/200 წ სიკვდილის შემდეგ ამ მიმართულებამ არსებობა შეწყვიტა.[161]

წყაროები ძალზედ უმნიშვნელო ცნობებს გვაწვდიან ასევე მუჰამად იბნ ისმაილის შესახებ. ცნობილია, რომ ჯაფარის გარდაცვალების მომენტში მუჰამადი 26 წლისა იყო და აბდ ალაჰის სიკვდილის შემდეგ იგი ოჯახში უფროს მამაკაცად დარჩა, რადგანაც მუსა ალ-ქაზემი თავის ძმისშვილზე რვა წლით უმცროსი იყო. აბასიანთა დევნის შედეგად, მუჰამადი ხუზისტანში გაიქცა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. ისმაილიტური სწავლების თანახმად მედინიდან ირანში გადასვლით მუჰამადმა გახსნა ე. წ. დაფარვის, ანუ „ას-სათრის“[162] პერიოდი.

---

[156] Daftary, *Ismaili literature*, 8.

[157] Al-ismā'iliīa al-khāliṣa - ჭეშმარიტი ისმაილიზმი - al-khāliṣa ასევე შეიძლება ითარგმნოს როგორც: წმინდა, სუფთა, შეუმღვრეველი, ერთგული, გულწრფელი.

[158] Al-mubārakīa - კურთხეული.

[159] Ibid. 8.

[160] თორმეტიანები ანუ იმამიტები ან ალ-ისნა'აშარია - შიიზმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. მისი მიმდევრები აღიარებენ თორმეტ იმამს, რამაც განაპირობა ეს სახელწოდება. ისმაილიტებისაგან განსხვავებით მათ ცნეს ისმაილის ძმის, მუსა ალ-ქაზემისა და მისი შთამომავლების უფლება იმამობაზე. თორმეტიანთა შიიზმი დღეს ირანის სახელმწიფო რელიგიაა

[161] Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismā'iliīn*, 72-73.

[162] ას-სათრ – არაბ. სიტყვა: ფარვა; დაფარვა; გადაფარება. ისმაილიტთა ისტორიაში ას-სათრის ანუ დაფარვის პერიოდი ეწოდება დროის მონაკვეთს მუჰამად ბ. ისმა'ილის ირანში გაქცევიდან, 909/297 წელს ფატიმიანთა სახალიფოს დაარსებამდე.

არსებობს ცნობები, რომ მას არ გაუწყვეტია კავშირი ,,ალ-მუბარაქიას“ ფრთასთან, რომლის ცენტრიც ქუფაში იყო განთავსებული. მუჰამადი გარდაიცვალა დაახლოებით 795/179 წელს, ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის[163] ზეობის პერიოდში.[164]

ჩვენ არაფერი ვიცით „ალ-ისმა'ილია ალ-ხალისასა" და ,,ალ-მუბარაქიას“ ურთიერთობის შესახებ. მუჰამად იბნ ისმაილის სიკვდილის შემდეგ ,,ალ-მუბარაქია“ ორ ნაწილად გაიყო. პირველმა ფრთამ, რომელშიც უმრავლესობა შედიოდა, უარყო მუჰამადის სიკვდილი და მას მაჰდის სახით ელოდებოდა. მისი მიმდევრები ითვლებიან კარმატთა[165] წინამორბედებად, რომლებმაც მუჰამადი მეშვიდე და უკანასკნელ იმამად და მომავალ მაჰდით აღიარეს. მეორე, საკმაოდ მცირერიცხოვანმა ფრთამ, ძალზედ კარჩაკეტილი ცხოვრება დაიწყო. მათ აღიარეს მუჰამადის სიკვდილი და მისი შთამომავლები იმამებად სცნეს. ამგვარად, მუჰამადის სიკვდილის შემდეგ ჩვენ ვხედავთ სამ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ისმაილიტურ მიმდინარეობას: „ალ-ისმა'ილია ალ-ხალისა“ და ორად გაყოფილი „ალ-მუბარაქია“.[166]

სუნიტი ერესიოგრაფები იმ მცირე სექტებს, რომლებიც ისმაილ იბნ ჯაფარს მიიჩნევდნენ იმამად, ხშირად ისმაილიტებად იხსენიებდნენ, თუმცა ამგვარი დეფინიცია ძალზე ზოგადია. ჯაფარის გარდაცვალების შემდეგ წარმოქმნილი ადრეული სექტები წარმოადგენდნენ საკმაოდ კარჩაკეტილ და გასაიდუმლოებულ მიმდინარეობებს, ხოლო ისმაილიზმი იყო ფართოდ გავრცელებული მოძღვრება, რომელსაც დიდი პოლიტიკური მიზნები ჰქონდა დასახული. გარდა ამისა, ადრეული სექტების დოქტრინები საკმაოდ განსხვავებოდა ისმაილიტური დოქტრინისგან. ძირითადი მსგავსება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა მოძღვრება მეშვიდე იმამად ისმაილს აღიარებდა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისმაილიზმი წარმოადგენდა სრულიად ახალ მიმდინარეობას. სავარაუდოა, რომ მისი დამაარსებლები ეკუთვნოდნენ ამა თუ იმ ადრეულ სექტას. შემდგომში მათ ჩამოაყალიბეს ძველი სექტებისგან სრულიად განსხვავებული ცენტრალიზებული ორგანიზაცია, შექმნეს ახალი დოქტრინა და შორსმიმავალი მიზნები დაისახეს.

873-874/260 წლიდან მოკიდებული, ისლამური სამყაროს სხვადასხვა პროვინციებში, ჩნდებიან ისმაილიტი მისიონერები, რომლებიც სრულიად ახალ, რევოლუციურ სწავლებას ქადაგებდნენ. 874-75/261 წელს სამხრეთ ერაყში

---

[163] ჰარუნ არ-რაშიდ. 776/149 – 809/193 წწ. მეხუთე აბასიანი ხალიფა, მმართველობის წლები 786/170 - 809/193 წწ.

[164] Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismā'iliīn*, 74; F. Daftary "The Earliest Ismā'īlīs", *Arabica*, T. 38, Fasc. 2 (Jul., 1991), 227.

[165] კარმატები - ადრეული ისმაილიზმის ერთ-ერთი მიმართულების, „შვიდიანთა“ მიმდევრები. ისინი 899/286 წელს გამოეყვნენ ძირითად მიმდინარეობას და უარი თქვეს ფატიმიანი ხალიფები იმამებად ეღიარებინათ. ისინი მხოლოდ შვიდ იმამს აღიარებენ.

[166] Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismā'iliīn*, 75; Daftary, *Ismaili literature*, 9.

ჩამოყალიბდა ისმაილიტთა რეგიონული ცენტრი, რომლის ლიდერები ჰამდან კარმატი და აბდანი იყვნენ.[167]

სავარაუდოდ ისმაილიტთა გაერთიანება და ერთ თემად ჩამოყალიბება მოხდა მუჰამადის შვილის, აბდ ალაჰ აქბარის დროს (გარდ. 874/261წ). ის ჯერ ასქარ მუქრამში[168] ცხოვრობდა, შემდეგ კი სირიის პატარა სოფელ სალამიაში[169] გადავიდა, სადაც თავი მდიდარ ჰაშიმიან ვაჭრად გაასაღა.[170]. სალამიაში აბდ ალაჰმა შექმნა ძლიერი და კარგად ორგანიზებული ცენტრი, საიდანაც ისმაილიტთა ყველა ქმედება იმართებოდა. ბოლო დრომდე ეჭვს იწვევდა აბდ ალაჰ აქბარის წარმომავლობა. რიგი წყაროები მას აბდ ალაჰ იბნ მუჰამად მაიმუნ კადაჰად იხსენიებენ. ამის საფუძველზე ისმაილიტთა მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, თითქოს ამ ადამიანს არაფერი საერთო არ ჰქონია მუჰამად იბნ ისმაილთან და ვინმე მუჰამად მაიმუნ კადაჰის შვილი იყო. ვლადიმირ ივანოვის კვლევამ ნათელი მოჰფინა ამ საკითხს. რუსი მეცნიერის მტკიცებით, მაიმუნ კადაჰი მუჰამად იბნ ისმაილის ერთ - ერთი მეტსახელია და აბდ ალაჰი ნამდვილად მუჰამადის შვილი იყო.[171]

ისმაილიზმის გაძლიერებას მრავალმა ფაქტორმა შეუწყო ხელი. შიიტურ თემში მომხდარი პირველი განხეთქილების შემდეგ ჩამოყალიბდა მრავალი სექტა, რომლებმაც ალის ოჯახის სხვადასხვა წარმომადგენელი გამოაცხადეს იმამად. ამგვარი პატარ-პატარა სექტები და მიმდინარეობები ძირითადად მხოლოდ მათი დამაარსებლების სიცოცხლის მანძილზე არსებობდნენ და იშლებოდნენ ლიდერთა გარდაცვალებისთანავე. ცოტა ხანში ასეთი მიმდინარეობების არაორგანიზებულობით უკმაყოფილო მრავალმა შიიტმა იმამიტთა მიმდინარეობას მიაშურა. „თორმეტიანთა“ იმამების შტოს შეწყვეტამ[172] იმამიტთა მიმდინარეობა საგრძნობლად დაასუსტა, რამაც ისმაილიტებს უფრო აქტიური მოქმედების საშუალება მისცა.[173]

IX/III ს-ის ბოლოს ისმაილიტური ცენტრები ჩამოყალიბდა ბაჰრეინში, აბუ საიდ ალ-ჯანაბის, ხოლო იემენში, მანსურ ალ-იამანისა და ალი იბნ ალ-ფადლის ხელმძღვანელობით. ამავე დროს ცნობილი ისმაილიტი დაი, აბუ აბდ ალაჰ აშ-შიი,[174] იემენიდან ჩრდილოეთ აფრიკაში გადავიდა, სადაც აქტიური

---

[167] S. M. Stern, *The First Appearance of Ismailism in Iran* (Faculty of Letters, Tehran University 1961), 3; F. Daftary, "A Major Schism in the Early Isma'ili Movement", *Studia Islamica*, No. 77 (1993), 130.

[168] ასქარ მუქრამ. სოფელი დასავლეთ ირანში, ხუზისტანის პროვინციაში.

[169] სალამია. დაბა სირიაში, ქალაქ ჰამას მახლობლად.

[170] Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismā'iliīn*, 80; Daftary, *Ismaili literature*, 11.

[171] Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismā'iliīn*, 78.

[172] დაახლოებით 874/260 წ. იმამიტთა შტოს მეთორმეტე იმამი, მუჰამადი, მცირეწლოვან ასაკში გაუჩინარდა და იმამიტები მას დღესაც მაჰდის როლში ელოდებიან.

[173] W. Ivanow, *Studies in Early Persian Ismailism* (Bombay 1955), 7.

[174] აბდ ალაჰ აშ-ში'ი. პირველი ფატიმიანი ხალიფას, უბაიდ ალაჰ მაჰდის (873/259 – 934/322 წწ.) მთავარი დაი. გარდ. 911/298 წ. კაირავანის მახლობლად (თანამედროვე თუნისი).

მისიონერული მოღვაწეობა დაიწყო. IX/III ს-ის ბოლოსვე უნდა ვივარაუდოთ დიდი ისმაილიტური ცენტრის ჩამოყალიბება ქ. რეისა[175] და ჩრდილო-დასავლეთ ირანში.

აბდ ალაჰი სალამიაში დაახლოებით 874/261 წელს გარდაიცვალა. სამწუხაროდ მისი შვილისა და მემკვიდრის, აჰმადის შესახებ არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ აჰმადს ჰყავდა ორი ვაჟი - ჰუსეინი და აბუ ალი მუჰამადი, აბუ აშ-შალაღლაღად წოდებული. 881/268 წელს ჰუსეინი ირანში (ასქარ მუქრამში) გარდაიცვალა. აბუ აშ-შალაღლაღმა ძმისშვილი, საიდი, თავისთან სალამიაში წაიყვანა და საკუთარი შვილივით ზრდიდა. როდესაც საიდ იბნ ჰუსეინი წამოიზარდა, ბიძამ ის თავის ქალიშვილზე დააქორწინა.[176] ამ პერიოდში ისმაილიტურმა პროპაგანდამ დიდ წარმატებებს მიაღწია. ისმაილიტი დაიები მოდებულნი იყვნენ მთელ ისლამურ სამყაროს, შუა აზიიდან მაღრიბამდე. 899/286 წელს გარდაიცვალა იბნ აშ-შალღალაღი და საიდი ისმაილიტური თემის სრულუფლებიან ლიდერად იქცა. მოგვიანებით ის გახდება პირველი ფატიმიელი ხალიფა, რომელიც უბაიდ ალაჰ მაჰდის სახელითაა ცნობილი.[177] ბიძის გარდაცვალებისთანავე საიდს უთანხმოება მოუვიდა ჰამდან კარმატთან. ჰამდანმა საიდის იმამად აღიარება არ მოისურვა. ის იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ უკანასკნელი „ღია“[178] იმამი - მუჰამად იბნ ისმაილი იყო. საიდი და მისი წინამორბედები კი მხოლოდ ,,ჰუჯჯები“[179] იყვნენ, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა დაკავშირება ფარულ იმამთან. საიდმა უბაიდ ალაჰ მაჰდი დაირქვა და თავი იმამად გამოაცხადა. ამასთან განმარტა, რომ მისი ყოველი წინამორბედი იმამი იყო და მხოლოდ უსაფრთხოების მიზნით ფარავდა თავის ჭეშმარიტ მისიას.[180] ჰამდანმა ეს მოსაზრება უარყო და ოპოზიციაში გადავიდა. ახალ მოძრაობას დამაარსებლის სახელი, კარმატთა მოძრაობა ეწოდა.[181]

აღსანიშნავია, რომ ფარულ იმამთა პერიოდში წარმოებული აქტიური პროპაგანდის შედეგად ისმაილიტური მოძღვრება სხვადასხვა სოციალურ ფენაში გავრცელდა. მაგალითად, სამხრეთ ერაყში ისმაილიტი დაიები ძირითადად სოფლის მოსახლეობასა და ბედუინებთან მუშაობდნენ და საგრძნობ წარმატებებსაც მიაღწიეს. ბაჰრეინში ამ სწავლებამ დიდი პოპულაროზა ბედუინებთან მოიპოვა, ჩრდილოეთ აფრიკაში - კი ბერბერულ ტომებში ნახა გამოხმაურება. ჩრდილო-დასავლეთ ირანში მისიონერები თავდაპირველად ქ.

[175] რეი - ქალაქი ჩრდილოეთ ირანში, პროვინცია შახრესტანის ადმინისტრაციული ცენტრი.
[176] Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismā'iliīn*, 89, H. Halm, *al-Fāṭimiūn wa taqālīduhum fi at-ta'līm* (Dimashq 1999), 22.
[177] Halm, *al-Fāṭimiūn*, 23.
[178] ანუ სწორედ მუჰამად იბნ ისმაილი იყო ის, ვინც გახსნა დაფარვის პერიოდი და მას შემდეგ ყველა იმამი ფარულად მოღვაწეობდა.
[179] ჰუჯჯა (არგუმენტი) ფარული იმამის წარმომადგენელი ამა თუ იმ რეგიონში.
[180] Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismā'iliīn*, 92.
[181] Ibid. 93.

რეის შემოგარენში მცხოვრებ სოფლის მოსახლეობაში ქადაგებდნენ, თუმცა შემდგომში მიზნად დაისახეს მმართველი კლასის მოქცევაც. ასეთივე მდგომარეობა იყო ხორასანში, სადაც ისმაილიტი მისიონერები სამანიანთა[182] მოქცევაზე მუშაობდნენ.[183] ისმაილიტებმა ირანში ისეთ წარმატებებს ვერ მიაღწიეს, როგორც, მაგალითად ერაყში, სირიაში, ბაჰრეინსა და იემენში. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ დაიებს მთელი ყურადღება გადატანილი ჰქონდათ ირანის მმართველი წრეების მოქცევაზე, მაგრამ მათი ცდები უშედეგოდ დასრულდა. ისმაილიტთა პოლიტიკური მისია წარუმატებელი აღმოჩნდა ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში, ხორასანსა და ტრანსოქსიანაშიც.[184]

იმ დროს, როდესაც ისმაილიტი მისიონერები აქტიურად მოქმედებდნენ ისლამური სამყაროს სხვადასხვა რეგიონში, საფრთხე ისმაილიტური სწავლების ცენტრსა და იმამს დაემუქრა. მას შემდეგ, რაც უბაიდ ალაჰმა თავი ღია იმამად გამოაცხადა და მისი ადგილსამყოფელი ყველასთვის ცნობილი გახდა, სირიის ბედუინთა ტომები სალამიასკენ გაემართნენ, რათა მისთვის ერთგულება დაედასტურებინათ. ისმაილიტი იმამის ადგილსამყოფელის შესახებ ასევე შეიტყო აბასიანმა ხალიფამ და სასწრაფოდ გაგზავნა რაზმები მის დასაკავებლად. 902/289 წელს უბაიდ ალაჰ მაჰდი იძულებული გახდა დაეტოვებინა სალამია და რამალაში გადასულიყო. აბასიან ხალიფას მსტოვრებმა იმამის ახალი ადგილსამყოფელის შესახებაც შეიტყვეს და მის წინააღმდეგ ჯარი გაიგზავნა. 904/291 წელს უბაიდ ალაჰი პალესტინიდან ეგვიპტეში გაიქცა. ბაღდადის ხალიფა შეეცადა მას ნილოსის ნაპირებზეც მისწვდომოდა. აბასიანთა შიშით უბაიდ ალაჰმა ეგვიპტეც დატოვა და მაღრიბისკენ გაემგზავრა, სადაც შექმნა მომავალში ერთ-ერთი უძლიერესი ისლამური სახელმწიფო, ფატიმიანთა სახალიფო.[185]

2.3 ადრეული ისმაილიტური დოქტრინა.

დაზუსტებით არაფერია ცნობილი ისმაილისა და მისი შვილის, მუჰამადის, ადრეული მემკვიდრეების იდეოლოგიის შესახებ. IX/III ს-ის ისმაილიტთა რევოლუციური მოძრაობის დოქტრინაზე ცალკეული მონაცემები გვიანდელ ისმაილიტურ წყაროებსა და ანტიისმაილიტი ავტორების ნაშრომებში მოიპოვება. ეს დოქტრინა გვიანდელი ისმაილიტური იდეოლოგიის საფუძველია, სადაც მთავარი იყო განსხვავება „აზ-ზაჰირ“-სა (გარეგანი, ეკზოთერია) და „ალ-ბატინ“-ს

[182] სამანიანები - ხორასანის და მავერანაჰრის მმართველი დინასტია (874/261 – 999/390 წწ)

[183] S. M. Stern, "The Early Ismāʿīlī Missionaries in North-West Persia and in Khurāsān and Transoxania", *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, University of London, Vol. 23, No. 1 (1960), 79.

[184] Stern, *The First Appearance of Ismailism in Iran*, 11.

[185] Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismāʿiliīn*, 128 – 129; H. Halm, "kūzmūlūjiya al-ismāʿiliīna min al-ʿahd ma qabla al-fāṭimī", *al-ismāʿiliūna fi al-ʿaṣr al-wasīṭ tārīkhuhum wa fikaruhum*. taḥrīr Farhad Daftary (Dimashq 1999), 24 – 25; Ḥasan, Ibrāhīm Ḥasan, Shaf Ṭaha Ahmad, *'Ubayd Allah al-Mahdi, Imām ash-Shī'a al-Ismāʿiliyya wa Mu'assas ad-Dawla al-Fāṭimiyya fī Bilād al-Magrib* (al-Qāhira: Maktaba an-Nahḍa al-Miṣriyya, 1947), 126 – 136.

(შინაგანი, ეზოთერია) შორის.[186] „აზ-ზაჰირი“ წარმოადგენს კაცობრიობისთვის ყველა წმინდა წერილის სრულიად ნათელ და გასაგებ ახსნას. იქვეა მოცემული კანონმდებლობა, რომელიც ყოველი მოციქულის (ადამი, ნოე, აბრაამი, მოსე, იესო, მუჰამედი) მოსვლასთან ერთად იცვლებოდა. ამის საწინააღმდეგოდ „ალ-ბატინი“ შეიცავს „ალ-ჰაკა'იკ“-ს (ჭეშმარიტებები), რომლებიც დაფარულია წმინდა წერილსა და მის კანონმდებლობაში. „ალ-ჰაკა'იკ“-ი ყველა წერილში უცვლელია და მათი შემეცნება მხოლოდ „ათ-თა'ვილ“-ის (ინტერპრეტაცია) საშუალებით შეიძლება.[187] ის ხშირად კაბალისტური[188] ბუნებისაა და რიცხვებისა და ასოების მისტიკურ მნიშვნელობებს ეყრდნობა. ეს ჭეშმარიტებები არის ერთგვარი გნოსტიკური სისტემა, რომელიც შეიცავს კოსმოლოგიას და ციკლური ისტორიის საიდუმლოს.[189]

ფატიმიანებამდელი კოსმოლოგიის საფუძველი იყო მითი, რომელიც ფრაგმენტულად არის ასახული გვიანდელ წყაროებში. ამ მითის მიხედვით, თავდაპირველი სამყარო დროისა და მატერიის გარეშე იყო წარმოდგენილი, სადაც მხოლოდ ღმერთი არსებობდა.[190] შემდეგ ღმერთის სურვილით (ირადა; მაში'ა) შეიქმნა შუქი (ნურ), რომელსაც ღმერთმა ბრძანებით „ქუნ“ (იქმენ) მიმართა. ღვთიური ბრძანება ,,ქუნ“-ის დუბლირების შედეგად იქმნება მდედრობითი საწყისი „ქუნი“, ის კი თავის მხრივ ქმნის მამრობით საწყისს, ,,კადარს“ (ბედი) თავის მოახლედ და დამხმარედ. „ქუნი“-ს ასევე ეწოდება „ას-საბიკ“-ი (წინამორბედი), ხოლო „კადარ“-ს „ათ-თალი“ (შემდგომი). „ქუნი“-ს საშუალებით ღმერთმა შექმნა ყველა არსება, ხოლო „კადარ“-ის საშუალებით მათი ბედი განსაზღვრა. გერმანელი პროფესორი ჰაინც ჰალმი წერს, რომ ისმაილიტებმა მამრობითი სქესის „ქუნ“[191] გადააკეთეს მდედრობითი სქესის „ქუნი“[192]-დ ისლამამდელი მისტიკური სექტების დოქტრინების შესაბამისად, რომელთა მიხედვით პირველშობილი ქმნილება მდედრობითი სქესის იყო და შემდგომ, მისგან გაჩნდა ყველა სხვა დანარჩენი ქმნილება. ისმაილიტები თავის ადრეულ კოსმოლოგიაში შეეცადნენ შეერწყათ ყურანისეული შემოქმედი და ძველი

---

[186] P. B. Clarke, "The Ismailis: A Study of Community", *The British Journal of Sociology*, Vol. 27, No. 4 (Dec., 1976); Ivanow W., *A Creed of the Fatimids (a summery of the Tājū' l-'aqāid, by Sayydnā 'Ali b. Muhammad b. al-Walīd, ob. 612/1215)* (Bombay: Qayymah Press, 1936), 3.

[187] W.Madelung, "Iasma'ilyya", *The Encyclopedia of Islam*. New Edition Vol. IV. Prepared by a Number of Leading Orientalists. Edited by E. van Donzel, B. Lewis, Ch. Pellat and C. E. Bosworth (Leiden: Brill 1997), 203; Daftary, *Ismaili literature*, 18.

[188] კაბალისტიკა - (კაბალა - თქმულება) იუდაიზმის მისტიკური მიმდინარეობა. ის ეყრდნობა რიცხვებისა და ასოების მაგიურ მნიშვნელობას.

[189] Madelung, "Iasma'ilyya", 203; Daftary, *Ismaili literature*, 18.

[190] Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismā'iliīn*, 108.

[191] არაბულად სიტყვა „ქუნ" ბრძანებით კილოში ჩასმული, მეორე პირის, მამრობითი სქესის ზმნაა „იქმენ!"

[192] არაბულად სიტყვა „ქუნი" ბრძანებით კილოში ჩასმული, მეორე პირის, მდედრობითი სქესის ზმნაა „იქმენ!"

მისტიკური სწავლებების დოქტრინები. ამდენად, ყურანისეული ღმერთის პირველი და შემოქმედითი სიტყვა, რომელიც მამრობითი სქესისაა შემდგომ მდედრობით საწყისად გადაიქცა.[193] ისმაილიტური დოქტრინის მიხედვით, „ქუნი“-ს და „კადარ“-ის შემადგენელი შვიდი ასო, „ალ-ჰურუფ ალ-‘ულია“ (ზეციური ასოები), შვიდი მოციქულისა და მათი წერილების არქეტიპებად გაიაზრებოდა. ამ ასოებიდან წარმოიშვა ყველა სხვა ასო და სახელი და შემდეგ გაჩნდნენ ამ სახელების მატარებლები.[194] „ქუნი“-მ თავისი შუქიდან წარმოშვა შვიდი ქერუბიმი და მიანიჭა მათ ეზოთერიული სახელები (ალ-ასმა‘ ალ-ბატინა), რომელთა მნიშვნელობები ესმით მხოლოდ „ღმერთის მეგობრებს“ (ავლია’ ალაჰ) და შეუძლიათ შეიტყონ მხოლოდ მათმა მიმდევრებმა, ანუ ისმაილიტებმა. შემდეგ „ქუნი“-ს ბრძანებით „კადარ“-მა შექმნა თორმეტი ქმნილება. პირველი სამი სულიერი საწყისი არის „ალ-ჯად“-ი (იღბალი), „ალ-ფათჰ“-ი (გამარჯვება), და „ალ-ხაიალ“-ი (წარმოდგენა). ისინი გაიგივებულია სამ ანგელოზთან, ჯიბრაილი, მიხაილი და ისრაფილი, რომლებიც აკავშირებენ სულიერ და ფიზიკურ სამყაროებს. თორმეტი ქმნილებიდან ზოგიერთის სახელი კარგად არის ცნობილი ისლამურ ანგელოლოგიაში. მაგალითად: რიდვანი – სამოთხის მცველი, მალიქი – ჯოჯოხეთის ანგელოზი და სიკვდილის ანგელოზები მუნქარი და ნაქირი.[195] ისმაილიტური დოქტრინა ეფუძნება ციკლურ ისტორიას, რომელიც ვითარდება შვიდ ეპოქად. თითოეულს ხსნის „ან-ნატიკ“-ი (მოსაუბრე) მოციქული, რომელსაც მოაქვს წმინდა წერილი. პირველი ექვსი „ან-ნატიკ”-ია - ადამი, ნოე, აბრაამი, მოსე, იესო და მუჰამადი. თითოეულ მათგანს მოჰყვა „ალ-ასასი“ (საფუძველი) იგივე „ას-სამით“ (მდუმარე), რომელმაც ამოიკითხა „ალ-ბატინი“. ასევე ყოველი „ან-ნატიკის“ გარდაცვალების შემდეგ ღვთის მიერ ბოძებულ მოვალეობას ასრულებენ მისი მემკვიდრეები შვიდი თაობის მანძილზე, ანუ შვიდი იმამი. ყოველი ეპოქის მეშვიდე იმამი ადის უმაღლეს საფეხურზე და სამყაროს შემდგომი ეპოქის „ან-ნატიკ“-ად ევლინება. თავის მხრივ ის ცვლის თავისი წინამორბედი „ან-ნატიკ“-ის კანონმდებლობას და მოაქვს ახალი კანონი. მუჰამადის ეპოქაში „ალ-ასასი“ იყო ალი, ხოლო მეშვიდე იმამი - მუჰამად იბნ ისმაილი. ეს უკანასკნელი მომავალში უნდა გარდაისახოს მეშვიდე „ან-ნატიკ“-ად, ანუ „ალ-კა'იმ“-ად , იგივე „ალ-მაჰდი“-თ და ისლამური კანონმდებლობა ახლით შეცვალოს. რამდენადაც იგი ციკლური ისტორიის უკანასკნელი „ან-ნატიკია“, მისი წერილი შეიცავს მხოლოდ „ალ-ბატინ“-ს ყოველგვარი „აზ-ზაჰირ“-ის გარეშე. ის იბატონებს ქვეყნიერებაზე და დაასრულებს ფიზიკური სამყაროს არსებობას. ბოლოს კი კაცობრიობას დიდი სამსჯავროს წინაშე წარადგენს.[196] დედამიწაზე მაჰდის არყოფნის პერიოდში

[193] Halm, “kūzmūlūjiya al-ismā‘iliīna”, 90.
[194] Madelung, “Iasma‘ilyya”, 203; Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismā‘iliīn*, 109.
[195] Madelung, “Iasma‘ilyya”, 203; Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismā‘iliīn*, 110,
[196] Madelung, “Iasma‘ilyya”, 203; Daftary, *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismā‘iliīn*, 104 – 105.

მოვლენილ იქნებიან მისი ნაცვლები, თორმეტი „ჰუჯჯა“, რომლებიც დედამიწის თორმეტ კუთხეში იქნებიან განაწილებულნი. ციკლურ ისტორიას ხშირად უკავშირებდნენ ასტროლოგიურ პროგნოზებს და წინასწარმეტყველებდნენ „ალ-კა'იმის“ მოსვლას. მის მოსვლამდე კი „ალ-ბატინი“ საიდუმლოდ უნდა შენახულიყო და ახალმოსული წევრებისათვის მხოლოდ ფიცის დადებისა და სათანადო ინიციაციის გავლის შემდეგ განდობილიყო.[197] ეჭვგარეშეა, რომ ინიციაცია, ანუ „ალ-ბალაღ“-ი ხდებოდა თანდათან, მაგრამ არ არსებობს არანაირი მითითება მკაცრად ფიქსირებულ თანამიმდევრობაზე, როგორც ეს აღწერილია ანტიისმაილიტურ წყაროებში. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იმამი და „ჰუჯჯ“-ები პასუხისმგებლები იყვნენ ინიაციაციასა და სწავლების გავრცელებაზე. სამწუხაროდ, მწირი ცნობები არსებობს ადრეული „და'ვა“-ს[198] ორგანიზების შესახებაც. მრავალრიცხოვან იერარქიულ წოდებებს, რომლებიც მოცემულია ისმაილიტურ რელიგიურ ტექსტებში, ძირითადად იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდათ და არ შეიძლება განიხილებოდნენ, როგორც ორგანიზაციის მკაცრი იერარქიული წყობა.[199]

§ 3. ფატიმიანთა სახალიფოს წარმოშობა და ეგვიპტეში დამკვიდრება

საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ სახელწოდება ფატიმიანები მიმდინარეობს მუჰამადის შვილისა და ალის მეუღლის, ფატიმას სახელიდან. აღსანიშნავია, რომ ამ სახელს ატარებდნენ აგრეთვე მუჰამადისა და ალის ოჯახის სხვა წარმომადგენლებიც. ასე, მაგალითად: ჰუსეინის ქალიშვილს, რომელსაც შიიტები მისი ბებიის ზოგიერთ ჰადისს[200] მიაწერენ და ლეგენდის მიხედვთ მან მაჰდის შესახებ წინასწარ იცოდა, ფატიმა ერქვა. გარდა ამისა ალის დედასაც ფატიმა ბინთ ასად ერქვა. ის ჰაშიმიანთა გვარის წარმომადგენელი იყო და მას სალმანის[201] ლეგენდასთან აკავშირებენ.[202]

---

[197] Madelung, “Iasma'ilyya”, 203.

[198] და'ვა. არაბული სიტყვაა და ნიშნავს: მოწოდება; დაპატიჟება. ეს ტერმინი სხვადასხვა მნიშვნელობით რამდენჯერმე არის ნახსენები ყურანსა და თაფსირებში. ამ სიტყვამ პოლიტიკური დატვირთვა აბასიანთა ეპოქაში მიიღო და აღნიშნავდა პროპაგანდას. ფართოდ იქნა მიღებული ფატიმინათა მიერ, რომლებმაც შექმნეს ვრცელი პროპაგანდისტული ქსელი და „და'ვა”-ს საშუალებით მოუწოდებდნენ ყველა მუსლიმს ეღიარებინათ ისმაილიზმი და ისმაილიტი იმამის უზენაესობა.

[199] Ibid. 203.

[200] ჰადის - არაბ. სიტყვა: თხრობა; გადმოცემა. გადმოცემები მუჰამადისა ან მისი უახლოესი მიმდევრების ამა თუ იმ ქმედებასა ან გამონათქვამზე.

[201] სალმან ალ-ფარისი – ნახევრად ლეგენდარული პიროვნება ადრეულ ისლამში. ის იყო მუჰამადის უახლოესი მიმდევარი და გვიანდელი ტრადიციის თანხმად პირველი სპარსელი ვინც ისლამი მიიღო (Levi Della Vida G. “Salman al-Farisi”, *The Encyclopedia of Islam*. New Edition. Prepared by a number of leading orientalists. Edited by P. J. Bearman, Th. Bianquis, C.E. Bosworth, E. van Donzel and W.

X საუკუნის დასაწყისში ისმაილიტმა იმამმა, უბაიდ ალაჰმა, ჩრდილოეთ აფრიკაში ახალი სახელმწიფო შექმნა, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე წარმატებით უწევდა კონკურენციას სუნიტ აბასიანთა სახალიფოს. მისი დედაქალაქი კაირო შიიტური თეოლოგიისა და მეცნიერების ცენტრად იქცა. როდესაც უბაიდ ალაჰი სირიიდან აბასიანთა აგრესიას გაექცა, ის ჯერ ეგვიპტეში, ხოლო ეგვიპტიდან თანამედროვე თუნისის ტერიტორიაზე გადავიდა, სადაც მას ახალი სახალიფოს შესაქმენლად შესანიშნავი გარემო დახვდა.

3.1 ფატიმიანთა დამკვიდრება იფრიკიაში.

არაბული სახალიფოს ადრეული პერიოდიდანვე ჩრდილოეთ აფრიკაში თავშესაფარს პოულობდნენ ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი რელიგიური სექტები თუ პოლიტიკური მიმდინარეობები. მთელი ჩრდილოეთ აფრიკა უძველესი დროიდან დასახლებული იყო ბერბერული ტომებით, რომლებიც ნომადურ ცხოვრებას ეწეოდნენ. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ სხვადასხვა დროს იყო ბერძნული, რომაული, პუნიკური და სხვა მრავალი კოლონია, თუმცა მათ კვალი არ დაუტოვებიათ ბერბერთა ენასა თუ კულტურაში. როდესაც არაბული დაპყრობები დაიწყო, ამ ტერიტორიას ბიზანტიელები განაგებდნენ, თუმცა ისინი მალე დამარცხდნენ, იქაურობა მიატოვეს და ბერბერები არაბების პირისპირ დარჩნენ. ჩრდილოეთ აფრიკაში არაბები ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ შეიჭრნენ, თუმცა მუსლიმურ თემში მომხდარმა შიდა უთანხმოებებმა არ მისცა მათ საშუალება ეს ტერიტორია პირველივე ცდაზე აეთვისებინათ.[203] მხოლოდ მეორე კამპანიის დროს (665/45 წ.) შეძლეს არაბებმა ამ რეგიონში დამკვიდრება, თუმცა მათი ძალაუფლება საკმაოდ სუსტი იყო და საუკუნეების მანძილზე იქ იქმნებოდა პატარ-პატარა ბერბერული სახელმწიფოები. გამძაფრებული იყო ეთნიკური დაპირისპირება ბერბერებსა და არაბებს შორის. არაბები მცირე ძალაუფლების შენარჩუნებას მხოლოდ ბერბერულ ტომებს შორის არსებული შიდა დაპირისპირებების ხარჯზე ახერხებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბერბერებში ისლამი ფართოდ გავრცელდა, მათმა ნაწილმა მაინც შეინარჩუნა ზოგი წარმართული ტრადიცია, ისეთი როგორიცაა წმინდანთა აღიარება და წინაპართა საფლავების თაყვანისცემა, რაც ორთოდოქსალურ ისლამში კატეგორიულად მიუღებელია. ამავდროულად ქალაქებში მცხოვრები ბერბერები თავისუფალნი იყვნენ მსგავსი წარმართული

P. Heinrichs. Assisted by C. Ott. Under the patronage of the International Union of Academics. Volume XII, Supplement (Leiden: Brill 2004), 701).

[202] M. Canard, "Fatimids", *The Encyclopedia of Islam*. New edition. Prepared by a number of leading orientalists. Edited by B. Lewis, Ch. Pellat and J. Schacht. Assisted by J. Burton-Page, C. Dumont and V. L. Menage as Editional secretaries. Under the patronage of The International Union of Academics. Volume II C – G. Fourth impression (Leiden: Brill 1991), 850.

[203] Farhāt Al-Dashrāwī, *al-Khilafa al-Fāṭimiyya bi-l-Maghrib*. naqalahu ila al-'arabyya Ḥamādī al-Sāḥilī (Bayrūt – Lubnān: Dar al-Maghrib al-Islāmī, 1993), 31.

რწმენა-წარმოდგენებისგან და ორთოდოქსალურ ისლამს აღიარებდნენ.[204] სწორედ ამ გარემოში დაიწყო ისმაილიტური მიმდინარეობის გავრცელება. 893/280 წლიდან მოკიდებული ამ რეგიონში აქტიურად დაიწყო მუშაობა ცნობილმა ისმაილიტმა დაიმ, აბუ აბდ ალაჰ აშ-შიიმ, რომელმაც ისმაილიტური მოძღვრება ბერბერულ ტომებში გაავრცელა და ყველაფერი შეამზადა იმამის ჩამოსასვლელად.[205] აბუ აბდ ალაჰი იემენიდან ეგვიპტეში გაყვა ჰაჯიდან დაბრუნებულ ბერბერთა ქუთამას ტომს. გზაში ის დაუახლოვდა ბელადებს და დეტალურად გამოჰკითხა მათ ჩრდილოეთ აფრიკის პოლიტიკური სიტუაცია და მათი პოზიციები. შემდეგ ნელ-ნელა ისმაილიზმის ქადაგება დაიწყო და ეგვიპტეში ქუთამიელებმა მას მათთან ერთად თუნისში წასვლა შესთავაზეს. აბუ აბდ ალაჰი მათ დათანხმდა და მალე ქუთამას ტომში წმინდანის სახელითა და ურყევი ავტორიტეტით დაიწყო სარგებლობა.[206] ეგვიპტიდან გამოქცეული უბაიდ ალაჰი თავიდან ქალაქ სიჯილმასაში ჩავიდა, სადაც ის, აღლაბიანი[207] ზაიდათ ალაჰის ბრძანებით, ადგილობრივმა მმართველმა დაატყვევა. სწორედ ამ დროს აბდ ალაჰმა ბერბერთა ერთ-ერთი უძლიერესი ტომის, ქუთამას, დახმარებით დაიწყო ფართომასშტაბიანი აჯანყება აღლაბიანთა წინააღმდეგ. მალევე აბდ ალაჰის მეთაურობით ბერბერებმა დაიკავეს აღლაბიანთა დედაქალაქი, რაკადა, ხოლო ზიადათ ალაჰი ეგვიპტეში გაიქცა. ამის შემდეგ მათ ტყვეობიდან დაიხსნეს უბაიდ ალაჰი, რომელმაც 910 წლის 7 იანვარს/297 წლის 21 რაბი ას-სანი რაკადაში თავი ხალიფად გამოაცხადა და მაჰდი დაირქვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქმედებით აღსრულდა ისმაილიტთა ოცნება და ჭეშმარიტმა იმამმა ხელისუფლება მიიღო, მათ წინაშე ახალი პრობლემები წარმოიშვა. უბაიდ ალაჰი შესანიშნავად იყო გაწვრთნილი ისმაილიტურ თეოლოგიაში და კარგად იყო მომზადებული იმამის როლისთვის, თუმცა არც მას და არც მის წინამორბედებს არ ჰქონიათ პოლიტიკური მმართველობის გამოცდილება. თვითონ მაჰდისა და მისი მიმდევრების წარმოდგენით, როგორც იქნა, მოხდა ღვთის მიერ კურთხეული იმამის გახალიფება, რაც დაახლოებით 250 წლის მანძილზე არ ყოფილა. ამიერიდან მაჰდი გაუძღვებოდა მუსლიმურ თემს ისე, როგორც ეს ალაჰმა დაადგინა, ანუ ისე, როგორც ამას მათი წინაპრები მუჰამადი და მისი ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ალი აკეთებდნენ. რაც მთავრია ხალიფას უნდა ებრძოლა ისლამის მტრების წინააღმდეგ, როგორც სახალიფოს შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ.[208]

---

[204] O'Leary, *A Short History of Fatimid Khalifat,* 54.

[205] მ. ტიკაძე, *არაბთა ისტორია (V – XV სს.)*, (თბილისი 2008), 152.

[206] al-Kharbūṭi, 'Ali Ḥusni, *Abū 'Abd Allah ash-Shī'i: Mu'assas ad-Dawla al-Fāṭimiyya* (al-Maṭba'a al-Fanniyya al-Ḥadītha, 1972), 32 – 35.

[207] აღლაბიანები - დინასტია, რომელიც აბასიანთა სახელით მართავდა ჩრდილოეთ აფრიკას IX/III საუკუნეში.

[208] Paul E. Walker, "The Isma'ili Da'wa and Fatimid Caliphate" in *The Cambridge History of Egypt. Volume I, Islamic Egypt 640 – 1517*. Edited by Carl F. Petry (Cambridge University Press 2006), 120

ამდენად, რელიგიური იდეოლოგიის გავრცელების პარალელურად საჭირო გახდა სახელმწიფო აპარატის შექმნა, შიდა დაპირისპირებებისა და უთანხმოებების მოგვარება და კარგად გააზრებული საგარეო პოლიტიკის გატარება.

ფატიმიანთა ახლადშექმნილი სახელმწიფოს წინაშე წარმოქმნილ პოლიტიკურ პრობლემებში გასარკვევად საჭიროა, ჩრდილოეთ აფრიკაში, იმ პერიოდში, არსებული პოლიტიკურ-რელიგიური პალიტრა განვიხილოთ. მას შემდეგ, რაც არაბებმა ეს რეგიონი დაიპყრეს, ისინი ძირითადად სანაპირო ზოლზე და დაბლობებში განსახლდნენ, ხოლო მკვიდრმა მოსახლეობამ მთიან რეგიონებში გადაინაცვლა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბერბერები საერთოდ მოწყვეტილები იყვნენ სანაპირო ზოლს. მაგალითად ერთ-ერთ უძლიერეს ბერბერულ ტომს, ქუთამას, ეკავა საკმაოდ დიდი და ნაყოფიერი მიწები. 665/45 წელს არაბებმა დააარსეს ქალაქი კაირავანი,[209] რომელიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე იყო პროვინცია იფრიკიას პოლიტიკური დედაქალაქი. არაბული სახალიფოს ეს პროვინცია მდებარეობდა ეგვიპტის დასავლეთით და გადაჭიმული იყო დღევანდელი ლიბიის, თუნისის და აღმოსავლეთ ალჟირის ტერიტორიებზე. იფრიკიას დასავლეთით მდებარეობდა პროვინცია მაღრიბი, რომელიც თავის მხრივ ორ ნაწილად იყოფოდა - ცენტრალური მაღრიბი, რომელიც მოიცავდა დღევანდელი ალჟირის დასავლეთ და მაროკოს აღმოსავლეთ ნაწილებს და შორეული მაღრიბი, რომელიც გადაჭიმული იყო ატლანტის ოკეანის გასწვრივ. ყველა ეს ტერიტორია დასახლებული იყო სხვადასხვა ბერბერული ტომებით. ასე მაგალითად, იფრიკიას აღმოსავლეთ ტერიტორიები დასახლებული იყო ჰვარას, ლუატას, ნაფუსასა და ზუაღას ტომებით, ცენტრალურ ნაწილში სახლობდნენ ვარღუსა და ნეფსავას, ხოლო დასავლეთში ნეფსავას, ქუთამასა და ავრაბას ტომები. ცენტრალური მაღიბის მიწები ეკავათ ზუავას, მაღრავასა და ბანუ მზაბს, ხოლო შორეული მაღრიბი - ბანუ ვანუდინს, ღომარასა და მიქნასას ტომებს.[210] როგორც უკვე აღინიშნა, ყველა ამ ბერბერულ ტომში ისლამმა მყარად მოიკიდა ფეხი, თუმცა ორთოდოქსალურ სუნიტურ მიმდინარეობასთან ერთად (ძირითადად მალიქიტური მაზჰაბი) ფართოდ იყო გავრცელებული ხარიჯიზმი. ჩამოყალიბებული იყო ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ტაჰერტსა[211] და ფესში.[212] ტაჰერტს მართავდნენ ხარიჯიტი რუსთამიანები,[213] ხოლო ფესს -

[209] კაირავანი - ქალაქი თანამედროვე თუნისის ტერიტორიაზე.
[210] O'Leary, *A Short History of Fatimid Khalifat*, 55.
[211] ტაჰერტი - ქალაქი თანამედროვე ალჟირის ტერიტორიაზე.
[212] ფესი - ქალაქი თანამედროვე მაროკოს ტერიტორიაზე.
[213] რუსთამიანები - ირანული წარმომავლობის დინასტია, რომელიც მართავდა ქ. ტაჰერტს 778/161 – 909/296 წწ. რუსთამიანები ხარიჯიზმის იბადიტური ფრთის მიმდევრები იყნენ.

ჰასანიანი იდრისიანები.[214] ამავე დროს აღმავლობას განიცდიან კორდოვაში[215] გაბატონებული ომაიანები.[216]

რა თქმა უნდა, ყოველი მათგანი ძალას არ დაიშურებდა, რათა ამ რეგიონში ახალი სახელმწიფოს შექმნისთვის ხელი შეეშალა. ამავე დროს ფატიმიანთა რიგებში შიდა არეულობებმაც იჩინა თავი, უბაიდ ალაჰს განუდგა მისი ერთგული დაი აბდ ალაჰი. ხალიფამ ვერ მოითმინა ღალატი და აბდ ალაჰისა და მისი ძმის სიკვდილით დასჯა ბრძანა. ამ ბრძანებას ქუთამას რიგებში დიდი არეულობა მოჰყვა, თუმცა ხალიფამ მათი აჯანყების ჩახშობა შეძლო. ფატიმიანები ძალღონეს არ იშურებდნენ, რათა თავისი ძალაუფლება დასავლეთით გაევრცელებინათ და მთელი მაღრიბი თავისი კონტროლის ქვეშ მოექციათ. ბედუინთა დახმარებით მათ შესძლეს დაემორჩილებინათ, როგორც რუსთამიანების, ასევე იდრისიანების სამფლობელოები. ფატიმიანები წარმატებით იყენებდნენ სიცილიას სამხრეთ იტალიის ქალაქებისა და ბიზანტიის იმპერიის წინააღმედგ საბრძოლველად. იმ ტერიტორიებზე, სადაც მათი სამხედრო ძალა ვერ აღწევდა, ფატიმიანები დაიებს აგზავნიდნენ, რომლებიც მეტნაკლებად წარმატებით ავრცელებდნენ ისმაილიტურ მოძღვრებას. ცნობილია, რომ ისმაილიტი დაიები მუშაობდნენ მუსლიმურ ესპანეთში, ხოლო ეგვიპტის ყოფილი მთავრი დაი, აბუ ალი (სავარაუდოდ ჰამდან კარმატი), კონსტანტინოპოლში იქნა გაგზავნილი.[217]

უბაიდ ალაჰის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა უზურპატორი აბასიანების დამხობა და ბაღდადის დაკავება, ამდენად მან ძირითადი ყურადღება აღმოსავლეთს დაუთმო.[218] ბაღდადისკენ მიმავალ გზაზე ფატიმიანებს ჯერ ეგვიპტე უნდა დაეპყროთ. რა თქმა უნდა, ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო ძლიერი და კარგად ორგანიზებული ჯარისა და ფლოტის შექმნა, ხოლო იმ პერიოდში ფატიმიანი ხალიფას განკარგულებაში მხოლოდ ბედუინთა რაზმები იყო, რომლებიც მართალია ყაჩაღურ თავდასხმებში კარგად იყვნენ გამოწვრთნილები, მაგრამ ტაქტიკური და გრძელვადიანი ომის წარმოებაზე წარმოდგენაც არ ჰქონიათ. მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში ფატიმიანებმა შესძლეს ძლიერი ფლოტის ჩამოყალიბება, მათ მიერ ეგვიპტეზე განხორციელებული პირველი სამი შეტევა (914/302 წ., 919/307 წ. და 935/323 წ.) წარუმატებლად დასრულდა.

---

[214] იდრისიანები - ჰასან იბნ ალის შთამომავალთა დინასტია, რომელიც მართავდა მაროკოს 789/172 – 985/375 წწ.

[215] კორდოვა - ქალაქი თანამედროვე ესპანეთში. იბერიის ნახევარკუნძულზე გაბატონებული ომაიანთა საგვარეულოს დედაქალაქი.

[216] 750/132 წელს განცდილი მარცხის შემდეგ, ომაიანთა გვარის წარმომადგენლები ესპანეთში გაიქცნენ, სადაც ახალი სახალიფო დააარსეს. ესპანეთში ომაიანთა სახალიფომ იარსება 756/138 – 1031/422 წწ.

[217] Walker, “The Isma‘ili Da‘wa and Fatimid Caliphate”, 132.

[218] Ibid. 130.

3.2. ეგვიპტე ფატიმიანთა დაპყრობამდე: ტულუნიანთა და იხშიდიანთა პერიოდი.

გეოგრაფიული მდებარეობისა და ნაყოფიერი მიწების სიმრავლის წყალობით, ეგვიპტე გამოირჩეოდა თავისი სიმდიდრით. გამონაკლისი არც არაბული სახალიფოს პერიოდი იყო. იქ აკრეფილ გადასახადებს სახალიფოს ხაზინის შემოსავლების საკმაოდ დიდი წილი ეკავა. მიუხედავად ასეთი სიმდიდრისა, ისლამის გავრცელების ადრეულ პერიოდში ეგვიპტეს პოლიტიკურად მნიშვნელობა თითქმის არ ჰქონია. ომაიანთა მმართველობის ხანაში ეს პროვინცია წარმოადგენდა ხალიფათა საგვარეულო დომენს, ხოლო აბასიანთა დროს ეგვიპტეს ადგილობრივი ხელისუფლები მართავდნენ, რადგანაც პოლიტიკურად ის გაცილებით ნაკლები მნიშვნელობისა იყო, ვიდრე, მაგალითად, სირია, ან ხორასანი. ამის მთავრი მიზეზი უნდა იყოს იმ ეპოქის ეგვიპტის მოსახლეობის შემადგენლობა. როგორც ცნობილია, ისლამის წარმოშობამდე ეგვიპტეში მუდმივი არაბული დასახლებები არ არსებოდა და არაბული დაპყრობების შემდეგაც არაბთა მიგრაცია ამ რეგიონში ძალზედ შეზღუდული იყო. ისინი ძირითადად ფუსტატსა და ალექსანდრიაში დასახლდნენ. ბედუინთა მცირე ჯგუფი კი, ჰავფის რეგიონში, ნილოსის დელტის აღმოსავლეთ ნაწილში დამკვიდრდა. ურთიერთობა ახალმოსულებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის ძალზე ნელა მყარდებოდა. ადგილობრივი კოპტები მუსლიმთა მმართველობის პერიოდში მხოლოდ საკუთარ ეკლესიას ემორჩილებოდნენ, ზუსტად ისე, როგორც ბიზანტიის ხელისუფლების დროს.

ადგილობრივი ადმინისტრაციის სადავეები მკვიდრი მოსახლეობის ხელში რჩებოდა და ამდენად, არაბთა გავლენა ამ რეგიონის ყოველდღიურ ცხოვრებაზე ძალზე უმნიშვნელო იყო. იქ მცხოვრებ მცირერიცხოვან მუსლიმურ საზოგადოებას არ გააჩნდა საკმარისი ძალა, რათა არაბთა ხელისუფლებისთვის ძლიერი საფუძველი შეექმნა. აბასიანთა ეპოქაში ფუსტატიდან ეგვიპტეს ნომინალურად მართავდნენ სამხრეთ არაბული წარმოშობის ოჯახები და პირველი დაპყობების შემდეგ დარჩენილი არაბების შთამომავლები. მათ ეხმარებოდნენ მთავარი კადი და საჰიბ აშ-შურტა, რომელიც ადგლობრივი შეიარაღებული რაზმების სარდალი და მმართველის მთავარი მრჩეველი იყო. ჰარუნ არ-რაშიდის სიკვდილის შემდეგ მომხდარმა სამოქალაქო ომმა[219] სახალიფოს რეგიონებში არეულობა გამოიწვია და

[219] 802/187 წელს ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდმა თავის მემკვიდრედ დაასახელა უმცროსი ვაჟი ალ-ამინი, ხოლო უფროსი ვაჟი ალ-მამუნი ხორასანის მმართველად დანიშნა და მის მორჩილება უბრძანა. ხალიფას გადაწყვეტილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ალ-მამუნის დედა წარმოშობით ირანელი მონა იყო, ხოლო ალ-ამინის დედა, აბასიანთა გვარის წარმომადგენელი. 809/193 წ. ჰარუნ არ-რაშიდის გარდაცვალების შემდეგ ძმებს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი, რაც 812/197 წელს სამოქალაქო ომში გადაიზარდა და ერთ წელიწადს გაგრძელდა. 813/198 წელს ალ-მამუნმა ხორასანის ჯარების დახმარებით ბაღდადი აიღო, ალ-ამინის სიკვდილით დასჯა ბრძანა და თავი ხალიფად გამოაცხადა.

არაბული ელიტის მმართველობა მოსპო.[220] გამონაკლისი არც ეგვიპტე ყოფილა, თუმცა ალ-მამუნის[221] ზეობის ხანაში აბდ ალაჰ იბნ ტაჰირმა[222] თურქული ნაწილების მეშვეობით ეგვიპტეში ბაღდადის კონტროლი აღადგინა. 861/247 წელს ხალიფა ალ-მუთავაქილის[223] სიკვდილს მოჰყვა ე.წ. სამარას[224] ანარქია, რასაც მთელი ისლამური სამყაროს ტერიტორიაზე ლოკალური მმართველების, ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობით, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა მოჰყვა. სახელმწიფო ხაზინა სრულად დაცარიელებული იყო. ამდენად, დიდ პრობლემად იქცა დაქირავებული თურქული წარმოშობის ჯარისკაცებისთვის ხელფასების გადახდა. ხალიფამ ხელფასების გაცემის მიზნით თურქ სამხდრო ხელმძღვანელებს გადასახადის აკრეფის უფლება მისცა. ამ გადაწყვეტილების შედეგად სახალიფოს სხვადასხვა რეგიონები ფაქტიურად თურქი მთავარსარდლების ხელში გადავიდა. 868/254 წელს ხალიფა ალ-მუთაზმა[225] ეგვიპტის მმართველობა ვინმე ბაიაქბაქს უბოძა. ამ უკანასკნელმა, კი თავის მხრივ, ამ პროვინციის გამგებლობა თავის შვილობილს, აჰმად იბნ ტულუნს,[226] გადასცა, რომელსაც უნდა ეკონტროლებინა გადასახადების დროული აკრეფა და დანიშნულების ადგილზე გადაგზავნა. აჰმადი თურქული წარმომავლობისა იყო. მამამისი ბუხარაში ცხოვრობდა და სამოქალაქო ომის პერიოდში ალ-მამუნის სამსახურში ჩადგა. აჰმადი დაიბადა 835/220 წელს. მან სამხედრო განათლება სამარაში მიიღო, ხოლო თეოლოგიური განათლება - ტარსუსში.[227] ამდენად, ცენტრალური აზიიდან გადმოსახლებული თურქული მოდგმის მებრძოლების პირველი თაობისგან განსხვავებით აჰმადი უკვე, არაბულად მოსაუბრე იყო.

---

[220] H. Kennedy, *The Prophet and the Age of the Caliphates* (Pearson Longman 2004), 307.

[221] ალ-მა'მუნ აბუ ლ-აბას 'აბდ ალაჰ ბ. ჰარუნ არ-რაშიდ. 786/170 – 833/218 წწ. მეშვიდე აბასიანი ხალიფა, მმართველობის წლები 813/197 – 833/218 წწ.

[222] 'აბდ ალაჰ ბ. ტაჰირ. 798/182 – 844/230 წწ. ცნობილი პოეტი და მხედართმთავარი. ხორასანის მმართველი.

[223] ალ-მუთავაქილ 'ალა ალაჰ აბუ ალ-ფადლ ჯა'ფარ ბ. მუჰამად. 822/206 – 861/247 წწ. მეათე აბასიანი ხალიფა, მმართველობის წლები 847/232 - 861/247 წწ.

[224] ქალაქი ცენტრალურ ერაყში, რომელიც დააარსა ხალიფა ალ-მუთასიმმა. 836/221 – 892/279 წწ. გარკვეული პერიოდის მანძილზე სამარა იყო აბასიანთა სახალიფოს დედაქალაქი. 861/247 წელს ხალიფა ალ-მუთავაქილი შეთქმულების შედეგად მოკლეს. ხალიფას მკვლელობა სავარაუდოდ მისი შვილის, ალ-მუნთასირის დაკვეთით მოხდა, რომელმაც ამის შემდეგ აბასიანთა სახალიფოს ტახტი დაიკავა, თუმცა მალევე გარდაიცვალა. ალ-მუნთასირის სიკვდილის შემდეგ თურქმა სარდლებმა ტახტზე აიყვანეს ალ-მუნთასირის ბიძაშვილი, ალ-მუსთაინი, რამაც გამოიწვია დიდი დაპირისპირება თურქულ ნაწილებსა და ალ-მუნთანსირის ძმის ალ-მუთაზის მომხრეებს შორის. ალ-მუთაზის მომხრეთა გამოსვლები თურქულმა გვარდიამ სისხლში ჩაახშო.

[225] ალ-მუ'თაზ ბილაჰ 'აბდ ალაჰ მუჰამად ბ. ჯა'ფარ. მეცამეტე აბასიანი ხალიფა, მმართველობის წლები 866/252 – 869/255 წწ.

[226] აჰმად ბ. ტულუნ. 835/220 – 884/270. თურქული წარმომავლობის ეგვიპტის მმართველი. ტულუნიანთა დინასტიის დამაარსებელი.

[227] Th. Bianquis, "Autonomous Egypt from Ibn Tulun to Kafur, 868 – 969", *The Cambridge History of Egypt. Volume I, Islamic Egypt 640 – 1517*. Edited by Carl F. Petry (Cambridge University Press 2006), 91.

სავარაუდოდ, სწორედ ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისი მომავალი წარმატებები.[228]

IX/III საუკუნიდან მოყოლებული ერაყში მიმდინარე არეულობების შედეგად ეგვიპტე ეკონომიკური მხრიდან იმდენად მნიშვნელოვანი გახდა სახალიფოსთვის, რომ ამ რეგიონის მთავარი ხაზინადარი დამოუკიდებელი იყო ადგილობრივი მმართველისგან და უშუალოდ ბაღდადს, ან სამარას ემორჩილებოდა. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია მძაფრი დაპირისპირება ეგვიპტის ახალ მმართველს, აჰმად იბნ ტულუნსა და ძველ ფინანსურ ადმინისტრაციას შორის. 868 წლის 15 სექტემბერს/254 წლის 23 რამადანს აჰმადი ეგვიპტეში ჩავიდა. ეს მოვლენა არაბულ წყაროებში აღწერილია, როგორც ძალზე დადებითი მოვლენა და დაკავშირებულია ციური სხეულების კეთილგანწყობასა და ბრმა წინასწარმეტყველის სიტყვებთან. ეს მიდგომა განხილული უნდა იყოს არა როგორც მორიგი გამგებლის დანიშვნის აქტის კონსტატაცია, არამედ კვაზი-სუვერენული დინასტიის დამკვიდრების მცდელობის აღიარება.[229] რა თქმა უნდა, ძლიერი მმართველი კატეგორიულად მიუღებელი იყო ადგილობრივი დამოუკიდებელი ფინანსური ადმინისტრაციისთვის. ამ დროს ეგვიპტის მთავარი ხაზინადარი იყო ვინმე იბნ ალ-მუდაბარი, საკმაოდ ჭკვიანი და დაუნდობელი პიროვნება, რომელსაც არ სურდა, რომ ახალგაზრდა გამგებელს მისი ფუნქციები გადაებარებინა. ოთხი წლის განმავლობაში აჰმადი და ალ-მუდაბარი განუწყვეტელ დაპირისპირებაში იყვნენ ჩართულნი, თუმცა იმ პერიოდში სირიასა და პალესტინაში განვითარებულმა მოვლენებმა უპირატესობა იბნ ტულუნის მხარეზე გადაწონა. კერძოდ, სირია-პალესტინაში მოხდა რამდენიმე ლოკალური აჯანყება, რომლის ჩახშობაც ბაღდადის ხალიფამ ვერ შეძლო და დასახმარებლად იბნ ტულუნს მიმართა. აჰმადმა ეს შესანიშნავი შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა, მთელი საფინანსო ადმინისტრაცია თავის კონტროლს დაუქვემდებარა და გადასახადებიდან მიღებული თანხები საკუთარი ჯარის შესაქმნელად გამოიყენა. იბნ ტულუნის ახალი ლაშქარი ძირითადად შავკანიანი და ბერძენი მონებისა და მოქირავნეებისგან შედგებოდა. პირველად მოხდა ისე, რომ ეგვიპტეში აკრეფილი გადასახადები ადგილობრივი მმართველის მიერ იქნა გამოყენებული და ამ რეგიონში ჯარის შექმნას მოხმარდა.[230] ამის შემდეგ ეგვიპტე პოლიტიკურადაც მნიშვნელოვან პროვინციად იქცა, ხოლო იბნ ტულუნმა მიიღო ისეთი ძალაუფლება, როგორიც არცერთ მის წინამორბედს არ ჰქონია.[231]

---

[228] Kennedy, *The Prophet and the Age of the Caliphates*, 308.
[229] Bianquis, "Autonomus Egypt", 91.
[230] Z. M. Hassan, "Ahmad b. Tulun", *The Encyclopedia of Islam*. New edition. Prepared by a number of leading orientalists. Edited by an additoral committee consisting of H.A.R. Gibb, J. H. Kramers, E. Lévi Provençal, J. Schacht. Assisted by S.M. Stern as secretary General (pp. 1-320). B. Lewis, Ch. Pellat and J. Schacht. Assisted by C. Dumont and R.M. Savory as editoral secretaries (pp.321-1359). Under the patronage of The International Union of Academics. Volume I A-B (Leiden: Brill 1986), 278.
[231] Kennedy, *The Prophet and the Age of the Caliphates*, 308.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, შეცდომა იქნება იბნ ტულუნის დამოუკიდებელ მმართველად აღქმა, ამ სიტყვის სრული გაგებით. ოფიციალურად ის ხალიფას ნაცვალი იყო ეგვიპტეში. მისი მმართველობის მეთოდებიც აბასიანთა მოდელს ეფუძნებოდა, ანუ იმ ტრადიციებს, რომლის მიხედვითაც თვით იბნ ტულუნი აღიზარდა და მის მიერ აშენებული ახალი უბანი ფუსტატის ჩრდილოეთით, ალ-კატაი, ძალზედ ჰგავდა სამარას, სადაც მეჩეთიც კი სამარას მეჩეთის ანალოგიური იყო.

იბნ ტულუნის ფინანსური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა კიდევ უფრო გაამყარა 870/256 წელს ხალიფა ალ-მუთამიდის[232] ზეობის ხანაში სახალიფოში დამყარებულმა ორმმართველობამ. რეალური ძალაუფლება ხალიფას ძმის, ალ-მუვაფაკის, ხელში იყო და ალ-მუთამიდმა ძმის საპირწონე ძალა იბნ ტულუნში დაინახა. ალ-მუვაფაკისთვის მსგავსი კოალიციის არსებობა კატეგორიულად მიუღებელი იყო, თუმცა ის დაკავებული იყო ზანჯების[233] აჯანყების ჩახშობით და ვერაფერი მოიმოქმედა იბნ ტულუნის წინააღმდეგ.

იბნ ტულუნის მმართველობის ეპოქა ეგვიპტეში გამოირჩეოდა სიმშვიდითა და აღმავლობით. ის კარგად ხვდებოდა, რომ არსებული მდგომარეობის შენარჩუნებისთვის პირველ რიგში აუცილებელი იყო სირია-პალესტინაში სტაბილური სიტუაციის დამყარება. ამდენად, აჰმადმა მთელი მისი დიპლომატიური თუ სამხედრო ძალისხმევა ამ რეგიონში საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას მიმართა. 877/263 წელს ალ-მუვაფაკმა გადაწყვიტა ეგვიპტის დამორჩილება, რათა ამ რეგიონის რესურსები ზანჯებთან ბრძოლისთვის გამოეყენებინა და იბნ ტულუნის წინააღმდეგ თავისი თურქი სარდალი, მუსა იბნ ბუღა, გაგზავნა. მუსა დამარცხდა და იბნ ტულუნი კონტრშეტევაზე გადავიდა. მას მიეცა შესანიშნავი შესაძლებლობა შესულიყო სირიაში და ბიზანტიის წინააღმდეგ ჯიჰადში მონაწილეობა მიეღო, რაც ამ რეგიონში დამკვიდრების გასამართლებელი არგუმენტი იქნებოდა. პირველი წარმატების მიუხედავად იბნ ტულუნს მალევე მოუწია ეგვიპტეში დაბრუნება, რათა მისი შვილის, აბასის, მიერ დაწყებული აჯანყება ჩაეხშო.[234] 882/269 წელს იბნ ტულუნი შეეცადა ხალიფა ალ-მუთამიდი დაეყოლიებინა გადასულიყო ფუსტატში, რათა თავისი ძმის გავლენას მოშორებოდა, თუმცა ეს გეგმა ჩაიშალა და მათ შორის ურთიერთობის გაფუჭება გამოიწვია. თავის მხრივ ალ-მუვაფაკი

---

[232] ალ-მუʿთამიდ ʿალა ლაჰ. მეთხუთმეტე აბასიანი ხალიფა, მმართველობის წლები 870/256 – 892/279 წწ.

[233] აზ-ზანჯ ან აზ-ზინჯ. შავკანიანები. 869/255 – 883/270 წწ. სამხრეთ ერაყში მოხდა შავკანიანთა დიდი აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალი იბნ მუჰამად აზ-ზანჯი (A. Popovic, "al-Zandj", *The Encyclopedia of Islam*. New Edition. Prepared by a number of leading orientalists. Edited by P. J. Bearman, Th. Bianquis, C.E. Bosworth, E. van Donzel and W. P. Heinrichs. Under the patronage of the International Union of Academics. Volume XI (Leiden: Brill 2002), 444 – 446).

[234] Hassan, "Ahmad b. Tulun", 278.

მიხვდა, რომ აუცილებელი იყო ეგვიპტის გამგებელთან კარგი ურთიერთობის დამყარება და მასთან მოლაპარაკებები დაიწყო, თუმცა იბნ ტულუნი მალევე გარდაიცვალა. დიდი ძალაუფლების მიუხედავად ეგვიპტის ეს გამოჩენილი მმართველი არასდროს უარყოფდა აბასიანი ხალიფას ქვეშევრდომობას და გარკვეულ თანხებსაც აგზავნიდა სახალიფოს ხაზინაში. მიუხედავად იმისა, რომ იბნ ტულუნის ზეობის ხანას დაემთხვა მრავალი არეულობა და ორმმართველობა, ის იყო ძალზედ მნიშვნელოვანი რეგიონალური მმართველი და მას არასდროს ჰქონია პრეტენზია დამოუკიდებლობაზე.[235] იბნ ტულუნის გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტის მმართველი გახდა მისი შვილი, ხუმარავაიჰი. ალ-მუვაფაკი შეეცადა მისი ახალგაზრდობითა და გამოუცდელობით ესარებლა და ეგვიპტე ხელში ჩაეგდო. სამწლიანი დაპირისპირების შემდეგ, 886/273 წელს მხარეები საბოლოო შეთანხმებამდე მივიდნენ, რომლის მიხედვითაც ხუმარავაიჰს აბასიანი ხალიფასთვის მორჩილება უნდა აღეთქვა და ყოველწლიურად 300 000 დინარი გადაეგზავნა სახალიფოს ხაზინაში, რის ნაცვლადაც ის ინარჩუნებდა ხელისუფლებას ეგვიპტეში, სირიასა და ჯაზირას დასავლეთ ნაწილზე. 892/279 წელს აბასინთა ტახტზე ადის ალ-მუვაფაკის შვილი ალ-მუთადიდი,[236] რომელსაც ბევრი არაფერი შეუცვლია არსებულ შეთანხმებაში, გარდა იმისა, რომ ტულუნიანებმა დაკარგეს ძალაუფლება ჯაზირას რეგიონში.

იბნ ტულუნის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ შექმნილი ჯარი ხუმარავაიჰის ხელში გადავიდა. მან თავის მხრივ, ეგვიპტეში მცხოვრები ბედუინები დაიქირავა და მათგან პირადი გვარდია ჩამოაყალიბა. მისი მმართველობის პერიოდი ხშირად განიხილება, როგორც ზღვარსგადასული ფუფუნების ხანა, რასაც შედეგად დაცემის ეპოქა მოჰყვა. თუმცა, მზარდი ფინანსური პრობლემები მხოლოდ ხუმარავაიჰის ახირებების ბრალი არ იყო, რადგან ტულუნიანთა სამეფო ადმინისტრაცია აგებული იყო აბასიანთა მოდელზე და ზუსტად იგივე სისუსტეები ახასითებდა, რაც სამარას ადმინისტრაციას. კერძოდ, ძალზე რთული იყო უზარმაზარი და ხშირად უმოქმედო რეგულარული ჯარის შენახვა. ეგვიპტის ყველა ფინანსური პრობლემის გადაჭრა დაეკისრა ერაყული წარმომავლობის ვინმე ალი იბნ აჰმად ალ-მაზარაის, რომლის მცდელობების მიუხედავად, 896/282 წ. ხუმარავაიჰის მკვლელობის მომენტისთვის ეგვიპტის ხაზინა სრულიად ცარიელი აღმოჩნდა. ყველაფერი ამის მიუხედავად ხუმარავაიჰის თორმეტწლიანი მმართველობა საკმაოდ მშვიდობიანი იყო არა მხოლოდ ეგვიპტეში, არამედ სირიაშიც. მისი სიკვდილის შემდეგ ტულუნიანთა საგვარეულოს ძალაუფლებისგან თითქმის აღარაფერი შემორჩა. თავიდან ხელისუფლება ხუმარავაიჰის ახალგაზრდა ვაჟის, ჯაიშის ხელში გადავიდა.

[235] Kennedy, *The Prophet and the Age of the Caliphates*, 309.

[236] ალ-მუʿთადიდ ბი ალაჰ აბუ ალ-ʿაბას აჰმად. მეთექვსმეტე აბასიანი ხალიფა, მმართველობის წლები 892/279 – 902/289 წწ.

შემდეგ ჯაიში მისმა ძმამ ჰარუნმა გადააყენა და თვითონ ავიდა ტახტზე. თუმცა, ვერც ერთმა მათგანმა ნომინალური დამოუკიდებლობაც კი ვერ შეინარჩუნა. 905/282 წელს აბასიანი ხალიფას სარდალი, მუჰამად იბნ სულეიმანი, ფუსტატში შეიჭრა, რითიც დასრულდა ტულუნიანთა საგვარეულოს მმართველობა. ტულუნიანთა ხელისუფლებაში ყოფნის ხანმოკლე პერიოდმა ნათლად წარმოაჩინა, რომ ძლიერი მმართველის ხელში, კარგად ორგანიზებულ ადმინისტრაციულ აპარატსა და ჯარს თუ შექმნის, ეგვიპტეს შეუძლია გახდეს მნიშვნელოვანი რეგიონალური ცენტრი.[237]

აბასიანთა უშუალო მმართველობის აღდგენას ეგვიპტისთვის მშვიდობა და სტაბილურობა არ მოუტანია. მისი მდიდარი რესურსები ისევ რეგიონის საზღვრებს გარეთ გაედინებოდა. ფინანსური ადმინისტრაცია კვლავ მაზარაის ოჯახის ხელში აღმოჩნა, ხოლო პოლიტიკური მმართველები თურქული წარმომავლობის სარდლები იყვნენ, რომელთაგან ვერც ერთმა შეძლო მეტნაკლებად ხანგრძლივი დროის მანძილზე შეენარჩუნებინა ხელისუფლება. როგორც ჩანს, ბაღდადი ეგვიპტის მმართველებს სწორედ იმდენ თავისუფლებას აძლევდა, რამდენიც მათ საშუალებას არ მისცემდა იბნ ტულუნის ქმედებები გაემეორებინათ. ადგილობრივი მმართველების არასტაბილურობის გარდა, ეგვიპტეს გარე საფრთხეებიც ემუქრებოდა. კერძოდ 909/297 წელს თუნისში დამკვიდრებულმა ფატიმიანებმა რამდენჯერმე სცადეს ეგვიპტის დაპყრობა. ამ მცდელობების აღსაკვეთად, აბასიანმა ხალიფამ, ალ-მუკთადირმა[238] ეგვიპტეში თვისი ცნობილი მხედართმთავარი, მუნისი გაგზავნა, რათა მას პირადად წარემართა კამპანია ფატიმიანთა წინააღმდეგ, რადგანაც ადგილობრივ მმართველებს დაწესებული შეზღუდვების გამო, არ ჰქონდათ ასეთ ძლიერ მეტოქესთან გამკლავების შესაძლებლობა.

აბასიანთა ხელისუფლება ეგვიპტეში ძალზედ მერყევი იყო და ხალიფა ალ-მუკთადირის მმართველობის ბოლო წლებში საერთოდ დასრულდა. ეგვიპტის მმართველობა ხელში ჩაიგდო ირანული წარმოშობის სარდალმა, მუჰამად იბნ ტუღჯმა.[239] მუჰამადის პაპა ფერგანადან სამარაში გადავიდა, სადაც აბასიანთა სამსახურში ჩადგა. აღსანიშნავია, რომ ის იბნ ტულუნის მამის თანამედროვე იყო. მისი შვილი, ტუღჯი, ტულუნიანებს ემსახურებოდა და მათი სახელით ალეპოსა და დამასკოს განაგებდა. შემდგომ ის მუჰამად იბნ სულეიმანსა და აბასიანთა ჯარს შეუერთდა უკანასკნელი ტულუნიანი მმართველის წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიაში. მოგვიანებით, 906/294 წელს ის საპყრობილეში გარდაიცვალა. ტუღჯის

[237] Ibid. 310.

[238] ალ-მუკთადირ ბილაჰ აბუ ლ-ფადლ ჯა'ფარ. მეთვრამეტე აბასიანი ხალიფა, მმართველობის წლები 908/295 – 932/320 წწ.

[239] მუჰამად ბ. ტუღჯ. 882/268 – 946/334 წწ. ეგვიპტის მმართველი X/IV საუკუნის დასაწყისში. იხშიდიანთა დინასტიის დამაარსებელი.

შვილი მუჰამადი, რომელიც სავარაუდოდ 882/268 წელს ბაღდადში დაიბადა, მამის სიკვდილის შემდეგ ეგვიპტის თურქი მმართველის, თაკინის, სამსახურში ჩადგა და ამანის პროვინციის მმართველად დაინიშნა. 918/306 წელს ეგვიპტეში აბასიანთა სარდალი მუნისი ჩავიდა, რათა ფატიმიანთა შეტევა მოეგერიებინა და იბნ ტულჯმა ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, ხლებოდა და პირადად გაეცნო ეს ძლევამოსილი მხედართმთავრი, რომლის მფარველობა ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. 928/316 წელს იბნ ტულჯს თაქინთან კონფლიქტი მოუვიდა, თუმცა მუნისის მფარველობის შედეგად ის ამავე წელს პალესტინის, ხოლო სამი წლის შემდეგ, დამასკოს გამგებლად დაინიშნა.[240] 933/321 წელს თაქინი გარდაიცვალა და იბნ ტულჯი ეგვიპტის გამგებლი გახდა, თუმცა დიდ ხანს არ შეუნარჩუნებია ეს თანამდებობა. მუნისმა ხალიფას კეთილგანწყობა დაკარგა და ეგვიპტის მმართველად ვინმე აჰმად იბნ ქაიღალაღი დაინიშნა. ეს უკანასკნელი ძალზე სუსტი მმართველი აღმოჩნდა და მისი თანამდებობა კვლავ იბნ ტულჯს დაუბრუნეს.[241]

ეგვიპტის მმართველობის მეორედ ხელში ჩაგდების შემდეგ იბნ ტულჯს დრო და ძალა არ დაუკლია, რომ თავისი კონტროლი მთელს ეგვიპტეზე გაევრცელებინა. მისი წინამორბედი იბნ ქაიღალაღი ფატიმიანებთან გაიქცა, ხოლო თაქინის შვილი მუჰამადი და მაზარაის ოჯახი იბნ ტულჯმა ადვილად დაამარცხა. ფატიმიანთა მხრიდან წამოსულმა საფრთხემ გარკვეულწილად ხელი შეუწყო იბნ ტულჯს ხელისუფლება განემტკიცებინა. ის ინარჩუნებდა აბასიანთა მიმართ მორჩილებას და ამის საპასუხოდ, აბასიანმა ხალიფამ მას ოფიციალურად დაუმტკიცა ეგვიპტის მმართველის თანამდებობა და ფერგანას მეფეთა ტიტული „იხშიდი” უბოძა. იბნ ტულუნის მსგავსად, იბნ ტულჯმაც დაიწყო ძლიერი ჯარის ფორმირება, რისთვისაც მრავალი შავკანიანი და თურქი მოქირავნე მიიწვია. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, იბნ ტულჯი იმდენად წარმატებული ვერ აღმოჩნდა, როგორც იბნ ტულუნი. მას მოუწია მოლაპარაკებები გაემართა ალეპოს ჰამდანიან გამგებელ - საიფ ად-დავლასთან,[242] რომელიც ალეპოს გარდა განაგებდა ჰომსსა და ანტიოქიას. ეს ტერიტორიები თავის დროზე იბნ ტულუნის კონტროლის ქვეშ იყო, მაშინ როდესაც იბნ ტულჯის მმართველობა სირიაში მხოლოდ დამასკოსა და პალესტინაზე ვრცელდებოდა. მისი ერთადერთი მცდელობა ჩარეულიყო დანარჩენი ისლამური სამყაროს საქმეებში 944/333 წელს მოხდა, როდესაც ის აბასიანთა ხალიფას, ალ-მუთაკის[243] რაკაში შეხვდა და შეეცადა დაერწმუნებინა, ეგვიპტეში გადასულიყო. სწორედ ისევე, როგორც

[240] Bianquis, “Autonomus Egypt”, 112.
[241] Kennedy, *The Prophet and the Age of the Caliphates*, 311.
[242] საიფ ად-დავლა აბუ ლ-ჰასან ბ. ჰამდან. 916/303 – 967/356 წწ. ჩრდილოეთ სირიის, მაიფარიკინისა და დასავლეთ ჯაზირას მმართველი 945/333 – 967/356 წწ.
[243] ალ-მუთთაკი ლილაჰ აბუ ისჰაკ იბრაჰიმ. ოცდამეერთე აბასიანი ხალიფა, მმართველობის წლები 940/329 – 944/333 წწ.

მანამდე იბნ ტულუნი შეეცადა დაერწმუნებინა ალ-მუთამიდი გადასულიყო ფუსტატში. იბნ ტულჯის შეგონებების მიუხედავად ხალიფა ერაყში დარჩა, სადაც ის ცოტა ხანში გადააყენეს და თვალები დასთხარეს.[244]

იბნ ტულჯი გარდაიცვალა 946/334 წელს, თუმცა, მანამდე, 944/333 წელს აბასიანთა ხალიფას მოელაპარაკა, რომ მას ეგვიპტე ოცდაათი წლის მანძილზე უნდა ემართა და სიკვდილის შემდეგ კი, ხელისუფლება მის შვილებს უნდა გადასცემოდა მემკვიდრეობით. მართლაც, იბნ ტულჯის გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტის მმართველობა მისი მცირეწლოვანი ვაჟის, უნუჯურის, ხელში გადავიდა, თუმცა რეალური ძალაუფლება მის შავკანიან საჭურის მეურვეს, ქაფურს ეპყრო. ეს მრავალმხრივ ნიჭიერი პიროვნება ოცდაორი წლის მანძილზე მართავდა ეგვიპტეს. 961/349 წელს უნუჯური გარდაიცვალა და ეგვიპტის ნომინალური ხელისუფალი გახდა მისი უმცროსი ძმა, ალი, რომელიც აგრეთვე ქაფურის მარიონეტი იყო. 966/355 წელს ალი გარდაიცვალა და ქაფურმა თავი ეგვიპტის ოფიციალურ მმართველად გამოაცხადა. ორი წლის შემდეგ ეს შავკანიანი საჭურისიც გარდაიცვალა.[245]

ტულუნიანებისა და იხშიდიანების მმართველობას მრავალი პარალელი მოეძებნება. ორივე ოფიციალურად აბასიანთა ხალიფას ემორჩილებოდა. ორივე ცდილობდა შეექმნა ძლიერი ჯარი, რომელიც ეგვიპტის საზღვრებს გარედან მოყვანილი მონებითა და მოქირავნეებით იყო დაკომპლექტებული. როგორც ტულუნიანები, ასევე იხშიდიანები ძალას არ იშურებდნენ, რათა ეგვიპტის უმდიდრესი რესურსების საზღვრებს გარეთ გადინება აღეკვეთათ. სწორედ ასეთი საფუძველი დახვდათ ფატიმიანებს, როდესაც მათ 969/358 წელს ეგვიპტე დაიპყრეს.[246]

3.3 ფატიმიანთა მიერ ეგვიპტის დაპყრობა და კაიროს დაარსება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფატიმიანთა პირველი სამი შეტევა ეგვიპტეზე წარუმატებლად დასრულდა. ეს პირველ რიგში გამოწვეული იყო ფატიმიანთა სახალიფოში მომხდარი შიდა არეულობებით. 953/341 წელს ფატიმიანთა ტახტზე ადის ხალიფა ალ-მუიზი,[247] რომელმაც ყველა შიდა პრობლემის ეტაპობრივად მოგვარება შეძლო და თავისი ძლაუფლება განამტკიცა ჩრდილოეთ აფრიკის მთელს დასავლეთ ნაწილში.

ახალმა ხალიფამ სამი ძირითადი მიზანი დაისახა. პირველი და უმნიშვნელოვანესი იყო ისმაილიტური დოქტრინის, რომელიც იმ პერიოდში

---

[244] Bianquis, “Autonomus Egypt”, 113.
[245] Kennedy, *The Prophet and the Age of the Caliphates*, 312.
[246] Ibid. 313.
[247] ალ-მუʻიზ აბუ თამიმ მუ’ად ბ. მანსურ ალ-ʻაბიდი ალ-მუʻიზ ლი დინ ალლაჰი. 931/319 – 975/365. მეოთხე ფატიმიანი ხალიფა, მმართველობის წლები 953/341 – 975/365.

ძირითადად ზეპირსიტყვიერებას ემყარებოდა, ერთ კორპუსში მოქცევა და ერთგვარი ისმაილიტური კანონმდებლობის შექმნა. ეს პროცესი აუცილებელი და გადაუდებელი გახადა სუნიტთა მხრიდან წამოწყებულმა ანტიისმაილიტურმა კამპანიამ და ე.წ. „შავი ლეგენდის“ შექმნამ, რომელიც ფატიმიანთა დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. ეს კორპუსი ყველასთვის უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი. ის გათვლილი იყო როგორც შიიტების ასე სუნიტებისთვის. მუსლიმ საზოგადოებას უნდა დაენახა, რომ ისმაილიზმი არ არის ერესი, როგორც ამას სუნიტი ავტორები წერდნენ, არამედ სწორედ ეს მიმდინარეობაა ჭეშმარიტი ისლამი. ეს ურთულესი საქმე დაევალა ცნობილ ისმაილიტ ღვთისმეტყველს, კადი[248] ან-ნუმანს, რომელმაც შესძლო პირველი ისმაილიტური საკანონმდებლო კორპუსის შექმნა.[249] ან-ნუმანის ძირითადი ნაშრომი არის „და'ა'იმ ალ-ისლამ“ (ისლამის ბურჯები), რომელიც იქცა ფატიმიანთა ოფიციალურ სამართლის კოდექსად და დღემდე რჩება ასეთად ტაიბიტ ისმაილიტებთან. ეს ნაშრომი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან. პირველში განხილულია „'იბადათ“-ი, ანუ მრწამსი და რელიგიური მოვალეობები, მეორეში - „მუ'ამალათ“-ი, ანუ საერო მოვალეობები.[250]

აღსანიშნავია, რომ ისმაილიტები, ყველა მუსლიმის მსგავსად, აღიარებენ ყურანსა და ჰადისებს თავიანთი კანონმდებლობის პირველწყაროდ. მათ, ისევე როგორც სხვა შიიტურ მიმდინარეობებს, სუნიტებისგან განასხვავებს იმამატის დოქტრინა. ისმაილიტთა, ისევე როგორც სხვა შიიტთა წარმოდგენით, იმამი არის უმაღლესი ინსტანცია, ვინც ღვთის კანონების ინტერპრეტაციას აკეთებს. ამდენად, ისმაილიტებისთვის იმამი არის კანონმდებლობის მესამე წყარო. ისმაილიტები უარყოფენ სუნიტურ კანონმდებლობაში მიღებულ „იჯმა“[251] –ს და „კიას“[252] -ს.[253]

იმავდროულად დაიწყო ისმაილიტი იმამების ისტორიის წერა, რომლის მიზანიც იყო „შავი ლეგენდის“ გაბათილება და იმის დამტკიცება, რომ ფატიმიანი ხალიფები ჭეშმარიტად ალისა და ფატიმას პირდაპირი შთამომავლები იყვნენ. დაბოლოს, სწორედ ამ დროს იქნენ კანონიზირებულნი ისეთი ავტორები, როგორიცაა ნეოპლატონისტი ას-სიჯისტანი და მისი წინამორბედები.[254]

---

[248] კადი - მუსლიმი მოსამართლე, რომელიც მართლმსაჯულებას შარიათის კანონების თანახმად ასრულებს.

[249] P. E.Walker, *Exploring an Islamic Empire: Fatimid History and its Sources* (London: I. B. Tauris, 2002), 33.

[250] F. Daftary, *The Isma'ilis. Their History and Doctrines* (Cambridge University Press 2007), 169.

[251] იჯმა' – არაბული სიტყვაა და ნიშნავს ერთსულოვნებას. ისლამურ კანონმდებლობაში „იჯმა'“ ნიშნავს კოლექტიურისა და ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღებას. ამ გადაწყვეტილებას იღებენ სუნიტი ავტორიტეტული ღვთისმეტყველები, თუ კონკრეტულ საკითხზე პასუხი არ არის მოცემული ყურანსა ან ჰადისებში.

[252] კიას – არაბული სიტყვაა და ნიშნავს: სტანდარტი; წესი; ნორმა. ისლამურ კანონმდებლობაში „კიას“ ნიშნავს გადაწყვეტილების მიღებას ანალოგიის საფუძველზე.

[253] Daftary, *The Isma'ilis*, 171.

[254] Walker, "The Isma'ili Da'wa and Fatimid Caliphate", 135.

მეორე საკითხი სასწრაფო დარეგულირებას რომ ითხოვდა, იყო ახალი პროფესიონალური ადმინისტრაციის შექმნა, რომელიც არ იქნებოდა გაჟღენთილი ძველი, ტომობრივი პრობლემებით. ალ-მუიზი კარგად ხვდებოდა, რომ ფატიმიანთა ძალაუფლება ბერბერებზე იყო დამყარებული, რადგანაც სახელმწიფო ადმინისტრაციასა და ჯარში მხოლოდ ბერბერები, კერძოდ კი, ქუთამას ტომის წარმომადგენელები იყვნენ. სახელმწიფო აპარატის მუშაობას პირველ რიგში ხელს უშლიდა ბერბერთა ზედმეტი თავისუფლება და ტრადიციული დაპირისპირება არაბულ მოსახლეობასთან. სწორედ ამიტომ, ალ-მუიზის დროს დაიწყო განთავისუფლებული მონების დასაქმება ხალიფას ადმინისტრაციაში. ეს ძალზედ ხელსაყრელი იყო, რადგანაც ბერძენი და სლავური წარმოშობის მონები კარგად იცნობდნენ ადმინისტრაციული აპარატის მართვის სისტემას, ასევე აღსანიშნავია, რომ თავისუფლების სტატუსის მიუხედავად თავისი განმანთავისუფლებლის მიმართ ისინი ერთგულნი რჩებოდნენ. ყოფილი მონის მიერ მაღალი თანამდებობის მიღწევის საუკეთესო მაგალითია ჯავჰარი,[255] სიცილიური წარმოშობის ყოფილი მონა, რომელსაც ჯერ კიდევ ხალიფა ალ-მანსურმა[256] უბოძა თავისუფლება და თავის ქათიბად[257] დანიშნა, ხოლო ალ-მუიზმა მაღრიბისა და ეგვიპტის სამხედრო კამპანიების მართვა დაავალა.[258]

მესამე მნიშვნელოვანი საკითხი იყო დასავლელ ისმაილიტებთან კონტაქტების აღდგენა. კარმატების ძალის გამოყენება მნიშვნელოვან უპირატესობას მისცემდა ფატიმიანებს აბასიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში.[259] სწორედ ამ მიზნის მისაღწევად ალ-მუიზმა ფატიმიანთა ისმაილიტურ დოქტრინაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა.

ჩრდილოეთ აფრიკაში დაარსებული ფატიმიანთა სახელმწიფოს მოსახლეობა უმეტესწილად მალიქიტური მაზჰაბისა ან ხარიჯიზმის მიმდევარი იყო. ეს გარემოება მმართველ წრეებს იფრიკიის ტერიტორიაზე ისმაილიტური დოქტრინის გავრცელებაში გარკვეულ სირთულეებს უქმნიდა. ამდენად, ფატიმიანებმა სახელმწიფოს წამყვანი თანამდებობებიდან დაიწყეს მალიქიტი ღვთისმეტყველების გადაყენება. პირველი სამი ფატიმიანი ხალიფა იმდენად იყო დაკავებული თავისი პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცებით, რომ მათ მიერ

---

[255] ჯავჰარ სიცილიელი. 928/315 – 992/381 წწ. ფატიმიანთა ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მთავარსარდალი. წარმოშობით სიცილიელი ბერძენი. ჩრ. აფრიკაში მონად ჩაიყვანეს. ალ-მანსურის დროს მან თავისუფლება მოიპოვა და ხალიფას სამსახურში ჩადგა. ის ჯერ ხალიფას მდივანი იყო შემდგომ კი ვეზირი. ჯავჰარის სარდლობით მოხდა ფესისა (959/348 წ.) და ეგვიპტის დაპყრობა (969/358 წ.). ჯავჰარის მოღვაწეობის შესახებ დაწვრილებით იხ. Ḥasan, ʻAli Ibrāhīm, *Tārīkh Jawhar aṣ-Ṣaqiliyy: Qa'id al-Mu'iz li Dīn Allah al- Fāṭimiyy* (al-Qāhira: Maṭbaʻa as-Saʻāda, 1963).

[256] ისმაʻილ ალ-მანსურ ბილაჰი. 914/301 წწ. მესამე ფატიმიანი ხალიფა, მმართველობის წლები 946/334 – 953/341.

[257] ქათიბ მრ. ქუთთაბ, არაბული სიტყვაა და ნიშნავს: მწერალი, გადამწერი, მდივანი.

[258] Walker, "The Ismaʻili Daʻwa and Fatimid Caliphate", 136.

[259] Ibid. 133.

კონტროლირებადი ტერიტორიების გარეთ ისმაილიტური სწავლების გავრცელებაზე თითქმის არ უზრუნიათ. ალ-მუიზი იყო პირველი ფატიმიანი ხალიფა, რომელმაც ნათლად ჩამოაყალიბა ისმაილიტური „და'ვა"-ს მიზნები. კერძოდ, მან დიდ ძალისხმევას მიმართა, რათა გაეძლიერებინა „და'ვა" ფატიმინათა სახალიფოს გარეთ. ამ პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენდა კარმატთა შემომტკიცება და ამის საშუალებით ისმაილიტთა იდეოლოგიური ერთობის აღდგენა. სავარაუდოდ მისი მთავარი მიზანი იყო არა მხოლოდ კარმატთა გამოყენება აბასიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ მათი ზეგავლენის შეჩერება იმ ისმაილიტთა მიმართ, ვინც ფატიმიანთა სახალიფოს საზღვრებს გარეთ ცხოვრობდა.[260] განსხვავებით თავისი წინამორბედებისგან, რომლებიც მთელ თავის ძალისხმევას პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცებისკენ მიმართავდნენ, ალ-მუიზი ძალიან სერიოზულად მოეკიდა იდეოლოგიურ საკითხებს. მან მოიწვია წარმომადგენლები სინდიდან და სხვა შორეული ტერიტორიებიდან, სადაც ფატიმიანების მიმართ ლოიალურად განწყობილი ისმაილიტები სახლობდნენ. ხალიფა პირადად განიხილავდა მათთან ისმაილიტური დოქტრინის საკვანძო საკითხებს და ცდილობდა ყველა მათი თეოლოგიური შეცდომა გამოესწორებინა. ბოლო დროს აღმოჩენილი ისმაილიტური წყაროების შესწავლის შედეგად დღეს ნათელი ხდება, რომ ალ-მუიზმა შეცვალა ისმაილიტური სწავლების გარკვეული საკითხები და დააკანონა განდგომილ ისმაილიტთა ზოგიერთი მოსაზრება. ალ-მუიზის რეფორმის შედეგი იყო ადრეულ ისმილიტთა მიერ აღიარებული იმამატის დოქტრინის ნაწილობრივი აღორძინება. ეს რეფორმა ნათლად აისახა იმ პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო ისმაილიტი მეცნიერების, კადი ან-ნუმანისა და ჯაფარ იბნ მანსურ ალ-იამანის, ნაშრომებში ისევე როგორც თვით ხალიფას წერილებში.

პირველმა ფატიმიანმა ხალიფამ უარყო მუჰამად იბნ ისმაილი, როგორც „მაჰდი-კა'იმ"-ი და ისმაილიტთა იმამებად საკუთარი თავი და თავისი შთამომავლები აღიარა. უბაიდ ალაჰის მიერ ასეთი ფორმით გამოცხადებული იმამობის გაგრძელება მოგვიანებით განამტკიცა კადი ან-ნუმანმა, რომელმაც არაორაზროვნად დაუშვა მეექვსე ეპოქაში, ანუ მოციქულ მუჰამადის ეპოქაში იმამთა რამდენიმე შვიდეულის არსებობა. თუმცა მოგვიანებით, სიკვდილამდე ცოტა ადრე დაწერილ ტრაქტატში კადი ან-ნუმანმა წარმოადგინა ფატიმიანთა დოქტრინის განსხვავებული ვერსია, რომელიც ამჯერად ეთანხმებოდა ალ-მუიზის რეფორმას.

სავარაუდოდ ეს ტრაქტატი კადი ან-ნუმანმა აღმოსავლეთში მცხოვრებ ისმაილიტთა ერთ-ერთი თემის მიერ გამოგზავნილი ელჩის მიერ წამოჭრილ კითხვებზე საპასუხოდ დაწერა. ან-ნუმანის პასუხებში წამყვანი მნიშვნელობა

[260] Daftary, *The Isma'ilis,* 163.

„კა’იმ“-სა და მის გამოჩენას მიენიჭა. იმ პერიოდში „კა’იმ“-ის შესახებ არსებული სხვადასხვა შიიტური მიმდინარეობის დოქტრინების შესწავლის შემდეგ, ან-ნუმანი ხსნის, რომ „კა’იმ“-ს გააჩნია სამი განზომილება („ჰუდუდ“): განზომილება მატერიალურ სამყაროში, განზომილება სულიერ სამყაროში, ანუ აღორძინება და ბოლოს, განკითხვის დღის განზომილება. ის კონკრეტულად ასახელებს „კა’იმ“-ის ორ განზომილებას მატერიალურ სამყაროში: მოსაუბრე-მოციქული („ნატიკ“) და მისი მართლმორწმუნე ნაცვლები („ალ-ხულაფა’ არ-რაშიდუნ“).

ან-ნუმანის მიხედევით „კა’იმ“-ი მეშვიდე იმამად გამოჩნდა ისტორიის მეექვსე, ანუ ისლამის ეპოქის დასასრულს. ამდენად, მან მიიღო თავისი პირველი მატერიალური განზომილება მუჰამად იბნ ისმაილის პიროვნებაში, როგორც მეშვიდე „ნატიკი“, რომელსაც ახალი კანონმდებლობა არ გამოუცხადებია. რადგანაც „კა’იმ“-ი გამოჩნდა დაფარვის პერიოდში, მისი გამოცხადება, რომელიც შეიცავდა რელიგიური კანონმდებლობის დაფარული მნიშვნელობების ინტერპრეტაციას, დაფარულად დარჩა. ამიტომ „კა’იმ“-მა თავისი ნაცვლები დანიშნა, რომლებშიც მან მიიღო თავისი მეორე მატერიალური განზომილება.[261] ამ ნაცვლების საშუალებით „კა’იმ“-ი გახსნის კანონმდებლობის დაფარულ მნიშვნელობებს და ყველაფერს გააკეთებს რაც მას ევალება, რადგანაც მუჰამად იბნ ისმაილი აღარ დაბრუნდება. მისი ნაცვლები ასევე დაფარულები იყვნენ მანამ, სანამ უბაიდ ალაჰმა ფატიმიანთა სახალიფოს დაარსებით არ გამოაცხადა გახსნილობის პერიოდი („დავრ ალ-ქაშფ“). ამის შემდეგ ფატიმიანი იმამები, როგორც „კა’იმ“-ის კანონიერი მემკვიდრეები, განაგრძობენ მმართველობას მატერიალური სამყაროს დასასრულამდე, უკანასკნელი მათგანი კი „კა’იმ“-ის „ჰუჯჯა“ იქნება. ამის შემდეგ „კა’იმ“-ი მიიღებს ახალ განზომილებას, აღორძინდება ვარსკვლავთა სულიერ ეპოქაში და განსჯის კაცობრიობას სანამ საბოლოოდ არ ამაღლდება და არ შეუერთდება სამყაროს სულს.

აღსანიშნავია, რომ ეს სისტემა შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებს. ერთის მხრივ ან-ნუმანი ამბობს, რომ განკითხვის დღემდე ყურანი და შარიათის კანონები არ უნდა გაუქმდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მუჰამადის ეპოქა განკითხვის დღემდე გაგრძელდება. ამავე დროს ის აცხადებს, რომ მეშვიდე, ანუ „კა’იმ-მაჰდი“-ს ეპოქა დაიწყო მას შემდეგ, რაც „კა’იმ“-ი ჯერ მუჰამად იბნ ისმაილის და შემდეგ მის ნაცვლებში, ფატიმიანთა ხალიფების სახით, მოევლინა სამყაროს. ამდენად, სწორედ მათ უნდა მოეყვანათ სისრულეში „კა’იმ“-ის მისია და გამოეაშკარავებინათ ყველა წინამორბედი კანონმდებლობის, მათ შორის ისლამური შარიათის, ფარული მნიშვნელობა.

მსგავსი წარმოდგენები შეგვიძლია ვიპოვოთ თვითონ ალ-მუიზის წერილებში. კერძოდ, „მუნაჯათ“-ში, რომელსაც მას სირიელი ისმაილიტები მიაწერენ, „შვიდი

[261] Ibid. 164.

დღის ლოცვებში“ და სხვ. ალ-მუიზიც ხშირად წერს „კა’იმ“-ის შესახებ და ახსენებს მას როგორც მეშვიდე „ნატიკ“-სა და მუჰამადის ეპოქის მეშვიდე იმამს. ალ-მუიზისა და ან-ნუმანის მიხედვით „კა’იმ“-ს არ მოუტანია ახალი კანონმდებლობა და მხოლოდ წინამორბედი კანონმდებლობების დაფარულ მნიშვნელობას ხსნის. ალ-მუიზი ასევე საუბრობს ნაცვლებზე, რომლებიც კანონიერად მოქმედებენ და „კა’იმ“-ის დოქტრინასა და ქმედებებს წარმოადგენენ. ის ასევე დასძენს, რომ აღარ არის „კა’იმ“-ი, ან ეპოქის უფალი, არამედ არის მხოლოდ ეპოქის იმამი, რომელიც ხსნის კანონმდებლობის დაფარულ მნიშვნელობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ალ-მუიზი უარყოფს მუჰამად იბნ ისმაილის მატერიალურ დაბრუნებას, რადგანაც მისმა ნაცვლებმა, ფატიმიანებმა, სრულად აიღეს საკუთარ თავზე „კა’იმ“-ის ყველა მოვალეობა.

ალ-მუიზის მიერ შემუშავებული დოქტრინა ასევე ნათლად აისახა ჯაფარ იბნ მანსურ ალ-იამანის გვიანდელ შრომებში - „აშ-შავაჰიდ ვა ალ-ბაიან“ -სა და „თა’ვილ ალ-ზაქათ“-ში, რომლებიც შეიქმნა ალ-მუიზის მმართველობის უკანასკნელ წლებში. ამ ნაშრომებში ჯაფარი განიხილავს შვიდი „ნატიკ“-ის ეპოქას, სადაც გამოყოფს მეშვიდეს, ანუ ისმაილ იბნ ჯაფარისა და მისი ნაცვლების ეპოქას. საინტერესოა, რომ ჯაფარი, რიგითი „ნატიკ“-ებისგან განსხვავებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას „კა’იმ“-სა და მის ნაცვლებს ანიჭებს.[262]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ალ-მუიზმა აღადგინა ისმაილ იბნ ჯაფარისა და მისი შვილის, მუჰამადის, იმამობა ფატიმიანთა საგვარეულოს დამაარსებლის, უბაიდ ალაჰ მაჰდის იმამობის საწინააღმდეგოდ. მან კვლავ მიანიჭა ისლამის ეპოქის მეშვიდე იმამს, მუჰამად იბნ ისმაილს, „კა’იმ“-ისა და უკანასკნელი ეპოქის „ნატიკ“-ის სტატუსი, თუმცა ფატიმიანებამდელი ისმაილიტების დოქტრინისგან განსხვავებულად, ანუ, რადგანაც „კა’იმ“-ი გამოჩნდა დაფარვის ეპოქაში მისი მოვალეობები დაეკისრა მის ნაცვლებს, ფატიმიან იმამებს. ალ-მუიზმა ისმაილიზმში შემოიტანა ასევე ნეოპლატონური იდეები; ამდენად, თუ მანამდე ამ იდეების გამტარებლები ორთოდოქსალურ ისმაილიზმში განდგომილებად ითვლებოდნენ, ალ-მუიზის დროიდან დაიწყო მათი ნაშრომების აქტიური შესწავლა.

ამ რელიგიური რეფორმის გატარების შედეგად, ალ-მუიზმა დიდ წარმატებას მიაღწია აღმოსავლელი კარმატების შემომტკიცებაში. მან დაი ას-სიჯისტანის, რომელიც თავის შრომებში ფატიმიანთა იმამობას უჭერდა მხარს, გულის მოგებაც შეძლო. გარდა ამისა ხორასანის, სისტანისა და მაკრანის ისმაილიტებმა ფატიმიანებს მხარი დაუჭირეს. ალ-მუიზმა წარმატებით შესძლო ისმაილიტური პლაცდარმის დაარსება ჩრდილოეთ ინდოეთში, კერძოდ კი სინდში, რომლის

[262] Ibid. 165.

დედაქალაქი მულტანი, დროებით ადგილობრივი ისმაილიტების რეგიონალურ ცენტრად იქცა.[263]

ის რომ ფატიმიანთა საბოლოო მიზანს აბასიანთა დამხობა და ბაღდადში დამკვიდრება წარმოადგენდა, ნათლად გამოჩნდა ალ-მუიზის მიერ ბიზანტიელი ელჩისთვის მიცემული დაპირებიდან. საქმე იმაშია, რომ როდესაც ბიზანტიის ელჩი თუნისში ფატიმიანთა კარზე ჩავიდა, ხალიფა მას შეჰპირდა, რომ მათი შემდეგი შეხვედრა ეგვიპტეში შედგებოდა. მართლაც, რამდენიმე წელიწადში ბიზანტიის ელჩი ალ-მუიზს უკვე კაიროში შეხვდა, სადაც ხალიფა შეჰპირდა, რომ მათი მესამე შეხვედრა უკვე ბაღდადში შედგებოდა.[264] ამდენად, ასეთი შორსმიმავალი მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი იყო ყველა შესაძლებელი რესურსის გამოყენება და განსაკუთრებით, კი იმ ძალისა, რომელიც საკმაოდ ახლოს იმყოფებოდა ბაღდადთან[265] და ყოველთვის სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა აბასიანებს ამ რეგიონში. ალ-მუიზმა წარმატებით დაამყარა კონტაქტები კარმატებთან და 951/339 წელს აიძულა ისინი, შავი ქვა[266] მექაში დაებრუნებინათ.[267] მას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ეგვიპტურ ჯარში მომსახურე ბერბერ მოქირავნეებთან. როდესაც იბნ ტუღჯმა ხელისუფლება ხელში ჩაიგდო, მას დაუპირისპირდნენ აჰმად იბნ ქაიღალაღთან მომსახურე ბერბერები, ანუ „ალ-მაღარიბა“-ს[268] ნაწილები, რადგანაც იბნ ტუღჯი ძირითადად ეყრდნობოდა თურქ მოქირავნეებს, ანუ „ალ-მაშარიკა“-ს[269]. იბნ ტუღჯის ხელისუფლებაში დამკვიდრების შემდეგ „ალ-მაღარიბა“-ს დიდ ნაწილს გაქცევა მოუწია და მათ თავი ფატიმიანებს შეაფარეს. ქაფურის მმართველობის ბოლოს ეგვიპტეში მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი, რასაც რამდენიმე წყალდიდობა დაემატა. ამის შედეგად ეგვიპტური საზოგადოება ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო: პირველი იყო სამოქალაქო ადმინისტრაციის, ან ქუთაბ-თა პარტია, რომელსაც ჯაფარ იბნ ალ-ფადლ იბნ ალ-ფურატი მეთაურობდა და მეორე - ჯარი.[270] ამის შედეგად ფატიმიანებს საშუალება მიეცათ არსებული მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. მათ დაამყარეს მჭიდრო კონტაქტები ეგვიპტის

---

[263] Ibid. 165.

[264] Walker, “The Isma‘ili Da‘wa and Fatimid Caliphate”, 136.

[265] IX/III საუკუნის ბოლოს კარმატებმა კ. ბაჰრეინზე დაარსეს სახელმწიფო, საიდანაც ხშირად აწყობდნენ მარბიელ ლაშქრობებს, როგორც ბასრასა და სამხრეთ ერაყის სხვა ქალაქებზე, ასევე სირიის ტერიტორიაზე.

[266] ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რელიქვია ისლამში. ის მოთავსებულია ქააბას ტაძრის გარე კედლის აღმოსავლეთ კუთხეში. 930/317 წელს მექაზე შეტევის დროს შავი ქვა კარმატებმა გაიტაცეს და ბაჰრეინზე წაიღეს.

[267] გ.სანიკიძე, „შავი ქვა“, *ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი* (თბილისი 1999), 208.

[268] ალ-მაღარიბა - მუსლიმური სამყაროს დასავლეთში მცხოვრები არა არაბები, ძირითადად ბერბერები.

[269] ალ-მაშარიკა - მუსლიმური სამყაროს აღმოსავლეთში მცხოვრები არა არაბები, ძირითადად თურქული წარმოშობის ხალხები და ირანის მოსახლეობა.

[270] Kennedy, *The Prophet and the Age of the Caliphates*, 315.

საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან, ალის ოჯახის წარმომადგენლებთან და რაც მთავარია, ფინანსურ ადმინისტრაციასთან, რომლის თავკაცი, იაკუბ იბნ კილისი, ქაფურის ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელთან, იბნ ფურატთან, კონფლიქტის გამო ფატიმიანებთან გაიქცა.[271] ეგვიპტეში ფატიმიურ პროპაგანდას ხელმძღვანელობდა მდიდარი ვაჭარი აჰმად იბნ ნასრი, რომელიც ქაფურის მმართველობის უკანასკნელ წლებში უკვე დაუფარავად მოქმედებდა. ის ცდილობდა დაერწმუნებინა ეგვიპტის მოსახლეობა, რომ ხალიფა ალ-მუიზი მათ კეთილდღეობას მოუტანდა. ასევე ფატიმიანთა მსტოვრებმა ააჯანყეს ბედუინთა ტომები, კერძოდ, ბანუ კურა, ნილოსის დელტის აღმოსავლეთით, ბანუ ჰილალი და ბერბერები დელტის დასავლეთით. ასევე სირიის ტერიტორიაზე იხშიდიანთა პოზიციებს უტევდნენ ფატიმიანთა მოკავშირე კარმატები. ყველა ამ ხელსაყრელი გარემოების გარდა, დაი იდრის იმად ად-დინი გადმოგვცემს, რომ ფატიმიანებმა ეგვიპტეზე მეოთხე შეტევისთვის დიდი მონდომებით დაიწყეს მზადება, რათა არ განმეორებულიყო ადრე დაშვებული შეცდომები.[272] წყაროების მიხედვით ალ-მუიზმა ამ კამპანიისთვის სპეციალური გადასახადი აკრიფა და 24 000 000 დინარი შეაგროვა.[273] ამ თანხის ნაწილი ხალიფამ ბერბერთა ბელადებს დაურიგა, რათა მათ ჯარისკაცები სრულად შეეიარაღებინათ, ხოლო დარჩენილი ფულით გზების მშენებლობა, გზისპირა ჭების ამოთხრა და ქარვასლების აგება ბრძანა.[274] 968/357 წელს გარდაიცვალა ქაფური და ხელისუფლება გადავიდა იხშიდიანთა გვარის მცირეწლოვანი წარმომადგენლის, აჰმად იბნ ალის, ხელში, თუმცა ეგვიპტის ადმინისტრაციას განაგებდა იბნ ალ-ფურატი, რომელსაც ოპოზიციაში ჩაუდგნენ ჰასან იბნ უბაიდ ალაჰი, დამასკოს იხშიდიანთა გვარის წარმომადგენელი და ჯარის მთავარსარდალი - შამული. ეგვიპტის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიაში ფატიმიანთა არმიას სარდლობდა ცნობილი მხედართმთავარი ჯავჰარი. 969 წლის თებერვალში/358 წლის რაბი ალ-ავალში ფატიმიანთა ასი ათასიანი არმია ჯავჰარის სარდლობით იფრიკიიდან აღმოსავლეთის მიმართულებით დაიძრა. როგორც კი ეგვიპტეს მიაღწიეს, ჯავჰარმა უმალ დაიწყო მოლაპარაკებები სამოქალაქო ელიტის წარმომადგენლებსა და სასულიერო პირებთან. მხარეები მალე მივიდნენ შეთანხმებამდე და ალექსანდრია ჯავჰარს უბრძოლველად ჩააბარეს[275] რჩებოდა მხოლოდ ჯარისა და სამხედრო პირების გადმობირება. აქ

[271] O'Leary, *A Short History of Fatimid Khalifat,* 100.

[272] Idrīs 'Imād ad-dīn, *Tārīkh al-Khulafā' al-Fāṭimiyyīn bi al-Maghrib,* al-Qism al-Khāṣ min Kitāb *'Uyūn al-Akhbār* li ad-Da'yī Idrīs 'Imād ad-dīn, al-Mutawaffyi sana 1488/872, taḥqīq Muḥammad al-Ya'ulāwyyi (Bayrūt: dār al-Gharb al-Islāmyi, 1985), 666 – 667.

[273] Walker, "The Isma'ili Da'wa and Fatimid Caliphate", 137. Ḥasan, 'Ali Ibrāhīm, *Tārīkh Jawhar aṣ-Ṣaqiliyy,* 27.

[274] O'Leary, *A Short History of Fatimid Khalifat,* 98. ; Ḥasan, 'Ali Ibrāhīm, *Tārīkh Jawhar aṣ-Ṣaqiliyy,* 27.

[275] Ḥasan, Ibrāhīm Ḥasan, *al-Fāīmiyyūn fī Miṣr wa A'māluhum as-Siyyasiyya wa ad-Dīniyya bi Wajh Khāṣ* (al-Qāhira: al-Maṭba'a al-Amīriyya bi al-Qāhira, 1932), 105.

საქმე უფრო რთულად წარიმართა, თუმცა რამდენიმე შეტაკების შემდეგ იხშიდიანთა ჯარიც დათმობაზე წავიდა და 969 წლის ივლისში/358 წლის შაბანში ჯავჰარი ფუსტატში შევიდა. ამის შემდეგ ფუსტატის ცენტრალურ მეჩეთში ფატიმიანი ხალიფას სახელზე ხუტბა აღევლინა.[276]

ჯავჰარი ეფექტურად მართავდა ეგვიპტეს ოთხი წლის განმავლობაში. მან შეინარჩუნა იხშიდიანთა მართვის სისტემა და ადმინისტრაციას ისევ იბნ ალ-ფურატი ჩაუყენა სათავეში, ისევე როგორც ქაფურისა და იხშიდიანთა პერიოდში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჯავჰარმა თანამდებობებზე დატოვა ოთხმოცი წლის ფუსტატის კადი აბუ ტაჰირი და ამრის მეჩეთის ხატიბი, რომელიც აბასიანთა გვარის წარმომადგენელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იხშიდიანთა არმიის მცირე ჯგუფები მაინც აგრძელებდნენ წინააღმდეგობას, ფართო მასებმა სიხარულით მიიღეს ჯავჰარის ახალი სტაბილური მმართველობა, მით უმეტეს, რომ დასავლელები არ აიძულებდნენ მოსახლეობას ისმაილიტურ მიმდინარეობაზე გადასვლას. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ჯავჰარმა გააკეთა, ეს იყო ახალი დედაქალაქის, კაიროს[277] დაარსება, სადაც ბრძანა ალ-აზჰარის მეჩეთის აგება.[278]

3.4 ფატიმიანთა ბრძოლა სირიისთვის.

ეგვიპტეში დამკვიდრების შემდეგ ფატიმიანთა წინაშე, სირია-პალესტინის დაპყრობის პრობლემა დადგა. პირველ რიგში უნდა მოგვარებულიყო უსაფრთხოების საკითხი და ამისთვის აუცილებელი იყო დამასკო და პალესტინა ფატიმიანებს დაქვემდებარებოდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური საკითხი. როდესაც ეგვიპტეში მოუსავლიანი წლები დგებოდა, სირია იყო ეგვიპტის საკვები პროდუქტებით მომარაგების ალტერნატიული წყარო. იხშიდიანთა საბოლოო წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი იყო კარმატთა ხშირი მარბიელი შემოსევები სირიის ტერიტორიაზე და ეგვიპტის ახალი მმართველები მსგავს ვითარებას ვეღარ აიტანდნენ.[279]

არსებობდა სირიის პრობლემის გადაწყვეტის ორი გზა: პირველი ნაკლებად ამბიციური იყო და ითვალისწინებდა ფატიმიანთა ხელისუფლების გავრცელებას იხშიდიანთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე; მეორე - ტულუნიანთა მსგავსად, მთელი სირიისა და პალესტინის დამორჩილებას ბიზანტიის საზღვრებამდე. თუ ფატიმიანები ამ მეორე გზას აირჩევდნენ და წარმატებით

---

[276] Idrīs ʻImād ad-dīn, *Tārīkh al-Khulafā' al-Fāṭimiyyīn bi al-Maghrib*, 685; Walker, "The Ismaʻili Daʻwa and Fatimid Caliphate", 137.

[277] ალ-კაჰირა - არაბულად ნიშნავს გამარჯვებას. არსებობს ასევე გადმოცემა, რომ ფატიმიანთა დედაქალაქის სახელწოდება პლანეტა მარსის არაბული დასახელებიდან მომდინარეობს.

[278] გ. სანიკიძე, „ფატიმიანები", *ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი* (თბილისი 1999), 188; Kennedy, *The Prophet and the Age of the Caliphates*, 316.

[279] Kennedy, *The Prophet and the Age of the Caliphates*, 317.

განახორციელებდნენ, მათი კონტროლის ქვეშ საკმაოდ დიდი ტერიტორიები აღმოჩნდებოდა. მათ ერგებოდათ პატივი დაეცვათ ისლამი ბიზანტიური შემოსევებისგან, თუმცა, მეორეს მხრივ, ეს გზა ბევრი სირთულის მომტანიც იყო. სირიაში მცხოვრები ბედუინები ყოველთვის მნელად დასამორჩილებლები იყვნენ, ამდენად მათი გაკონტროლება საკმაოდ რთული იქნებოდა. გარდა ამისა, ალეპოს მაცხოვრებლები ყოველთვის სეპარატისტულად იყვნენ განწყობილნი ეგვიპტელი მმართველების მიმართ და ნებისმიერ დროს შეეძლოთ დახმარება ბიზანტიისთვის ეთხოვათ. იმ ეტაპზე ფატიმიანები მზად არ იყვნენ ბიზანტიასთან უშუალო კონფლიქტში ჩასართავად, რადგან მათ არ ჰქონდათ საკმარისი სახსრები ხანგრძლივი ომის საწარმოებლად. ასევე ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო ორგანიზებული სამხედრო სტრუქტურა, რაც ეგვიპტიდან დაშორებულ რეგიონებში მრავალრიცხოვანი ჯარის მომარაგებისა და მართვის შესაძლებლობას არ იძლეოდა.[280] რომელი გზაც არ უნდა აერჩიათ ფატმიანებს, სამხრეთ სირიის დაკავება მაინც აუცილებელი იყო. ამდენად, ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ, ჯავჰარმა მალე გაგზავნა ერთ-ერთი ბერბერი სარდალი, ჯაფარ იბნ ფალაჰი, დამასკოს წინააღმდეგ. ჯაფარმა უპრობლემოდ დაამარცხა სამხრეთ სირიაში დარჩენილი იხშიდიანთა ოპოზიცია და დამასკო დაიკავა. ამის შემდეგ ფატიმიანთა ლაშქარმა განაგრძო სვლა ჩრდილოეთ სირიისკენ.[281]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფატიმიანებს აბასიანთა დამხობისა და ყველა მუსლიმის სახელით ჯიჰადის წარმოების ამბიცია ჰქონდათ, რისთვისაც საჭირო იყო სწრაფი და რადიკალური ქმედება. მიუხედავად იმისა, რომ ფატიმიანები ჯერ არ აპირებდნენ ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლას, ჯაფარმა მაინც გაილაშქრა იმპერიის წინააღმდეგ, თუმცა ვერ გათვალა შესაძლებლობები და ანტიოქიასთან ბიზანტიელთა ლაშქართან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა.[282] ამ დროს პრობლემებმა სამხრეთშიც იჩინა თავი - ფატიმიანებს დაუპირისპირდნენ მათი უწინდელი მოკავშირეები, კარმატები. იბნ კალანისის თქმით, დამასკოს იხშიდიანი გამგებელი კარმატებს ყოველწლიურად სამასი ათას დინარს უხდიდა, ხოლო იბნ ფალაჰმა უარი თქვა ამ ხარკის გადახდაზე, რამაც კარმატთა უკმაყოფილება გამოიწვია; მათ დამასკო დაიკავეს და ჯაფარი მოკლეს.[283]

კარმატები ამ წარმატებით არ დაკმაყოფილდნენ და კაიროსკენ განაგრძეს სვლა. დედაქალაქის დასაცავად ჯავჰარმა კაიროს გარეთ, აინ შამსში, ააგო ძლიერი თავდაცვითი ზოლი, სადაც 971 წლის დეკემბერში/361 წლის რაბი ალ-ავალში მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ფატიმიანთა ჯარსა და კარმატთა შორის. კარმატები დამარცხდნენ. ამის შემდეგ ფატიმიანებმა შეძლეს იაფასა და დამასკოს

[280] Ibid. 318.
[281] Idrīs ʻImād ad-dīn, *Tārīkh al-Khulafā' al-Fāṭimiyyīn bi al-Maghrib*, 700.
[282] Walker, "The Isma'ili Da'wa and Fatimid Caliphate", 138.
[283] Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq*, 1.

დაბრუნება.[284] მიუხედავად ფატიმიანთა გამარჯვებებისა, სირიის საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ იყო, რადგან კარმატებმა რამლას დაპყრობა შეძლეს.[285]

972/362 წელს ხალიფა ალ-მუიზი მთელი თავისი ადმინისტრაციით ეგვიპტისკენ გაემგზავრა. 973/362 წელს ფატიმიანი ხალიფა ალექსანდრიაში ჩავიდა, სადაც ბედუინთა ტომების ბელადებსა და ფუსტატის სამოქალაქო ელიტას შეხვდა. ალ-მუიზმა შეკრებილი ხალხისგან ერთგულების ფიცი მიიღო და განუცხადა მათ, რომ მისი მოსვლის უპირველესი მიზეზი ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლა იყო და ეგვიპტელი პილიგრიმებისთვის მექისკენ გზის გახსნა. 973 წლის ივნისში/362 წლის რამადანში ალ-მუიზი კაიროში შევიდა და იმპერიის მართვა უკვე ეგვიპტიდან გააგრძელა. ხალიფამ თავისი ადმინისტრაციის დახმარებით გაატარა რამდენიმე ეკონომიკური და საგადასახადო რეფორმა, რამაც სახალიფო ფინანსურ კრიზისს გადაარჩინა და სამეფო ხაზინა საგრძნობლად გაამდიდრა.[286] ხალიფამ რელიგიური რეფორმებიც გაატარა და ისმაილიტური მიმდინარეობა ფატიმიანთა სახალიფოს სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამდენად, სახალიფოს მთელ ტერიტორიაზე ლოცვა შიიტური წესით უნდა აღვლენილიყო და სამართალიც შიიტური წესით უნდა აღსრულებულიყო. დაკანონდა შიიტური დღესასწაულები და გლოვის დღეები. რაც მთავრია, ყველას უნდა ეღიარებინა ფატიმიანი ხალიფები, როგორც ალის პირდაპირი შთამომავლები და ერთადერთი ლეგიტიმური მმართველები დედამიწაზე. ამ რეფორმამ გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია ეგვიპტის მოსახლეობაში, რომელთა უმრავლესობა სუნიტი იყო, თუმცა მასობრივ არეულობებში არ გადაზრდილა. ეგვიპტეში სტაბილურობის პარალელურად, ფატიმიანები სერიოზულ წინააღმდეგობებს ხვდებოდნენ სირია-პალესტინის ტერიტორიაზე. 974/363 წელს კარმატები ეგვიპტეში შეიჭრნენ. ფატიმიანთა და კარმატთა შორის გამართულ ბრძოლასთან დაკავშირებით იბნ კალანისი ერთ საინტერესო ამბავს ყვება: ალ-მუიზმა კარმატთა მომხრეების მოსასყიდად ყალბი დინარები გამოიყენა, რისი მეშვეობითაც დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია:

> ჰასან იბნ ჯარაჰ ატ-ტაი თავის ლაშქრით კარმატს უჭერდა მხარს და მთელი მისი (კარმატის გ.ნ.) ძალა და ძლიერება მასზე (იბნ ჯარაჰზე გ.ნ.) იყო დამოკიდებული. როდესაც ალ-მუʿიზმა ეს გაანალიზა, მიხვდა, რომ, რადგანაც უძლური იყო, კარგად იფიქრა ამ საკითხზე და რჩევა სთხოვა მისი გარემოცვისა და ჯარის გამოცდილ პირებს. მათ უთხრეს: „სხვა გამოსავალი არ არის, გარდა მისი (კარმატის გ.ნ.) ჯარის დასუსტებისა; ხოლო ამის გაკეთება კი შეუძლია მხოლოდ იბნ ჯარაჰს“ და მისცეს მას (იბნ ჯარაჰს გ.ნ) ასი ათასი დინარი იმ პირობით, რომ დაასუსტებდა მათთვის მის (კარმატის გ.ნ.) ლაშქარს, რაზეც ის დათანხმდა. შემდეგ ეს თანხა ებევრათ და მოჭრეს სპილენძის

[284] M. H. Mahāsna, *Tārīkh Madīna Dimashq Khilāl al-ḥukm al-Fāṭimī* (Dimashq 2001), 93.
[285] Kennedy, *The Prophet and the Age of the Caliphates*, 318.
[286] Ibid. 319.

დინარები, რომლებიც ოქროში ამოავლეს. ჩაყარეს ეს დინარები ტომრებში და ზემოდან ყოველ ტომარას სუფთა ბაჯაღლო ოქროს დინარები მოაყარეს და მიუტანეს იბნ ჯარაჰის სანდო პირს. მანამდე მისგან (იბნ ჯარაჰისგან გ.ნ.) გარანტია ჰქონდა უკვე აღებული და მეორედ ჩამოართვეს პირობა, რომ დაუშვებდა ღალატს. როდესაც მან (იბნ ჯარაჰმა გ.ნ.) ფულის მიტანის ამბავი შეიტყო, დაიწყო კარმატის ლაშქრის შესუსტებაზე ზრუნვა და მიმართა თავის მომხრეთა უმეტესობას, რომ მას გაჰყოლოდნენ, როდესაც ორი ლაშქარი ერთმანეთს დაუპირისპირდებოდა და ბრძოლა გაიმართებოდა და როდესაც ბრძოლა გახურდა, გაიქცა როგორც დამარცხებული და მიჰყვნენ მას მისი მომხრეები.[287]

როგორც მოსალოდნელი იყო კარმატები დამარცხდნენ და 1500 ტყვე კარმატი ფატიმიანთა ხელში აღმოჩნდა. ტყვეები კაიროში გააგზავნეს, სადაც სიკვდილით დასაჯეს.[288]

ეგვიპტიდან საფრთხის აცილების მიუხედავად ალ-მუიზის მმართველობის ბოლო წლებში მნიშვნელოვან პრობლემად დამასკო რჩებოდა. როგორც უკვე ვახსენეთ, დამასკო ფატიმიანებმა დაიკავეს. თუმცა, ისინი იმდენად ცუდად იქცეოდნენ ქალაქში, რომ მოსახლეობა აჯანყდა და დახმარებისთვის თურქ სარდალს, ალფთექინს მიმართა. ამ უკნასკნელმაც არ დააყოვნა და 300 მხედრის თანხლებით, ალ-მუიზის სიკვდილამდე ცოტა ადრე, დამასკოში შევიდა.[289] ალფთექინი ამაზე არ შეჩერებულა: დამასკო ბერბერებისგან გაწმინდა და წარმატებული მოლაპარაკებები გამართა კარმატებთან. მისმა ჯარებმა დაიპყრეს სირიის სანაპირო ქალაქები: სიდონი, ბეირუთი და ბიბლოსი.

975 წლის დეკემბერში/365 წლის რაბი ას-სანიში ალ-მუიზი გარდაიცვალა. ალექსანდრიაში მიცემული ორი პირობიდან ერთ-ერთი მან შეასრულა და ეგვიპტელი პილიგრიმები სახმელეთო გზით დაუბრკოლებლად დადიოდნენ მექაში.[290]

სირიაში საქმე რთულად იყო: ალ-მუიზს არ ჰქონდა შესაძლებლობა ფართომასშტაბიანი ომი ეწარმოებინა ბიზანტიელებთან, რომლებმაც ანტიოქია დაიკავეს სწორედ იმ წელს, როდესაც ჯავჰარი კაიროში შევიდა. ასევე წარმოუდგენელი იყო ომის წარმოება აბასიანთა წინააღმდეგ და ფატიმიანები სირიის ტერიტორიაზე თავიანთი უფლებების სიტყვიერი გამოცხადებით დაკმაყოფილდნენ.

სირიისთვის ბრძოლაში ფატიმიანთა ძირითადი მეტოქე ბიზანტიის იმპერია იყო. ამ პერიოდში ბიზანტიაში ზედიზედ რამდენიმე აჯანყება და შეთქმულება მოხდა. შიდა არეულობების მიუხედავად, იმპერატორებმა - ნიკიფორე ფოკამ[291] და

[287] Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq*, 7.
[288] Ibid. 7.
[289] Ibid. 22.
[290] Kennedy, *The Prophet and the Age of the Caliphates*, 320.
[291] ნიკიფორე II ფოკა 912 – 969 წწ. ბიზანტიის იმპერატორი 963 – 969 წლებში.

იოანე ციმისხიოსმა,[292] მაინც შეძლეს რამდენიმე წარმატებული ლაშრობა განეხორციელებინათ სირიის ტერიტორიაზე და ქვეყნის შუაგულშიც კი შეიჭრნენ.

963 წელს ნადირობისას მოწამლეს იმპერატორი რომანოზ II[293] და ბიზანტიის ტახტი ნომინალურად დაიკავეს მისმა მცირეწლოვანმა შვილებმა ბასილმა და კონსტანტინემ. თუმცა, მალევე ტახტი ძალით დაიკავა ნიკიფორე ფოკამ. უზურპაციისთვის კანონიერი სახე რომ მიეცა, მან რომანოზის ქვრივი, თეოფანე, შეირთო ცოლად და მისი შვილები, ბასილი და კონსტანტინე, ნომინალურად სახელმწიფოს სათავეში დატოვა.[294] ახალმა იმპერატორმა მთელი ძალისხმევა სამხრეთის საზღვრების გაფართოვებას შეალია. მან ერთიმეორის მიყოლებით აიღო ალეპო, ტრიპოლი და ანტიოქია.[295] 969 წელს ნიკიფორე ფოკა მეორე უზურპატორმა, იოანე ციმისხიოსმა, შეცვალა. ნიკიფორე ფოკას შეთქმულება საკუთარმა ცოლმა, რომანოზის ქვრივმა, თეოფანემ მოუწყო. დედოფალს გაუჩნდა ეჭვი, რომ ნიკიფორე თავის მემკვიდრედ არა რომანოზის შვილების, არამედ თავისი ძმის, ლეონის დასახელებას აპირებდა. ის დაუკავშირდა წარმოშობით სომეხ ციმისხიოსს და საკუთარი ქმარი მოაკვლევინა.[296] ამგვარად, ბიზანტიის ტახტი იოანე ციმისხიოსიმა დაიკავა. ახალმა იმპერატორმა ნიკიფორეს დაწყებული საქმე გააგრძელა და კიდევ უფრო ღრმად შეიჭრა მუსლიმთა ქვეყნებში. სირიაში გადაადგილების დროს იოანე ციმისხიოსს დიდი დახმარება გაუწიეს ბედუინთა ტომებმა, რომლებიც ფატიმიანთა წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი. 975 წელს იოანემ დამასკო დაიმორჩილა.[297] არაბი ლიდერების შუამავლობით ის ალფთექინს დაუკავშირდა და მორჩილება მოსთხოვა. დამასკოს თურქი გამგებელი ხვდებოდა, რომ იგი უძლური იყო ბიზანტიელთა წინააღმდეგ. ამიტომ, იმპერატორს დამასკოს გარეთ შეეგება, მორჩილება აღუთქვა და ხარკის სახით ასი ათასი დირჰემი შესთავაზა. იმპერატორი ამ წინადადებაზე სიამოვნებით დათანხმდა და დამასკოელებს ხელშეუხებლობას შეპირდა.[298] ამის შემდეგ იმპერატორმა იერუსალიმის დალაშქვრა გადაწყვიტა, სადაც იმ დროს ფატიმიანები იყვნენ გამაგრებულები. უკანასკნელ მომენტში, ყველასათვის მოულოდნელად, იოანემ გადაწყვეტილება შეცვალა და კონსტანტინოპოლში დაბრუნდა.[299] ბერძენი ისტორიკოსის, ლეონ დიაკვანის, თქმით

[292] იოანე I ციმისხიოსი 925 – 976 წწ. ბიზანტიის იმპერატორი 969 - 976 წლებში.
[293] Лев Диакон, *История*, 20.
[294] John Skylitzes, *A Synopsis,* 250; Лев Диакон, *История*, 30; შ. დილი, *ბიზანტიის იმპერიის ისტორია* (თბილისი 1998), 78.
[295] John Skylitzes, *A Synopsis,* 260; Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah,* 129.
[296] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī,* 139. Лев Диакон, *История*, 48 – 49.
[297] Лев Диакон, *История*, 86.
[298] Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq,* 24.
[299] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah,* 130.

კონსტანტინოპოლში მიმავალი იმპერატორი მოწამლეს და დედაქალაქში დაბრუნებული იოანე მალევე გარდაიცვალა.[300]

სწორედ ამ დროს ფატიმიანთა ტახტზე ალ-მუიზი შეცვალა მისმა შვილმა, ალ-აზიზმა,[301] რომელმაც უმალვე სირიას მიაპყრო ყურადღება. თავისი ვეზირის, იაკუბ იბნ კილისის რჩევით, ახალმა ხალიფამ გადაწყვიტა იხშიდიანთა მსგავსი პოლიტიკა გაეტარებინა. ეს ითვალისწინებდა პალესტინისა და სამხრეთ სირიის დამორჩილებას, ხოლო ჩრდილოეთ სირიაში, ჰამდანიანთა[302] სახელმწიფოსთან, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას, რაც ხელს შეუწყობდა ბუფერული ზონის შენარჩუნებას ფატიმიანთა სახალიფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის. სწორედ ამ სტრატეგიამ განსაზღვრა ალ-აზიზის მმართველობის პირველი წლების პოლიტიკა.

ფატიმიანთა ხალიფა სამხრეთ სირიაში ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას არ დაუშვებდა და მან თურქთა წინააღმდეგ თავისი გამოცდილი სარდალი, ჯავჰარი გაგზავნა. ეგვიპტედან მიმავალი ჯავჰარი აკრაში შეჩერდა. მისი მიახლოებით შეშინებულმა კარმატებმა რამლა მიატოვეს და ქალაქი ფატიმიანებს დაუთმეს. თავის მხრივ ალფთექინმა დამასკო ხანგრძლივი ალყისთვის შეამზადა. მალევე ჯავჰარი დამასკოს მიადგა და ქალაქის კედლებთან ბანაკი დასცა. ალყა ორ თვეს გაგრძელდა, და როდესაც ალფთექინს გამარჯვების იმედი გადაეწურა - ქალაქის დატოვება განიზრახა. მის დასახმარებლად გამოჩნდა კარმატთა ჯარი, რომელსაც ჰასან იბნ აჰმადი მეთაურობდა.[303] იბნ ალ-კალანისი გვიამბობს, რომ:

> მათ (დამასკოელთა გ.ნ.) გულში შიშმა დაისადგურა და ურჩიეს მას (ალფთექინს გ.ნ.) აბუ მუჰამად ჰასან ბ. აჰმად კარმატისთვის მიეწერა და მაღრიბელთა წინააღმდეგ დასახმარებლად მიეწვია. ის ასეც მოიქცა. ჰასანი მასთან თავისი ჯარით გაემგზავრა. როდესაც ჯავჰარმა შეიტყო ეს ამბავი, მიხვდა, რომ ორ მეტოქეს ვერ გაუმკლავდებოდა და ტიბერიაში დაბრუნდა.[304]

იბნ ალ-კალანისი განაგრძობს თხრობას და გადმოგვცემს, რომ ტიბერიიდან ჯავჰარმა რამლაში დაიხია. თუმცა, ალფთექინმა და კარმატებმა ქალაქში შემავალი მდინარე ჩახერგეს და წყურვილით შეწუხებული ფატიმიანთა ლაშქარი იძულებული გახდა ასკალონში გადასულიყო, რომელსაც თურქებმა და

---

[300] Лев Диакон, *История*, 91 – 94; John Skylitzes, *A Synopsis* 296.

[301] ალ-‘აზიზ ბილლაჰ ბ. ალ-მუ’იზ ლი დინ ალლაჰ. 955/344 – 996/386. მეხუთე ფატიმიანი ხალიფა, მმართველობის წლები 975/365 – 996/386.

[302] არაბული დინასტია, რომლის წარმომადგენლებიც მართავდნენ მოსულსა (X/IV საუკუნის დასაწყისი - XI/V საუკუნის დასაწყისი) და ალეპოს (X/IV საუკუნის შუა ხანები – XI/Vსაუკუნის დასაწყისი).

[303] O’Leary, *A Short History of Fatimid Khalifat,* 118.

[304] Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq,* 31.

კარმატებმა ალყა შემოარტყეს.[305] ჩვიდმეტთვიანი ალყის შემდეგ მხარეებმა მოლაპარაკებები გამართეს. აღსანიშნავია, რომ სანამ ალფთექინი და მისი მხედრები დამასკოში შევიდოდნენ, ისინი ბაღდადიდან გამოყარეს. შესაბამისად ძლიერი ზურგის უქონლობის გამო ფატიმიანებთან მოლაპარაკება მათ ინტერესებშიც შედიოდა. საბოლოოდ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქალაქ ასკალონიდან დაწყებული, ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები, თურქთა ხელში დარჩებოდა, ხოლო ფატიმიანთა ხელისუფლება ღაზამდე გაგრძელდებოდა; ასევე ალფთექინი თავის სიუზერენად ფატიმიან ხალიფას ნომინალურად აღიარებდა.[306] იბნ ალ-კალანისი გადმოგვცემს, რომ ქალაქის კარიბჭეზე ჩამოკიდეს ალფთექინის მახვილი და ჰასანის შუბი და ასკალონის დატოვებისას ფატიმიანთა ჯარმა მათი იარაღის ქვეშ გაიარა.[307] მიუხედავად ამ შეთანხმებისა, ფატიმიანთა კარზე კარგად ხვდებოდნენ, რომ არსებული მდგომარეობა დიდ ხანს არ გაგრძელდებოდა. ფატიმიანთა პრესტიჟი დაცემული იყო და ასკალონსა და რამლაში არსებული პოტენციურად მტრული ძალა ეგვიპტეს მუდამ შეუქმნიდა საფრთხეს. გარდა ამისა, ფატიმიანთა კარის მრავალი დიდგვაროვანი გარკვეულ მიწებს ფლობდა დამასკოს მიდამოებში და, რა თქმა უნდა, მათ არ სურდათ ამ ქონების დაკარგვა. ამდენად, მათ სთხოვეს ხალიფას, მორიგი კამპანია წამოეწყო ალფთექინის წინააღმდეგ და თვითონ გაძღოლოდა ლაშქარს. 977/367 წელს ფატიმიანთა დიდძალი ლაშქარი, ხალიფას უშუალო სარდლობით, დამასკოს მიმართულებით დაიძრა და სამხრეთ პალესტინაში სასტიკად დაამარცხა ალფთექინი. ამ გამარჯვებამ ფატიმიანთა პრესტიჟი აღადგინა და ხალიფამ ახალი მოლაპარაკებები დაიწყო თურქებსა და კარმატებთან. კარმატებს ბაჰრეინზე დაბრუნების სანაცვლოდ ფულადი თანხა შესთავაზა, ხოლო თურქი ალფთექინი კაიროში წაიყვანა, სადაც დიდი პატივით მიიღო და უხვად დაასაჩუქრა, რამაც თურქების ფატიმიანთა სამსახურში ჩადგომას შეუწყო ხელი. კაიროში თურქთა გამოჩენამ გამოიწვია ფატიმიანთა ჯარის მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია. თუ მანამდე ლაშქრის ძირითად ნაწილებს წარმოადგენდნენ ბერბერული ტომები, აფრიკელი და სლავი მონები, ამიერიდან გაჩნდნენ თურქული წარმოშობის მსუბუქი ცხენოსნების ნაწილებიც.[308] სწორედ თურქთა მეშვეობით აღადგინეს ფატიმიანებმა დამასკოზე კონტროლი, რომელიც ალფთექინის კაიროში წასვლის შემდეგ ადგილობრივი მაცხოვრებლების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. ფატიმიანთა დამასკოში დამკვიდრების შემდეგ კაიროს მფარველობა ითხოვეს ჰომსისა და სირიის სხვა დამოუკიდებელი

[305] Ibid. 31.
[306] Kennedy, *The Prophet and the Age of the Caliphates*, 321.
[307] Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq,* 32.
[308] Kennedy, *The Prophet and the Age of the Caliphates,* 322.

ქალაქების მმართველებმაც. სირიაში ფატიმიანთა ძალაუფლების განმტკიცებას ბიზანტიაში მიმდინარე მოვლენებმაც შეუწყო ხელი.

იოანე ციმისხიოსი 976 წლის 11 იანვარს[309] გარდაიცვალა და ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ კანონიერი მემკვიდრეები - რომანოზის შვილები - ბასილი და კონსტანტინე. იმპერატორის გვირგვინი ძმებს შორის უფროსს, 18 წლის ბასილს, ერგო.[310] მაშასადამე, 976 წელს ბიზანტიის იმპერიის ტახტს იკავებს ამ ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და ძლიერი იმპერატორი ბასილ II, რომელსაც შემდგომში ბულგართმმუსვრელი ეწოდა. ახალგაზრდა იმპერატორს მმართველობის პირველ ათწლეულში მრავალი სირთულის გადალახვა მოუხდა. ტახტზე ასვლისთანავე ბასილ იმპერატორს ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა.[311] ცნობილია, რომ ბარდა სკლიაროსი იყო ბიზანტიელი მხედართმთავრი, რომელმაც ბულგარეთში გამოიჩინა თავი.[312] სკლიაროსის აჯანყებას საიმპერატორო ხელისუფლებით უკმაყოფილონიც შეუერთდნენ,[313] მათ შორის მოსულის ემირი.[314] ამბოხებულებმა ნახევარი მცირე აზია დაიკავეს და კონსტანტინოპოლს დაემუქრნენ. მიუხედავად ამისა, 979 წელს ისინი, ქართველთა ჯარისა და იოანე-თორნიკეს[315] დახმარებით, სასტიკად დაამარცხა სკლიაროსზე არანაკლებ სახელოვანმა მხედართმთავარმა, ბარდა ფოკამ.[316] ბარდა ფოკა იყო ნიკიფორე ფოკას ძმისშვილი. იგი მონაწილეობდა 971 წელს იოანე ციმისხიოსის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში, რისთვისაც იოანემ გადაასახლა. აღსანიშნავია, რომ ეს აჯანყება იმპერატორმა ბარდა სკლიაროსის დახმარებით ჩაახშო.[317] სკლიაროსის აჯანყების შემდეგ კი ბასილ იმპერატორი იძულებული გახდა, ბარდა ფოკა გადასახლებიდან დაებრუნებინა და გამოეყენებინა მისი ძველი მტრის წინააღმდეგ.

დამარცხებული სკლიაროსი ბაღდადში გაიქცა,[318] ხოლო ბარდა ფოკამ მორიგი აჯანყება მოაწყო. ფოკას აჯანყება 987 წელს მოხდა, ანუ ბულგარელთა მიერ ბიზანტიის დამარცხების მეორე წელს. ბიზანტიის მარცხით ისარგებლა ბარდა სკლიაროსმაც: მან ბაღდადის ხალიფას სთხოვა დახმარება ბასილი იმპერატორის წინააღმდეგ საბრძოლველად. ხალიფამ მას ერთგულების ფიცი ჩამოართვა და

---

[309] В.Р. Розен, *Император Василий Болгаробойца,* 1.

[310] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī,* 165.

[311] Лев Диакон, *История*, 88; Yaḥya, *Tārīkh al-Antakī,* 166.

[312] კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა,* 28.

[313] Лев Диакон, *История,* 86.

[314] Treadgold, *A History of the Byzantine State and Society,* 508.

[315] იოანე-თორნიკე იგივე თორნიკე ერისთავი. გარდ. 985 წ. ტაოელ დიდებულთა, ჩორდვანელთა გვარის წარმომადგენელი. ათონის მთაზე ბერად აღკვეცის შემდეგ მას იოანე ეწოდა. 879 წელს ბიზანტიის იმპერატორ ბასილ II-ს თხოვნითა და ბაგრატ III კურაპალატის შუამდგომლობით იოანე-თორნიკემ მონაწილეობა მიიღო ბარდა სკლიაროსის მიერ მოწყობილი აჯანყების ჩახშობაში.

[316] კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა*, 40.

[317] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī,* 141.

[318] Shepard, "Equilibrium to Expansion", 524; Лев Диакон, *История*, 88.

დიდძალი ჯარით ბიზანტიაში გაისტუმრა.[319] 987 წლის თებერვალში სკლიაროსმა ქალაქი მალათია აიღო, სადაც მას არაბთა ტომები და სომხები შეუერთდნენ.[320] ბასილ II-მ სკლიაროსის წინააღმდეგ ისევ ბარდა ფოკა გაგზავნა, მაგრამ ამჯერად, ფოკამ სკლიაროსს იმპერატორის წინააღმდეგ გაერთიანება და გამარჯვების შემდეგ იმპერიის გაყოფა შესთავაზა. მოლაპარაკება მათ შორის სკლიაროსის ძმის, კონსტანტინეს, მეშვეობით შედგა. ის ბარდა ფოკას სიძედ ეკუთვნოდა.[321] სკლიაროსი დათანხმდა და ისინი საერთო ძალით შეუდგნენ აჯანყებისთვის მზადებას. მათი მოლაპარაკების შესახებ იმპერატორს ბარდა სკლიაროსის შვილმა, რომანოზმა, აცნობა. რომანოზი ბარდა ფოკას არ ენდობოდა, რის გამოც სკლიაროსმა ის ლაშქრობაში არ წაიყვანა, მამაზე განაწყენებულმა რომანოზმა კი აჯანყებულთა მთელი გეგმები გასცა.[322] როგორც შემდგომ გამოჩნდა, რომანოზის ეჭვები უსაფუძვლო არ ყოფილა. მორიგი შეხვედრის დროს ფოკამ შეიპყრო სკლიაროსი და თავისი ცოლის ციხე-სიმაგრეში დაამწყვდია. 987 წლის 14 სექტემბერს ფოკამ თავი იმპერატორად გამოაცხადა და კონსტანტინოპოლისკენ დაიძრა.[323] აღსანიშნავია, რომ ამ აჯანყებაში დავით კურაპალატი აჯანყებულთა მხარეზე გამოდის. ბასილ იმპერატორმა დახმარებისთვის კიევის რუსეთის ლაშქარი მოიხმო და 989 წლის 13 აპრილს აბიდოსთან სასტიკად დაამარცხა აჯანყებულები.[324] ამ ბრძოლაში ფოკა მოკლეს. მისი მოჭრილი თავი კი კონსტანტინოპოლში გააგზავნეს, სადაც შუბზე წამოცმული ჩამოატარეს და შემდგომ მცირე აზიაში აჯანყებულებს გაუგზავნეს.[325] ამის შემდეგ ფოკას ქვრივმა სასწრაფოდ გაათავისუფლა სკლიაროსი, რომელსაც გადარჩენილი მეამბოხეები მიემხრნენ. ახალი აჯანყებისთვის მზადების დროს სკლიაროსს ელჩი გაუგზავნა იმპერატორის ძმამ, კონსტანტინემ, რომელმაც მას ბასილთან შუამავლობა შესთავაზა, თუ სკლიაროსი პატიებას ითხოვდა. სკლიაროსი იმპერატორის ძმის წინადადებას დასთანხმდა და კონსტანტინეს თანხლებით ეახლა ბასილს. იმპერატორმა სკლიაროსს ყველაფერი აპატია და კურაპალატის ტიტული უბოძა. სკლიაროსის გარდა ბასილმა სხვა ამბოხებულებიც შეინდო.[326] ამის შემდეგ ორი წელიწადიც არ გასულა, რომ ბარდა სკლიაროსი გარდაიცვალა. იაჰია ანტიოქელის ცნობით ეს მოხდა 991 წლის 6 მარტს.[327]

ამ მოვლენების პარალელურად ფატიმიანები ნელ-ნელა იმკვიდრებდნენ ძალაუფლებას სირიაში. ბასილს რამდენიმე ფრონტზე ბრძოლა არ ძალუძდა და

[319] ʿAnān, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 206.
[320] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 207.
[321] Ibid. 208.
[322] Ibid. 208.
[323] Розен, *Император Василий Болгаробойца*, 25.
[324] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 211.
[325] Лев Диакон, *История*, 90.
[326] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 212.
[327] Ibid. 215.

987/377 წელს ალ-აზიზს ზავი სთხოვა. ბასილმა კაიროში დიპლომატიური მისია გაგზავნა და მდიდრული საჩუქრებიც გაატანა. მოლაპარაკებები მხარეთა შორის წარმატებით დასრულდა და ზავი შემდეგი პირობებით დაიდო:

1. ბიზანტიელებს ყველა მუსლიმი ტყვე უნდა გაენთავისუფლებინათ.

2. კონსტანტინოპოლის მთავარ მეჩეთში, საპარასკევო ხუტბის დროს ალ-აზიზის სახელი უნდა მოეხსენიებინათ.

3. ომი ფატიმიანთა და ბიზანტიელთა შორის შვიდი წლით უნდა შეწყვეტილიყო.[328]

ეს მშვიდობა, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდხანს არ გაგრძელებულა. ფატიმიანი ხალიფას მიერ დანიშნულმა დამასკოს თურქმა გამგებელმა, მანჯუთექინმა,[329] 991/381 წელს ჰამდანიანთა წინააღმდეგ გაილაშქრა. ალეპოს გამგებელმა, საიდ იბნ ფადაილ იბნ ჰამდანმა, ფატიმიანთა წინააღმდეგ საბრძოლველად ანტიოქიის გამგებელს, მიხეილ ბურჯის სთხოვა დახმარება.[330] ამის შემდეგ მანჯუთექინმა ანტიოქიაში ელჩი გაგზავნა და განაცხადა, რომ მისი მიზანი მხოლოდ ალეპოა და ბერძენთა მიწებს არ შეეხებოდა. ანტიოქიის გამგებელმა მანჯუთექინის ელჩი შეიპყრო, მაგრამ ალეპოელთა დასახმარებლად არ გაილაშქრა. მანჯუთექინმა განაგრძო ჩრდილოეთისკენ სვლა და 992/382 წელს ალეპოელთა ჯარი აპამეასთან სასტიკად დაამარცხა. ამის შემდეგ მან ჯერ ალეპო, შემდეგ კი ანტიოქიაც დალაშქრა და დამასკოში დაბრუნდა.[331] მანჯუთექინის ამგვარი ქმედებით შეშინებულმა აბუ ალ-ფადაილმა დახმარებისთვის პირდაპირ ბასილ იმპერატორს მიმართა.[332] იმპერატორი ამ დროს ბულგარელებთან ომით იყო დაკავებული და ჰამდანიანთა დახმარება ისევ მიხეილს დაავალა. ბრძოლა ბიზანტიელებსა და მანჯუთექინს შორის 994 წლის 15 სექტემბერს/384 წლის 6 შაბანს მდინარე ორონტის ნაპირზე გაიმართა. ეს ბრძოლა ფატიმიანთა სრული გამარჯვებით დასრულდა,[333] იაჰია ანტიოქელის ცნობით, ამ ბრძოლაში ხუთი ათასამდე ბერძენი დაიღუპა.[334] ბერძენთა დამარცხების შემდეგ ჰამდანიანებმა ხელმეორედ მიმართეს ბასილ იმპერატორს დასახმარებლად. ამჯერად ბასილმა გადაწყვიტა თვითონ გაელაშქრა სირიაში და 995/389 წელს ანტიოქიაში ჩავიდა. იმპერატორმა აიძულა მანჯუთექინი დამასკოში დაბრუნებულიყო, დაიკავა აპამეა, შეიზარი,[335] მთელი რიგი სანაპირო ქალაქები და კონსტანტინოპოლში დაბრუნდა.[336]

---

[328] Ṭaqqūsh, *Tārīkh al-Fāṭimiyyīn*,246.
[329] ქემალ ად-დინი და იაჰია ანტიოქელი მას იხსენიებენ როგორც ბანჯუთექინი.
[330] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 223; ʻAnān, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 82.
[331] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 224.
[332] Ibid.225.
[333] Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab*, 107; Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq*, 70.
[334] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 226.
[335] Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab*, 108.
[336] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 228 – 233.

ხალიფა ალ-აზიზს კარგად ესმოდა სირიის სტრარტეგიული მნიშვნელობა და ის საფრთხე, რომელიც ეგვიპტეს დაემუქრებოდა, თუ ამ რეგიონში ბიზანტია გაბატონდებოდა. ეგვიპტელი ხალიფა უმალ შეუდგა სირიაში ლაშქრობისთვის მზადებას. ალ-აზიზმა კაიროში თექვსმეტი გემისგან შემდგარი ფლოტი შეკრიბა და ზღვით აპირებდა შეტევის დაწყებას. მოულოდნელად, გამგზავრების წინა ღამეს, გემებს ცეცხლი გაუჩნდა და მათი უმეტესობა დაიწვა. კაიროში ხანძრის გაჩაღება მართლმადიდებელ ვაჭრებს დაბრალდა, რასაც ქრისტიანების რბევა მოჰყვა. ხალიფა ალ-აზიზმა ბრძანა ყველა დამნაშავე დაეკავებინათ და ისინი სათანადოდ დასჯეს.[337]

996/386 წელს ხალიფა ალ-აზიზმა ფლოტი აღადგინა, რომელიც ოცდაოთხი გემისგან შედგებოდა და სირიაზე შეტევა განაახლა. ფლოტი, რომლის სათავეში თვითონ ალ-აზიზი იდგა, ანტარტუსს მიადგა. იქვე მივიდა დიდძალი სახმელეთო ჯარი მანჯუთექინის სარდლობით. ანტარტუსის გასამაგრებლად ანტიოქიიდან დუკა დალასინემ გაილაშქრა. ანტარტუსთან მიახლოებულ ეგვიპტელთა ფლოტს ქარიშხალი დაატყდა და გემების უმეტესობა გაანადგურა. გადარჩენილი ხალიფა რამდენიმე გემით ბილბაისში[338] ჩავიდა.

ბილბაისში შეჩერებული ხალიფა 996 წლის 14 ოქტომბერს/386 წლის 28 რამადანს უეცრად გარდაიცვალა.[339] ამის შემდეგ ფატიამიანთა ტახტზე ავიდა მისი მცირეწლოვანი შვილი, ალ-ჰაქიმ ბი ამრ ალაჰი.[340] ალ-აზიზმა თავის მემკვიდრეს ძლიერი და კარგად ორგანიზებული სახელმწიფო დაუტოვა. ამ პერიოდისთვის ფატიმიანები ფლობდნენ სირიის სანაპირო ქალაქებს ტრიპოლიდან სამხრეთით და რამოდენიმე ქალაქს ქვეყნის შიგნით, მაგალითად რამლას, ტიბერიას და სამხრეთ პალესტინის სხვა ტერიტორიებს, ხოლო დამასკო სრულად მანჯუთექინის კონტროლის ქვეშ მოექცა.

საინტერესოა ყურადღების გამახვილება იმ ფაქტორზე, თუ როგორ შეცვალა ფატიმინათა მმართველობამ სირიის პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია. ამ პერიოდში ძალზე გაიზარდა სირიის საზღვაო აქტივობა. მანჯუთექინის მიერ წარმოებული კამპანია კარგად მარაგდებოდა ტრიპოლის პორტიდან, რომელიც ამ რეგიონის კომერციულ ცენტრად იქცა. ასევე მნიშვნელოვან სტრატეგიულ ქალაქებს წარმოადგენდნენ ტვიროსი, სიდონი, ასკალონი და ღაზა. სირიის გასაკონტროლებლად ფატიმიანთა მიერ ფლოტის აქტიურად გამოყენებამ ხელი შეუწყო ამ ქალაქების სწრაფ განვითარებას, რომელიც გრძელდებოდა XI/V და XII/VI საუკუნეებშიც. ამის შედეგად აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი

[337] Ibid. 233.

[338] ბილბაისი – საპორტო ქალაქი ნილოსის დელტაში.

[339] Ibid. 235.

[340] ალჰაქიმ ბიამრ ალლაჰ ალ-მანსურ. 985/375 – 1021/411 წწ. მეექვსე ფატიმიანი ხალიფა, მმართველობის წლები 996/386 - 1021/411.

კვლავ იქცა მშვიდობიანი ნავიგაციის ზონად.[341] ფატიმიანთა ზეგავლენა გავრცელდა ასევე სხვა რეგიონებზეც. ასე, მაგალითად ფატიმიანებმა აიღეს პასუხისმგებლობა დასავლეთიდან წამოსული პილიგრიმების უსაფრთხოებასა და გაცილებაზე. ალ-აზიზმა პილიგრიმების ესკორტისთვის გამოყო 3500 მებრძოლი და საკუთარ თავზე აიღო ამ ექსპედიციების სრული დაფინანსება, მათ შორის ქისვას[342] ხარჯები, რომელიც დაახლოებით 300 000 დინარი ჯდებოდა. რა თქმა უნდა, ამხელა თანხების გაღება დიდი პრესტიჟი იყო. აღმოსავლეთიდან წამოსულ პილიგრიმებსაც ადგილობრივი მმართველები აფინანსებდნენ, თუმცა ქისვას დამზადებისა და მექაში ჩატანის პატივი მხოლოდ ფატიმიანებს ჰქონდათ. მექის ემირმა ალ-აზიზი ხალიფად აღიარა, თუმცა დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, ხოლო უკვე 992/382 წელს ფატიმინთა ძალაუფლება იემენზეც გავრცელდა, სადაც ისინი მექელი შუამავლის საშუალებით საკმეველს ყიდულობდნენ. ფატიმიანთა ხალიფა ასევე აღიარეს ბაჰრეინელმა კარმატებმა. ჩრდილოეთ აფრიკის მიმართ ფატიმიანთა ინტერესმა საგრძნობლად იკლო და კაირომ ამ რეგიონის მმრათველებს თითქმის სრული დამოუკიდებლობა მიანიჭა. ალ-აზიზი დაკავებული იყო ხალიფას ორი უმთავრესი ვალდებულების შესრულებით: მშვიდობიანი ჰაჯის უზრუნველყოფითა და ურწმუნოებთან ბრძოლით. როგორც დავინახეთ, პირველ ვალდებულებას ფატიმიანი ხალიფა წარმატებულად ასრულებდა, ხოლო მეორე – უცაბედმა სიკვდილმა არ დააცადა.[343]

3.5 ფატიმიანთა სახალიფოს ხელისუფლება და ადმინისტრაცია

ხელისუფლება. ფატიმიანთა სახალიფოში ყოველი ხალიფა, რომელიც ამავდროულად ისმაილიტთა იმამიც იყო, ნომინალურად ირჩეოდა მისი წინამორბედის მიერ „ნასს“-ის[344] მეშვეობით. არჩევის ცერემონია შეიძლება მომხდარიყო საჯაროდ ან ვიწრო წრეში. ხალიფა-იმამის ტიტული ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, მემკვიდრეობით უფროს ვაჟს ერგებოდა. ალ-აზიზის შემდეგ ფატიმიანთა ტახტზე ხშირად მცირეწლოვანი მემკვიდრეები ადიოდნენ, ამდენად მათი მმართველობის დასაწყისში რეალური ძალაუფლება მეურვეების ან ვეზირების ხელში იყო. ხოლო ეგვიპტეში ბადრი ალ-ჯამალის[345] ჩასვლის შემდეგ,

---

[341] Kennedy, *The Prophet and the Age of the Caliphates*, 325.

[342] ქისვა – გადასაფარებელი, რომელსაც აფარებენ ქააბას ტაძარს. ყოველ წელს ახალი ქისვა იკერება.

[343] Ibid. 327.

[344] ნასს – შიიტური დოქტრინის მიხედვით, მემკვიდრის დასახელება ღმერთის სურვილის შესაბამისად და ღვთაებრივი წინამძღვრობით. შიიტებს სწამთ, რომ მუჰამადმა სწორედ ნასსის მეშვეობით გამოაცხადა ალი თავის მემკვიდრედ. სწორედ ამის მსგავსად ევალება ყველა დროის იმამს დაასახელოს თავისი მემკვიდრე.

[345] ბადრ ალ-ჯამალ შაჰინშაჰ. გარდ. 1094/487 წ. ფატიმიანთა მიერ დანიშნული დამასკოს გამგებელი 1063/455 და 1066/458 წწ. შემდეგ აკრას გამგებელი. 1074/466 წელს ხალიფა ალ-მუსთანსირმა ის კაიროში გამოიძახა და ვეზირად დანიშნა. ბადრიმ მალევე აღადგინა მშვიდობა და მთელი ხელისუფლება ხელში ჩაიგდო.

მთელი პოლიტიკური ძალაუფლება საბოლოოდ ვეზირთა ხელში გადავიდა და ხალიფები მხოლოდ ქვეყნის ნომინალურ მმართველებად რჩებოდნენ.

ფატიმიანთა სახალიფოს ისტორიის განმავლობაში ვეზირის ინსტიტუტი ეტაპობრივად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა. ჩრდილოეთ აფრიკაში მოღვაწეობის პერიოდში ფატიმიანი ხალიფა-იმამები უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ადმინისტრაციულ აპარატს და ამავდროულად ჯარის უმაღლესი მთავარსარდლები იყვნენ. ამდენად, ისინი პირადად წარმართავდნენ ყველა სახელმწიფო საქმეს და თვითონ იღებდნენ საკვანძო გადაწყვეტილებებს. მიუხედავად ამისა, მათ ყოველთვის ჰყავდათ სანდო პირები, რომელთაც ხშირად რჩევებს ეკითხებოდნენ. ალ-კაიმის[346] ზეობის დროიდან, რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირმა დაიწყო ვეზირის ფუნქციების შესრულება, თუმცა იფრიკიაში ფატიმიანთა მმართველობის დროს ეს ტიტული ოფიციალურად არავის მიუღია. პირველი, ვინც ოფიციალურად გახდა ფატიმიანთა სახალიფოს ვეზირი, იყო იბნ კილისი, რომელიც ალ-მუიზისა და ალ-აზიზის დროს ეგვიპტეში საჯარო-ადმინსტრაციულ და ფინანსურ საქმეებს წარმართავდა. ვეზირები თავიანთ ტიტულს სხვადასხვა ფორმით ატარებდნენ, ან უბრალოდ „ვასიტა“-დ (შუამავალი) იწოდებოდნენ და ბადრი ალ-ჯამალიმდე მხოლოდ ხალიფას ბრძანებების შემსრულებლები იყვნენ. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ისინი მხოლოდ შუამავალ როლს ასრულებდნენ ხალიფასა და მის ქვეშევრდომებს შორის და არავითარ პირად ძალაუფლებას არ ფლობდნენ.

ბადრ ალ-ჯამალის შემდეგ, მთელი სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლება ვეზირთა ხელში გადავიდა და ისინი იწოდებოდნენ „ვაზირ ას-საიფ ვა ალ-კალამ“ (მახვილისა და კალმის ვეზირი). გარდა ამისა, ისინი ხშირად რელიგიური იერარქიის სათავეშიც გვევლინებიან.[347]

ფატიმიანთა იმპერიაში შედიოდა საკმაოდ მარავალფეროვანი ეთნო-კონფესიური მოსახლეობა. ამდენად, ასეთი სახელმწიფოს მართვა საკმაოდ რთული იყო და საჭირო გახდა სხვადასხვა დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის ბალანსის დაცვა. ის, რაც მთელ ამ პოლიტიკურ სტრუქტურას ერთად კრავდა, იყო პატრონაჟის, ანუ მფარველობის სისტემა. ფატიმიანთა მმართველობის ადრეულ პერიოდში ხალიფები ფლობდნენ საკმარის რესურსებსა და ძალაუფლებას, რათა პატრონაჟის სისტემა თავიანთი ინტერესებისთვის გამოეყენებინათ. ამას კი რამდენიმე გზით აღწევდნენ. მაგალითად, სახელმწიფო ადმინისტრაციაში მხოლოდ ერთგულ მოხელეებს ნიშნავდნენ; ჯარის ბერბერულ ნაწილებს, რომლებიც ფატიმიანებს მაღრიბიდან გამოყვნენ, უხვად ამარაგებდნენ; ჯარში მონათა ნაწილებს ქმნიდნენ, ანუ აქცენტი კეთდებოდა ძირითადად იმ

[346] ალ-კა’იმ ბიამრ ალაჰ. მეორე ფატიმიანი ხალიფა. მმართველობის წლები 934/322 – 946/335.
[347] Daftary, *The Isma'ilis*, 212.

ადამიანებზე, რომლებსაც ეგვიპტესთან არაფერი აკავშირებდა, გარდა ფატიმიანი ხალიფასადმი ნებაყოფლობითი, ან იძულებითი მორჩილებისა.[348]

მსგავსი მდგომარეობა გაგრძელდა დაახლოებით ერთ საუკუნეს, მანამ, სანამ XI/V საუკუნის ოციან წლებში ადმინისტრაციის ზოგიერთმა მოხელემ კარგად არ ისარგებლა პატრონაჟის იერარქიული სტრუქტურით და არ დაიწყო ძალაუფლებისკენ სწრაფვა. მათ დაიწყეს საკუთარი პატრონაჟის სისტემის ჩამოყალიბება და მხოლოდ მათთვის მორჩილი დაჯგუფებების შექმნა. ეს ტენდენციები ნათლად გამოჩნდა აზ-ზაჰირისა[349] და ალ-მუსთანსირის[350] მმართველობის პერიოდებში, რაც საბოლოოდ რეალური ძალაუფლების სამხედრო ვეზირთა ხელში გადასვლით დაგვირგვინდა. თუმცა ამას არ მოჰყოლია სისტემის გაუქმება, არამედ პატრონაჟი ხალიფების ნაცვლად ვეზირთა პრეროგატივად იქცა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ძალაუფლების დაკარგვის შემდეგაც, ხალიფები სიმბოლურად ინარჩუნებდნენ სახელმწიფოს მმართველის პოზიციას, თუმცა მათი ხელისუფლება მხოლოდ ცერემონიალურ მოღვაწეობაში გამოიხატებოდა. ისინი იმოსებოდნენ თეთრი ტანისამოსით, რადგანაც თეთრი მათი დინასტიის ფერს წარმოადგენდა და ატარებდნენ იმ ეპოქაში ფართოდ გავრცელებულ ხელისუფლების ინსიგნიებს: მატყლის ჩალმას, კვერთხს, ხმალს, ქოლგას, სამელნეს, შუბს, ფარს, დროშებს, მარაოს, საზეიმო აბჯარს, დოლებსა და სხვა. ხალიფას იხსენიებდნენ საპარასკევო ხუტბისას და მისი სახელი მონეტებსა და ქსოვილებზე იწერებოდა. ყველაფერი ეს კეთდებოდა, რათა კიდევ ერთხელ ხაზი გასმოდა ფატიმიანთა ხელისუფლების ლეგიტიმურობას.[351] ფატიმიანთა კარის პროტოკოლი ძირითადად იმეორებდა მათი თანამედროვე სხვა მუსლიმი მმართველების და განსაკუთრებით, აბასიანთა პროტოკოლს, თუმცა მათ ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი ჰქონდათ. ეს იყო საჯარო პროცესიების მოწყობა. გარდა იმისა, რომ ეს პროცესიები გამოხატავდნენ სამხედრო და პოლიტიკურ ძალაუფლებას, ისინი უშუალოდ ხალიფასა და ისმაილიტი იმამის წარმოჩენას ემსახურებოდნენ.

თავიდანვე ქალაქ კაიროს დაარსება და განვითარება, მიზნად ისახავდა ისმაილიტური ცენტრის დაარსებას და ამ სწავლების გავრცელებას სუნიტურ მოსახლეობაში. ქალაქის დაგეგმარებაც კი ისმაილიტური დოქტრინის მიხედვით შედგა. ქალაქის შუაში იდგა სასახლე, მსგავსად იმამისა, რომელიც ისმაილიზმის რწმენა-წარმოდგენების ცენტრს წარმოადგენს. სასახლისა და იმამის ცენტრალური

[348] P. A. Sanders, "The Fatimid state, 969 – 1171", *The Cambrigdge History of Egypt. Vol. I. Islamic Egypt, 640 – 1517,* Edited by Carl F. Petry (Cambridge University Press 2006), 171.

[349] აზ-ზაჰირ ლი-ი'ზაზი დინ ალაჰ. 1004/394 – 1036/427 წწ. მეშვიდე ფატიმიანი ხალიფა. მმართველობის წლები 1021/411 – 1036/327 წწ.

[350] ალ-მუსთანსირ ბილაჰ ბ. 'ალი აზ-ზაჰირ ლი ი'ზაზი დინი ლ-ლაჰი 1029/420 - 1094/487 წწ. მერვე ფატიმიანი ხალიფა. მმართველობის წლები 1036/427 - 1094/487 წწ.

[351] Ibid. 172.

პოზიცია, ისევე როგორც სივრცობრივი ურთიერთობები, ნათლად აისახა ისმაილიტურ თეოლოგიასა და სახოტბო პოეზიაში. იმამი განიხილებოდა, როგორც ღვთიური შუქის ემანაცია და მას მრავალი ეპითეტი ჰქონდა მინიჭებული. ფატიმიანთა პერიოდში აშენებული მეჩეთებიც ისე იყო აგებული და მორთული, რომ მუდამ ხაზი გაესვათ ისმაილიტური დოქტრინისთვის: იყო ეს დეკორაციები, თუ წარწერები.[352] მაგრამ სამხედრო ვეზირთა ხელში ხელისუფლების გადასვლისა და დიდი სქიზმის შემდეგ, ფატიმიანმა ხალიფებმა დაიწყეს საერთო რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობა და თითქოს ისმაილიტურმა დოქტრინამ მათთვის უკანა პლანზე გადაიწია.

ამდენად, მათი რელიგიური ძალაუფლებაც დასუსტდა და ბოლოს, ფატიმიანები მხოლოდ იმით გამოხატავდნენ თავიანთ კავშირს მოციქულთან, რომ მონაწილეობას იღებდნენ მოციქულის ოჯახისადმი მიძღვნილ სხვადასხვა სახალხო დღესასწაულებში და მდიდრულ აკლდამებს უგებდნენ მის შთამომავლებს.[353]

ადმინისტრაცია. ფატიმიანთა სახელმწიფო სტრუქტურა იფრიკიაში მმართველობის დროს საკმაოდ მარტივი იყო: ხალიფა უშუალოდ განაგებდა ყველა სახელმწიფო საქმეს, მკაცრად ცენტრალიზებული ადმინისტრაცია („ალ-ხიდმა“ - მომსახურება) კი განლაგებული იყო დედაქალაქის სასახლეში („დარ ალ-მულქ“) და შედგებოდა მხოლოდ რამდენიმე განყოფილებისგან, რომლებიც წარმართავდნენ საჯარო ადმინსიტრაციულ, ფინანსურ და სამხედრო საქმეებს.

მოგვიანებით, ეგვიპტეში დამკვიდრების შემდეგ, ფართო ტერიტორიაზე გადაჭიმული სახელმწიფოს სამართავად, ფატიმიანებმა შექმნეს კარგად ორგანიზებული ადმინისტრაციული აპარატი, რომელიც რამდენიმე დეპარტამენტად, ანუ „დივანად“ იყოფოდა. ეს „დივნები“ არეგულირებდნენ სახალიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკას, ფინანსებს, სამხედრო ადმინისტრაციასა და სხვა სფროებს. წყაროები ფატიმიანთა ადმინისტრაციის შესახებ ძალზე ზედაპირულ ცნობებს იძლევიან. ამდენად, დღეს ძნელია აღვადგინოთ „დივნების“ განვითარების სრული პროცესი. გარდა ამისა, ძნელი სათქმელია, მოჰქონდა თუ არა „დივნების“ სახელწოდებებს ხშირ ცვლას მათი სტრუქტურული, ან ფუნქციონალური ცვლილებები. თუმცა, მიუხედავად ამისა, ფატიმიანთა ადმინისტრაცია შეიძლება დახასიათდეს, როგორც საკმაოდ ცენტრალიზირებული და კონსოლიდირებული აპარატი.

ეგვიპტეში დამკვიდრების ადრეულ ეტაპზე ფატიმიანებმა ამ რეგიონში შეინარჩუნეს იხშიდიანთა დეცენტრალიზებული ადმინისტრაცია. სხვა დამპყრობლების მსგავსად, ეგვიპტის ადმინისტრაციული სისტემა არც ჯავჰარს შეუცვლია და ძველი მოხელეები თანამდებობებზე დატოვა, მათ შორის კოპტები

[352] Ibid. 172.
[353] Ibid. 173.

და სუნიტები.[354] მან თანამდებობა შეუნარჩუნა იხშიდიანთა ვეზირს იბნ ალ-ფურატსაც, რომელიც უწინდელის მსგავსად გადასახადების აკრეფას განაგებდა. ახალმა მმართველობამ დანიშნა ჩრდილოეთ აფრიკელი ინსპექტორები, რომლებიც აკონტროლებდნენ გადასახადების ამკრეფებს და შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომელსაც ევალებოდა დამარცხებული იხშიდიანების ქონების მართვა-პატრონობა.

973/363 წელს ეგვიპტეში ჩასულმა ალ-მუიზმა ჩაატარა ადმინისტრაციის ძირეული რეფორმა. გადასახადების აკრეფა და სხვა ყველა ფინანსური საქმე ხალიფამ დაავალა იაკუბ იბნ კილისს, ერაყელ ვაჭარს, რომელიც ჯერ კიდევ იხშიდიანებთან მსახურობდა. იბნ კილისს კიდევ ერთი ადამიანი ჰყავდა დამხმარედ. მათ დაიწყეს ყველა შეგროვილი გადასახადის თავმოყრა ერთ ადგილას, სპეციალურ ადმინისტრაციულ კომპლექსში, რომელიც იბნ ტულუნის მეჩეთის გვერდით მდებარეობდა. მათ მიერ გატარებულმა რეფორმამ საგრძნობლად გაზარდა სახაზინო შემოსავალი. განსაკუთრებით მოიმატა აკრეფილმა გადასახადებმა ნილოსის დელტაში მდებარე ქალაქებიდან - დამიეტასა და თინისიდან, რომლებიც ძირითადად ქსოვილებს აწარმოებდნენ.

იბნ კილისის მიერ შემუშავდა რთული ადმინისტრაციული და ფინანსური ინსტიტუციები. ეს ინსტიტუციები ძირითადად გადმოღებული იყო აბასიანთა სტრუქტურიდან, თუმცა უფრო დამუშავებული და პროგრესული სახით. ამ ახალი სისტემის დანერგვის შემდეგ მკაცრად ცენტრალიზებული გახდა ფატიმიანთა ადმინისტრაციული სტრუქტურა, რომელსაც სათავეში ხალიფა და მისი ვეზირი ედგნენ. ამავე დროს პროვინციულ ორგანოებს მკაცრად აკონტროლებდა ცენტრალური აპარატი, რომელიც კაიროში იყო განთავსებული.[355] გადასახადების აკრეფის ცენტრალიზაციის მიზნით, იბნ კილისმა ადმინისტრაციული „დივნების“ რეორგანიზაცია ჩაატარა და შეიმუშავა კონტროლისა და დაბალანსების სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა ერთი და იგივე ადმინისტრაცული ფუნქციის ორ, ან მეტ „დივანზე“ გადანაწილებას. ეს ეფექტური შიდა კონტროლი საშუალებას იძლეოდა სხვადასხვა „დივნებს” ერთმანეთი გაეკონტროლებინათ. გარდა ამისა, იბნ კილისმა სუნიტებისა და კოპტების ნაცვლად „დივნებში“ ბერბერები დაასაქმა.[356]

აბასიანთა მსგავსად, ფატიმიანთა ცენტრალური ადმინისტრაცია შედგებოდა მრავალი „დივანისგან“, რომლებიც განლაგებული იყო ხალიფას ან ვეზირის სასახლეში. პირველ ცენტრალურ აპარატს, რომელზეც მთელი ადმინისტრაციული სტრუქტურა იყო აგებული, ეწოდებოდა „დივან ალ-მაჯალის“. ჩვენთვის უცნობ დროს ეს დივანი დაიყო სამ დეპარტამენტად, რომლებსაც ასევე „დივნები“

[354] Ibid. 157.
[355] Daftary, *The Isma'ilis*, 212.
[356] Sanders, "The Fatimid state", 158.

ეწოდებოდა: „დივან არ-რასა'ილ“, ანუ კანცელარია, რომელიც გამოსცემდა ყველა ოფიციალურ დოკუმენტსა და წერილს; „დივან ალ-ჯაიშ ვა არ-რავათიბ“, ანუ ჯარისა და ხელფასების სამინისტრო და „დივან ალ-ამვალ“, ანუ ფინანსთა სამინისტრო. ყველა ეს „დივანი“ თავის მხრივ მცირე დეპარტამენტებად და განყოფილებებად იყო დაყოფილი.[357]

„დივნების“ რეორგანიზაციამ ფატიმიანებს ახალი მონეტარული პოლიტიკის გატარების საშუალება მისცა. ამ სფეროში იხშიდიანები განიცდიდნენ მწვავე კრიზისს და მათი ფულის ერთეული ძალიან გაუფასურდა. ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ ჯავჰარმა მოაჭრევინა ოქროს ახალი მონეტები, რომელსაც ალ-მუიზის დინარი ეწოდა. მისივე ბრძანებით, იხშიდიანთა ძველი, გაუფასურებული ფულის ერთეული, მიმოქცევიდან იქნა ამოღებული და ყველა გადასახადი ალ-მუიზის დინარებით უნდა ყოფილიყო გადახდილი, რაც უსათუოდ ხელს შეუწყობდა გადასახადების აკრეფის ცენტრალიზაციას. ფატიმიანთა ფულის ერთეულის ფასი, იმპერიის არსებობის განმავლობაში, უცვლელად მაღალი რჩებოდა და სახელმწიფოს ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი იყო.[358]

სასამართლო ადმინისტრაციას არ ჰქონია ცალკე „დივანი“, თუმცა გადანაწილებული იყო რამდენიმე მოხელეს შორის. იმ ეპოქის სხვა მუსლიმური სახელმწიფოების მსგავსად, რელიგიური სამართალი, ანუ შარიათი, მკაფიოდ იყო გამიჯნული ადმინისტრაციული სამართლისგან. ხშირად ორივე მიმართულებას ხელმძღვანელობდა სახალიფოს უმაღლესი მოსამართლე, ანუ „კადი ალ-კუდათ“-ი. როდესაც ფატიმიანებმა ეგვიპტე დაიპყრეს, ხალიფა ალ-მუიზმა იხშიდიანთა უმაღლეს მოსამართლეს თანამდებობა შეუნარჩუნა, თუმცა ალ-აზიზის დროს უმაღლესი მოსამართლის თანამდებობაზე უკვე ისმაილიტი ღვთისმეტყველი, ცნობილი ისმაილიტი იურისტის, კადი ან-ნუმანის შვილი, ალი იბნ ან-ნუმანი, დაინიშნა. ამ დროიდან მოკიდებული, სასამართლო მხოლოდ ისმაილიტური კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეებად სუნიტებიც ინიშნებოდნენ და ფატიმიანთა მმართველობის გვიან პერიოდში ისინი უმაღლესი მოსამართლის თანამდებობასაც იკავებდნენ. XII/VI საუკუნეში უმაღლესი მოსამართლის ფუნქციები უკვე ვეზირებმა შეითავსეს.[359]

ფატიმიანთა ეგვიპტეში სახელმწიფოს მხარდაჭერისა და სამართლიანობის მოთხოვნის ერთ – ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება იყო პეტიცია. ფატიმიანთა მმართველობის ბოლო პერიოდამდე პეტიციების, რომელთა ადრესატები ძირითადად ხალიფა, ან ვეზირი და იშვიათად მოსამართლე იყვნენ, გადაცემა სასახლის ერთ-ერთ კარებთან ხდებოდა და შემდეგ ისინი სასამართლო

[357] Daftary, *The Isma'ilis*, 213.
[358] Sanders, "The Fatimid state", 158.
[359] Ibid. 157.

კანცელარიაში იგზავნებოდა. კანცელარიაში ამ პეტიციებს განიხილავდნენ მაღალი რანგის მოსამართლეები და ხალიფას ან ვეზირს ეკითხებოდნენ რჩევას. ამის შემდეგ პეტიციას ხელმოწერით ადასტურებდნენ და პასუხს წერდნენ სუფთა ფურცელზე, რომელზეც ხალიფა აწერდა ხელს. დამოწმებული პეტიცია და პასუხი ეგზავნებოდა მოსარჩლეს, ან კანცელარიას, სადაც დადგენილება სრულდებოდა. ფატიმიანთა მმართველობის გვიან პერიოდში ვეზირები აწყობდნენ საჯარო აუდიენციებს, სადაც უშუალოდ იღებდნენ პეტიციებს. პეტიციების გადაცემის უფლება ჰქონდათ, როგორც ინდივიდებს, ასევე ჯგუფებს. ყველა სახის საჩივარი შეიძლებოდა გადასცემოდა ხალიფას, ან ვეზირს. შემონახულია პეტიციები, სადაც ქრისტიანები ეკლესიის დაბრუნებას ითხოვენ, ან იუდეველები სინაგოგის დახურვას ასაჩივრებენ. უმეტესწილად პეტიციების ავტორები იყვნენ ინდივიდები, რომელთა საჩივრებიც ძალზე ფართო სპექტრის პრობლემებს ეხებოდა. მაგალითად, ზოგიერთი მოქალაქე ითხოვდა ხელისუფლების წარმომადგენლებისა, ან ოფიციალური მოხელეების მიერ ჩადენილი არაკანონიერი ქმედებების გამოძიებას და დახმარებას. ისეთი, როგორიცაა ღარიბი ადამიანის ქონების კონფისკაცია, დაკავებული ადამიანის განთავისუფლება, სხვადასხვა სახის პრივილეგიების მინიჭება, გადასახადებისგან განთავისუფლება და სხვა. ასევე ხშირი იყო კრიმინალური დანაშაულის გამოძიების მოთხოვნები. მაგალითად ერთ-ერთი პეტიციით, მოკლული შვილის მამა ხალიფას სთხოვდა დაესაჯა გემის კაპიტანი და მეზღვაურები, რომლებმაც მისი შვილი მოკლეს და გაძარცვეს. ასევე მრავალი ადამიანი ითხოვდა მთავრობის ჩარევას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ვალის დაბრუნება, ან დავები ქონების გაყოფაზე.[360]

კაიროსა და ფუსტატის პოლიცია (აშ-შურტა) და ბაზრების ინსპექტორები (მუჰთასიბ) სამოქალაქო მოხელეები იყვნენ. ისინი ინიშნებოდნენ ხელისუფლების მხრიდან, რადგანაც დედაქალაქში მსახურობდნენ. დღეს ძალზე რთულია დავახასიათოთ ამ პოზიციებზე მომუშავე ადამიანები. მათ არ გაუვლიათ საერთო წვრთნა და არ ყოფილან რელიგიური მოხელეები, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, რადგანაც ხშირად ითავსებდნენ როგორც სასულიერო მოსამართლის, ასევე ადმინისტრაციულ მოხელეთა მოვალეობებს. სრულიად არ იყო აუცილებელი, რომ პოლიციის ხელმძღვანელი იურისტი ყოფილიყო, თუმცა ასეთი შემთხვევებიც არსებობდა. ხშირი იყო დაპირისპირება პოლიციის ხელმძღვანელსა და უმაღლეს მოსამართლეს შორის იურისდიქციისა და პასუხისმგებლობის საკითხებთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, ყურანში გაწერილი სასჯელის აღსრულებაში მოყვანა და დამნაშავეთა დასჯა რელიგიური კანონმდებლობით უნდა მომხდარიყო. ბაზრების კონტროლი (ჰისბა) ექვემდებარებოდა, როგორც რელიგიურ კანონმდებლობას, ასევე საქალაქო

[360] Ibid. 159.

ადმინისტრაციასა და დაუწერელ სავაჭრო კანონებს. თეორიულად მის მოვალეობაში შედიოდა ქუჩების სისუფთავე, წონისა და ხარისხის კონტროლი. რეალურად, „ჰისბას“ ძირითადი ფუნქცია იყო ხორბალის მარაგებზე ზრუნვა და გაჭირვების პერიოდში ბაზრების პურითა და ხორბლის საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფა.[361]

ფატიმიანთა სახელმწიფო ადმინისტრაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „დივან ალ-ჯაიშ“-ი, ანუ დეპარტამენტი, რომელიც განაგებდა სამხედრო ადმინისტრაციას. ბიუჯეტის დიდი ნაწილი, როგორც ამ ეპოქის სხვა მუსლიმურ სახელმწიფოებში, ჯარისთვის იყო განკუთვნილი და ყველა აუცილებელ საკითხს არეგულირებდა უზარმაზარი ბიუროკრატილი აპარატი. ფატიმიანებმა, ბიზანტიელთა და აბასიანთა გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეიმუშავეს კარგად ორგანიზებული სამხედრო სისტემა. პირველ რიგში მათ შექმნეს სპეციალური სამხედრო ადმინისტრაციული აპარატი (დივან ალ-ჯაიშ ვა არ-რავათიბ - ჯარისა და ხელფასების დივანი). ამ დივანს ევალებოდა ჯარისკაცთა სიების შედგენა, მათი ხელფასებისა და მომარაგების აღრიცხვა და განაწილება, გარდაცვლილ ჯარისკაცთა ამოშლა სიებიდან და კავალერიის ცხენებით მომარაგება.[362] ფატიმიანები უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ჯარის მომარაგებას. ფატიმიანთა არმია მუდამ კარგად აღჭურვილი და სურსათ-სანოვაგით უხვად იყო მომარაგებული. ფატიმიანთა ჯარის შეიარაღებაში შედიოდა იმ პერიოდის უახლესი იარაღი. ქვეითი და ცხენოსანი მეომრები შეიარაღებულები იყვნენ ხმლებით, შუბებითა და მშვილდ-ისრებით; ამასთან თითოეული მებრძოლი დაცული იყო აბჯრით, რომელიც შედგებოდა გრძელი ჯაჭვის პერანგისა და ჩაჩქანისგან. ყველა მებრძოლი მშვენივრად იყო გაწვრთნილი და მომზადებული, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ბრძოლისთვის.[363]

სახალიფოს ყველა ოფიციალური პირი, როგორც სამოქალაქო (არბაბ ალ-აკლამ), ასევე სამხედრო (არბაბ ას-სუიუფ), რომლებიც მოღვაწეობდნენ ადმინისტრაციულ, ფინანსურ, სამხედრო, სასამართლო თუ რელიგიურ ორგანოებში, ორგანიზებულნი იყვნენ მკაცრ იერარქიულ სტრუქტურაში, ატარებდნენ მათი თანამდებობის შესაბამის ინსიგნიებს და ოფიციალურ ცერემონიებზე იკავებდნენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს.[364]

ჯარი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფატიმიანები ჩრდილოეთ აფრიკაში ბერბერული ტომებისგან შემდგარი არმიის მეშვეობით გაბატონდნენ და ეგვიპტეც მათი დახმარებით დაიპყრეს. ბერბერებს ფატიმიანთა ჯარში „ალ-მაღარიბა“ ეწოდებოდათ, რადგანაც ძირითადად ჩრდილოეთ აფიკული ტომებით იყო

[361] Ibid. 160.
[362] Mahāsna, *Tārīkh Madīna Dimashq*, 151.
[363] Ibid. 149.
[364] Daftary, *The Isma'ilis*, 213.

დაკომპლექტებული (ზუვაილა, ქუთამა, ალ-ბარკია, ალ-მასმუდა, სინჰაჯა და სხვა).[365] აღსანიშნავია, რომ მათ შორის ცენტრალური ადგილი ქუთამას ტომს ეკავა. მათ საქმეებს სპეციალურად შექმნილი ქუთამიელთა ადმინისტრაცია განაგებდა. ქუთამიელებს მრავალი პრივილეგია ჰქონდათ მინიჭებული. ისინი გადასახადებისგანაც თავისუფალნი იყვნენ. ბერბერთა ერთგულებამ ფატიმიანებს დიდი სარგებელი მოუტანა, თუმცა დროთა განმავლობაში და რიგი მიზეზების გამო, ჯარის რეორგანიზაცია გახდა საჭირო. პირველ რიგში ამ ცვლილებებს ფატიმიანთა ჯარში ბრძოლის სტილისა და ტაქტიკის მრავალფეროვნება უნდა შეეტანა. როგორც ცნობილია, ბერბერებს მშვილდოსათა ნაწილები არ ჰყავდათ, რაც თანდათანობით უარყოფით კვალს ტოვებდა ფატიმიანთა ჯარის ტაქტიკურ მომზადებაზე. ამ ნაკლმა განსაკუთრებით მაშინ იჩინა თავი, როდესაც ფატიმიანები სირიაში შეიჭრნენ, სადაც აბასიანთა არმიასთან მოუწიათ ბრძოლა. აბასინათა ჯარში თურქი მშვილდოსნები დომინირებდნენ და სწორედ მათ წინააღმდეგ უწევდათ ომი ფატიმიანებს. თურქები ჩინებული მშვილდოსნები იყვნენ, რის წყალობითაც მრავალჯერ დაამარცხეს ფატიმიანთა ლაშქარი. ამ წარუმატებლობამ ფატიმიანთა ჯარში მშვილდოსანთა ყოლის აუცილებლობის საკითხი დასვა[366] გარდა ტაქტიკური ნაკლის გამოსწორებისა, ჯარის რეორგანიზაციის პოლიტიკური მიზეზიც არსებობდა. ხალიფა ბერბერებს უწინდებურად აღარ ენდობოდა, რადგან ისინი იმდენად გაძლიერდნენ, რომ მათი გაკონტროლება ძალზე გართულდა და გაჩნდა აჯანყების საშიშროება. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ხალიფა ალ-მუიზის შვილმა, ალ-აზიზმა, გარკვეული რეფორმების გატარება დაიწყო. კერძოდ, მან ჯარში თურქების როლის გაზრდა განიზრახა და დაიწყო თურქული ნაწილების შექმნა. მათ ეწოდებოდათ „ალ-მაშარიკა“. მიჩნეულია, რომ ხალიფა ალ-აზიზი იყო პირველი, ვინც ფატიმიანთა ჯარში თურქები და დაილემიტები შეიყვანა, ყოველ შემთხვევაში, მისი მმართველობის პერიოდში „ალ-მაშარიკა“-ს რიცხვმა ძალზე იმატა.[367] ალ-აზიზის დროსვე ფატიმიანთა ჯარში ყაზარმების სისტემა დაინერგა. თითოეული დანაყოფი სპეციალურად აშენებულ ყაზარმაში, ან სამხედრო ბაზაზე ცხოვრობდა, რომლებიც პატარა ქალაქებს წარმოადგენდა. მაგალითად ცნობილია, რომ მასამიდას ყაზარმაში ოცი ათასზე მეტი მებრძოლი ცხოვრობდა. საცხოვრებლის გარდა, ეს ყაზარმები მებრძოლების სავარჯიშო ბაზებიც იყო.[368] მაგალითად, „ალ-მაშარიკა“-სთვის აგებულ ყაზარმებში თურქული წარმოშობის მონები მშვილდოსნობას ეუფლებოდნენ. სხვა ისლამური სახელმწიფოების ჯარების

[365] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 28.
[366] Sanders, "The Fatimid state", 154.
[367] Y. Lev, „Army, Regime, and Society in Fatimid Egypt, 358-487/968-1094“ in *International Journal of Middle East Studies*, Vol. 19, No. 3 (Aug., 1987), 342.
[368] აღსანიშნავია, რომ ამგვარი სისტემა აბასიანებმა ჯერ კიდევ IX საუკუნეში შემოიღეს.

მსგავსად, ფატიმიანთა ჯარშიც თურქებმა მალე დაიკავეს წამყვანი ადგილი. ალ-მუიზისგან განსხვავებით ხალიფა ალ-აზიზი მთლიანად „ალ-მაშარიკა“-ს დაეყრდნო და წამყვან თანამდებობებზე ძირითადად თურქები დანიშნა.[369] ჯარის დივერსიფიკაცია გააგრძელა ხალიფა ალ-ჰაქიმმაც, რომელმაც თავის ჯარში შავკანიანი მონები ე.წ. ნაყიდი მონები (‘აბიდ აშ-შირა’) შეიყვანა.[370]

ფატიმიანთა ჯარის ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ყველაზე მცირე დანაყოფი იყო ათეული, რომელსაც ათმეთაური (‘არიფ) მეთაურობდა. ათ ათეულს, ანუ ასეულს - ასმეთაური (ნაკიბ), ათ ასეულს, ანუ ათასეულს - ათასისთავი (კა’იდ) და ათ ათასეულს, ანუ ათიათასეულს მეთაურობდა ამირა (ამირ). მთელი ჯარის მთავარსარდალს ეწოდებოდა სპასალარი,[371] რომელიც, ამავე დროს, ხალიფას მექოლგეთა და პირადი დაცვის უფროსი იყო. ოფიციალურ ცერემონიებზე მას ევალებოდა ხალიფას თავზე ქოლგის ჭერა, მისი ხმლისა და შუბის ტარება.[372] ზოგ შემთხვევაში არსებობდა რეგიონული ჯარის მეთაურის თანამდებობა. მაგალითად, სირიის ჯარის მეთაურს ეწოდებოდა სირიის ჯარების სარდალი.[373]

დიდი ქალაქის გამგებელი, ამავე დროს, ამ ქალაქისადმი დაქვემდებარებული რეგიონის მთავარსარდალიც იყო. აღსანიშნავია, რომ მისი ჯარი ორი - რეგულარული და არარეგულარული ნაწილებისაგან შედგებოდა.

ყოველ ახლად დანიშნულ გამგებელს ხალიფა რეგულარული ჯარის გარკვეულ ნაწილს ატანდა. მეომართა რაოდენობა ამ ჯარში სამიდან ხუთი ათასამდე მერყეობდა. ქალაქის გამგებლისათვის გამოყოფილი ჯარის რაოდენობა პირველ რიგში დამოკიდებული იყო ამ პიროვნების სტატუსზე ხალიფას კარზე. ამგვარად, ქალაქის გამგებლის გამოცვლასთან ერთად იცვლებოდა ამ ქალაქში დისლოცირებული რეგულარული ჯარის დანაყოფი და ყოველ ახალ გამგებელს ახალი ნაწილი მოჰყვებოდა. ქალაქში მდგარ რეგულარულ ნაწილებს უმეტესწილად ქალაქის დაცვა ევალებოდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხალიფა საერთო, ან ლოკალურ მობილიზაციას გამოაცხადებდა.

რეგულარული ჯარის დამხმარე ნაწილს წარმოადგენდა არარეგულარული ჯარი, რომელიც შედგებოდა ადგილობრივი მოსახლეობისგან და მხოლოდ სერიოზული საფრთხეების დროს გამოიყენებოდა.[374]

ფატიმიანთა ჯარის საერთო რაოდენობაზე საუბარი საკმაოდ რთულია. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ჯარი, რომლითაც ჯავჰარმა ეგვიპტე დაიპყრო, ქვეითთა გარდა, 100 ათას ცხენოსანს ითვლიდა. ცნობილი ხორასანელი

[369] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 28.
[370] Jamāl al-Dīn, *al-Dawla al-Fāṭimiyya* (al-Qāhira: Dār ath-Thaqāfa 1991), 190.
[371] Mahāsna, *Tārīkh Madīna Dimashq*, 148.
[372] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 33.
[373] Mahāsna, *Tārīkh Madīna Dimashq*, 148.
[374] Ibid. 149.

მოგზაური და მეცნიერი, ნასირ ხოსროუ,[375] XI ს-ის შუა ხანების ფატიმიანთა სამხედრო ძალების შესახებ მოგვითხრობს, რომ მათ ჯარში შედიოდა 20 000 ქუთამიელი და 15 000 ბატილიელი ცხენოსანი, 20 000 მასამიდელი ქვეითი, 10 000 თურქი და სპარსელი მებრძოლი, 50 000 ბედუინი ცხენოსანი. ასევე, ნაყიდი მონებისა და აღმოსავლეთ აფრიკელებისგან შემდგარი შავკანიანთა ორი დანაყოფი, რომელთაგან თითოეულში 30 000 მებრძოლი შედიოდა. რა თქმა უნდა, ეს მონაცემები გადაჭარბებულია, თუმცა უდავოა, რომ ფატიმიანთა ჯარი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო.[376] ცნობილია, რომ საშუალო მნიშვნელობის ოპერაციებში დაახლოებით 15-20 ათასი მებრძოლი მონაწილეობდა. მაგალითად, 973/363 წელს ფატიმიანთა მთავარსარდალს, აბუ მაჰმუდ იბრაჰიმ იბნ ჯაფარს, დამასკოზე ლაშქრობის დროს 20 ათასი მებრძოლი ჰყავდა. ასევე 20 ათასი მეომარით ებრძოდა ჯავჰარი 975/365 - 977/367 წლებში დამასკოს თურქ გამგებელს, ალფთექინს. 996/386 წელს 16 ათასი მებრძოლით დალაშქრა დამასკო ფატიმიანთა სარდალმა, სულეიმან იბნ ჯაფარ იბნ ფალაჰმა.[377]

ფატიმიანთა 200 წლიანი მმართველობის დროს მათი ჯარის შემადგენლობა მრავალჯერ შეიცვალა. რა თქმა უნდა, ეს პროცესი მრავალი წლის მანძილზე მიმდინარეობდა და ყოველი ახალი მმართველი გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს ანიჭებდა უპირატესობას. ეს ცვლილებები ძირითადად პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი, რადგანაც ფატიმიანთა სახალიფოს ჩამოყალიბებაში ჯარს წამყვანი ადგილი ეკავა. სწორედ ჯარის დივერსიფიკაციის პროცესმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ფატიმიანთა სახელმწიფოს, როგორც განვითარებასა და აღზევებაში, ასევე მის დაცემასა და განადგურებაში.

XI/V საუკუნის შუა ხანებისთვის ფატიმიანთა ჯარი რამდენიმე ეთნიკური ჯგუფისგან შედგებოდა და თითოეულს საკუთარი ბრძოლის სტილი გააჩნდა. ბერბერები იყვნენ შუბოსანი ცხენოსნები, შავკანიანები - მძიმედ შეიარაღებული ქვეითები, დაილემიტები - მსუბუქი ქვეითები, რომლებიც მშვილდებითა და ხელშუბებით იბრძოდნენ, ხოლო თურქები - ცხენოსანი მშვილდოსნები.[378]

ფატიმიანთა ჯარში სპეციალური საარტილერიო დანაყოფიც არსებობდა, რომლის წევრებსაც „ან-ნაფატიუნ“-ები ეწოდებოდათ.[379] მათ ევალებოდათ ნავთისა და სხვა ფეთქებადი ნივთიერებებისგან შემდგარი ყუმბარების დამზადება

[375] ნასირ ხოსროუ (1003/394 – 1088/481 წწ) სხვადასხვა დროს ცხოვრობდა და მუშაობდა მრავალ ქვეყანაში. 1047/439 წელს ჩავიდა კაიროში, სადაც შვიდი წელი იცხოვრა. ეგვიპტეში მან ისმაილიზმი მიიღო და ხორასანის მთავარ დაიდ დაინიშნა. ის ავტორია, მრავალი ნაშრომისა, რომელთა შორის „საფარ ნამე“ გამოირჩევა.

[376] Y. Lev, *State and society in Fatimid Egypt* (Brill 1991), 93.

[377] Mahāsna, *Tārīkh Madīna Dimashq*, 150.

[378] Sanders, “The Fatimid state”, 155.

[379] „ან-ნაფატიუნ“-ების ეთნიკური წარმომავლობა არ არის ცნობილი. თუმცა, ჩვენი აზრით, ისინი ბერძნები უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც სწორედ მათ იცოდნენ ყველაზე კარგად „ბერძნული ცეცხლის“ დამზადების ტექნოლოგია.

და მტრის არტილერიული დამუშავება. ამგვარი შეტევა მტერს ან სრულად ანადგურებდა, ან ყოველ შემთხვევაში მის წინსვლას აფერხებდა და მოწინააღმდეგის რიგებში პანიკას თესდა. სწორედ ეს „ყუმბარები“ წარმატებით გამოიყენეს ფატიმიანებმა 988/378 წელს დამასკოზე შეტევისას.[380]

ჯარის ეთნიკური ნიშნით დაყოფას მოჰყვა ურთიერთდაპირისპირებული ალიანსების შექმნა. თავდაპირველად მტრობა ჩამოვარდა ქუთამას ტომსა და თურქებს შორის, თუმცა შემდგომში, 1020/410 წელს, ისინი დაუპირისპირდნენ შავკანიანებს, რომლებმაც თურქთა და ბერბერთა პრივილეგიები გააპროტესტეს. ამის საპასუხოდ თურქებმა ფუსტატი გადაწვეს, სადაც შავკანიანთა ნაწილები იყო განთავსებული.

ხალიფა ალ-ჰაქიმის სიკვდილის შემდეგ ფატიმიანთა სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლება დასუსტებას იწყებს, რამაც ჯარში არსებული გამუდმებული მტრობა და კონკურენცია კიდევ უფრო გაამძაფრა. ამგვარი ვითარება კი, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ასუსტებდა ჯარს და მთლიანად სახელმწიფოს. ეს ისედაც მერყევი ბალანსი XI საუკუნის 60-იან - V საუკუნის 50-იან წლებში საბოლოოდ დაირღვა და სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ერთმანეთს კვლავ შავკანიანებიები და თურქები დაუპირისპირდნენ. ამის ერთ-ერთ მიზეზად იქცა ის, რომ ცხენოსნებს გაცილებით მაღალი ხელფასი ჰქონდათ, ვიდრე ქვეითებს. თურქთა უმრავლესობა ეგვიპტეში ალ-აზიზის დროს ჩამოსახლდა, ადგილობრივებზე დაქორწინდა და მათი შვილები უკვე ეგვიპტეში გაჩნდნენ. ამის საპირისპიროდ, შავკანიანებს თავისუფალ ქალებზე ქორწინების უფლება არ ჰქონდათ. ამ გარემოებამ მძაფრი სოციალური დაპირისპირება გამოიწვია.[381] ხალიფა ალ-მუსთანსირმა დაინახა, რომ წესრიგის აღდგენა შეუძლებელი იყო. ამიტომ, სიტუაციის განმუხტვის მიზნით, მან აკრას გამგებელი ბადრ ალ-ჯამალი მოიწვია, რომელიც 1074/466 წელს თავისი ჯარით კაიროში შევიდა. ბადრის ჯარი რამდენიმე ეთნიკური ჯგუფისგან შედგებოდა, თუმცა წამყვანი ადგილი სომხებს ეკავათ. ბადრის მიერ გატარებული სამხედრო რეფორმების შემდეგ, სომხები სამხედრო ელიტად იქცნენ და მსახურობდნენ, როგორც ქვეით ჯარში, ისე კავალერიაში. სომეხ მებრძოლებს არაფერი არ აკავშირებდათ ეგვიპტესთან, ამდენად, მათი სამსახური დამყარებული იყო მხოლოდ ბადრისადმი მორჩილებაზე. თავისუფალი ჯარისკაცების გარდა, ბადრმა ჩამოიყვანა მრავალი მონა-მებრძოლი, რომლებიც მხოლოდ მას ემორჩილებოდნენ.

ფატიმიანთა დინასტიის დაცემამდე, ეგვიპტური ჯარი მულტიეთნიკური რჩებოდა. ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბებული თითოეული დანაყოფი კაიროში მისთვის სპეციალურად გამოყოფილ უბანში ცხოვრობდა და შეკრული იყო

[380] Mahāsna, *Tārīkh Madīna Dimashq*, 149.
[381] Lev, *State and society in Fatimid Egypt*, 94.

პატრონაჟის კომპლექსური სისტემით. ბადრის შვილმა და მემკვიდრემ, ალ-აფდალმა,[382] შეინარჩუნა და კიდევ უფრო სრულჰყო მამამისის მიერ ჩამოყალიბებული სისტემა, თუმცა მას უფრო მრისხანე მოწინააღმდეგე შეხვდა ჯვაროსნების სახით.[383]

„და'ვა". დედაქალაქის კაიროში გადატანის შემდეგ „და'ვა" კარგად იქნა ორგანიზებული და ფართო მასშტაბები მიიღო. ცნობილია, რომ ფატიმიანთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა ბატონობა მთელს მუსლიმურ სამყაროზე. ამდენად, ისმაილიტური „და'ვა" მიმართული იყო ყველა მუსლიმის ისმაილიზმზე მოქცევაზე. ფატიმიანთა მიერ წარმოებული პროპაგანდის მთავარ დებულებას წარმოადგენდა ის, რომ ისმაილიტი იმამი იყო ღვთაებრივი სულით აღვსილი, მას გააჩნდა ღვთის მიერ ბოძებული ცოდნა (ʻილმ) და საღვთო წიგნებში დაფარული მნიშვნელობების ინტერპრეტაციის, ანუ „თა'ვილ"-ის უნარი. ამდენად, სწორედ ფატიმიანი ხალიფა იყო კაცობრიობის ერთადერთი კანონიერი ლიდერი, სხვა ყველა მმართველი კი - უზურპატორი. სწორედ ამიტომ უწოდებდნენ ფატიმიანები თავიანთ სწავლებას „ად-და'ვა ალ-ჰადია", ანუ კაცობრიობისთვის სწორი გზის მაჩვენებელი სწავლება. ყოველ შემთხვევაში, ისმაილიზმი იქცა ფატიმიანთა სახალიფოს სახელმწიფო რელიგიად და ის ფართოდ ისწავლებოდა სახალიფოს ტერიტორიაზე. ამავე დროს ისმაილიზმი ფარულად ისწავლებოდა ფატიმიანთა იმპერიის გარეთ და ფატიმიანი დაიები აგრძელებდნენ VIII/III საუკუნეში მოღვაწე ისმაილიტთა საქმეს. ალ-მუსთანსირის ზეობის დროს ისმაილიზმს მრავალი მიმდევარი გაუჩნდა ფატიმიანთა სახალიფოს საზღვრებს გარეთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით სახალიფოს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზეც კი, ის უმრავლესობის რელიგიად არ იქცა.

ფატიმიანთა „და'ვა"-ს ორგანიზაცია და განვითარება, ისევე როგორც ნომინალური, თუ რეალური იერარქიული წოდებების მატარებელთა ფუნქციები და მოქმედების საზღვრები, დღეისთვის ისევ ბურუსით მოცული რჩება.

ფატიმიანთა სახალიფოს საზღვრებს გარეთ მოქმედი „და'ვა"-ს ბუნებიდან გამომდინარე, ინფორმაცია მის შესახებ ძალზედ მწირია, რადგანაც მტრულად განწყობილ რეგიონებში ისმაილიტი დაიები ფარულად მოქმედებდნენ. ამ პერიოდის ისმაილიტური ლიტერატურაც დუმს „და'ვა"-ს რაიმე სახის საორგანიზაციო საკითხებზე. ფატიმიანთა კონტროლირებად ტერიტორიებზე ისმაილიზმი ღიად ისწავლებოდა და იმართებოდა სახელმწიფო სასამართლო ორგანოთი, კერძოდ, მთავარი კადის, ანუ „კადი ალ-კუდათ"-ის მიერ, რომელიც სათავეში ედგა სახელმწიფო სასამართლო ორგანოს. საინტერესოა, რომ მთავარი კადი ხშირად „და'ვა"-ს ადმინისტრაციული მმართველის თანამდებობასაც

[382] ალ-აფდალ ბ. ბადრ ალ-ჯამალი შაჰინშაჰ (1066/459-1121/515 წწ.) ფატმიანთა ვეზირი და სახალიფოს მმართველი. სახელი გაითქვა იერუსალიმის აღებით და ჯვაროსნებთან ბრძოლებით.
[383] Sanders, "The Fatimid state", 155 – 156.

ითავსებდა და ამდენად, მთავარი დაის (დაʿი ად-დუʿათ) მოვალეობებსაც ასრულებდა.

სწავლის მიმართ ისმაილიტთა გამახვილებულ ყურადღებას შედეგად მოჰყვა გამორჩეული ტრადიციებისა და სწავლების ინსტიტუციების ჩამოყალიბება. ფატიმიანთა ისმაილიტურ „დაʿვა“-ში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობოდა ახალმოქცეულთა განათლებას და მათთვის „ჰიქმა“-ს (სიბრძნე), ანუ ისმაილიტური ეზოთერიული დოქტრინის სწავლებას. ფატიმიანთა სახელმწიფოს ორგანიზებით ტარდებოდა სპეციალური ლექციები, რომლებსაც „მაჯალის“-ი ეწოდებოდა. ეს ლექციები, რომელიც ძირითადად კაიროში ტარდებოდა, ემსახურებოდა სხვადასხვა მიზნებს და განკუთვნილი იყო სხვადასხვა სახის მსმენელთათვის. ძირითადად ტარდებოდა ორი სახის ლექციები. პირველი იყო საჯარო ლექციები, რომლებზეც ფართო აუდიტორიას უხსნდნენ ისმაილიტურ სამართალს და სხვა ეგზოთერულ საკითხებს; ხოლო მეორე სახის ლექციებზე, რომელიც განკუთვნილი იყო მსმენელთა ვიწრო და სპეციფიკური წრისთვის, რომელშიც მხოლოდ ინიციაცია გავლილი ისმაილიტები შედიოდნენ, განიხილებოდა ისმაილიზმის ეზოთერული საკითხები.

ფატიმიანთა „მაჯალის“-ები ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში ჩამოყალიბდა ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიაზე, სადაც დაი აბუ აბდ ალაჰ აშ-შიი ბერბერებს ესაუბრებოდა „აჰლ ალ ბაით“-ის (მოციქულ მუჰამადის შთამომავლები) სიწმინდესა და ალიდი იმამების ლეგიტიმაციაზე. თუმცა ინიციაცია გავლილი ბერბერებისთვის მან ასევე დაიწყო „ჰიქმა“-ს სწავლება, აღსანიშნავია, რომ ინიციირებულთა რიგებში ქალებიც შედიოდნენ.

ისმაილიტური კანონმდებლობის კოდიფიკაციის შემდეგ, საჭირო გახდა ახალი კანონების ფართო მასებისთვის გაცნობა, როგორც ისმაილიტთათვის, ასევე სხვა მუსლიმებისთვის. ამიტომ, ყოველი საპარასკევო ლოცვის შემდეგ კადი ან-ნუმანი თვითონ ატარებდა საჯარო ლექციებს და საზოგადოებას ახალ კოდიფიცირებულ კანონმდებლობას აცნობდა. ეს ტრადიცია კაიროში გადასვლის შემდგომაც დარჩა და მსგავს ლექციებს ცნობილი ისმაილიტი კანონმდებლები და ღვთისმეტყველები კითხულობდნენ.[384]

საჯარო ლექციების გარდა, რომელიც ძირითადად კანონმდებლობას ეხებოდა, კაიროში ტარდებოდა სპეციალური ლექციებიც, რომლებიც შემუშავებული იყო „დაʿვა“-ს ორგანიზებისა და წარმოების შესასწავლად.[385]

როგორც უკვე აღინიშნა, ლექციები ისმაილიზმის ეზოთერიული ნაწილის, ანუ „ბატინ“-ის შესახებ (მაჯალის ალ-ჰიქმა) ტარდებოდა მხოლოდ ინიციირებული წრისთვის. საიდუმლოს შენახვის მიზნით ამ ლექციების მოსასმენად

[384] Daftary, *The Isma'ilis*, 214.
[385] Ibid. 213.

ინიციირებულები იკრიბებოდნენ ხალიფას სასახლეში - სპეციალურად გამოყოფილ დარბაზში. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ლექცია, რომელსაც მთავარი დაი კითხულობდა, წინასწარ იყო დამოწმებული ხალიფა-იმამის მიერ, რადგანაც „ჰიქმა“-ს პირველწყარო მხოლოდ იმამი იყო, ხოლო მთავარი დაი კი მის სიტყვებს აჟღერებდა.

ქალებისთვის ლექციები ცალკე დანიშნულ დროს ტარდებოდა ალ-აზჰარის მეჩეთში, ხოლო დიდგვაროვანი და სამეფო ოჯახის წარმომადგენელი ქალები სასახლეში ისმენდნენ ლექციებს.[386]

„და'ვა“-ს ერთპიროვნულად განაგებდა ისმაილიტთა იმამი და ის მართავდა მის პოლიტიკასა და სწავლებას. მთავარი დაის კი „და'ვა“-ს ორგანიზაციული საკითხები ევალებოდა. ის ყველაფერში ემორჩილებოდა იმამს და ჰყავდა რამდენიმე დამხმარე დაი. მთავრ დაის ჰქონდა უფლება დაენიშნა, ან მოეხსნა რეგიონებში მოღვაწე დაიები, რომლებიც მთავრი დაის წარმომადგენლები იყვნენ ფატიმიანთა იმპერიაში შემავალ ყველა ძირითად ქალაქში. სავარაუდოდ სწორედ მთავარი დაი ირჩევდა სახალიფოს საზღვრებს გარეთ გასაგზავნ დაიებსაც. მთავარი დაის სხვა ფუნქციების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. ჩვენ ვიცით, რომ მისი რეზიდენცია კაიროში მდებარეობდა. ის იერარქიულად მთავარ კადიზე ერთი საფეხურით დაბლა იდგა, თუმცა ხშირ შემთხვევებში ორივე ამ თანამდებობას ერთი პიროვნება ითავსებდა. თვითონ ტერმინი, მთავარი დაი, ძირითადად სუნიტურ წყაროებში გვხვდება და იშვითად გამოიყენება ისმაილიტი ავტორების მიერ ფატიმიანთა დროინდელ ისმაილიტურ ლიტერატურაში. „და'ვა“-ს იერარქიის შესახებ არსებულ მონაცემებში ხშირად გამოიყენება ტერმინი „ბაბ” (კარი) და აღნიშნავს იმამის შემდეგ მეორე პიროვნებას. სავარაუდოდ ისმაილიტურ რელიგიურ ტერმინოლოგიაში „ბაბ”-ი მთავარი დაის ეკვივალენტად გამოიყენებოდა.[387]

ისმაილიტი ავტორები დროდადრო განსხვავებულ მითითებებს გვაწვდიან „და'ვა”-ს სტრუქტურულ ორგანიზაციაზე, რომელსაც ისინი უწოდებდნენ „ჰუდუდ ად-დინ“-ს ან „მარათიბ ად-და'ვა“-ს. მიუხედავად ამისა, არ არის ცნობილი „და'ვა“-ს ორგანიზების რაიმე კონკრეტული დეტალები. სავარაუდოდ, „და'ვა“ დროდადრო ცვლილებებს განიცდიდა და საბოლოო სახე მხოლოდ ალ-ჰაქიმის ზეობის დროს მიიღო. ცვლილებას განიცდიდა ტერმინოლოგიაც, მაგალითად, ირანელი და იემენელი დაიები განსხვავებულ ტერმინებს იყენებენ „და'ვა“-ს იერარქიული პოზიციების აღსანიშნად და ზოგიერთი ძველი სახელწოდება ალ-მუსთანსირის ზეობის ხანაში ხმარებიდან ამოიღეს. აღსანიშნავია, რომ ფატიმიურ ტექსტებში ნახსენები იერარქია გამოხატავს იმ

[386] Ibid. 215.
[387] Ibid. 216.

უტოპიურ მდგომარეობას, როდესაც ისმაილიტი იმამი მთელი სამყაროს მბრძანებელი გახდება და არ ასახავს კონკრეტული დროის მონაკვეთში არსებულ სიტუაციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაʿვა“-ს იერარქიაში ნახსენები სხვადასხვა პოზიციები ყოველთვის არ იყო დაკავებული, ან საერთოდ, არავის დაუკავებია ესა თუ ის იერარქიული საფეხური.

როგორც უკვე აღინიშნა, ფატიმიურ „დაʿვა“-ს იერარქიული სტრუქტურა ჰქონდა და სავარაუდოდ ისმაილიტურ დოქტრინაში მოცემულ იერარქიასთან იყო შეთანხმებული. ანალოგიები შეიძლება დავინახოთ ისმაილიტურ მიწიერ იერარქიასა („ნატიკ“-ის, „ვასი“-ს („ასას“) და იმამის უმაღლესი პოზიციები) და ზეციურ, ანუ კოსმოლოგიურ იერარქიას შორის.

მიწიერ სამყაროსთან დაკავშირებით ისმაილიტი ავტორები თანხმდებიან, რომ ის იყოფა თორმეტ „ჯაზირა“-დ (კუნძული), კერძოდ, იმ ტერიტორიებად, რომლებიც არ შედიოდნენ ფატიმიანთა იმპერიის საზღვრებში. თითოეული „ჯაზირა“ ითვლებოდა ცალკე მდგომ, თავისებურად დამოუკიდებელ რეგიონად, სადაც „დაʿვა“ უნდა წარმოებულიყო. კადი ან-ნუმანის ნაშრომში მოცემულია ამ რეგიონების ჩამონათვალი: „ალ-ʿარაბ“-ი (არაბები), „არ-რუმ“-ი (ბიზანტიელები), „ას-საკალიბა“ (სლავები), „ან-ნუბ“-ი (ნუბიელები), „ალ-ხაზარ“-ი (ხაზარები), „ალ-ჰინდ“-ი (ინდოეთი), „ას-სინდ“-ი (სინდი), „აზ-ზანჯ“-ი (აფრიკელები), „ალ-ჰაბაშ“-ი (აბისინიელები), „ას-სინ“-ი (ჩინეთი) და „ად-დაილამ“-ი (დაილემის პროვინცია – სავარაუდოდ, მთელი სპარსეთი).[388] ეს რეგიონები გამოყოფილია გეოგრაფიული, ეთნიკური და ლინგვისტური ერთობის საფუძველზე. იმავე პერიოდის სხვა ავტორს მოცემული აქვს იგივე სია ერთი ცვლილებით, ნუბიელების მაგივრად მის სიაში შეტანილია თურქები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ სიაში არ არის შეტანილი ხორასანი, როგორც ცალკე „ჯაზირა“, თუმცა XI/V საუკუნეში ნასირ ხოსროუ მოხსენიებულია, როგორც ამ რეგიონის „ჰუჯჯა“, თუმცა შესაძლოა ხორასანი „ალ-ჰინდ“-ის „ჯაზირა“-ს ეკუთვნოდა. შემდგომში სიას დაემატა იემენი და ერაყი, როგორც დამოუკიდებელი „ჯაზირები“.

თითოეულ „ჯაზირა“-ში „დაʿვა“-ს განაგებდა გამოცდილი დაი, რომელსაც „ჰუჯჯა“ ეწოდებოდა. ის იყო ამ რეგიონის უმაღლესი დაი და ფატიმიანთა „დაʿვა“-ს ოფიციალური წარმომადგენელი. თორმეტ „ჰუჯჯა“-ს შორის, რომლებიც იმამს ემსახურებოდნენ, ოთხს განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა და ისინი გაიგივებულნი იყვნენ ოთხ წმინდა თვესთან.

იერარქიულ კიბეზე „ბაბ“-სა და თორმეტ „ჰუჯჯა“-ს მოჰყვებოდნენ უფრო დაბალი რანგის დაიები, რომლებიც სხვადასხვა „ჯაზირებში“ მოქმედებდნენ. წყაროები გამოყოფენ ამ დაიების სამ კატეგორიას: „დაʿი ალ-ბალაღ“-ი, „ად-დაʿი ალ-მუტლაკ“-ი და „ად-დაʿი ალ-მაჰდუდ“-ი. თითოეულის ფუნქცია ბოლომდე

[388] Ibid. 217.

ნათელი არაა, თუმცა სავარაუდოდ „ად-დაʿი ალ-მაჰდუდ“-ი იყო „ად-დაʿი ალ-მუტლაკ“-ის მარჯვენა ხელი, ხოლო ეს უკანასკნელი განაგებდა „დაʿვა“-ს რეგიონში „ჰუჯჯა“-სა და „დაʿი ალ-ბალაღ“-ის არყოფნის დროს. თავის მხრივ „დაʿი ალ-ბალაღ“-ი იყო მთავარი შუამავალი კაიროში განთავსებულ „დაʿვა“-ს ცენტრალურ აპარატსა და რეგიონალურ აპარატს შორის. წყაროებში ასევე მოხსენიებულია დაის დამხმარეს პოზიცია, რომელსაც „ალ-მაʾზუნ“-ი ეწოდებოდა. კერძოდ, „ად-დაʿი ალ-მუტლაკ“-ის დამხმარე (ალ-მაʾზუნ ალ-მუტლაკ), რომელსაც ზოგჯერ უბრალოდ „ალ-მაʾზუნ“-ს უწოდებდნენ და „ად-დაʿი ალ-მაჰდუდ“-ის დამხმარე (ალ-მაʾზუნ ალ-მაჰდუდ), რომელსაც ასვე „ალ-მუქასირ“-ი ეწოდებოდა. „ალ-მაʾზუნ ალ-მუტლაკ“-ს ევალებოდა ერთგულების ფიცის (ʾაჰდ ან მისაკ) მიღება და „დაʿვა“-ს ზოგიერთი წესის გაცნობა ინიციირებულებისათვის. აღსანიშნავია, რომ „ალ-მაʾზუნ ალ-მუტლაკ“-ი ხშირად თვითონ ხდებოდა დაი. „ალ-მუქასირ“-ს ძალზედ შეზღუდული უფლებები ჰქონდა და მას ევალებოდა პოტენციური მიმდევრების მოზიდვა.[389]

„დაʿვა“-ში ყველაზე დაბალი წარმომადგენლები იყვნენ რიგითი ინიციირებულები (ალ-მუსთაჯიბ), რომლებიც იერარქიას საერთოდ არ მიეკუთვნებოდნენ. ზოგჯერ რიგითი ისმაილიტის ორი კატეგორია იყო მოცემული: „მუʾმინ ალ-ბალაღ“-ი ან უბრალოდ „მუʾმინ“-ი, ანუ უკვე ინიციირებული ისმაილიტი და „ალ-მუსთაჯიბ“-ი, ანუ ნეოფიტი, ან ინიციაციის კანდიდატი. ყოველ შემთხვევაში ისმაილიტური მიმდინარეობის ინიციირებული წევრები უფრო მაღალ საფეხურზე იყვნენ, ვიდრე დანარჩენი მუსლიმები.

აჰმად იბნ იბრაჰიმ ან-ნიშაბური აღწერს დაის აუცილებელ თვისებებს და დასძენს, რომ ყოველი დაი უნდა იყოს ყოველმხრივ სამაგალითო თავისი სამწყსოსთვის და სწორ გზას აცდენილთათვის მოწოდება, ან სასჯელი უნდა გამოიყენოს. ან-ნიშაპური ასევე წერს, რომ ყოველი დაი უნდა დანიშნულიყო მხოლოდ იმამის უშუალო განკარგულებით, თუმცა რომელიმე რეგიონში დანიშვნის შემდეგ მას დამოუკიდებლად უნდა ემოქმედა და მხოლოდ საკვანძო დირექტივები მიეღო იმამისგან.

ამ გარემოებებიდან გამომდინარე, მხოლოდ შესაბამისი ცოდნის, მაღალი მორალური და ინტელექტუალური თვისებების მქონე ადამიანი შეიძლებოდა გამხდარიყო დაი. ორგანიზაციული ნიჭის გარდა, დაის კარგად უნდა ჰქონოდა შესწავლილი სხვადასხვა რელიგიებისა, თუ ისლამური მიმდინარეობების სწავლებები, ისევე როგორც მისი მოღვაწეობის რეგიონში გავრცელებული ენები და ტრადიციები. ამდენად, სანამ დაი რომელიმე რეგიონში გაიგზავნებოდა, ის ხანგრძლივ სპეციალურ მომზადებას გადიოდა „დარ ალ-ʿილმ“-სა და ალ-აზჰარში. ფატიმიანთა ეპოქის დაიების მაღალ განათლებაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ

[389] Ibid. 218.

პერიოდის თეოლოგიური, სამართლებრივი, ფილოსოფიური, თუ სხვადასხვა დარგის შრომების უმეტესობა სწორედ მათ მიერ არის შექმნილი.

დაის მოვალეობებში ასევე შედიოდა მისი „მა'ზუნ"-ების ანუ დამხმარეების მომზადება და „მუსთაჯიბ"-ების განათლების ხელმძღვანელობა. ან-ნიშაბური ასევე დასძენს, რომ წარუმატებლობის ან რაიმე მიზეზით მოვალეობის ვერ შესრულების შემთხვევაში, დაის უმალვე უნდა ეცნობებინა ყველაფერი იმამისთვის და თანამდებობა დაეტოვებინა.

თავი II. გიორგი I და ალ-ჰაქიმი

XI საუკუნის დასაწყისში საქართველოსა და ფატიმიანთა სახალიფოს ურთიერთობის უკეთ და სრულად წარმოსაჩენად, აუცილებლად მიგვაჩნია მოკლედ გადმოვცეთ საქართველოს მეფის გიორგი I-სა და ფატიმიანთა ხალიფა ალ ჰაქიმის პიროვნული და პოლიტიკური პორტრეტები.

§ 1. გიორგი I

1.1. გიორგი I-ის საშინაო და რეგიონალური პოლიტიკა.

1014 წელს, ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს ტახტზე ავიდა 18 წლის[390] (ზოგიერთი მონაცემით 12 წლის[391]) გიორგი I და ვითარება რადიკალურად შეიცვალა.

ბაგრატ III-მ შვილს ერთიანი და ძლერი სამეფო დაუტოვა. ბაგრატმა დაიმორჩილა კახეთ-ჰერეთი, დაამარცხა განძის ამირა ფადლონი და განიმტკიცა პოზიციები ჩრდილოეთ კავკასიაში. „მატიანე ქართლისა“-ში ვკითხულობთ:

> და მათვე ჟამთა, რაჟამს წარმოვიდა ბაგრატ, აფხაზთა მეფე, კუალად მიიქცეს კაცნი ჰერეთისანი და მიერთნეს დავითს, აღიღო დავით ჰერეთი. შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა. კუალად გამოვიდა ყოვლით სპითა თჳსითა ბაგრატ, აღიღო მეორედ ჰერეთი. დაიჭირა დინარ დედოფალი თჳსად, იწყო ძებნად კახეთისა და ძალითა მისითა მიუწდომელითა ორ წელ წარიხუნა ყოველნი ციხენი, კახეთისანი. შეაწყუდია კჳრიკე ბოჭორმას და დაუყენნა ციხესა გარშემო მცველნი წელიწდამდი, წარიღო ბოჭორმაცა. და დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი, წარმოიყვანა კჳრიკე და დაიჭირა თჳსსა კარსა ზედა.[392]

ასევე დაიმორჩილა ჩრდილოეთ კავკასია: „და დაიპყრა ყოველი კავკასია თჳითმპყრობლობითა ჯიქეთიდან ვიდრე გურგენამდე“. ბაგრატმა შეძლო ძალითა თუ დიპლომატიით ურთიერთობები დაელაგებინა მეზობელ ქვეყნებთან:

> ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომხითისა ჴელმწიფებითა ნებიერად განაგებდა. მეფე სპარსთაჲ თჳს მეგობრად და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა უფროჲს სახლეულთა თჳსთასა, და ბერძენთ მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოველივე“[393]

დავით III კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატიონთა ამ შტომ არსებობა შეწყვიტა და ბაგრატ III-ის სავარაუდო კონკურენტებად მხოლოდ

---

[390] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 383.
[391] „მატიანე ქართლისა“, 284.
[392] Ibid, 279.
[393] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 382.

კლარჯელი ბაგრატიონები რჩებოდნენ. ამ პრობლემის გადაჭრა ბაგრატმა ერთი დარტყმით გადაწყვიტა:

და ამან ბაგრატ კურაპალატმან მოიყვანნა კლარჯნი ჴელმწიფენი - სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თჳსნი მამის დისწულნი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა ფანასკერტისასა, და მუნ შინა შეიპყრნა იგინი. და აღიხუნა ქუეყანანი და ციხენი მათნი, რამეთუ იგინი პატიმარ ყვნა ციხესა შიგა თმოგჳსასა. და მუნ ციხესა შინა თმოგჳსასა გარდაიცვალა სუმბატ არტანუჯელი ქრონიკონსა სლს. და ეგრევე მასვე ციხესა შინა გურგენიცა გარდაიცვალა, ძმაჲ სუმბატისი, ქრონიკონსა სლბ. ხოლო შვილნი ამათნი წარვიდეს კონსტანტინეპოლედ, ძე სუმბატისი ბაგრატ და ძე გურგენისი დემეტრე, ბასილი მეფისა წინაშე. და მათნივე შვილნი, კლარჯთა მეფეთანი, რომელ დაშთეს ამას ქუეყანასა, მოისრნეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა შინა.[394]

ბაგრატ III-ის მმართველობას „მატიანე ქართლისა“-ს ავტორი დადებითად აფასებს და მას ვახტანგ გორგასალსაც კი ადარებს:

ესე ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე, წარემატა ყოველთა ჴელმწიფეთა ყოვლითა განგებითა. ამისდა შემპოვნედ და ამისდა მოაჯედ შეიქმნეს ყოველნი ჴელმწიფენი, მახლობელნი და მოთაულნი მამულისა და სამეფოჲსა მისისანი, მოლაშქრედ ვითარცა თჳსნი და მისანდობელნი. და დაუმორჩილა ღმერთმან ყოველნი მტერნი და წინააღმდეგნი მისნი; მომადლა დღეთა მისთა მშჳდობა და დიდი დაწყნარება ქუეყანისა .... და ვთქუა ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხუაჲ მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა და ყოვლითა გონებითა.[395]

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ გიორგი მეფემ ძლიერი და ცენტრალიზებული სახელმწიფო ჩაიბარა. თუმცა გამეფების პირველივე წელს, ახალგაზრდა მეფეს კახეთ-ჰერეთი განუდგა - „ხოლო დაჯდა რაჲ ესე გიორგი მეფედ, განუდგა ამას ქუეყანაჲ ჰერეთ-კახეთისაჲ, და ღადრობითა აზნაურთაჲთა შეპყრობილ იქმნნეს ერისთავნი. მათ ქუეყანათა კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“.[396] ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: „ხოლო შემდგომად ბაგრატ მეფის სიკუდილისა ამან კჳრიკემ დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა“.[397] აქვე უნდა აღინიშნოს, ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ქართველ მემატიანეები არ იხსენიებენ და მხოლოდ არისტაკეს ლასტივერტეცი მოგვითხრობს მის შესახებ. სომეხი მემატიანეს სიტყვებით, ბაგრატის გარდაცვალებით ისარგებლა ბიზანტიის იმპერატორმა ბასილმა და ახალგაზრდა ქართველ მეფეს დავით კურაპალატის მიწების დაბრუნებას მოსთხოვა, რაზეც

[394] Ibid, 382.
[395] „მატიანე ქართლისა“, 281 - 282.
[396] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 383.
[397] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 561.

გიორგიმ უარით უპასუხა.[398] არ არის გამორიცხული ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან კავშირში იყოს და კვირიკემ სწორედ ბიზანტიის აგრესიით ისარგებლა, რათა კახეთში დაბრუნებულიყი და თავი მეფედ გამოეცხადებინა (1014 – 1037 წწ). კვირიკეს ამ მოქმედებით კახეთი ერთიანი სამეფოს შემდგენლობიდან გავიდა.

მიუხედავად ამ ურჩობისა, გიორგი მეფეს ძალით არ უმოქმედია. სავარაუდოდ მხარეები გარკვეულ შეთანხმებამდე მივიდნენ, რადგან 1021 წელს ბასილი იმპერატორის წინააღმდეგ ბრძოლაში კახეთ-ჰერეთის ჯარი გიორგი მეფეს ეხმარება. კახელებთან მშვიდობიანი დაზავება იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ გიორგი მეფის მთელი ყურადღება ბიზანტიისგან ქართული მიწების დაცვისკენ იყო მიმართული. 1015 წელს გიორგი I უპირისპირდება ბიზანტიის იმპერატორს და მის გამოგზავნილ ჯარსაც ამარცხებს.

საგარეო ასპარეზზე გიორგი მეფე ეგვიპტის ხალიფა ალ-ჰაქიმსაც უკავშირდება და ანტიბიზანტიური ალიანსის შეკვრას სთავაზობს. გიორგი მეფის თამამმა პილიტიკამ საქართველოში გარკვეული წრეების უკმაყოფილება გამოიწვია. უკმაყოფილოები პირობითად ორ ბანაკად შეგვიძლია დავყოთ. პირველ ბანაკში უნდა მოვიაზროთ „მებრძოლი“ დიდგვაროვნები, რომლებიც „ომის პოლიტიკას“ ემხრობოდნენ, ხოლო მეორეში - პრობიზანტიური ოპოზიცია. სავარაუდოდ „მებრძოლ“ დიდგვაროვნებს სათავეში ზვიად მარუშიანი ეგდა. ეს გამოჩნდა 1022 წელს, ბასიანის ბრძოლისას ბასილი კეისრის წინააღმდეგ. ქართველი მემატიანეს თქმით, გიორგი მეფე მზად იყო კეისარს დაზავებოდა, თუმცა, თავის დაზღვევის მიზნით თან დიდძალი ლაშქარიც გაიყოლა: „და განიზრახვიდა ესრეთ: „უკუეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ; და უკუეთუ ინებოს ომი, განვემზადნეთ მისთჳსაცა“. მიუხედავად გიორგის მეფის გეგმისა, მოვლენები სხვაგვარად წარიმართა. „მებრძოლმა“ აზნაურებმა დაზავების ჩაშლა განიზრახეს და პირდაპირ შეტევაზე გადავიდნენ, სუმბატ დავითის ძე გვიამბობს:

> გარნა ორკერძოვე მზაკუარნი იგი აზნაურნი არა მიეშუნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდა მშჳდობა, არამედ აზრახეს მას ბრძოლად.[399]

იგივეს იმეორებს „მატიანე ქართლისა“:

> ხოლო რომელთა არა უნდა ყოფად მშჳდობისა, იწყეს განმზადებად ბრძოლად. და მივიდეს ბასილი მეფესა ზედა დაბანაკებულსა, რომელსა უწოდიან სჳნდაქსად. იწყეს ბრძოლად და აოტეს ზოგი ლაშქარისა მისისაჲ.[400]

---

[398] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია,* 43.
[399] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 384.

ბრძოლა ქართველთა მარცხით დასრულდა, მხარეებს შორის ზავი დაიდო, თუმცა ქართული მხარისთვის ძალიან წამგებიანი პირობებით. ამ ნაწყვეტებიდან არ ჩანს, თუ ვინ იყო „მებრძოლი“ დიდგვაროვნების მეთაური, თუმცა ორივე აღნიშნავს, რომ ბასიანის ველზე, გიორგი მეფის წინ ზვიად ერისთავი იდგა თავისი ლაშქრით. ზავის ჩაშლაში ზვიად ერისთავს პირდაპირ ადანაშაულებს იაჰია ანტიოქელი.[401] როგორც ჩანს, გიორგი I-მა მართლაც ზვიადი ცნო დამნაშავედ და მისი დაპატიმრება ბრძანა. ამ ფაქტზე მიუთითებს სოფ. დიდი გომარეთის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერა.[402] სავარაუდოდ ზვიადის დაპატიმრების შემდეგ გიორგი მეფე თრიალეთში ბაღვაშებს აბრუნებს. ამას ადასტურებს დიდი გომარეთის ეკლესიების სხვა წარწერები,[403] სადაც იხსენიება ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი.

ბიზანტიასთან ზავის შემდეგ საქართველოში დროებით მშვიდობა ისადგურებს. გიორგი მეფე ღიად აღარ უპირისპირება ბიზანტიას და ყურადღება ჩრდილოეთ კავკასიისკენ გადააქვს. 1026 წელს გიორგი I-ს ცოლად მოჰყავს ოსეთის მეფის ასული ალდე. თუ რა გეგმები ჰქონდა გიორგი მეფეს ოსეთთან დაკავშირებთ, რთული სათქმელია, რადგან ახალგაზრდა მეფე 1027 წელს უცაბედად გარდაიცვალა.

გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ ძალას იკრებენ პრობიზანტიური ძალები, რომლებსაც როგორც ჩანს მარიამ დედოფალი უდგას სათავეში. გიორგი მეფის ზეობის ხანაში ბიზანტიასთან პირდაპირი კავშირების დამყარებას მხოლოდ მცხეთის კათალიკოსი, მელქისედეკი ბედავდა. ის რამდენჯერმე ჩადის ბიზანტიის კარზე და კეისრის მიერ ნაბოძები სიმდიდრით ბრუნდება საქართველოში. პირველად ეს მოხდა ბაგრატ III - ის ზეობის ხანაში, როდესაც მცხეთის კათალიკოსი ბასილ II - ის კარზე ჩადის და სვეტიცხოვლის აღსადგენად დიდძალ თანხას ითხოვს და იღებს კიდეც.[404] მეორედ კი გიორგი I -ის ზეობისას, როდესაც მელქისედეკი 1025 წელს, ახალგამეფებულ კონსტანტინე კეისარს ეახლა და მდიდრული საჩუქრებით დაბრუნდა.[405]

გიორგი I-ის გარდაცვალებისთანავე, ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ საქართველოზე გამოილაშქრა, თუმცა ლიპარიტ ბაღვაშის აქტიური მოქმედების გამო უკან დაბრუნდა. იმპერატორ კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ გიორგი I-ის ცოლი მარიამ დედოფალი ჩადის კონსტანტინოპოლში და ბაგრატის

---

[400] „მატიანე ქართლისა“, 287.

[401] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 385.

[402] Е. С., Такайшвили, „Археологическія экскурсіи, разысканія и замѣтки“, *Извѣстия Кавказскаго Отдѣленія Императорскаго Московскаго Археологическаго Общества* (Тифлис, 1913), 83.

[403] Ibid. 83 – 87.

[404] „მატიანე ქართლისა“, 282.

[405] Ibid. 290

ჯვრისწერის თხოვნით მიმართავს უშუალოდ იმპერატორ რომანოზს. კეისარი აკმაყოფილებს მარიამის მოთხოვნას და ქართველ მეფეს ცოლად აყოლებს თავისი ძმის ასულს, ელენეს. სავარაუდოდ მოლპარაკებების აქტიური მონაწილე მელქისედეკ კათალიკოსიც იყო.[406] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, მარიამი აქტიურად ერევა საქართველოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში და მუდამ პრობიზანტიური კურსი უჭირავს. ასევე საგულისხმოა, რომ რომანოზის კარზე ანაკოფიიდან ჩადის გიორგი I-ის ქვრივი, ალდე დედოფალი და იმპერატორი ქართველ უფლისწულს, დემეტრეს მაგისტროსის წოდებას აძლევს.[407] ფაქტია, რომ მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველოში პრობიზანტიული ძალები გააქტირდნენ, რასაც 1031 წელს ზავის დადება მოჰყვა.

მასალების სიმწირის გამო, რთული სათქმელია გიორგი I-ის გარდაცვალება შემთხვევითი იყო, თუ ამაში მისი რომელიმე არაკეთილმოსურნეს ხელი ურევია. ფაქტი ისაა, რომ ახალგაზრდა ქართველ მეფეს მრავალი დაპირისპირების გადალახვა უწევდა როგორც საგარეო, ასევე შიდა ასპარეზზე.

1.2. გიორგი I-ის დახასიათება.

მეფე გიორგი პირველი ძალზე საინტერესო პიროვნება იყო. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი მეფე არ ატარებდა არც ერთ ბიზანტიურ ტიტულს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან, როგორც პირველ თავში აღინიშნა, აშოტ დიდის შემდეგ ტაოს ბაგრატიონები ქართველთა მეფისა და კურაპალატის ტიტულებს ატარებდნენ. ამდენად, ქართველთა მეფეები ბიზანტიური იერარქიის ერთ-ერთ საფეხურზე იდგნენ და ნომინალურად თუ რეალურად იმპერატორის ვასალები იყვნენ. ასევე, სავარაუდოდ, ქართველთა მეფობა ბიზანტიის მხრიდან ლეგიტიმაციას საჭიროებდა, რაც სწორედ კურაპალატობის ტიტულში გამოიხატებოდა. ეს გამოჩნდა 1001 წელს, როდესაც ბასილი კეისარი ერთიანი საქართველოს პირველ მეფეს, ბაგრატ III-ს კურაპალატის ტიტული მიანიჭა, ხოლო მამამისს, გურგენს მხოლოდ მაგისტროსისა. საქართველოში კურაპალატობას მეფეები ატარებენ (ლიპარიტ IV-ც კი მაგისტროსი იყო) და გამონაკლისი მხოლოდ დავით III დიდი იყო, რადგან ბასილი იმპრეტორს უდიდესი დახმარება გაუწია. კურაპალატობას და სხვა ბიზანტიურ ტიტულებს გიორგი მეფის შთამომავლებიც ატარებენ, თვით დავით აღმაშენებლის ჩათვლით. ამდენად დაახლოებით სამასი წლის მანძილზე გიორგი იყო ერთადერთი ქართველი მეფე, რომელიც ნომინალურადაც კი არ ყოფილა ბიზანტიის იმპერატორის ვასალი.

---

[406] ლორთქიფანიძე, „საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება“, 182.
[407] გიორგი კედრენე, „ქრონოგრაფია“, 58.

მნიშვნელოვანია გიორგი მეფის პიროვნული პორტრეტი. ბევრ ქართველ მეფეს არ დაუმსახურებია ისეთი შეფასებები მემატიანეთა მხრიდან როგორ გიორგი პირველმა. განსაკუთრებით გამოირჩევა „მატიანე ქართლისა“-ს ავტორი. ის ორჯერ აღნიშნავს, რომ გიორგი მეფე იყო „სავსე ყოვლითა სიკეთითა“ - პირველად გიორგის გამეფების აღწერისას და მეორედ გარდაცვალებისას. მემატიანე ასევე აღწერს მეფის ფიზიკურ გარეგნობას: „რომელ არავინ გამოჩენილ იყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვნებითა, ჭაბუკობითა და სიქუელითა, ტანითა და სახითა“. თუმცა, გარეგნობაზე გაცილებით მნიშვნელოვანია გიორგი მეფის მახასიათებლები, როგორც მთავარსარდლისა და სახელმწიფოს მეთაურისა. 1021 წელს ბასილი კეისრის წინააღმდეგ შირიმნის ბრძოლისას გიორგი მეფე, უშუალოდ ჩაერთო შეტაკებაში. აი რას ამბობს მეფეზე ქართველი მემატიანე: **„რამეთუ ახოვან იყო და უშიშ ყოვლითურთ, ვითარცა უკორცოჲ“.**

ამავე დროს გიორგი მეფე ჭკვიანი და ძლიერი პოლიტიკოსია. „მატიანე ქართლისა“-ში ვკითხულობთ, რომ იგი იყო: „ცნობითა და სავსე ყოვლითა განგებითა სჯელმწიფოთა“. მართლაც, გიორგი მეფე იყო პირველი, ვინც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადადგა და საფუძველი ჩაუყარა კავკასიის რეგიონში საქართველოს დომინანტი როლის მოპოვებასა და დიდ საერთაშორისო პოლიტიკაში დამკვიდრებას. პირველ რიგში გიორგი მეფემ რეგიონის ლიდერებს თავისი ძალა და შეუპოვრობა აჩვენა. გამეფების პირველივე წელს ის ბასილი იმპერატორის მოთხოვნას, დააბრუნოს დავით კურაპალატის მიწები, უარით პასუხობს. სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტეცი ამ საქციელის გამო გიორგის მედიდურობაშიც კი სდებს ბრალს. შემდეგ, 1015 წელს გიორგი I-მა დაამარცხა და უკუაქცია საქართველოსკენ დაძრული ბიზანტიელთა ლაშქარი. ქართველთა მეფემ შეინარჩუნა კუთვნილი მიწები და ამის შემდეგ ექვსი წლის მანძილზე ბიზანტიელები საქართველოს საზღვრებთან არ გამოჩენილან. ეს დრო გიორგი მეფემ კარგად გამოიყენა რეგიონში სუზერენის როლის მოპოვებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მას განუდგნენ კახელები, მეფე მათ დასჯას არ ჩქარობს და სავარაუდოდ შემრიგებლურ პოლიტიკას ატარებს, რადგანაც 1021 წელს კახეთისა და ჰერეთის ლაშქარი ბასილი იმპერატორის წინააღმდეგ გიორგი მეფის დასახმარებლად თრიალეთში მოდის. გიორგი მეფე რეგიონში განმტკიცებას დინასტიური ქორწინებებითაც ცდილობს. მისი პირველი მეუღლე სინაქერიმ სომეხთა მეფის ასული მარიამია. ქართველი მეფის პოზიცია იმდენად ძლიერია, რომ ის ანისის მეფის მემკვიდრეების დავა ერთპიროვნულად გადაწყვიტა. მას შემდეგ, რაც ანისის მეფე გაგიკ I გარდაიცვალა, მისმა შვილებმა, ჰოვჰანეს-სუმბატმა და აშოტმა ტახტისთვის ბრძოლა დაიწყეს. ამ დავაში ქართველი მეფე ჩაერია და ძმები შეარიგა. უფროსს - სუმბატს ანისი მისცა, ხოლო უმცროსს - აშოტს

კი „ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც სპარსეთს და საქართველოს უყურებდა".[408] როდესაც სუმბატი გიორგის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა, ქართველთა მეფემ ის სასტიკად დასაჯა.

თავისი ხანმოკლე სიცოცხლის უკანასკნელ წელს გიორგი მეფეს ცოლად მოჰყავს ოსთა მეფის ასული ალდე. ამ ქორწინებით გიორგი მეფე იძენდა ისეთ ძლიერ მოკავშირეს, როგორიც ოსთა მეფე იყო, თუმცა ამ კავშირს მომავალი არ ეწერა, 1027 წელს ახლაგაზრდა გიორგი მეფე უცაბედად გარდაიცვალა. მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე გიორგი მეფემ ბიზანტიასთან ბრძოლას და სამეფოს გაძლიერებას შეალია. მის მთავარ მიღწევად საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე გაყვანა უნდა მივიჩნიოთ. გიორგი კარგად ხვდებოდა, რომ თუნდაც მთელი კავკასიის გაერთიანებული ძალა ბიზანტიასთან ბრძოლისათვის არ კმაროდა. აუცილებელი იყო სხვა მოკავშირეების ძებნა, ისეთი მოკავშირეებისა, რომელთაც შესწევდათ უნარი დაპირისპირებოდნენ ბიზანტიას. გიორგი I-ს ეს კარგად ჰქონდა შეგნებული და ძლიერ მოკავშირეს ეძებდა. იაჰია ანტიოქელის ცნობით, გიორგი I-მა ასეთ მოკავშირედ მიიჩნია ეგვიპტის ფატიმიანი ხალიფა ალ-ჰაქიმი.[409] ამდენად, გიორგი მეფის წინადადება იძლეოდა შესანიშნავ შანსს შეკრულიყო ანტიბიზანტიური ალიანსი საქართველოსა და ეგვიპტეს შორის. ამ კავშირის საფუძველი არა რელიგია, არამედ პოლიტიკურ ინტერესთა თანხვედარა იყო. ორი განსხვავებული კულტურისა და რელიგიის მქონე ქვეყნის ინტერესები, გარკვეულ დროსა და ვითარებაში, ერთმანეთს დაემთხვა, რაც საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოსვლის საშუალებას იძლეოდა. ყველა მცდელობის მიუხედავად ალიანსი ვერ შედგა, ხალიფა ალ-ჰაქიმი უცაბედად გაუჩინარდა და ბასილ იმპერატორმა მთელი ძალები გიორგი მეფის წინააღმდეგ მიმართა. ქართველი მეფე რამდენჯერმე დამარცხდა იმპერატორთან და გარკვეული პოზიციების დათმობაც მოუწია. მან ძალების მოკრება ვეღარ მოასწრო და როგორც აღინიშნა, 1027 წელს გარდაიცვალა. ქართველი მემატიანე შემდეგნაირად ემშვიდობება მეფეს:

> გარდაიცვალა გიორგი მეფე, სავსე ყოვლითა სიკეთითა, ჟამსა ოდენ სიყრმისასა, რომელ არავინ გამოჩენილ იყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვნებითა, ჭაბუკობითა და სიქუელითა, ტანითა და სახითა, ცნობითა და სავსე ყოვლითა განგებითა სჴელმწიფოთა, ქრონიკონსა ორას ორმოცდაშჳდსა, თუესა აგჳსტოსა თექუსმეტსა, ქუეყანასა თრიალეთისასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების მყინვარნი გინა იწრონი. და დაუტევა გლოვა და მწუხარება ყოველთა მკჳდრთა მამულისა და სამეფოსა მისისითა. იგლოვეს ყოველნი სიკეთისა, და სიჭაბუკისა, და ახოვნებისა მისისთჳს. წარიყვანეს და დამარხეს საყდარსა ქუთათისსა.[410]

[408] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია,* 44.
[409] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī,* 380.
[410] „მატიანე ქართლისა", 290 – 291.

1.3. ბრძოლა ბიზანტიის იმპერიასთან.

გიორგი I-ის გამეფება კონსტანტინოპოლში ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს, რათა თავისი პრეტენზიები განეცხადებინათ ქართულ მიწებზე. გიორგის გამეფებისთანავე, 1014 წელს, ბასილ II საქართველოს ახალგაზრდა მეფესთან წერილს აგზავნის და უბრძანებს მას უმალ დატოვოს ყველა ის ტერიტორია, რაც კეისარმა მამამისს, ბაგრატ III-ს უბოძა დავით კურაპალატის სამფლობელოებიდან. გიორგის პასუხის შესახებ გვიყვება სომეხი ისტორიკოსი არისტაკესი. იგი ამბობს, რომ გიორგიმ უხეშად და მედიდურად უპასუხა იმპერატორს, რაც ერთგვარი გამოწვევაც იყო. ქართველთა მეფე სწერდა კეისარს: „რაც კი მამაჩემს ეპყრა საგამგებლოდ, მისგან ერთ სახლსაც ვერავის მივცემო“.[411] განრისხებულმა და ქართველი მეფის ახალგაზრდობით გათამამებულმა იმპერატორმა „კუთვნილი“ მიწების ძალით დაბრუნება განიზრახა. 1015 წელს, ბასილმა, ტაოს დასაკავებლად, დიდძალი ლაშქარი გაგზავნა. ცნობა ამ ლაშქრობის შესახებ ქართულ წყაროებში არ მოგვეპოვება, თუმცა არისტაკესი მოგვითხრობს, რომ ქართველთა ლაშქარი ბერძნებს ვაჟკაცურად დაუხვდა და უკუაქცია იგი.[412] ბასილმა ველარ მოახერხა საპასუხო დარტყმის მიყენება. იაჰია ანტიოქელის მიხედვით, მთელი მისი ყურადღება ბალკანეთმა მიიპყრო. ამ ვითარებას თავის სასარგებლოდ იყენებს გიორგი I და დავით III კურაპალატის სამფლობელოს ნაწილს იკავებს,[413] თუმცა ქართული წყაროები ამის შესახებაც დუმან. 1018 წელს ბასილ II-ემ სრული გამარჯვება მოიპოვა ბულგარეთში.[414] ის კონსტანტინოპოლში დაბრუნდა და გამარჯვების აღსანიშნავად ტრიუმფალური სვლა მოაწყო. ახლა მას აღარ უხდებოდა ერთდროულად ორ ფრონტზე ბრძოლა და მთელი ძალისხმევით შეუდგა კავკასიის საკითხის მოგვარებას.

ამ დროისთვის, მიღწეული წარმატებების შედეგად, გიორგი I-ს კავკასიაში მყარი მდგომარეობა ჰქონდა.[415] ქართველი მეფე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ სამხრეთ კავკასიაში. ის ბიზანტიასთან გადამწყვეტი ომისთვის ემზადებოდა და მეზობელ სამეფო–სამთავროებთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს ამყარებდა. ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ გიორგი I-ის მხარეზე ვასპურაკანის, ანისის და სხვა სომხური სამთავროები გამოდიოდნენ.[416] ქართული წყაროებიდან ჩანს, რომ გიორგის მიემხრო ცოტა ხნის წინ განმდგარი კახეთ-ჰერეთის სამეფოც, რომლის ჯარიც გიორგი მეფეს 1021 წელს თრიალეთში

---

[411] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, 43.
[412] Ibid. 43.
[413] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 380.
[414] ბუაჩიძე, „საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო“, 44; დილი, *ბიზანტიის იმპერიის ისტორია,* 86.
[415] ცქიტიშვილი, „მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისთვის“, 121.
[416] ცქიტიშვილი, „მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისთვის“, 121.

შეუერთდა[417] (აღსანიშნავია, რომ ბასილი კეისრის წინააღმდეგ გიორგი მეფის მხარეზე იბრძოლებენ ბაღვაშებიც და ამ ბრძოლაში იღუპებიან ხურსი და რატი[418] ერისთავები[419]).

მიუხედავად ამისა, მთელი კავკასიის გაერთიანებული ძალაც არ იყო საკმარისი ბიზანტიასთან ბრძოლისათვის. ამიტომ, აუცილებელი იყო სხვა მოკავშირეების ძებნა, ისეთი მოკავშირეებისა, რომელთაც შესწევდათ უნარი დაპირისპირებოდნენ ბიზანტიას. გიორგი I-ს ეს კარგად ჰქონდა შეგნებული და ძლიერ მოკავშირეს ეძებდა. იაჰია ანტიოქელის ცნობით, გიორგი I-მა ასეთ მოკავშირედ მიიჩნია ეგვიპტის ფატიმიანი ხალიფა ალ-ჰაქიმი.[420]

ქართველ მეფეს ალ-ჰაქიმისთვის შეუთავაზებია კეისრის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის შეკვრა და სამოქმედო გეგმაც წარუდგენია. ამ გეგმის მიხედვით - ისევ და ისევ იაჰია ანტიოქელის თანახმად - გიორგის ჩრდილოეთიდან და ალ-ჰაქიმს სამხრეთიდან ერთდროულად უნდა დაერტყათ ბიზანტიისთვის. ორმხრივი შეტევის შედეგად იმპერატორს ძალების გაყოფა მოუწევდა და მისი დამარცხება შედარებით ადვილი იქნებოდა.[421]

§ 2. ალ-ჰაქიმი

2.1. ალ-ჰაქიმის ტახტზე ასვლა.

ალ-ჰაქიმი დაიბადა 985 წლის 13 აგვისტოს/375 წლის 23 რაბი ალ-ავვალს, ხუთშაბათ დღეს, საღამოს ცხრა საათზე.[422] ის იყო პირველი ფატიმიანი ხალიფა, რომელიც ნილოსის ნაპირზე დაიბადა.[423] მისმა მამამ, ალ-აზიზმა, ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში დაისვა ალ-ჰაქიმი თანამოსაყდრედ. ხალიფას უნდოდა შვილი მომზადებული დახვედროდა თავის საპასუხისმგებლო მისიას. ამ დროს ალ-ჰაქიმი მხოლოდ რვა წლის იყო. ცნობილია ის ფაქტი, რომ მამამისს, ხალიფა ალ-აზიზს, მეორე შვილიც ჰყავდა, მუჰამადი, რომელიც თავდაპირველად თავის მემკვიდრედ დაასახელა, მაგრამ ის ბავშვობაშივე გარდაიცვალა.[424]

ისტორიკოსთა აზრები იყოფა ალ-ჰაქიმის დედის წარმომავლობისა და აღმსარებლობის შესახებ. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ეს ქალბატონი წარმოშობით ბიზანტიელი, ხოლო აღმსარებლობით მართლმადიდებელი

---

[417] „მატიანე ქართლისა“, 285.
[418] სავარაუდოდ, ეს უკანასკნელი სწორედ ის რატი ერისთავი უნდა იყოს, რომელმაც მეფე ბაგრატ III -ს თავისი შვილი, ლიპარიტი მისცა მძევლად.
[419] Ibid. 284.
[420] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 380.
[421] Ibid. 380.
[422] ʻAnān, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 86; Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 24.
[423] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 24.
[424] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 25, ʻAnān, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 90.

ქრისტიანი ყოფილა.[425] მისი სახელი წყაროებში მოხსენიებული არ არის. მხოლოდ ალ-მაკრიზი მოიხსენიებს მას საიდა ʻაზიზიად.[426]

996/385 წელს ტახტი თერთმეტი წლის ალ-ჰაქიმს ერგო,[427] რომელიც მამას ლაშქრობაში ახლდა. ალ-აზიზის გარდაცვალებისთანავე ალ-ჰაქიმი კაიროში დაბრუნდა და მამა დიდი პატივით დაკრძალა.[428] ახალი ხალიფას ახალგაზრდობის გამო მრავალი ადამიანი შეეცადა მასზე ზეგავლენა მოეხდინა და ქვეყნის რეალური მმართველი გამხდარიყო. ამის მისაღწევად, პირველ რიგში, აუცილებელი იყო სამხედრო ძალის კონტროლი.

ალ-აზიზის გარდაცვალების შემდეგ ქუთამას ტომმა სცადა უწინდელი გავლენის დაბრუნება. ახლადგამეფებულ ალ-ჰაქიმთან ქუთამიელთა დიდებულები შევიდნენ და ხალიფასგან მოითხოვეს არ ჩარეულიყო მათ საქმეებში[429] - წინააღმდეგ შემთხვევაში, მოკვლითაც კი დაემუქრნენ.[430] მათ შეზღუდეს ახალი ხალიფას ძალაუფლება. ქუთამას ტომის უხუცესებმა ჩამოართვეს ალ-ჰაქიმს საერო მმართველობა და დაუტოვეს მხოლოდ სულიერი ლიდერის უფლებები, ხოლო ქუთამას ერთ-ერთმა უხუცესმა, აბუ მუჰამად იბნ ამარმა, პირველი ვეზირის თანამდებობა დაიკავა.[431] ოფიციალურად ის ითვლებოდა შუამავლად ხალიფასა და მის ქვეშევრდომებს შორის, რეალურად კი მთელი საერო ხელისუფლება მის ხელში იყო. მან „ამინ ად-დავლა“ (სახელმწიფოს გამგე/რწმუნებული) დაირქვა და ხალიფას მსგავსად, ოფიციალურ ტანსაცმელზე თავის სახელს აწერდა. იგი იყო პირველი ადამიანი ფატიმიანთა კარზე, ვის ტიტულშიც სიტყვა „ად-დავლა“ (სახელმწიფო; დინასტია) ფიგურირებდა,[432] რაც იმაზე მიუთითებს, რომ მთელი საერო ძალაუფლება მის ხელში იყო.[433] მან ისევ დააწინაურა ქუთამას ტომი და დაუბრუნა მათ მაღალი თანამდებობები. მისი ბრძანებით მოხსნეს და დახოცეს თანამდებობებზე მყოფი „ალ-მაშარიკა“-ს მომხრეები; დაიწყო აღმოსავლეთის გვარდიის დევნა, გადარჩენილებმა კი თავი სირიას შეაფარეს.[434]

მეორე პიროვნება, რომელიც იბრძოდა ძალაუფლებისთვის და ახალგაზრდა ხალიფაზე თავის ზეგავლენის გავრცელებას ცდილობდა, იყო საჭურისი,

[425] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 24.
[426] al-Maqrīzī, *Itti'āẓ*, 271.
[427] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 25.
[428] ʻAnān, *al-Ḥākim bi Amr Allah,* 90; Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 26.
[429] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 237.
[430] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 29.
[431] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 237.
[432] Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq*, 75.
[433] ʻAnān, *al-Ḥākim bi Amr Allah,* 92; Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 30.
[434] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 30.

ბარჯავანი.[435] ის სხვა მონების მსგავსად ფატიმიელ ხალიფათა კარზე მსახურობდა. ბარჯავანი ჯერ კიდევ ალ-აზიზის დროს მიიყვანეს სასახლეში. მან „უსთაზ“-ის, ანუ უფროსი მოსამსახურის თანამდებობა მიიღო. ისტორიკოსთა ცნობით, ალ-აზიზმა სიკვდილის წინ ბარჯავანი თავისი შვილის აღმზრდელად დანიშნა.[436] ალ-აზიზის გარდაცვალების შემდეგ, ბარჯავანმა პირველმა მიულოცა ალ-ჰაქიმს ტახტზე ასვლა. ვინაიდან ბარჯავანი არ იყო დიდგვაროვანი და სამხედრო ძალას არ ფლობდა, მთელი ძალაუფლება იბნ ამარმა ჩაიგდო ხელში. ბარჯავანი ჭკვიანი პოლიტიკოსი გამოდგა და ფატიმიანთა ჯარში არსებული დაპირისპირება თავის სასარგებლოდ გამოიყენა. იბნ ამარის საწინააღმდეგოდ იგი აღმოსავლეთის გვარდიის გადარჩენილ ნაწილს დაუკავშირდა. მათი დახმარებით, 997/387 წლის ოქტომბერში, ბარჯავანმა დაამარცხა იბნ ამარი და აიძულა იგი გადასახლებაში წასულიყო. ამ უკანასკნელის წასვლის შემდეგ მისი ადგილი ბარჯავანმა დაიკავა. მან უმალვე დაიწყო თავისი ძალაუფლების განმტკიცება. შექმნა სრულიად ახალი ჯარის ნაწილი, რომელიც შედგებოდა მხოლოდ მამლუქებისგან და ხელფასები გაუზარდა. მან კვლავ დააწინაურა „ალ-მაშარიკა“ და მაღალ სამოხელეო თანამდებობებზე დანიშნა. ამის შემდეგ ბარჯავანმა შეიწყალა იბნ ამარი და ეგვიპტეში დააბრუნა. მან ასევე შემრიგებლურ პოლიტიკას მიმართა „ალ-მაღარიბა“-ს მიმართ, რის შედეგადაც ქუთამას ტომმაც მისი მხარე დაიჭირა. ამის შემდეგ მთელი ძალაუფლება ბარჯავანის ხელში აღმოჩნდა და მან თავი ნამდვილ ხალიფად მიიჩნია.[437] საკუთარი ძალაუფლებით დაბრმავებულს, სრულიად გადაავიწყდა თხუთმეტ წელს მიღწეული ალ-ჰაქიმი, რომელსაც სასტიკად სძულდა ბარჯავანი. ხალიფას კარგად ახსოვდა ყველა ის დაცინვა და შეურაცხყოფა, რომელიც ბავშვობაში მიუყენებია მისთვის ბარჯავანს.[438] მოწიფულობის ასაკში შესულმა ალ-ჰაქიმმა ბარჯავანის მოკვლა განიზრახა. ამ გეგმის განხორციელებაში ხალიფას დაეხმარა „ხალიფას ქოლგის მპყრობელი“, წარმოშობით სლავი ზაიდანი (ან რაიდანი) და რამდენიმე სხვა სლავი მოსამსახურე. ალ-ჰაქიმმა ბარჯავანს შეხვედრა ალ-ქუფურას ბაღებში დაუნიშნა. ბაღში შესულ ბარჯავანს ფეხებში ზაიდანი ჩაუვარდა და დაიწყო მისი ფეხსაცმლისა და ტანისამოსის კოცნა. მას შემდეგ რაც დარწმუნდა, რომ ბარჯავანს რკინის პერანგი არ ეცვა, ზაიდანმა იშიშვლა ხანჯალი და თავის მსხვერპლს რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. ამის შემდეგ ალ-ჰაქიმმაც სცა შუბი განგმირულ ბარჯავანს. დანარჩენი მოსამსახურეები კი ხმლებით კუწავდნენ სხეულს, სანამ მის სიკვდილში არ დარწმუნდნენ. იაჰია ანტიოქელის ცნობით, ეს

[435] ბარჯავანის წარმომავლობაზე მემატიანეები განსხვავებულ მონაცემებს გვაწვდიან. იბნ ხალიკანი მას შავკანიანს უწოდებს, იბნ ალ-კალანისი თეთრკანიანს, ხოლო ალ-მაკრიზი ზოგჯერ სიცილიელს, ზოგჯერ სლავს.
[436] Ibid. 31.
[437] Ibid. 31.
[438] Ibid. 33.

მოხდა 1000 წლის 5 აპრილს/390 წლის 26 რაბი ალ-ახარს.[439] ისეთი გავლენიანი ადამიანის დაღუპვამ, როგორიც ბარჯავანი იყო, ფართო მასებში შიში და გაოცება გამოიწვია. ბარჯავანის ერთგული ჯარისკაცები ხალიფას სასახლის წინ შეიკრიბნენ და ახსნა-განმარტება მოითხოვეს. ალ-ჰაქიმი მათთან თეთრი ტაიჭით გამოვიდა და ყველას დაწინაურებასა და ხელფასების გაზრდას შეჰპირდა. ვინაიდან ბარჯავანი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა ეგვიპტელთა შორის, ალ-ჰაქიმმა მისი მოკვლის მეორე დღეს, ანუ 6 აპრილს/27 რაბი ალ-ახარს, ეგვიპტის ყველა მეჩეთში გაგზავნა ოფიციალური წერილები, სადაც ამართლებდა ბარჯავანის მოკვლას.[440]

ალ-ჰაქიმმა აქტიურად გააგრძელა ხელისუფლების შემომტკიცება. მან მოაკვლევინა ბარჯავანის ყველა ერთგული პირი. შემდეგ, 1000 წლის 7 სექტემბერს/390 წლის 5 შავალს, შაბათ დღეს, თურქების ხელით მოკლა ქუთამას ტომის უხუცესი, ბარჯავანის მიერ შეწყალებული, იბნ ამარი. ხალიფამ ბარჯავანის მიმდევარი ქუთამას ტომის ყველა უხუცესი მოაკვლევინა. ალ-ჰაქიმის ამგვარმა მოქმედებამ ძალზე შეაშინა ქუთამიელთა ტომის სხვა წარმომადგენლები. ისინი ეახლნენ ხალიფას და პატიება და მათი ოჯახების უსაფრთხოება შესთხოვეს. აღსანიშნავია, რომ ისინი პირველები იყვნენ, რომელთაც ახლგაზრდა ხალიფას მორჩილება აღუთქვეს. ალ-ჰაქიმმა ისინი შეინდო და უსაფრთხოების სიგელები გადასცა[441]. ქუთამიელთა დამორჩილებით მან სრულად განიმტკიცა ხელისუფლება და ამის შემდეგ ერთპიროვნულად და ძლიერი ხელით დაიწყო ქვეყანის მართვა.[442]

2.2. ალ-ჰაქიმის დახასიათება.

ალ-ჰაქიმს დარწმუნებით შეიძლება ეწოდოს თავისი დროისა და ალბათ, საერთოდ ისლამის ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე არაორდინალური მმართველი. მისი თანამედროვე ისტორიკოსი, იაჰია ანტიოქელი, დაწვრილებით აღწერს ხალიფას ხასიათის ყველა ასპექტს და მას ბაბილონის მეფეს, ნაბუქოდონოსორსაც კი ადარებს.[443] იაჰიას სიტყვებით, ხალიფა ხშირად სეირნობდა ღამის კაიროში. მისი სეირნობის დროს სავაჭრო დახლები და ბაზრები ღია უნდა ყოფილიყო, ამიტომ, ღამით კაიროში ისეთივე ხალხმრავლობა იყო, როგორც დღის საათებში.[444] ისტორიკოსი გვიყვება, რომ ერთხელ, როდესაც ხალიფა ღამის ქალაქში სეირნობდა, ძაღლის ყეფამ შეაწუხა, მან უმალვე ბრძანა

[439] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 249.
[440] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 35.
[441] Ibid. 35.
[442] Ibid. 37.
[443] Yaḥya, *Tārīkh* al-*Antakī*, 330.
[444] Ibid. 250.

კაიროში ყველა ძაღლის დახოცვა, მონადირე ძაღლების გარდა.[445] როდესაც ხალიფა შეუძლოდ იყო და ცხენზე ჯდომა უჭირდა, მას ოთხი მონა საკაცით დაატარებდა. ალ-ჰაქიმი მათ დასვენების უფლებას არც დღისით აძლევდა და არც ღამით. ღამის სეირნობების დროს ალ-ჰაქიმი უბრალო ხალხისგან თხოვნებს იღებდა. ეს თხოვნები წერილობითი უნდა ყოფილიყო და არა უმეტეს ერთი ხაზისა. თხოვნა იწერებოდა ფურცლის მხოლოდ ერთ მხარეზე. ხალიფა მთხოვნელს მეორე დღეს გარკვეულ ადგილას იბარებდა, სახელოდან იღებდა თავის გადაწყვეტილებას, ან საჩუქარს და საკუთარი ხელით აძლევდა მას.[446] ალ-ჰაქიმი მოწყალებას უხვად არიგებდა და ჩვეულებრივი ხალხისთვის კეთილი მმართველი იყო. სამაგიეროდ, მაღალი თანამდებობის პირების სიცოცხლეს მუდამ საფრთხე ემუქრებოდა. ყველა შიშის ქვეშ ჰყავდა. ის ცნობილი იყო თავისი სიფიცხითა და დაუოკებელი ხასიათით. ალ-ჰაქიმს შეეძლო, ნებისმიერ მომენტში, სრულიად უმიზეზოდ დაესაჯა რომელიმე მოხელე. მაგალითად, ცნობილია, რომ მას ძალიან უყვარდა თავისი შავკანიანი საჭურისი აინი. მიუხედავად ამისა, ერთ დღეს, ყოვლად უმიზეზოდ, ხალიფამ ბრძანა აინისთვის მარჯვენა ხელი მოეკვეთათ, მაგრამ მეორე დღეს უხვად დაასაჩუქრა. ცოტა ხანში ალ-ჰაქიმმა ასევე უმიზეზოდ ბრძანა მისთვის ენა ამოეჭრათ და იმწამსვე საჩუქრებით აავსო.[447]

მეტად საყურადღებოა ალ-ჰაქიმის რელიგიური რეფორმები. მაგალითად, მან აუკრძალა ქალებს ჯერ ღამით, შემდგომ კი საერთოდ გარეთ გამოსვლა.[448] 1009/400 წელს მან აკრძალა იმ დროს ხალიფასადმი გავრცელებული მიმართვა: „ჩვენო მბრძანებელო“.[449] ხოლო 1013/403 წელს – ხალიფას წინ დაჩოქვა და მიწის კოცნა, ისევე როგორც მისი ხელისა და ტანისამოსის ამბორი.[450] მან მოუშვა გრძელი თმა და ფრჩხილები. იცვამდა ჯერ თეთრ, ხოლო შემდეგ შავი მატყლის ტანისამოსს, თავზე კი, შავი შემოსაკრავით გაწყობილ ცისფერ ჩალმას იხურავდა.[451] მაშინ როდესაც მისი მემკვიდრე სასახლიდან ცხენზე ამხედრებული გამოდიოდა, ხალიფა სახედრით მიდიოდა მის გვერდით.[452] 1009/400 წელსვე მან ყველა მონა გაათავისუფლა.[453] ამავე დროს ალ-ჰაქიმმა ბრძანა, ყველა თავისი მხევალი ყუთებში ჩაესვათ, დაელურსმნათ და ნილოსში დაეხრჩოთ.[454] მან, ასევე ჩამოართვა მთელი უძრავი ქონება თავის დას, დედას, მამიდას და მის გარშემო მყოფ სხვა

[445] Ibid. 358.
[446] Ibid. 329.
[447] Ibid. 309.
[448] Ibid. 307.
[449] Ibid. 300.
[450] P. Sanders, *Ritual, Politics, and the City in Fatimid Cairo* (Albany: State University of New York Press 1994), 62.
[451] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 330.
[452] Ibid. 300.
[453] Ibid. 304; A. Мец, *Мусульманский ренесанс*, (Москва, 1973), 258.
[454] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 304.

ქალებს.[455] მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი ვერსიით, ალ-ჰაქიმის დედა ქრისტიანი იყო, ის მაინც გამოირჩეოდა შეუწყნარებლობით ყველა რელიგიისა და კონფესიის მიმართ, ისლამის შიიტური ფრთის გარდა. ალ-ჰაქიმის დროს დაიწყო ეკლესიების მასობრივი ნგრევა და მათ ადგილზე მეჩეთების შენება.[456] მისი ბრძანებით დაანგრიეს მაცხოვრის საფლავი იერუსალიმში[457] და ალ-კუსაირის მონასტერი მუკატამის მთაზე. ეკლესიების გარე კედლებზე ჯვრების გამოსახულებები ამომტვრეულ იქნა და ეს ადგილები შეილესა. ხალიფამ აკრძალა ყველა ქრისტიანული დღესასწაულის აღნიშვნა და ზარების რეკვა. აღდგა ძველი კანონი, რომლის მიხედვითაც ქრისტიანებს მძიმე ჯვრები, ხოლო იუდეველებს კი მძიმე ბურთები უნდა ჩამოეკიდათ კისერზე. ეს ბურთები, როგორც ჩანს, აღნიშნავდნენ ხბოს თავს, რომელსაც ებრაელები მოსეს რჯულის მიღებამდე თაყვანს სცემდნენ.[458] შუა საუკუნეების ბევრი ისტორიკოსი, ისევე როგორც რამდენიმე თანამედროვე მკვლევარი, ალ-ჰაქიმის ქმედებებს მისი ფსიქიკური აშლილობით ხსნიან, თუმცა ხალიფას თანამედროვე ისმაილიტი ღვთისმეტყველები წერდნენ, რომ ხალიფა იმამის ყოველი ქმედება მსგავსია ღვთის ქმედებისა და ისინი რიგითი ადამიანის მიერ ვერ აიხსნება.[459]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალიფა მფარველობდა მეცნიერებას. ალ-ჰაქიმის მმართველობის ხანაში დაარსდა დარ ალ-ჰიქმა (უნივერსიტეტი), სადაც მოღვაწეობდა მრავალი მეცნიერი (კადები, ასტრონომები, ფილოლოგები და სხვა). ასევე შეიქმნა ბიბლეოთეკა - დარ ალ-ისლამი. აქ ინახებოდა ათასობით წიგნი და ხელნაწერი, რომლებიც შეგროვილი იყო, როგორც ეგვიპტიდან, ისე მთელი ისლამური სამყაროდან.[460]

2.3 ალ-ჰაქიმის ბრძოლა ჩრდილოეთ სირიისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალ-ჰაქიმის ტახტზე ასვლისას ქუთამას ტომს ძველი ძალაუფლება და მაღალი ადმინისტრაციული ადგილები დაუბრუნდა. ასეთმა ვითარებამ აღმოსავლეთის გვარდიაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. თურქმა და მამლუქმა მებრძოლებმა ქუთამიელთა წინააღმდეგ აჯანყება მოაწყვეს. ეს აჯანყება დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ქუთამიელებმა მალევე გაიმარჯვეს და აღმოსავლეთის გვარდიის უმეტესობა ამოწყვიტეს. ვინც გადარჩა, ყველა სირიაში გაიქცა და მთელი ხელისუფლება ქუთამიელთა ხელში გადავიდა. ასეთმა ვითარებამ შეაშფოთა დამასკოს იმჟამინდელი თურქი მმართველი, მანჯუთექინი.

[455] Ibid. 279.
[456] Ibid. 253.
[457] Ibid. 280; al-Ḥayāri, Muṣṭafa, *Madīna al-Quds fī ʻAṣr al- Fāṭimiyyīn wa al-Franja* (ʻAmmān, 1993), 17. Г. Э. фон Грюнебаум, *Классический Ислам 600 – 1258* (Москва 1986), 137.
[458] Мец, *Мусульманский ренессанс*, 58.
[459] P. E. Walker, "The Ismaili Da'wa in the Reign of the Fatimid Caliph Al-Hakim", *Journal of the American Research Center in Egypt, Vol. 30* (1993), 171.
[460] Walker, *Exploring an Islamic Empire*, 44.

შექმნილი სიტუაციით უკმაყოფილო მანჯუთექინი ხვდებოდა, რომ მას საკმარისი ძალა არ შესწევდა ქუთამას წინააღმდეგ საბრძოლველად. იაჰია ანტიოქელის ცნობით, 997/387 წელს მანჯუთექინმა წერილი გაუგზავნა ბასილი II–ს, რომელშიც მორჩილება აღუთქვა და ჯარის გამოგზავნას სთხოვა. თუმცა, ბასილმა მიზანშეუწონლად ჩათვალა დახმარება გაეწია მანჯუთექინისათვის სიუზერენის წინააღმდეგ ბრძოლაში და უარი უთხრა.[461] აღსანიშნავია, რომ იბნ ალ-კალანისი მანჯუთექინის იმპერატორისადმი ამ თხოვნას არ იხსენიებს და დასძენს, რომ ბარჯავანმა სთხოვა დამასკოს გამგებელს ეგვიპტეში ლაშქრობა.[462] როგორც არ უნდა ყოფილიყო, დამასკოს მმართველი, თურქებისა და არაბებისგან შემდგარი დიდძალი ლაშქრით, ეგვიპტისკენ გაემართა. მანჯუთექინთან საბრძოლველად იბნ უმარმა,[463] უმეტეს წილად მაღრიბელთაგან შემდგარი ლაშქარი, სულეიმან იბნ ჯაფარ იბნ ფალაჰის სარდლობით გაგზავნა. ბრძოლა მოწინააღმდეგეთა შორის ასკალონთან 997 წლის 15 მაისს/387 წლის 4 ჯუმადა ალ-ულას მოხდა.[464] ამ ბრძოლაში გამარჯვება დასავლეთის გვარდიას ხვდა წილად. დაიხოცა მრავალი თურქი. მანჯუთექინმა კი გაქცევით უშველა თავს. დამასკოში დაბრუნებული მანჯუთექინი ქალაქის მოსახლეობამ აღარ მიიღო, მისი სასახლე კი გაძარცვა. მანჯუთექინი იძულებული გახდა, თავის შვილთან ერთად, შეწყალება ეთხოვა იბნ ფალაჰისთვის. იბნ ფალაჰმა ის შეიწყალა და კაიროში გაგზავნა.[465] „ალ-მაღარიბას“ გამარჯვებული მთავარსარდალი დამასკოსკენ გაემართა. დამასკოს მოსახლეობამ ქალაქს მიღწეულ იბნ ფალაჰს ბრძოლა გაუმართა. იაჰიას ცნობით, ამ ბრძოლას გამარჯვებული არ ჰყოლია. იბნ ფალაჰმა ქალაქის მოსახლეობას დაცვის სიგელი გადასცა და მხოლოდ ამის შემდეგ შესძლო დამასკოში შესვლა.[466] იბნ ალ-კალანისი გადმოგვცემს, რომ იბნ ფალაჰმა დამასკოს დაკავება ძმას, ალის დაავალა. ალიმ, თავის მხრივ, კატაპულტებისა და ბერძნული ცეცხლის საშუალებით, მიაღწია გამარჯვებას და ძალით შევიდა ქალაქში. მეორე დღეს ალის ბანაკში ჩავიდა იბნ ფალაჰი. მან დაგმო ძმის საქციელი და სანაცვლოდ დამასკოს მოსახლეობას ხელშეუხებლობა აღუთქვა და დაცვის სიგელი გადასცა.[467] ცოტა ხანში დამასკოს მოსახლეობა აუჯანყდა იბნ ფალაჰს და გააძევა ქალაქიდან. დამასკო ცოტა ხნით ხალხის მმართველობაში გადავიდა. მოსახლეობამ თავის თავკაცად და ქალაქის

[461] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 238.
[462] Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq*, 76.
[463] იბნ ‘უმმარ - ბერბერი დიდებული, რომელიც ალ-ჰაქიმის მმართველობის დასწაყისში ახალგაზრდა ხალიფას მეურვე და სახალიფოს რეალური მმართველი იყო. ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე, იბნ უმარმა დაიწყო თურქული წარმოშობის ჯარისკაცთა დევნა. იბნ უმარს მალევე დაუპირისპირდა ფატიმიანთა კარზე ასევე დიდი ზეგავლენის მქონე პიროვნება – ბარჯავანი, რომელმაც თურქული ნაწილების დახმარებით დაამარცხა იბნ უმარი და გადასახლებაში გაუშვა. მოგვიანებით, იბნ უმარი ალ-ჰაქიმის ბრძანებით მოკლეს.
[464] Ibid. 78; Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 239;
[465] Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq*, 78.
[466] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 239.
[467] Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq*, 79.

მმართველად აირჩია ვინმე ად-დაჰიკინი.[468] ამ დროს ალ-ჰაქიმს აუჯანყდა ტვიროსის გამგებელი, სახელად ალაკა. მან თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა და ამის ნიშნად საკუთარი ფულის ერთეული მოჭრა, რომელზეც ეწერა: „დიდებად ამირ ალაკას გაჭირვების შემდეგ". აჯანყებულმა ბიზანტიის იმპერატორ ბასილ II–ს მიმართა და დახმარება სთხოვა.[469] ბასილმა მას თხოვნა შეუსრულა და ფლოტი გაუგზავნა. ამის საწინააღმდეგოდ ალ-ჰაქიმის ვეზირმა, ბარჯავანმა, ჯაიშ იბნ მუჰამად იბნ სამსამას სარდლობით გაგზავნა ჯარი, რომელიც თავდაპირველად დამასკოს წინააღმედგ იყო მიმართული. ასევე კაიროდან ტვიროსისკენ გაიგზავნა ეგვიპტის სამხედრო ფლოტი. 998 წლის აგვისტოში/388 წლის ჯუმადა ას-სანიაში არაბებმა დაამარცხეს ბერძნები, ტვიროსის მეამბოხე გამგებელი კი შეიპყრეს და კაიროს ერთ-ერთ მოედანზე ტყავი გააძრეს.[470]

იმავე 998/388 წელს, ალ-ჰაქიმის ჯარები, იბნ სამსამას მეთაურობით, აპამეას მიადგა, სადაც ბრძოლა გაუმართა ბერძენთა ლაშქარს, რომელსაც დუკა დამიანე დალასინოსისი მეთაურობდა. ამ ბრძოლაში ფატიმიელთა ლაშქარმა დამაჯერებლად გაიმარჯვა. ექვსი ათასზე მეტი ბერძენი, მათ შორის თვით დუკაც მოკლეს, ხოლო მისი ორი შვილი კაიროში ტყვედ წაიყვანეს[471]. ათი წლის შემდეგ ფატიმიანებმა ისინი მუსლიმ ტყვეებში გაცვალეს.[472]

დამასკოსა და ტვიროსის შემომტკიცების შემდეგ ალ-ჰაქიმი ყველანაირად ცდილობდა თავისი ძალაუფლება ალეპოზეც განევრცო. ამ დროს ალეპოს მართავდა ჰამდანიანთა საგვარეულო. აბუ ალ-ფადაილის სიკვდილის შემდეგ ალეპოს გამგებელი გახდა ლულუ და მისი შვილი, მანსურ იბნ ლულუ. 1008 წლის 5 სექტემბერი - 4 ოქტომბერი/399 წლის მუჰარამში გარდაიცვალა ლულუ, რასაც მოჰყვა აბუ ალ-ფადაილის შვილებისა და ძმის დევნა. მანსურის დევნით შევიწროებულმა აბუ ალ-ფადაილის შვილებმა ალ-ჰაქიმთან შეაფარეს თავი. ხოლო აბუ ალ-ჰაიჯა, აბუ ალ-ფადაილის ძმა, ბასილ II-სთან გაიქცა კონსტანტინოპოლში.[473] ალეპოს მოსახლეობა, ისევე როგორც ქელბიტთა ტომი, უკმაყოფილო იყო მანსურ იბნ ლულუს მმართველობით და აბუ ალ-ჰაიჯას დაბრუნება მოითხოვეს. მათ აბუ ალ-ჰაიჯას დახმარება აღუთქვეს მანსურ იბნ ლულუს წინააღმდეგ ბრძოლაში იმ შემთხვევაში, თუ ის დაბრუნდებოდა.[474] აბუ ალ-ჰაიჯას დახმარებას შეჰპირდა აგრეთვე მისი სიძე, დიარბექირის მმართველი, მაგისტროსი აბუ მანსურ აჰმად იბნ მარვანი. მან სთხოვა ბასილ იმპერატორს, გამოეშვა აბუ ალ-ჰაიჯა, რათა მას ალეპოს ტახტი დაებრუნებინა. დიარბექირის

---

[468] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 240.
[469] Ibid.241; Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq*, 83.
[470] Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq*, 84; Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 241.
[471] Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq*, 86.
[472] ʿAnān, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 177.
[473] Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab*, 112; Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 313.
[474] Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab*, 112; Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 315.

მმართველი ასევე შეჰპირდა იმპერატორს, რომ არც სამხედრო და არც ფინანსური დახმარებისთვის ბასილს არ მიმართავდნენ.[475] ამ გეგმების შესახებ შეიტყო იბნ ლულუმ და დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკებები ქელბიტებთან. ის ბედუინებს მიწებსა და ამ მიწებიდან აკრეფილი ხარკის წილს შეჰპირდა. ბედუინთა გარდა იბნ ლულუმ მიმართა სირიაში მდგომ მაღრიბელთა გარნიზონს და დახმარების შემთხვევაში ალეპოს ციხის გადაცემა აღუთქვა. მის თხოვნას სასწრაფოდ გამოეხმაურა ტრიპოლის კადი, ალი იბნ აბდ ალ-ვაჰიდ ჰაიდარა, რომელსაც იმ დროს მრავალი ციხე ეპყრა ტრიპოლის ირგვლივ. ალეპოს ციხეში შემოსულ ჰაიდარას მანსურმა სთხოვა, ალ-ჰაქიმისთვის არსებული სიტუაცის შესახებ საფოსტო მტრედის საშუალებით ეცნობებინა და სამხედრო დახმარება ეთხოვა[476]. სწორედ იმ დროს, როდესაც ჰაიდარა და მანსური სუფრაზე დაჯდომას აპირებდნენ, ალეპოში შეიჭრა აბუ ალ-ჰაიჯა, მაგრამ ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში ქელბიტებმა მას უღალატეს და გაიქცნენ. მათ იბნ ლულუსთან დადებული საიდუმლო შეთანხმების თანახმად იმოქმედეს. აბუ ალ-ჰაიჯა დამარცხდა და უკან კონსტანტინოპოლში გაიქცა, მთელი მისი ქონება კი გამარჯვებულებმა დაიტაცეს. აბუ ალ-ჰაიჯას მარცხით უკმაყოფილო ბასილ II-ს მისი მიღება არ სურდა, მაგრამ იბნ ლულუს შუამდგომლობის გამო იმპერატორი დათანხმდა დამარცხებული აბუ ალ-ჰაიჯა კონსტანტინოპოლში შეეშვა. ეს უკანასკნელი, ცხოვრების ბოლომდე ბიზანტიის დედაქალაქში დარჩა.[477] გამარჯვების შემდეგ ჰაიდარა ტრიპოლიში დაბრუნდა, ხოლო ქელბიტებმა იბნ ლულუს პირობის შესრულება მოსთხოვეს. ალეპოს გამგებელმა ისინი თავის სასახლეში ნადიმზე დაპატიჟა, სადაც მათთვის მიწის მფლობელობის სიგელები უნდა გადაეცა. იბნ ლულუს მოწყობილ ნადიმზე შვიდასზე მეტი წარჩინებული ქელბიტი შეიკრიბა. ალეპოს გამგებლის დანაპირები ტყუილი აღმოჩნდა. იბნ ლულუმ ყველა დაპატიჟებული ქელბიტი შეიპყრო და ზოგი სიკვდილით დასაჯა, ზოგი კი - დილეგში ჩაამწყვდია. იაჰიას ცნობით ეს ამბავი მოხდა შაბათ დღეს, 1012 წლის 21 ივნისს/402 წლის 28 ზუ ალ-კადას.[478] მანსურმა გააგრძელა ბრძოლა დარჩენილ ქელბიტებთან და კიდევ უფრო განიმტკიცა ძალაუფლება. ბედუინთა წინააღმდეგ ბრძოლაში მან ბასილ კეისარს სამხედრო დახმარება სთხოვა. იმპერატორმა არ დააყოვნა და ალეპოს მმართველს ათასი სომეხი მეომარი გამოუგზავნა. 1016/406 წელს მანსურ იბნ ლულუს ვინმე ფათჰი აუჯანყდა. ფათჰი იყო დილეგის დარაჯთა უფროსი. ალეპოს გამგებელმა მას ქელბიტთა ერთ-ერთი დიდგვაროვნის, სალიჰის იბნ მირდასის, ციხიდან გაქცევა დააბრალა და საქმისადმი უპასუხისმგებლობის გამო დასჯით დაემუქრა.[479] იბნ ლულუს

[475] Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab,* 113; Yaḥya, *Tārīkh al-Antakī,* 315.
[476] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī,* 316.
[477] Ibid. 317.
[478] Ibid. 318; Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab,* 114.
[479] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī,* 322.

მუქარით შეშინებულმა ფათჰმა აჯანყება გადაწყვიტა. 1016 წლის 7 იანვარს/406 წლის 24 რაჯაბს, გამთენიისას, ალეპოს ციხის უმაღლეს წერტილში, ფათჰმა თავის რამდენიმე მიმდევართან ერთად დაიწყო ბუკების ცემა და ყვირილი: „გამარჯვებული ჰაქიმი. გამარჯვებული სალიჰი“. ამ შეძახილების გამგონე იბნ ლულუს ეგონა, რომ ქალაქი ქელბიტებმა და მაღრიბელებმა დაიკავეს. ალეპოს გამგებელმა ძვირფასეულობა წაიღო და თავის ძმებთან და შვილებთან ერთად ქალაქიდან გაიქცა.[480] მან თავი ანტიოქიას შეაფარა და ბასილ II–ს მფარველობა სთხოვა. ბიზანტიის იმპერატორმა ის უხვად დაასაჩუქრა, ანტიოქიის მიმდებარე მიწები უბოძა და პენსია დაუნიშნა.[481] ფათჰი აპამეის გამგებელს, ალი იბნ აჰმად ად-დაიფს, დაუკავშირდა და სამხედრო დახმარება სთხოვა. აპამეის გამგებელი თვითონ გაემართა ალეპოსკენ და თან მაღრიბელთა რაზმიც გაიყოლა. ად-დაიფი ალეპოში მივიდა და ფათჰის სახლში დასახლდა.[482] ჩრდილოეთ სირიაში მომხდარმა ამბებმა იმდენად გააბრაზა ბასილ კეისარი, რომ მან სირია - ეგვიპტესთან ყველა სახის ვაჭრობა და მგზავრობა აკრძალა. ბიზანტიასთან ვაჭრობის პრეროგატივა, გამონაკლისის სახით, მხოლოდ სალიჰს უბოძა.[483] შეიტყო თუ არა ალ-ჰაქიმმა ალეპოში მომხდარი ამბები, თავის მხარეზე ფათჰის გადმობირება გადაწყვიტა. ხალიფამ ალეპოს ახალ გამგებელს, „მუბარაქ ად-დავლას“ (კურთხეული დინასტიისა), ტიტული უბოძა, ხოლო აპამეის გამგებელს - „სადიდუ ად-დავლა“ (ღირსეული დინასტიისა). გარდა ამისა, მან განსაკუთრებული ტიტულით სალიჰიც დაასაჩუქრა: „ასადუ ად-დავლა“ (დინასტიის ლომი) უწოდა.[484] ალ-ჰაქიმმა ფათჰს შესთავაზა დაეტოვებინა ალეპო, რის სანაცვლოდაც მას ტვიროსს, სიდონსა და ბეირუთს სთავაზობდა. ფათჰი ჯერ მზად იყო დათანხმებოდა ხალიფას, მაგრამ შემდეგ სალიჰის რჩევა გაითვალისწინა და უარყო ალ-ჰაქიმის წინადადება. ქელბიტთა წინამძღოლის, სალიჰის, გაძლიერებით შეწუხებულმა ად-დაიფმა, ალ-ჰაქიმს მის წინააღმდეგ რაზმის გამოგზავნა სთხოვა. ხალიფამ მას სირიელების რაზმი გაუგზავნა, ხოლო ფათჰის გულის მოგების მიზნით, „სა‘დუ ად-დავლა“-სა (ბედნიერი დინასტიისა) და „‘იზ ად-დავლა”-ს (სახელმწიფოს დიდება) ტიტულები მიუმატა[485]. ხალიფამ ხელმეორედ შესთავაზა ფათჰის დაეთმო ქალაქი. ამჯერად, ფათჰი დათანხმდა ამ წინადადებას, აიღო სასახლეში არსებული მთელი სიმდიდრე და ტვიროსში გადავიდა. ტვიროსში მან გაფლანგა მთელი დანაზოგი და სიღარიბეში მოკვდა[486]

[480] Ibid. 323; Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab,* 119.
[481] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī,* 324; Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab,* 119.
[482] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī,* 323.
[483] Ibid. 324.
[484] Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab,* 121.
[485] Mājid, ‘Abd al-Mun‘am, *Zuhūr al-Khilāfa Fāṭimiyya wa Suqūṭuha fī Miṣr*, (al-Qāhira: Dār al-Fikr al-‘Arabyy, 1994), 129.
[486] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī,* 326.

1017 წლის 1 თებერვალს /407 წლის 1 რამადანს, უმმართველოდ დარჩენილ ალეპოში ალ-ჰაქიმმა თავისი მსახური აზიზ ად-დავლა გაგზავნა.[487]

ფატიმიანი ხალიფას გამარჯვება არ ყოფილა ხანგრძლივი. ქალაქის გამგებლად დანიშვნიდან ცოტა ხანში აზიზ ად-დავლა განუდგა თავის სიუზერენს და მორჩილება ბიზანტიის იმპერატორს, ბასილ II-ს აღუთქვა.[488] ამის სანაცვლოდ მან ბიზანტიასთან ვაჭრობის უფლება მიიღო და ბასილ II-ს ალ-ჰაქიმის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას შეჰპირდა[489] 1021/411 წელს, ანტიოქიაში მისულმა ბასილმა, ალ-ჰაქიმის გაუჩინარების ამბავი შეიტყო. ამ ამბის გაგებისთანავე, ალეპოს გამგებელმა უარი უთხრა იმპერატორს დახმარებაზე. აზიზ ად-დავლა დაემუქრა ბასილ II –ს: თუ ის სასწრაფოდ არ დატოვებდა ანტიოქიას, იმპერატორის წინააღმდეგ გაილაშქრებდა[490] ბასილი II-ს მეტი გზა აღარ ჰქონდა. მან დატოვა ანტიოქია და ჩრდილოეთისკენ წავიდა. იმპერატორის ინტერესებში შედიოდა კარგი ურთიერთობები შეენარჩუნებინა ალეპოს გამგებელთან. ასე რომ, ალეპო კვლავ დამოუკიდებელ სამეფოდ, მისი მმართველი კი - დამოუკიდებელ ხელმწიფედ დარჩა.

2.4. ალ ჰაქიმის გაუჩინარება.

ხალიფა ალ-ჰაქიმ ბი ამრ ალაჰი 1021 წლის 13 თებერვალს/411 წლის 28 შავალს, სამშაბათ დღეს, ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში, გაურკვეველ ვითარებაში, უკვალოდ გაქრა. აქედან ოცდახუთი წელი და ოცდაექვსი დღე მან ეგვიპტის ტახტზე გაატარა.[491] მთელი მისი ცხოვრების მსგავსად, ხალიფას გაუჩინარებაც იდუმალებით არის მოცული. არსებობს უამრავი ვერსია იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა ეს. დრუზები და ზოგიერთი კოპტი ისტორიკოსი აშკარად ფანტასტიკურ მოსაზრებებსაც გვთავაზობენ. მაგალითად, დრუზებს სჯერათ, რომ ალ-ჰაქიმი კი არ მომკვდარა, არამედ ცაში ავიდა და ისინი მის ხელმეორედ დაბრუნებას ელიან.[492] ერთ-ერთი კოპტი ისტორიკოსის მტკიცებით, ხალიფას მაცხოვარი გამოეცხადა და ცოდვების მონანიება მოსთხოვა. ამ გამოცხადების შემდეგ, ალ-ჰაქიმს გონება გაუნათდა და ქრისტიანობა მიიღო. ქრიტიანობაში მოქცეული ხალიფა წავიდა მონასტერში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა.[493]

მიუხედავად სხვა ისტორიკოსთა უფრო დამაჯერებელი მონათხრობისა, მთავარი კითხვა მაინც პასუხგაუცემელი დარჩა. თანხმდებიან მხოლოდ იმაზე, რომ ალ-ჰაქიმი მოკლეს, მაგრამ დღემდე მიმდინარეობს დავა, თუ ვინ მოკლა. ამის

[487] Ibid. 327; Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab*, 123.
[488] *Kamāl al-Dīn, Zubdat al-Ḥalab*, 124.
[489] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 327.
[490] Ibid. 361; Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab*, 124.
[491] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 363.
[492] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 174.
[493] Ibid. 175.

დადგენა კი ძალზე რთულია. სიცოცხლის მანძილზე ხალიფამ მრავალი მტერი შეიძინა. აგრესიული პოლიტიკის გამო ალ-ჰაქიმს ემტერებოდნენ სუნიტები და ქრისტიანები. ხალიფას მტობდნენ შიიტებიც, რომლებმაც მას ახალი რელიგიური მიმდინარეობის ჩამოყალიბება არ აპატიეს. ხალიფას მრავალი მტერი ერისკაცთა შორისაც ჰყავდა. ალ-ჰაქიმის ეშინოდათ მისი კარის დიდებულებს. ხალიფა სძულდა მის ვრცელ სახალიფოში მცხოვრებ, თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენელს. მას მტრები ჰყავდა არაბთა, თურქთა, სპარსელთა, ბერბერთა და კოპტთა შორის.[494] ყურადსაღებია საგარეო ფაქტორებიც.

ისტორიკოსთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ალ-ჰაქიმი მოკლეს საკუთარი დის განკარგულებით. წყაროები (იაჰია ანტიოქელი, იბნ ალ-ასირი, ალ-მაკრიზი და სხვ.) ამტკიცებენ, რომ ალ-ჰაქიმის დამ, სით ალ-მულქმა, ვერ გაუძლო მრავალ დამცირებას და ძმის მოკვლა განიზრახა. იგივე წყაროებში ვხვდებით განსხვავებულ მოსაზრებასაც იმის თაობაზე, თუ რატომ მოაკვლევინა სით ალ-მულქმა ძმა. იქ ნათქვამია, რომ სით ალ-მულქი ყველანარიად ცდილობდა ემოქმედა ძმის ფანატიზმზე, მაგრამ მისი ყველა მცდელობა გამოესწორებინა ძმა, უშედეგოდ დასრულდა. ასეა თუ ისე, ორივე ვერსია თანხმდება იმაში, რომ ხალიფა საკუთარმა დამ მოაკვლევინა.[495] იგივე წყაროებში ვკითხულობთ, თუ ვისი ხელით იქნა ეს დანაშაული ჩადენილი: სით ალ-მულქი დაუკავშირდა ქუთამას ტომის ერთ-ერთ მხედართმთავარს, სახელად საიფ ად-დავლა ჰუსეინ იბნ დავასს. ერთ ღამეს სით ალ-მულქი მარტოდმარტო მივიდა იბნ დავასის სახლში. გაოგნებულმა მასპინძელმა მორჩილება აღუთქვა საიდუმლო სტუმარს და ყველა თხოვნის შესრულებას შეპირდა. სით ალ-მულქმა შეატყობინა მხედართმთავარს იმის შესახებ, რომ ხალიფას სიგიჟემ პიკს მიაღწია და საფრთხეში იყო როგორც იბნ დავასი და სით ალ-მულქი, ისე მთელი ქვეყანა. მისი სიტყვებით, აუცილებელი იყო ქვეყნისა და სარწმუნოების დაცვა. სით ალ-მულქმა აუხსნა ქუთამიელ მხედართმთავარს, რომ მათ პატივი უნდა ეცათ წინაპართა ხსოვნისთვის და შეეწყვიტათ ხალიფას შეუფერებელი ქცევა. მისი სიტყვებით, სხვა გზა აღარ რჩებოდა - იბნ დავასს ხალიფა უნდა მოეკლა, რითაც ის გადაარჩენდა მთელ ქვეყანას. გარდა ამისა, სით ალ-მულქი იბნ დავასს დიდძალ ფულსა და უმაღლესი მთავარსარდლის პოსტს შეპირდა, თუ ის ალ-ჰაქიმს მოჰკლავდა. ალ-ჰაქიმის მკვლელობის ორგანიზება არც ისე რთული საქმე იყო. სით ალ-მულქმა კარგად იცოდა, რომ ხალიფას ღამღამობით მუკატამის მთაზე სეირნობა უყვარდა. ალ-ჰაქიმი სახედარზე ამხედრებული ადიოდა მუკატამზე და მთელი ღამე რჩებოდა იქ. როგორც წესი, ღამის სეირნობების დროს ხალიფას არავინ არ ახლდა, მხოლოდ რამდენიმე მსახური ელოდებოდა მას სასახლის კართან. ერთ-ერთი ასეთი სეირნობის დროს, სით ალ-მულქმა ძმას ორი შეიარაღებული მონა აადევნა. მათ

[494] Ibid. 169.
[495] Ibid. 170.

მოკლეს ხალიფა და ცხედარი იბნ დავასს მიუტანეს. ამ უკანასკნელმა კი ხალიფასა და მისი მკვლელების გვამები სით ალ-მულქს მიართვა.[496]

არაბი მკვლევარი მაჯიდი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და თვლის, რომ სით ალ-მულქს არ ჰქონია მიზეზი ძმის მკვლელობისთვის. ალ-ჰაქიმის მმართველობის დროს ის მდიდრულად და უსაფრთხოდ ცხოვრობდა ალ-აზიზის მიერ აშენებულ კასრ ალ-ღარბიში - (დასავლეთი სასახლე).[497] აქედან გამომდინარე მკვლევარი დასძენს, რომ სით ალ-მულქს არ ჰქონია მიზეზი უკმაყოფილო ყოფილიყო ძმით. ალ-ჰაქიმის თანამედროვე ისტორიკოსი, ალ-მუსაბიჰი გვიამბობს, რომ ხალიფა ალ-ჰაქიმი მოკლა ზემო ეგვიპტელმა კაცმა, ბანუ ჰუსეინის ტომიდან. ამ კაცს თან ოთხი დამხმარეც ახლდა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავეები ქვეყნის სხვადასხვა მხარეებში გაიფანტნენ. ისტორიკოსის თქმით, პიროვნებას, რომელიც ალ-ჰაქიმის მკვლელობისათვის დააკავეს, აღმოაჩნდა კანის ნაჭერი ალ ჰაქიმის თავიდან და მისი ჩალმის ნაწილი. როდესაც დამნაშავეს ჰკითხეს თუ რატომ მოკლა ხალიფა, უპასუხა: „ალაჰისა და ისლამის ღალატისთვის“. შემდეგ მას ჰკითხეს, როგორ მოიკლა ხალიფა. ამის პასუხად დამნაშავემ ჩამალული ხანჯალი ამოიღო: „აი ასეო!“ დაიძახა, გულში ჩაიცა და ადგილზე გარდაიცვალა.[498]

ალ-ჰაქიმის კიდევ ერთი თანამედროვე ისტორიკოსი, იაჰია ანტიოქელი, ხალიფას მოკვლის მიზეზად ანგარებას ასახელებს და უარყოფს პოლიტიკურ ფაქტორს. მისი სიტყვებით, მუკატამის მთაზე სეირნობის დროს ალ-ჰაქიმს შვიდი მძარცველი შეხვდა და ფული მოსთხოვა. ხალიფამ უპასუხა, რომ მას ფული თან არ ჰქონდა და მძარცველებმა იგი მოკლეს.[499]

როგორც არ უნდა განვითარებულიყო მოვლენები სინამდვილეში, ალ-ჰაქიმის გაქრობის შემდეგ სით ალ-მულქმა ეჭვი უმალვე იბნ დავასსზე მიიტანა. ხალიფას დამ გააჩხრეკინა ეჭვმიტანილის სახლი, სადაც ალ-ჰაქიმის ხანჯალი აღმოაჩინეს. იბნ დავასი დამნაშავედ სცნეს და სიკვდილით დასაჯეს. ამ ვერსიის განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს იბნ დავასის თანამდებობა. ის არ ყოფილა რიგითი ქუთამიელი წარჩინებული. იბნ დავასი იბნ ამარის სიკვდილის შემდეგ დაწინაურდა და დასავლეთის გვარდიის პირველი მთავარსარდალი გახდა. აბუ რაქვას აჯანყების შემდეგ ალ-ჰაქიმმა ბერბერთა და მაღრიბელთა დევნა დაიწყო, რის შედეგადაც დაპირისპირება ხალიფასა და ქუთამას ტომს შორის კიდევ უფრო გამძაფრდა.[500] ამ დაპირისპირების პიკი იყო ქუთამიელთა მთავარსარდლის მიერ დაუმორჩილებლობის ღიად გამოცხადება: იბნ დავასმა ხალიფას განუცხადა, რომ უსაფრთხოების მიზნით მას სასახლეში აღარ ეახლებოდა. როგორ ჩანს, ხალიფას მოშორება გაცილებით ადრე დაიგეგმა. იბნ დავასის ღია პროტესტი კი მხოლოდ

[496] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 361.
[497] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 171.
[498] Ibid. 172.
[499] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 360.
[500] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 173.

მოქმედების დაწყების ნიშანი იყო. გეგმის პირველი ნაწილი ქუთამიელებმა წარმატებით შეასრულეს, მათ მოიშორეს ხალიფა. სამაგიეროდ, მეორე ნაწილში, სრული კრახი განიცადეს. მათ ვერ მოიპოვეს ძალაუფლება და ლიდერიც დაკარგეს. იბნ დავასი ხალიფას მკვლელობაში დაადანაშაულეს და სიკვდილით დასაჯეს. ამდენად, ჩნდება კითხვა: ვინ იყო ის პიროვნება, ვინც ყველაფერი ასე დეტალურად დაგეგმა და ხელი შეუშალა ქუთამიელებს ხელისუფლებაში მოსულიყვნენ? როგორც ჩანს, ეს იყო ალ-ჰაქიმის და, სით ალ-მულქი. აუცილებელია, უკეთ გავეცნოთ ამ პიროვნებას და გავერკვეთ, შეეძლო თუ არა მას ძმის მოშორება, რათა ხელში ჩაეგდო მთელი ძალაუფლება.

სით ალ-მულქი დაიბადა მაღრიბში, 970 წლის სექტემბერ-ოქტომბერში/359 წლის ზულ კადას თვეში. ის 16 წლით უფროსი იყო ძმაზე.[501] წყაროები გადმოგვცემენ, რომ სით ალ-მულქის დედა წარმოშობით ბიზანტიელი მართლმადიდებელი იყო. ცნობილია, რომ მას ჰყავდა ორი ძმა. ერთი მათგანი - არსენიოსი, იყო ალექსანდრიის მიტროპოლიტი, ხოლო მეორე, არისტეოსი, იერუსალიმის პატრიარქი.[502] 1000/390 წელს სწორედ ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობდა ეგვიპტის სამშვიდობო მისიას კონსტანტინოპოლში.[503]

ალ-აზიზის მმართველობის დროს დედოფალი ხშირად მონაწილეობდა ქვეყნის მართვაში და ხალიფა ყოველთვის ითვალისწინებდა მის აზრს, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ ალ-აზიზის ზეობის დროს მართლმადიდებლები თავს დაცულად გრძნობდნენ. ისინი თავისუფლად ლოცულობდნენ, აშენებდნენ ეკლესია-მონასტრებს და საჯაროდ აღნიშნავდნენ ქრისტიანულ დღესასწაულებს. მართლმადიდებლობა იმდენად გაძლიერდა ეგვიპტეში, რომ კოპტების შევიწროვებაც კი დაიწყო[504]. მას შემდეგ, რაც სით ალ-მულქი წამოიზარდა, მანაც დაიწყო პოლიტიკაში მონაწილეობა. ხალიფა ყოველთვის ყურადღებას აქცევდა და ითვალისწინებდა უფროსი შვილის აზრს.[505]

წყაროები გადმოგვცემენ, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ, სით ალ-მულქმა მის საფლავზე ერთი თვე გაატარა. დედისგან მას დარჩა მონა ქალი, სახელად თაკარუბი (გარდ. 1025/415 წ.), რომელიც სით ალ-მულქის მსტოვარი იყო. ტრადიციისამებრ, ფატიმიანი ხალიფას ქალიშვილი არ თხოვდებოდა და არც სით ალ-მულქი იყო გამონაკლისი. ცნობილია, რომ ის მრავალ საჩუქარს იღებდა და დიდი ქონების პატრონიც იყო: ჰყავდა ოთხი ათასი შავკანიანი და

[501] Ibid. 25; ʻAnān, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 88; H. Halm, "Sitt al-Mulk", *The Encyclopedia of Islam. New edition. vol. IX* . Prepared by a number of leading orientalists. Edited by C.E. Bosworth, E. van Dozel, W. P. Heinrichs and the late G. Lecomte. Assisted by P.J. Bearman and Mme S. Nurit. Under the patronage of the International Union of Academics (Leiden: Brill 1997), 685.

[502] ʻAnān, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 87.

[503] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 133; M. J. Surūr, *ad-Dawla al-Fāṭimiyya fī Miṣr fī al-Qarnayn ar-Rābiʻ wa al-Khāmis min al-Hijra* (al-Qāhira 1970), 166.

[504] ʻAnān, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 87.

[505] Ibid. 88.

თეთრკანიანი მონა; ასევე საკუთარი ჯარი, რომელიც მას დღედაღამ იცავდა.[506] ცნობილია რომ ცოცხალი ძალის გარდა, სით ალ-მულქი ფლობდა აურაცხელ სიმდიდრესა და უძრავ ქონებას.[507] საკუთარი სახსრებით ის ხშირად აშენებდა აბანოებს, წყლის რეზერვუარებსა და სხვა საზოგადო ნაგებობებს.[508]

ალ-აზიზის გარდაცვალების შემდეგ 26 წლის სით ალ-მულქმა, მექოლგეთა უფროსმა რაიდანმა (ან ზაიდან), კადი მუჰამად იბნ ალ-მუმინმა და სხვა დიდგვაროვნებმა, სასახლის მცველებთან შეთანხმებით, სცადეს სასახლის აღება.[509] სით ალ-მულქს უნდოდა, გამხდარიყო უმცროსი ძმის რეგენტი, მაგრამ მათ იბნ ამარმა დაასწრო. მან სით ალ-მულქი ჩამოაშორა პოლიტიკას და თვითონ გახდა მცირეწლოვანი ხალიფას რეგენტი.[510] როგორც ითქვა, ალ-ჰაქიმის მმართველობა გამოირჩეოდა რელიგიური შეუწყნარებლობით. ქრისტიანები და იუდეველები სასტიკად იდევნებოდნენ. ამ რთულ პერიოდში სით ალ-მულქი გამოდის ქრისტიანთა მფარველად და ქომაგად. 1000/390 წელს ბარჯავანის მოკვლის შემდეგ, სით ალ-მულქმა ცოტაოდენი თავისუფლება და მცირე ზეგავლენაც მოიპოვა ძმაზე. ხალიფამ დას 100 000 დინარის ოდენობის პენსია დაუნიშნა.[511] ქრისტიანთა დარბევის დროს სით ალ-მულქი ხშირად ახერხებდა ძმის შეჩერებას. სოციალური და რელიგიური ცხოვრების გარდა, სით ალ-მულქის ხელი პოლიტიკაშიც შეიმჩნევა. ის ცდილობს დაარწმუნოს ძმა, დაამყაროს კეთილმეზობლური ურთიერთობა ბიზანტიასთან და შეწყვიტოს ომი იმპერიის წინააღმდეგ. ზემოთ ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ 1000/390 წელს, კონსტანტინოპოლში გაგზავნილ ეგვიპტის სამშვიდობო დელეგაციას სათავეში სით ალ-მულქის ბიძა, იერუსალიმის პატრიარქი, არისტეოსი ედგა.[512] ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა ხალიფას სახელით ეწარმოებინა მოლაპარაკება და საჭიროების შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ ემოქმედა.

მიუხედავად ამისა, ალ-ჰაქიმმა ბოლოს სით ალ-მულქი მაინც მთლიანად ჩამოიშორა. შესაძლებელია ეს მოხდა იმიტომ, რომ 1013/403 წელს ხალიფამ მემკვიდრედ თავისი ბიძაშვილი, აბდ არ-რაჰიმ იბნ ილიასი გამოაცხადა. სით ალ-მულქმა თავისთან სასახლეში წაიყვანა ალ-ჰაქიმის შვილი (შემდგომში ხალიფა აზ-ზაჰირი) და მისი ცოლი რუკაია. ახალგაზრდა უფლისწულმა განათლება მიიღო მამიდის უშუალო მეთვალყურეობით. ამის შემდგომ, ერთ წელიწადში, ალ-ჰაქიმმა სიკვდილით დასაჯა უზენაესი მოსამართლე მალიქ იბნ საიდი. ხალიფამ ის სით ალ-მულქთან საიდუმლო ურთიერთობაში დაადანაშაულა.[513]

---

[506] Halm, "Sitt al-Mulk", 685.
[507] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 170.
[508] Halm, "Sitt al-Mulk", 685.
[509] Ibid. 685.
[510] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 29.
[511] Halm, "Sitt al-Mulk", 685.
[512] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 133; Surūr, *ad-Dawla al-Fāṭimiyya*, 166.
[513] Halm, "Sitt al-Mulk", 685.

ალ-ჰაქიმის გაქრობის შემდეგ ტახტზე ადის მისი შვილი, აზ-ზაჰირი, ხოლო მის მეურვედ დაინიშნა მამიდა, სით ალ-მულქი. ამის შემდეგ სით ალ-მულქმა ჩამოიშორა ძმის მიერ დასახელებული მემკვიდრე, დამასკოს მმართველი, აბდ არ-რაჰმან იბნ ილიასი.[514] ასევე, მან სცადა აღეკვეთა ის უაზრო ფულის ფლანგვა, რაც ალ-ჰაქიმის მმართველობის ბოლო წლებში ხდებოდა. მაგალითად, შეწყვიტა ძმის მხევლებისთვის პენსიების გაცემა. გააუქმა ალ-ჰაქიმის მიერ დანიშნული არაკანონიერი საბაჟო გადასახადები.[515] ახალგაზრდა ხალიფას მამიდამ თავის საგარეო კურსს არ უაღალატა და უმალვე გააგზავნა სამშვიდობო დელეგაცია ბასილ II-ს კარზე და იმპერატორს შეატყობინა ყველაფერი ის, რაც ალ-ჰაქიმის გარდაცვალების შემდეგ ქრისტიანთა სასარგებლოდ გაკეთდა. სით ალ-მულქმა ბასილ II-ს მშვიდობა შესთავაზა, რაზეც იმპერატორმა უარით უპასუხა.[516] სით ალ-მულქი გარდაიცვალა 1023 წლის 5 თებერვალს/413 წლის ზულ კადას 11.[517]

წყაროები სით ალ-მულქს აღწერენ, როგორც: „ერთ-ერთ უჭკვიანეს და გამჭრიახი გონების მქონე ადამიანს“.[518] ისტორიულ მონაცემთა შედარებით, შეიძლება მკაფიო სურათის წარმოდგენა ალ-ჰაქიმის მკვლელობის გეგმისა და მონაწილეების შესახებ. სით ალ-მულქმა მშვენივრად გათვალა ხელისუფლებისკენ მიმავალი ყველა ნაბიჯი და ოსტატურად გამოიყენა დაპირისპირება ხალიფასა და ქუთამიელთა შორის. მან ჯერ ძმა მოაკვლევინა, შემდეგ კი ყველა მოწმე მოსპო. ერთი დარტყმით სით ალ-მულქმა კონკურენტები მოიშორა და ხელისუფლება მოიპოვა. ზოგიერთი წყაროს არაპირდაპირი მონაცემით კი, ძმის სიკვდილიდან ერთ წელიწადში, ღალატით მოაკვლევინა ალეპოს ურჩი მმართველი, აზიზ ად-დავლაც.[519]

[514] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 367 – 368.
[515] Halm, “Sitt al-Mulk”, 685.
[516] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 134.
[517] Halm, “Sitt al-Mulk”, 685.
[518] Mājid, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 170.
[519] S. Zakkar, *The Emirate of Aleppo 1004 – 1094* (Damascus 1982), 51.

§ 3. გიორგი I-ისა და ალ ჰაქიმის დიპლომატიური ურთიერთობა

3.1. გიორგი I-ის ინიციატივა

XI საუკუნის დასაწყისში საქართველოს გაერთიანებულ სამეფოს რთულ ვითარებაში უხდებოდა საერთაშორისო ასპარეზსე დამკვიდრება. ძირითად პოლიტუკურ მოთამაშეს ბიზანტიის იმპერია წარმოადგენდა, რომელსაც თავის გარშემო დამოუკიდებელი და ძლიერი ქვეყნების არსებობა ხელს არ აძლევდა. ამდენად ქართველი მეფეები ალტერნატიულ მოკავშირეებს ეძებდნენ. ასეთი კი მხოლოდ ბიზანტიასთან დაპირისპირებული სახელმწიფოები შეიძლება ყოფილიყვნენ.

საერთაშორისო პოლიტიკის საინტერესო მომენტზე ამახვილებს ყურადღებას არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქელი, რომელიც საქართველოს მეფისა და ფატიმიანი ხალიფას ურთიერთობებზე მოგვითხრობს:

> მას შემდეგ რაც მეფე ბასილმა ბულგარეთში თავის საწადელს მიაღწია, ის დაიპყრო და კონსტანტინოპოლში დაბრუნდა, აფხაზთა მეფე გიორგიმ არ ისურვა გამოესწორებინა თავისი შეცდომა, შეეწყვიტა მოქმედება და მისთვის (ბასილისთვის - გ. ნ.) მორჩილება აღეთქვა, როგორც ეს მისმა მამამ და ბიძამ გააკეთეს, არამედ განიდიდა თავი და ჯიუტობდა თავის შეცდომებში. მან ალ-ჰაქიმ ბი ამრ ალაჰს შესთავაზა ერთად გამოსულიყვნენ მის (ბასილის - გ. ნ.) წინააღმდეგ საომრად და ორივეს შეეტია მისთვის (ბასილისთვის - გ. ნ.) საკუთარი მხრიდან. [520]

იაჰია ანტიოქელის მიერ მოტანილ ამ ცნობაზე არაერთ ქართველ თუ უცხოელ მეცნიერს შეუჩერებია თავისი ყურადღება.[521] რათა გავერკვეთ, თუ რას ისახავდა მიზნად გიორგი I, საჭიროა დაწვრილებით გავეცნოთ იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას.

XI საუკუნის დასაწყისში ბიზანტიას საკმაოდ მტკიცე პოზიციები ეკავა ევროპაში და იმპერიასთან ღია კონფრონტაციაში ჩართვას ვერც ერთი ძალა ვერ ბედავდა. ამდენად, ევროპის ქვეყნები არ გამოდგებოდნენ ანტიბიზანტიური კოალიციის შესაქმნელად.[522]

ბიზანტიასთან ყველაზე მეტად ბულგარეთი იყო დაპირისპირებული, მაგრამ ბულგარეთთან კავშირის შეკვრა 1014 წლის შემდეგ შეუსრულებელ ამოცანა იყო. გიორგი მეფის ტახტზე ასვლისთვის ეს ქვეყანა თავისი არსებობის უკანასკნელ

---

[520] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 380.

[521] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 133 – 136; ლორთქიფანიძე, „საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება“, 177; გაბაშვილი, „საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან“, 55 – 81; ცქიტიშვილი, „მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისთვის“, 122; ბუაჩიძე, „საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო“, 39 – 57; ბუაჩიძე, *ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკა*. რ. მეტრეველი , ჯ. სამუშია, *მეფეთ მეფე გიორგი II* (თბილისი, 2003), 11-16; Розен, *Император Василий Болгаробойца,* 61; Treadgold, *A History of the Byzantine State and Society*, 529.

[522] Shepard, “Western Approaches”, 557-558; Treadgold, *A History of the Byzantine State and Society*, 528

წლებს ითვლიდა. გიორგი I-ის გამეფების წელს, ანუ 1014 წელს, გარდაიცვალა ბულგარეთის მეფე სამუელ I.[523] ბიზანტიამ ამ დროისათვის თითქმის დაასრულა ამ ქვეყნის ანექსია.[524] და რაც მთავარია, ბულგარეთში აღარ გამოჩნდა ისეთი ძლიერი პიროვნება, ვისთანაც შესაძლებელი იქნებოდა ანტიბიზანტიური ალიანსის შეკვრა. აქედან გამომდინარე, ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში ბულგარეთის სამეფო მოკავშირედ ვერ გამოდგებოდა. ასევე უნდა გამოირიცხოს ევროპის სხვა ქვეყნები და რომის პაპი.[525]

ამ დროს ახლო აღმოსავლეთში შემდეგი ვითარებაა: აბასიანთა იმპერიის დაშლის შემდეგ, რეგიონში შეიქმნა რამოდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო.[526] ამ სახელმწიფოთა შორის ყველაზე ძლიერი იყო ფატიმიანთა სახალიფო. ფატიმიანები შიიტი მმართველები იყვნენ და სუნიტ აბასიანებს პირველობისთვის ებრძოდნენ. აბასიანები, რომელთა ძალაუფლება მესოპოტამიას აღარ სცილდებოდა, შიდა პრობლემების გადაჭრით იყვნენ დაკავებულები. ისინი ცდილობდნენ ძალები მოეკრიბათ და თავი დაეღწიათ თურქ ბუვეიანთა ბატონობის უღელიდან. ბიზანტიასთან ომში ჩაბმა აბასიანებისათვის დაღუპვის ტოლფასი იქნებოდა. გარდა ამისა, აბასიანები ბიზანტიაში მოკავშირეს თუ არა, ვერც მტერს ხედავდნენ. აბასიანთათვის პირველი მტერი ფატიმიანები იყვნენ, ბიზანტია კი სისხლისმღვრელ ომში იყო ჩართული ფატიმიანებთან. აბასიანებს აწყობდათ არსებული სიტუაცია, როდესაც ორი დაუძინებელი მტერი ერთმანეთს ებრძოდა. კარმატებს და სხვა წვრილ სახელმწიფოებს კი არც ძალუძდათ და არც აწყობდათ ბიზანტიასთან ურთიერთობის გაფუჭება.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთში იყო მხოლოდ ერთადერთი რეალური ძალა, რომელიც საქართველოს ბიზანტიის წინააღმდეგ ალიანსის შეკვრისთვის გამოადგებოდა და ეს ძალა ფატიმიანთა იმპერია იყო. ბიზანტიის იმპერია და ფატიმიანები ერთმანეთს სირიისათვის ბრძოლაში დაუპირისპირდნენ და დაუძინებელ მტრებად იქცნენ. სირიას ოდითგანვე უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. აქ იკვრებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი საერთაშორისო სატრანზიტო გზები, რომელთა კონტროლისათვის ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები და ხეთები ებრძოდნენ ერთმანეთს. სირიაში ბატონობა, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილის კონტროლსაც ნიშნავდა.

[523] სამუელ I – კომიტოპულთა გვარის წარმომადგენელი. ბულგარეთის მეფე 980 – 1014 წწ. სამუელმა მთელი სიცოცხლე ბიზანტიასთან ბრძოლას შეალია.
[524] Treadgold, *A History of the Byzantine State and Society,* 527
[525] ბენედიქტე VIII, რომის პაპი, 1012 – 1024 წწ.
[526] Мец , *Мусульманский ренессанс,* 14.

ამგვარად, ფატიმიანთა სახალიფო ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელსაც რეალურად შესწევდა ძალა დაპირისპირებოდა ბიზანტიას. მით უმეტეს, რომ ფატიმიანი ხალიფა პრაგმატულ პოლიტიკას ატარებდა.[527]

აბასიანი ხალიფას წინააღმდეგ საბრძოლველად ალ-ჰაქიმმა ღაზნას გამგებელ მაჰმუდ ღაზნევისთან კავშირის შეკვრა სცადა, მაგრამ ეს მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. ღაზნას მბრძანებელმა უარი თქვა გამოსულიყო თავისი ერთმორწმუნე ხალიფას წინააღმდეგ.[528]

ალ-ჰაქიმის ქმედებიდან ჩანს, რომ იგი ეძებდა საგარეო კავშირებს დაუძინებელი მტრების წინააღმდეგ. ასეთივე ინტერესები ამოძრავებდა გიორგი მეფეს, რომელსაც უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა მართლმადიდებლურ ბიზანტიასთან. ქვეყნის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს მეფე გიორგი I-მა ფატიმიანური ეგვიპტის ხალიფა ალ-ჰაქიმთან სცადა ალიანსის შეკვრა. განსხავებული კულტურა და რელიგია ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობის შემაფერხებელ ფაქტორად არ იქცა, რადგან ორივე მხარე აცნობიერებდა პოლიტიკურ ინტერესთა მჭიდრო თანხვედრას.

ორივე მხარეს, შორს მიმავალ გეგმებთან ერთად, კონკრეტული მიზნებიც ჰქონდათ. საქართველოს ინტერესი იყო დაებრუნებინა თავისი ისტორიული მიწები იმიერ ტაოში, ხოლო ფატიმიანთა მიზანს კი ჩრდილოეთ სირიაში თავისი ძალაუფლების განვრცობა წარმოადგენდა. ამ მიზნების მისაღწევად ორივე მმართველისათვის აუცილებელი იყო ბიზანტიის დასუსტება და დამარცხება.

ჩემი აზრით, ალ-ჰაქიმი სრულ ინფორმაციას ფლობდა საქართველოზე და მის პოლიტიკურ ამბიციებზე. ასევე გიორგი მეფეც კარგად იყო გათვითცნობიერებული იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციაში. ვ. გაბაშვილის აზრით, მხარეების გაცნობა თბილისის საამიროსა და ისმაილიტი დაიების საშუალებით შეიძლება მომხდარიყო.[529] მეცნიერი მართებულად აღნიშნავს, რომ თბილისის საამირო შესაძლებელია ყოფილიყო ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი ქართველ მეფეებსა და ისლამურ სამყაროს შორის. თბილისი მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე მდებარეობდა. იქ მრავალი ადამიანი იყრიდა თავს მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან. თუ გავიხსენებთ ისმაილიტური „დაʿვის“ მოქმედების არეალს, ადვილი დასაშვებია, რომ ისმაილიტებს თბილისშიც ეწარმოებინათ თავიანთი პროპაგანდა. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისმაილიტური „დაʿვა“ არა მარტო პროპაგანდას ითვალისწინებდა, არამედ დაზვერვასაც და

[527] M. Brett, “The Diplomacy of Empire: Fatimids and Zirids, 990 – 1062”, *Bulletin of SOAS*, 78, 1 (2015), pp. 149 – 159; V. M. Enamorado, “Fāṭimid Ambassadors in Bobastro: Changing Religious and Political Allegiances in the Islamic West”, *Journal of the Economic and Social History of the Orient*, Vol. 52, No. 2 (2009), pp. 267 – 300; Abbas Hamdani, “Examples of Fatimid Realpolitik”, *Digest of Middle East Studies*, Vol. 7, Issue 4 (Fall 1998), pp. 1 – 12.

[528] ʿAnān, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 183.

[529] გაბაშვილი, „საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან“, 73, 76.

პირველ რიგში პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავუშვათ, რომ მხარეების გაცნობა და შემდგომი მოლაპარაკებები ისმაილიტი დაიების საშუალებით მიმდინარეობდა.[530]

თუმცა, უფრო სარწმუნო მგონია, რომ ქართველი და ეგვიპტელი დიპლომატები ერთმანეთს კონსტანტინოპოლში შეხვედროდნენ და მტრის დედაქალაქში ეწარმოებინათ მოლაპარაკება. რა თქმა უნდა, ძალზე ძნელი იყო მოლაპარაკების წარმოება კონსტანტინოპოლში ბიზანტიური დაზვერვის ზურგს უკან, მაგრამ მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ანტიბიზანტიური კოალიციის ჩამოყალიბების იდეის განხორციელება სწორედ კონსტანტინოპოლში დაიწყო. ბიზანტიის დედაქალაქში თავს იყრიდნენ ელჩები და დიპლომატიური მისიები მთელი მსოფლიოდან. ეს იდეალური ადგილი იყო სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატებისთვის, რათა გაეცნოთ ერთმანეთი და საჭირო ინფორმაცია შეეკრიბათ მათთვის საინტერესო პიროვნებასა თუ ქვეყანაზე.

ფატიმიანთა დიპლომატიური მისიები არცთუ ისე იშვიათად სტუმრობდნენ ბიზანტიის დედაქალაქს. სრულიად შესაძლებელია, რომ სწორედ ამ მისიების დროს შეხვედროდნენ ქართველები ეგვიპტელ დიპლომატებს და საფუძველი ჩაეყარათ შემდგომი მოლაპარკებებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ე.წ. „კონსტანტინოპოლის მეჩეთი“, ანუ მუსლიმთა უბანი ბიზანტიის დედაქალაქში. ეს კომპლექსი თავდაპირველად ჩამოყალიბდა როგორც დიდგვაროვან მუსლიმ ტყვეთა საპატიმრო. თუმცა, შემდგომ პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭა და ბიზანტიასა და ისლამურ ქვეყნებს შორის დიპლომატიურ მოლაპარაკებებსა თუ ხელშეკრულებებში ხშირად მნიშნელოვანი ადგილი ეკავა. ცნობილია, რომ ისლამური დიპლომატიური მისიები „კონსტანტინოპოლის მეჩეთში“ იყრიდნენ თავს და იმპერატორი მათ იქ მდიდრულ ნადიმებსაც უმართავდა. ამდენად, უკვე X საუკუნეში ეს კომპლექსი კონსტანტინოლოპოლის ისლამურ რელიგიურ-სავაჭრო-კულტურულ ცენტრად იქცა[531].

987/377 წელს ფატიმიან ხალიფა ალ-აზიზსა და იმპერატორ ბასილი II-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მთავარი პუნქტი ის იყო, რომ კონსტანტინოპოლის მეჩეთში ხუტბა ფატიმიანი ხალიფას სახელზე უნდა აღვლენილიყო. ამდენად, X საუკუნის ბოლოდან კონსტანტინოპოლის მუსლიმური ცენტრი ფატიმიანთა სრული კონტროლის ქვეშ გადადის. ამდენად ვფიქრობ, სრულიად შესაძლებელია, ქართველთა და ფატიმიანთა მოლაპარაკებები „კონსტანტინოპოლის მეჩეთში“ განხორციელებულიყო.

---

[530] Ibid. 76.

[531] დაწვრილებით „კონსტანტინოპოლის მეჩეთისა“ და კონსტანტინოპოლში მუსლიმური უბნების შესახებ იხ. G. D. Anderson, “Islamic Spaces and Diplomacy in Constantinople (Tenth to Thirteenth Centuries C.E.)”, *Medieval Encounters* 15 (2009), pp. 86 – 113.

3.2. გიორგი I-ის გეგმის ჩაშლა და მისი შედეგები

ბასილი კეისარმა როგორც კი შეიტყო გიორგი I-სა და ალ-ჰაქიმს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ, სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი და სირიისკენ გაემართა.[532] ჩრდილოეთ სირიაში იმპერატორს ძლიერი მოკავშირე გამოუჩნდა, ალეპოს გამგებლის აზიზ ად-დავლას სახით. ის კეისარს მორჩილებას და ალეპოს გადაცემას შეჰპირდა, თუ იმპერატორი მას ალ-ჰაქიმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა.[533] იაჰია ანტიოქელის ცნობის მიხედვით, ბასილ კეისარმა სურსათ-სანოვაგე და იარაღი ანტიოქიაში გაგზავნა, ხოლო თვითონ თავისი ჯარითურთ ქ. ფილიმილეში ჩავიდა, სადაც ალ-ჰაქიმის გაქრობის ამბავი შეიტყო. ბასილმა უმალ იცვალა გეზი და საქართველოსკენ გემართა.[534] ალ-ჰაქიმის გაქრობის შეტყობისთანავე, ბასილ კეისარს ალეპოს გამგებელი განუდგა და სირიის სასწაფოდ დატოვება მოსთხოვა. იმპერატორმა აზიზთან კონფლიქტს თავი აარიდა, ანტიოქია დატოვა და პირდაპირ საქართველოსკენ გაემართა.[535] იაჰია ანტიოქელი გვიამბობს, რომ, როდესაც ბასილ იმპერატორი ტაოს მიადგა, გიორგი მეფემ შეკრიბა ლაშქარი და დასახმარებლად მოიხმო ყველა უცხოელი, ვისზეც ხელი მიუწვდებოდა.[536] ბრძოლა გიორგი I-სა და ბასილ კეისარს შორის და მისი შედეგები დაწვრილებით აქვს აღწერილი სომეხ ისტორიკოსს არისტაკეს ლასტივერტეცს, რომელსაც ბასილი კეისრის საქართველოში შემოჭრის თარიღად ასევე 1021 წელი აქვს მოტანილი. ანტიოქიიდან წამოსული იმპერატორი ბასილი II მალევე გაემართა ქართველთა მეფის დასასჯელად. საქართველოს საზღვართან მოახლოებული ბასილი შეჩერდა კარინის ველზე. აქედან მან წერილი გაუგზავნა გიორგი I და უბრძანა ხლებოდა იმპერატორს და მორჩილება აღეთქვა მისთვის. არისტაკეს ლასრივერტეცის სიტყვებით, კარინში დაბანაკებულ ბასილი იმპერატორს ეახლა ვალაშკერტის (ჩანგლი) ქართველი ეპისკოპოსი და იმპერატორს შეჰპირდა, რომ გიორგი I აუცილებლად ეახლებოდა მას. იმპერატორმა დაიჯერა ეპისკოპოსის სიტყვები და დარჩა კარინის ველზე, გიორგი მეფის მოლოდინში. ეპისკოპოსის დაპირების მიუხედავად, გიორგიმ უარყო ბასილის წინადადება და ბასიანში დაბანაკდა. ბასილმა კიდევ სამი ელჩობა გაუგზავნა გიორგი მეფეს, მაგრამ უშედეგოდ, ქართველი მეფე კეისარს არ ეახლა. არისტაკესის ცნობით, გიორგი მეფის უარი ქართველ თავადთა დაჟინებული თხოვნით იყო გამოწვეული. ქართველი მეფის დაუმორჩილებლობით

[532] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 380.
[533] ʻAnān, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 327; გაბაშვილი, „საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან“, 65 – 66.
[534] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 380.
[535] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 361; გაბაშვილი, „საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან“, 67; სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში*, 193.
[536] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 381.

განრისხებულმა იმპერატორმა, ქართველთა წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყება ბრძანა. გიორგიმ მართებულად არ ჩათვალა პირდაპირ შებრძოლებოდა ბერძნებს. მან უკან დაიხია და ქალაქ ოლთისში შევიდა. მან ბრძანება გასცა გაეძარცვათ და გადაეწვათ ქალაქი, მაგრამ მოსახლეობა არ დაეხოცათ.[537] ქალაქის გადაწვის შემდეგ ქართველთა ჯარმა უმალვე დატოვა იგი. ბიზანტიელები სასწრაფოდ დაედევნენ ქართველთა ჯარს და შირინთან დაეწივნენ, სადაც გაიმართა ბრძოლა ქართველთა არიერგარდსა და ბერძენთა მოწინავე ლაშქარს შორის. ქართული წყაროები გვაუწყებენ, რომ წინწასული გიორგი მეფეს შემოესმა ბრძოლის ხმა და მთავარი ჯარითურთ იგი უმალ უკან გაბრუნდა და ბრძოლში ჩაება. თავიდან უპირატესობა ქართველთა მხარეზე იყო, მაგრამ შემდეგ ბერძენთა ჯარის ძირითადი ნაწილიც შეუერთდა ბრძოლას და გამარჯვება ბერძნებს დარჩათ. დამარცხებულმა ქართველებმა ქვეყნის სიღრმეში დახევა არჩიეს.[538] არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით ეს ბრძოლა პალაკაციოს (ჩილდირის) ტბის მახლობლად მოხდა.[539] სუმბატ დავითის-ძე ქართველებს სულმოკლეობაში სდებს ბრალს. ისტორიკოსის სიტყვებით, ქართველებმა პირველი წარმატებისთანავე ალაფი შეაგროვეს და უკან ისე გაბრუნდნენ, რომ ბრძოლა არ დაუსრულებიათ და სწორედ ამან გამოიწვია მათი საბოლოო მარცხი.[540] იმპერატორმა ბასილი II-მ დამარცხებულ ქართველებს თრიალეთამდე სდია. გზაში მან სასტიკად გააპარტახა კოლა, არტაანი, ჯავახეთი. გიორგი მეფე თრიალეთში გამაგრდა, სადაც მას კახეთ-ჰერეთის ფეოდალები და წანარები შეუერთდნენ თავიანთი მხედრობით.[541]

მაშასადამე, არაბი ისტორიკოსის იაჰია ანიტოქელის ცნობა, თითქოს ბიზანტიელთა ლაშქარმა ქართველებს დიდ მდინარემდე სდია, რომლის გადალახვაც ბერძნებმა ვერ შეძლეს და უკან დაბრუნდნენ, სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან თრიალეთში არ არის ისეთი დიდი მდინარე, რომელსაც ბიზანტიური ჯარი ვერ გადალახავდა.[542] ამგვარად, უფრო მართებულია სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობა. ის გვიამბობს, რომ გიორგიმ საქართველოს სიღრმეში დაიხია და იქ ციხე-სიმაგრეებში გამაგრდა.[543] ზამთრის მოახლოებისას, ბასილი ტრაპზონში დაბრუნება და იქ დაზამთრება გადაწყვიტა. უკანა გზაზე იმპერატორმა ხელმეორედ ააოხრა ქართული მიწები და ტრაბზონში გაჩერდა.[544] იაჰიას ცნობით, გზადაგზა ბიზანტიის იმპერატორმა ორასი ათასი

---

[537] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია,* 45.
[538] „მატიანე ქართლისა“, 284; სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 383.
[539] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია,* 46.
[540] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 383.
[541] „მატიანე ქართლისა“, 285; სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 383.
[542] სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში,* 194.
[543] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია,* 46.
[544] „მატიანე ქართლისა“, 285; სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 383; Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 381.

ადამიანის დაბრმავება ბრძანა.[545] იაჰია ანტიოქელი გავმცნობს, რომ ტრაპიზონში ჩასვლისთანავე, ბასილ კეისარი უმალ შეუდგა სამხედრო ფლოტის გამზადებას, რათა საქართველო ზღვიდანაც დაელაშქრა. ამ დროს კეისართან მოდის ქართველთა მეფის დესპანი და ატყობინებს, რომ გიორგი მეფემ მოინანია ჩადენილი და პატიების სანაცვლოდ მზადაა ბასილს ციხეები და დავით III კურაპალატის მიწები გადასცეს, ასევე თავისი შვილი, ბაგრატი, კონსტანტინოპოლში მძევლად გაუშვას. ბასილი იმპერატორი დათანხმდა ქართველი მეფის წინადადებას და გიორგისთან მოსლაპარაკებლად ელჩობაც გაგზავნა, რომელიც დიდგავროვნებისა და მოსამართლეებისგან შედგებოდა. ამ დელეგაციას კეისარმა ასევე ეპისკოპოსი გააყოლა და მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს იმ პირობებზე, რომელიც კეისარმა გიორგი I-ს შესთავაზა.[546] ტრაბზონში მყოფ იმპერატორს დაუკავშირდა ვასპურაკანის მეფე სინაჰერიბი და მისი მეზობელი სამეფოს მბრძანებელი, იბნ ად-დაირანი და მთელი თავისი სამფლობელოები გადასცეს. იმპერატორმა იქ საკატაბანოები შექმნა და ბერძენი გამგებლები დანიშნა.[547] ტრაპიზონში ყოფნისას იმპერატორს ცნობა მიუვიდა ნიკიფორე ქსიფიოსისა და პატრიკიოს ნიკიფორეს, ბარდა ფოკას ძის, აჯანყების შესახებ.[548] ისინი ქართველთა მეფეს დაუკავშირდნენ და აღუთქვეს ბიზანტიელების მიერ დაკავებული ქართული მიწების დაბრუნება, თუ ის დაეხმარებოდა აჯანყებულებს ბასილი იმპერატორის გადაგდებაში.[549] ბიზანტიელი ისტორიკოსის, გიორგი კედრენეს ცნობით, ბასილიმ მოახერხა აჯანყებულთა შორის შუღლის ჩაგდება და შემდეგ სათანადოდ გაუსწორდა მეამბოხეებს.[550] ბასილმა ქსიფიოსის მოკვეთილი თავი გიორგი I-ს გაუგზავნა.[551] ამ ჟესტით კეისარმა გიორგი მეფეს აგრძნობინა, რომ მას არ ენდობა და ღალატის შემთხვევაში ფოკას ბედი ეწეოდა. იაჰიას მონათხრობს არისტაკესი იმას ამატებს, რომ დიპლომატიურ მისიას კეისარმა ვალაშკერტის ეპისკოპოსი ზაქარია გააყოლა, რომელსაც დაუბარა ქართველთა მეფე შეთანხმებაზე ყველა საშუალებით დაეყოლიებინა. იმპერატორმა გიორგი მეფეს შეუთვალა, რომ მას რამდენიმე ციხესიმაგრე უნდა დაეთმო, გაეთავისუფლებინა გზა სპარსეთისკენ და მხოლოდ თავისი ქვეყნის გამგებლობით დაკმაყოფილებულიყო. თავდაპირველად გიორგი დათანხმდა იმპერატორის ამ წინადადებაზე და წერილიც გაატანა ზაქარიას. ცოტა ხანში გიორგიმ ინანა თავისი გადაწყვეტილება და ხალხი დაადევნა ზაქარიას.

[545] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 381.
[546] Ibid. 382 – 383.
[547] ʿAnān, *al-Ḥākim bi Amr Allah*, 382.
[548] „მატიანე ქართლისა“, 285 – 286; სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 383; Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 383- 385.
[549] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, 50.
[550] გიორგი კედრენე, „ქრონოგრაფია“,47.
[551] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 387.

ქართველები დაეწივნენ ეპისკოპოსს და უკან წაართვეს წერილი.[552] როგორც ჩანს, გიორგი მეფემ გადაიფიქრა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფოკას აჯანყების შესახებ შეიტყო.[553] ხელცარიელი ეპისკოპოსი ზაქარია ეახლა იმპერატორს და უამბო იმის შესახებ, რომ ქართველებს დიდძალი და კარგად გაწვრთნილი ჯარი ჰყავდათ. იმპერატორი განარისხა ეპისკოპოსის მონაყოლმა და მისი დასჯა ბრძანა (ეპისკოპოსს ენა ამოგლიჯეს და კონსტანტინოპოლში გაგზავნეს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა). ქართველი მეფის ურჩობით გაგულისებული ბასილი კეისარი, ხელმეორედ გაემართა ურჩი გიორგი მეფის დასასჯელად. იაჰია ანტიოქელის სიტყვებით, ბასილი კარგად ხვდებოდა, რომ გიორგი მეფის პირობა არაფერი იყო, თუ არა პოლიტიკური ფანდი. გიორგის ვეზირი, სახელად „რაფადს“, სავარაუდოდ ზვიად ერისთავი, მას ურჩევდა, რომ ფიცი და ხელშეკრულება მხოლოდ ბასილ იმპერატორის წინააღმდეგ მზაკვრული გეგმების განხორციელებისთვის უნდა გამოეყენებინათ.[554] სუმბატ დავითის-ძე პირდაპირ არ ასახელებს ზვიადს თუმცა გვიამბობს:

> ხოლო გიორგი მეფენამ განავლინა ზჳიადი ლაშქრითა დიდითა უწინარეს თჳისსა. და დაილაშქრა ზჳიადმანცა ამიერ კიდესა ბასიანისასა, რეცა ზამთრის სახით. ხოლო თჳით გიორგი მეფე უკანა ისრე განვიდა ზავად წადიერი ლაშქრითა დიდითა და ძლიერითა. გარნა ორკერძოვე მზაკუარნი იგი აზნაურნი არა მიეშუნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდა მშჳიდობა, არამედ აზრახეს მას ბრძოლად.[555]

არისტაკესის ცნობით, იმპერატორი დაბანაკდა ადგილზე, რომელსაც „შღფა“ ეწოდება,[556] ხოლო როგორც სუმბატის ცნობიდან დავინახეთ ბასილი ბასიანში შეჩერდა. გაიგო თუ არა ამის შესახებ, გიორგი მეფე უმალვე გაემართა თავისი ჯარით ამ ადგილისკენ. როგორც კი იმპერატორმა მოახლოებული ქართველთა ლაშქარი დაინახა, მათ შორის დადებული ხელშეკრულება შუბისპირზე წამოაგო, ცისკენ აღმართა და წარმოთქვა: „იხილე უფალო წერილი მათი და საქმე, რომელსა აწ იქმნიან“. შემდეგ შუბი მიწაზე დასცა და თქვა: „უკეთუ მიმცე მე ჴელთა მტერთასა, არღარა თაყუანის გცე უკუნისამდე“. ბერძენთა ლაშქარი ქართველთა მეწინავეებს ეკვეთა და სასტიკად დაამარცხა, ისე რომ გიორგი მეფემ თავისი ლაშქრით ბრძოლის ადგილას დროზე მისვლა ვერ მოასწრო.[557]

მარცხის შემდეგ ქართველებს სხვა გზა არ ჰქონდათ და სამშვიდობო ხელშეკრულება დადეს ბიზანტიასთან. ამ ზავის მიხედვით, გიორგი I–მა 12

---

[552] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია,* 51.
[553] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია,* 135.
[554] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī,* 385.
[555] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 384.
[556] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია,* 51.
[557] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 384.

ციხესიმაგრე და დავით კურაპალატის მიწების ნაწილი, კერძოდ კი ტაო, კოლა-არტაანი, ბასიანი და ჯავახეთი, ბიზანტიას გადასცა. ასევე გიორგი მეფემ თავისი შვილი, ბაგრატი, სამი წლის ვადით კონსტანტინოპოლში გაუშვა მძევლად. მატიანე ქართლისაში მოთხრობილია, რომ ბასილი მხოლოდ ციხეების დაკავებით დაკმაყოფილდა, ხოლო ეკლესიები და მიწები ისევ გიორგი მეფეს დაუტოვა.[558] ეს ზავი გიორგიმ სულის მოთქმის მიზნით დადო. უკანასკნელი მარცხის შემდეგ ქართველებს დრო სჭირდებოდათ, რათა ძალა მოეკრიბათ და მომზადებულიყვნენ შემდგომი ბრძოლებისათვის. თუმცა, სავარაუდოდ, ეს მარცხი გიორგიმ მაინც ზვიადს დააბრალა და მისი დატყვევება ბრძანა. ამ ფაქტზე მიუთითებს დიდი გომარეთის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერა:

> სახელითა ღმრთისაითა მას
> ჟამსა ოდეს ძლიერმან და
> უძლეველმან გიორგი
> აფხაზთა მეფემან შეიპ-
> ყრნა ზვიად მარუშიანი,
> მაშინ ესე ბალავარი დვა
> ჴელითა ცოდვილისა მიქელ
> ხუც(ეს) - გალატოზისაჲთა.[559]

სავარაუდოდ, ამავე დროს დაუბრუნა მეფემ ბაღვაშებს თრიალეთი, რადგან, როგორც სოფ. გომარეთის, ასევე გომარეთის პლატოს და თრიალეთის თანადროულ სხვა ეკლესიების წარწერებში ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი იხსენიება.

გიორგი მეფე კარგად ხვდებოდა, რომ მან წააგო მხოლოდ ბრძოლა და არა ომი, ამიტომ საჭირო იყო შემდგომში კიდევ უფრო მომზადებული დახვედროდა მტერს. ქართველთა ჯარის აღდგენილი ძალა გამოჩნდა ბაგრატის დაბრუნების მომენტში. ეს ამბავი აღწერილი აქვს სუმბატ დავითის-ძეს, მას შემდეგ, რაც ზავის დადებიდან სამი წელი მიილია, ბასილიმ პირობა აღასრულა და დააბრუნა ბაგრატი. ტაოს მოწეული ბაგრატი თავის მამულში, ბანაში, ბიზანტიელი კატაბანის თანხლებით შევიდა. ამ უკანასკნელმა ქართველი უფლისწული ბაგრატის მამულების აღმოსავლეთ საზღვრამდე მიაცილა და იქ ქართველთა რაზმს გადასცა. უკან დაბრუნებულ კატაბანს დახვდა იმპერატორის მაცნე, რომელმაც კატაბანს ბასილი II-ის სიკვდილი აცნობა და ახალი იმპერატორის წერილი გადასცა. ამ წერილში ახალი იმპერატორი კონსტანტინე VIII[560] ბერძენ

[558] „მატიანე ქართლისა“, 288.

[559] Такайшвили, „Археологическія экскурсіи“, 83.

[560] კონსტანტინე VIII - იმპერატორ ბასილ II-ს ძმა და მისი თანამმართველი, ბიზანტიის ერთპიროვნული იმპერატორი 1025 – 1028 წწ.

მოხელეს ატყობინებდა თავისი ძმის, ბასილ II–ის სიკვდილის შესახებ. იმპერატორმა უბრძანა კატაბანს შეეჩერებინა ბაგრატი და დაებრუნებინა ის კონსტანტინოპოლში. კატაბანი დაედევნა ბაგრატს, მაგრამ საქართველოს საზღვრებში შეჭრა და ქართველთა „განძლიერებულ“ ლაშქართან შებმა ვერ გაბედა და „გარე-უკუნ-იქცა და წარვიდა“.[561]

სუმბატ დავითის ძის მოკლე მონათხრობი, ბაგრატის დაბრუნების შესახებ, საკმაოდ საინტერესო და ძვირფას ინფორმაციას შეიცავს. პირველი ის არის, რომ სავარაუდოდ ბაგრატმა ქართული საკურაპალატოს მიწების ნაწილი მიიღო საჩუქრად. კერძოდ, კი ბანა, რომელიც ბასილ II-ემ მამამისს წაართვა. ამას ადასტურებს სუმბატის ის სიტყვები, სადაც ისტორიკოსი ამბობს: „და მოიწია ბაგრატ ტაოს და შემოვიდა თვისსა მამულსა ბანას“. როგორც ჩანს, ეს მიწები მხოლოდ ნომინალურად იყო მისი, რეალურად კი იქ ბიზანტიის ძალაუფლება ვრცელდებოდა. ეს არ იყო საქართველოს ტერიტორია, ეს იყო ბაგრატის პირადი მამულები, რომელიც მას ბიზანტიის იმპერატორმა უბოძა. მიუხედავად ამისა, ეს უკვე წინ წადგმული ნაბიჯი იყო. ბიზანტია, თუნდაც ნომინალურად, მაგრამ უბრძოლველად უბრუნებდა საქართველოს ცოტა ხნის წინ წართმეულ ტერიტორიებს. ბიზანტიელმა მოხელემ ქართველი უფლისწული თავისი მამულის აღმოსავლეთ საზღვრამდე მოაცილა. ასევე, ჩვენ ვხედავთ მკაფიოდ გავლებულ საზღვარს ორ ქვეყანას შორის. მას არც ერთი მხარე არ კვეთს და უფლისწულის გადაცემა ზუსტად საზღვარზე ხდება. ქართველი ისტორიკოსი გვიამბობს, რომ კატაბანი წერილის მიღებისთანავე გაეკიდა ქართველ უფლისწულს, მაგრამ თავის მამულებში დაბრუნებულ ბაგრატს დიდძალი ლაშქარი ახლდა. კატაბანმა ქართველებთან შებმა ვერ გაბედა და უკან დაბრუნდა. „რამეთუ თვისსა მამულსა შემოსულ იყო იგი და განძლიერებული ლაშქრითა, რომლისა ბრძოლად ვერღარა ეძლო კატაბანსა მას, არამედ გარე-უკუნ-იქცა და წარვიდა“.[562] რაც გიორგი I-ის მიერ დაწყებულ მორიგ საომარ სამზადისზე უნდა მიანიშნებდეს.

3.3. გიორგი I-ის მოღვაწეობის უკანასკნელი წლები.

ბასილი II-ის გარდაცვალების შემდეგ გიორგი I ახალი ძალებით შეუდგა საქართველოს ისტორიული მიწების დაბრუნებისთვის მზადებას. მან გააგრძელა საქართველოს გაერთიანებისა და ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი. ამავე დროს ის განაგრძობს ფიქრს ტაო-კლარჯეთის დაბრუნებაზე. ქართველთა მეფე შეეცადა ანტიბიზანტიურ მოძრაობაში ჩრდილოეთ კავკასიაც ჩაერთო. ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული 1026 წელს მისი ქორწინება ოსთა მეფის ასულ ალდესთან. ბასილი II გარდაცვალების შემდეგ, გიორგის ჩანაფიქრის

[561] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 385.
[562] Ibid. 385.

განსახორციელებლად ბიზანტიაში ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნა. ახლადგამეფებულ კონსტანტინეს მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მათ შორის ვასპურაკანის მმართველი ნიკიფორე კომნენოსიც, რომელმაც 1026 წელს იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო. სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტეცი მოგვითხრობს, რომ ამ შეთქმულებაში გიორგი I-იც მონაწილეობდა.[563] ისტორიკოსის სიტყვებით, ნიკიფორე ქართველთა მეფეს დაუკავშირდა და დახმარების შემთხვევაში „აღმოსავლეთში გამეფება“ აღუთქვა. მუიხედავად იმისა, რომ იაჰია ანტიოქელი და სკილიცა ამ შეთქმულებაში გიორგი I-ის მონაწილეობაზე არაფერს გადმოგვცემენ, ქართველი მკვლევარი ჯაბა სამუშია მართებულად აღნიშნავს, რომ: „ამგვარი კავშირის არსებობა კომნენოსსა და გიორგი I-ს შორის სრულიად დასაშვებია“,[564] რასაც ჩვენც ვიზიარებთ. მიუხედავად ნიკიფორე კომნენოსის მცდელობისა ხელისუფლებაში მოსულიყო, იმპერატორმა მისი შეთქმულების შესახებ შეიტყო და 1026 წლის ივნისში მეამბოხეები დაატყვევა. ამგვარად, ქართველთა მეფის მორიგი მცდელობა, დაებრუნებინა კუთვნილი ტერიტორიები, კვლავ უშედეგოდ დასრულდა.

მეფე გიორგი I აღესრულა 1027 წლის 15 აგვისტოს თრიალეთში სოფელ მყინვარში (დღევანდელი სოფ. ნარდევანი[565]) და დაიკრძალა ქუთაისში.[566]

[563] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია,* 54.

[564] ჯ. სამუშია, „XI საუკუნის საქართველოს ისტორიის რამდენიმე მოვლენის დათარიღებისთვის“, *ქართული დიპლომატია, წელიწდეული* 4 (თბილისი 1997), 237.

[565] თრიალეთის სოფლების ტოპონიმიკის შესახებ იხ. დ ბერძენიშვილი, „თრიალეთის უცნობი წარწერები“, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული,* VI (თბილისი 1982).

[566] „მატიანე ქართლისა“, 290; სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 385.

თავი III: საქართველოს და ფატიმიანთა სახალიფოს ურთიერთობის საკითხისათვის XI საუკუნის 30-იან წლებში

საქართველო-ფატიმიანთა სახალიფოს ურთიერთობის ახალი ეტაპი XI საუკუნის 30-იან წლებში იწყება. ამ დროისათვის პოლიტიკური ვითარება შეცვლილია როგორც საქართველოში, ისე ბიზანტიასა და ფატიმიანთა სახალიფოში.

1021 წელს, ალ ჰაქიმის გარდაცვალების შემდეგ, ფატიმიანთა ხალიფა გახდა ალ-ჰაქიმის შვილი აზ-ზაჰირი. 1025 წელს ბიზანტიის ტახტზე ავიდა ბასილის II-ს ძმა, კონსტანტინე VIII, 1028 წელს კი საქართველოს მეფე ხდება ბაგრატ IV.

კონსტანტინე VIII-მ მტრული პოზიცია დაიკავა საქართველოს მიმართ. მაგრამ ის მალე, 1028 წლის ბოლოს გარდაიცვალა. მისი მემკვიდრეების დროს იცვლება პოლიტიკა, რასაც 1032 წელს საქართველოსა და ბიზანტიას შორის ზავის დადება მოჰყვა. ამ დროისათვის საქართველო საერთაშორისო მოლაპარაკებებში იღებს მონაწილეობას და შეთახმებების აღსრულებაშიც მონაწილეობს. ამაზე მიუთითებს კაიროში 1036 წელს გაფორმებული ხელშეკრულება.

§ 1. ბაგრატ IV კურაპალატი

1.1. ბაგრატ IV-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

1027 წელს საქართველოს ტახტზე ადის გიორგი I-ის ვაჟი ბაგრატი. ის იმჟამად მხოლოდ ცხრა წლის ყოფილა.[567] მეფეს უმალვე განუდგნენ ტაოელი აზნაურები ვაჩე კარიჭის ძე, ბანელი ეპისკოპოსი და სხვა ციხიანი, თუ უციხო აზნაურები. ისინი ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე VIII ეახლნენ და მორჩილება აღუთქვეს.[568] ამ პერიოდში კახეთი კვლავ არ ემორჩილება საქართველოს მეფეს და

[567] „მატიანე ქართლისა“, 291.

[568] როგორც ჩანს, ტაოელ დიდგავროვანთა ღალატის მიზეზი არა მხოლოდ მცირეწლოვანი ბაგარტის გამეფება, არამედ ბიზანტიაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებიც გახდა. ვასილ კოპალიანი აღნიშნავს: „ბასილის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის ხელისუფლება თანდათანობით ანელებს მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდის შეზღუდვის პრაქტიკას. ამ გარემოებას, რომლის განმარტებას ქვემოთ შევეცდებით, ერთგვარად ხელი უნდა შეეწყო ბიზანტიის მოსაზღვრე საქართველოს რაიონებიდან დიდი აზნაურების ბიზანტიისკენ მიდრეკილებას“ (კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა*, 130). ამას ხელი შეუწყო საქართველოში ჯერ კიდევ VI საუკუნეში ჩამოყალიბებულმა ფეოდალურმა ურთიერთობებმა. ცალკეული მთავრები განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდნენ თავიანთ მამულებში. ასეთი მდგომარეობა იყო არაბთა ბატონობის პერიოდშიც. პირველი, ვინც ურჩ აზნაურთა წინააღმდეგ გაილაშქრა, იყო გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III კურაპალატი. დიდგვაროვნებს, რა თქმა უნდა, თავისი პოზიციების დათმობა არ სურდათ, მაგრამ მრავალი მცდელობის მიუხედავად, ბაგრატს წინ ვერ აღუდგნენ. ის სასტიკად გაუსწორდა ყველას, ვინც ცენტრალიზებული ხელისუფლების წინააღმდეგ ილაშქრებდა. ბაგრატმა მკაცრად დასაჯა

ამ რეგიონს დამოუკიდებელი მეფე, კვირიკე III დიდი (1014 – 1037 წწ.) განაგებს, ხოლო თრიალეთში ბაღვაშები ძალას იკრებენ. ცენტრალურმა ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებები ვერ გაატარა. ბიზანტიასთან ურთიერთობაც კვლავ რთული იყო. იმპერატორ კონსტანტინ VIII-ეს (1025 – 1028 წწ.) ჯერ კიდევ გიორგი I-ის სიცოცხლეში არ უნდოდა ბაგრატის სამშობლოში დაბრუნება, თუმცა იმ მომენტში ამას წინ ვერ აღუდგა.

გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ იმპერატორმა გადაწყვიტა ბაგრატ IV-ს მცირეწლოვნობით ესარგებლა და საქართველოში დიდძალი ლაშქარი გამოგზავნა ნიკიტა პარაკიმანოზის სარდლობით. თუმცა არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქელი ბერძენთა ლაშქობის სხვა მიზეზსაც ასახელებს. მისი თქმით, ახლადგამეფებულ ბაგრატს ქართველმა დიდგვაროვნებმა ურჩიეს იმ ციხეების დაბრუნება, რომლებიც მისმა მამამ, გიორგი I-მა 1023 წლის ხელშეკრულებით ბიზანტიას გადასცა. ამის შედეგად კონსტანტინე კეისარმა ნიკიტა პარაკიმანოზი საქართველოში გაგზავნა, რომელმაც ქართული მიწები მოაოხრა, გადარჩენილი მოსახლეობა კი მიუდგომელ მთებში გაიხიზნა.[569] ეს ლაშქრობა ალბათ 1027 წლის შემოდგომაზე, ან 1028 წელს ხდება, რადგან 1028 წლის 15 ნოემბერს გარდაიცვალა კონსტანტინე.

ქართველი მემატიანის გადმოცემით, ბიზანტიელთა ლაშქარმა „მოაოჯრნა იგივე ქუეყანანი, რომელნი ბასილი მეფესა მოეოჯრნეს. მოვიდა თრიალეთს ციხესა ქვეშე კლდე-კართასა; მას ჟამსა ჰქონდეს ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავსა, ძესა ლიპარიტისასა”[570]. ქართველები შეებნენ მტერს „ციხისა ქვეშე“. ბერძნები მიხვდნენ, რომ წარმატებას ვერ მიაღწევდნენ და გაეცალნენ.

ამ ლაშქრობის შედეგებზე ქართველ და არაბ მემატიანეებს განსხვავებული ცნობები მოჰყავთ. იაჰია ანტიოქიელი მოგვითხრობს, რომ ბერძენთა სარდალს მარიამ დედოფლისა და ბაგრატ მეფის სახელით ეახლნენ ქართველი დიდგვაროვნები, პატიება ითხოვეს და იმპერატორს მორჩილება აღუთქვეს.[571] ქართველი მემატიანე კი გადმოგვცემს, რომ კლდეკარი ბერძნებისგან ლიპარიტ ლიპარიტის-ძემ დაიცვა და ციხე შეინარჩუნა: „შემოიკრიბნა სხუანიცა აზნაურნი,

---

კლარჯელი ბაგრატიონები და ბიზანტიაში გააძევა. კონსტანტინე იმპერატორის მიერ გატარებული საკანონმდებლო ცვლილებები ქართველმა მთავრებმა განიხილეს როგორც შანსი დაებრუნებინათ თავიანთი უფლებები. ვაჩე კარიჭის ძე და ერისთავები მიხვდნენ, რომ მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდის შემზღუდველი კანონების გაუქმებისთანავე, ბიზანტიაში მათთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. დიდაზნაურები, რომლებიც ბიზანტიისკენ მიისწრაფოდნენ მიწათმფლობელობის წესისა და მწარმოებელ საზოგადოებაზე უფლებების კიდევ უფრო განმტკიცებას მოელოდნენ. ასეთივე მიზნები ამოძრავებდა მსხვილ სომეხ ნახარარებსაც, რომლებმაც XI ს-ის 40-იან წლებში ანისის სამეფო ბიზანტიას გადასცეს (კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა*, 139)

[569] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 406.

[570] „მატიანე ქართლისა“, 292; ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 143-144.

[571] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 407.

დაუდგეს განძათა და შეებნეს ციხესა ქუეშე. რაჟამს იხილა პარაკიმანოზმან, რომელ ვერას ავნებდა, შეიქცა გარე“. მსგავს ცნობას გვაწვდის სუმბატ დავითის ძეც, თუმცა მხოლოდ მცირე ბრძოლაზე მიუთითებს. „რამეთუ მიიწია ესე თრიალეთს ციხესა ქუეშე კლდე-კართასა, სადა-იგი იყვნეს მაშინ აზნაურნი ბაგრატისნი, და ბრძოლა ყვეს, გარნა არა დიდად“.[572]

მიუხედავად განსხვავებებისა, ვთვლი, რომ სამივე ისტორიკოსის ცნობა კი არ გამორიცხავს ერთმანეთს, არამედ პირიქით, ავსებს. ჩვენი აზრით, ბერძენთა ლაშქარმა ვერ შეძლო კლდეკარის აღება, ისევე როგორც ეს ვერ შეძლო 1021 წელს ბასილი კეისარმა, რის შემდეგაც მხარეებს შორის შედგა მოლაპარაკებები. სამწუხაროდ არაფერია ცნობილი ამ მოლაპარაკებების პირობების შესახებ, თუმცა ნათელია, რომ ბიზანტიელებმა კლდეკარის ციხე ვერ აიღეს და უკან გაბრუნდნენ. იაჰიას ცნობა კი იმის შესახებ, თითქოს ქართველებმა პატიება ითხოვეს და ბიზანტიის იმპერატორს მორჩილება აღუთქვეს, გაზვიადებულად მიგვაჩნია.[573]

კლდეკართან დამარცხების მიუხედავად ნიკიტა პარაკიმანოზმა მაინც მოახერხა რამდენიმე ქართველი თავადის გადაბირება - „წარვიდა ჩანჩახი ფალელი საბერძნეთს, მისცა ციხე გარყლობისა, მიერთო ბერძენთა, და არჯევან ჰოლოლას-ძემან მისცა ბერძენთა ციხე წეფთისა“.[574]

სამხედრო წარუმატებლობის შემდეგ ბიზანტიელებმა პოლიტიკურ ხერხს მიმართეს. მათ საქართველოში გამოუშვეს დემეტრე, ბაგრატ III კურაპალატის მიერ მოკლული, კლარჯელი გურგენ ბაგრატიონის ძე. დემეტრე, ბერძენთა ლაშქრის თანხლებით, შემოვიდა საქართველოში, თითქოს თავისი უფლებების

---

[572] სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 385.

[573] მიუხედავად იმისა, რომ იაჰია ანტიოქიელი საკმაოდ ობიექტური ისტორიკოსია და მისი სხვა ცნობები ეჭვს არ იწვევს, ის ზოგჯერ ძალზედ ტენდენციური ჩანს იმ საკითხებში, რომლებიც ბიზანტიელთა წარმატებებს ეხება. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, ისტორიკოსს განზრახ გაეზვიადებინა ცნობა ქართულ-ბიზანტიური მოლაპარაკებების შესახებ, რადგან იმპერატორის დაუმორჩილებლობა მისთვის სრულიად მიუღებელი ჩანდა. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ იაჰია არ ფლობდა, ან არასწორი ცნობები ჰქონდა მიმდინარე მოვლენების შესახებ, რადგანაც ის ამ მოვლენების თანამედროვეა და კარგად არის გათვითცნობიერებული ყველაფრის შესახებ, რაც ბიზანტიასა თუ ახლო აღმოსავლეთში ხდება. ყოველ შემთხვევაში, იაჰია ანტიოქელის ობიექტურობა ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს და ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით.

[574] მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი აზნაურების ნაწილი ბიზანტიას მიემხრო, მცირე მიწათმფლობელები და აზნაურები საქართველოს ერთგულები დარჩნენ. მათ სრულიადაც არ აწყობდათ მსხვილი აზნაურებისა და ერისთავების კიდევ უფრო გაძლიერება. მათ სათავეში სასულიერო პირი, საბა მტბევარი ჩაუდგა და შავშეთი ბიზანტიელთა აგრესიისგან დაიცვა. შეიტყო თუ არა საბა მტბევარმა ბერძენთა ლაშქრობის შესახებ უმალ გაამაგრა ტბეთი, სადაც ეზრა ანჩელმა ეპისკოპოსმა და შავშეთის აზნაურებმა შეაფარეს თავი. როგორც ამ ცნობიდან ჩანს, მიუხედავად შავშეთის ერისთავის გადაწყვეტილებისა ბიზანტიის იმპერატორის მორჩილებაში გადასულიყო, მისი აზნაურები მეფის ერთგულნი დარჩნენ და ერთად ებრძოდნენ ბიზანტიის აგრესიას. ქართველი ისტორიკოსის ცნობით მათ დაიცვეს შავშეთი და ბერძენთა ლაშქარი განდევნეს („მატიანე ქართლისა“, 292; სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, 385; ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 138.

აღსადგენად და კლარჯეთში აჯანყების წამოიწყებას შეეცადა. სუმბატ დავითის ცნობით, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მართლაც მიემხრო დემეტრეს: „ექმნა ესრეთ, რამეთუ მიიქცეს ერნი სოფლისანი, უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა“.

მაგრამ ბიზანტიელთა გეგმას ასრულება არ ეწერა, 1028 წელს გარდაიცვალა კონსტანტინე იმპერატორი და ბიზანტიის ტახტი დაიკავა რომანოზ III-მ[575] (1028 – 1034 წწ.). კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ საქართველოში მცირე ხნით მშვიდობამ დაისადგურა. ამავე წელს ბიზანტიაში გაიგზავნა ქართული დიპლომატიური მისია, რომლის ინიციატორი და მოთავე ბაგრატის დედა, მარიამი იყო. მარიამ დედოფლის მეოხებით ეს მისია წარმატებით დასრულდა.

მარიამ დედოფალი ეახლა ახალ იმპერატორს, რომანოზ III-ს და შვილისთვის შესაბამისი საცოლე სთხოვა. მოლაპარაკებებში, სავარაუდოდ მელქისედეკ კათალიკოსიც მონაწილეობდა. იმპერატორმა დედა-დედოფლის თხოვნა დააკმაყოფილა, ბაგრატს საცოლედ თავისი ძმის ასული ელენე შეურჩია და ქართველ მეფეს კურაპალატის წოდებაც დაუმტკიცა[576]. მემატიანის ცნობით, ბიზანტიის იმპერატორმა:

> აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით: მოსცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყუარულისთჳს დაუწერა ოქრო-ბეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა, და მოსცა ცოლად ბაგრატისთჳს ელენე დედოფალი.[577]

მრავალწლიანი კონფლიქტის შემდეგ ბიზანტიასა და საქართველოს შორის მოკლე დროით მშვიდობამ დაისადგურა. როგორც ჩანს, მოლაპარაკებები მხარეებს შორის რამდენიმე წლით ადრე დაიწყო, რადგან ქართველები რომანოზს სამხედრო დახმარებას ჯერ კიდევ 1030 წელს უწევენ. ამის შესახებ მოგვითხრობენ ქემალ ად-დინი და მათე ურჰაეცი.

1030 წელს იმპარატორმა გადაწყვიტა ალეპო დაემორჩილებინა და პირადად ელაშქრა მუსლიმთა წინააღმდეგ. ამ ლაშქრობაში მას თან ახლდნენ ქართველებიც. ქემალ ად-დინი არ წერს კონკრეტულად თუ ვინ ახლდა იმპერატორს, ის მხოლოდ რომანოზის ამ კამპანიის მონაწილეთა შორის აფხაზებს ასახელებს[578]. მათე ურჰაეცი უფრო კონკრეტულ ინფორმაციას გადმოგვცემს. სომეხი მემატიანე წერს, რომ რომანიზს თან ახლდა, წარსულში, დავით კურაპალატის პირადი დაცვის უფროსი ვინმე აბუკაბი, რომელიც პირადად იმპერატორს აძლევდა რჩევებს.[579] მათე ურჰაეცი ასევე აღნიშნავს, რომ მას შემდეგ რაც მანიაკემ მუსლიმებს ედესა

---

[575] „მატიანე ქართლისა“, 293; ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია,* 138-139.
[576] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 409; John Skylitzes, *A Synopsis,* 357.
[577] „მატიანე ქართლისა“, 294.
[578] Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab*, 137.
[579] Matthew of Edessa, *The Cronicle*, 51.

წაართვა, იმპერატორმა ქალაქის გამგებლად აბუკაბი დანიშნა.[580] აბუკაბის ვინაობას კვლევა მოუძღვნა პროფესორმა ზაზა ალექსიძემ.[581] ქართველი მეცნიერის აზრით რომანოზის ლაშქრობის მონაწილე აბუკაბი უნდა იყოს აბუკაბ ზოლავარი, რომელიც სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში დაცული, 1031 წლით დათარიღებულ ერთ-ერთი კრებულის ანდერძ-მინაწერშია მოხსენიებული.[582] ტექსტიდან ჩანს, რომ ამ კრებულის შემკვეთი სწორედ აბუკაბი იყო. აბუკაბთა გვარის წარმოშობის ირგვლივ არსებული დავის მიუხედავად, ზაზა ალექსიძე მას ქართველად მიიჩნევს.[583]

ჩემი აზრით, საქართველო-ბიზანტიის ზავთან მიმართებაში საინტერესოა ის, თუ ვის სამსახურში იდგა აბუკაბი - ბიზანტიის იმპერატორისა, თუ ქართველი მეფის. ერთის მხრივ, ის ფაქტი, რომ იმპერატორი აბუკაბს ედესის გამგებლად ნიშნავს, იძლევა საფუძველს ვივარაუდო, რომ ის იმპერატორის მოხელე იყო. თუმცა, ამავე დროს გასათვალისწინებელია ამ დროს მიმდინარე ბიზანტია-საქართველოს სამშვიდობო მოლაპარაკებები. ჩვენთვის უცნობია თუ რა პირობები წაუყენა იმპერატორმა მარიამ დედაოფალს, ბაგრატის ელენეზე ქორწინების სანაცვლოდ. არ არის გამორიცხული, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა სამხედრო დახმარებაც იყო და აბუკაბი ქართულ ნაწილებს ხელმძღვანელობდა. რაც შეეხება ედესის გამგებლად დანიშვნას, აქ შეიძლება დავით III კურაპალატის შემთხვევის ანალოგია მომხდარიყო, როდესაც იმერატორი, პირადი დამსახურებების გამო ქართველ დიდგვაროვანს, მნიშვნელოვან, მაგრამ სახიფათო სასაზღვრო ტერიტორიებს გადასცემს.

ჩრდილოეთ სირიაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში ქართული ჯარის მონაწილეობის დასტური ქემალ ად-დინის მოკლე ცნობაში შეიძლება ვნახოთ. როგორც უკვე აღვნიშნე, ალეპოს კამპანიაში იმპარატორის მოკავშირეთა შორის არაბი ისტორიკოსი აფხაზებს ასახელებს. ეს პირდაპირი მითითებაა იმაზე, რომ რომანოზის მხარეზე ქართული სამეფოს წარმომადგენლები იბრძოდნენ, რადგან აფხაზებად მხოლოდ ქართველი მეფეები და მთავრები იხსენიებიან. თუ ეს მართლაც ასეა, სწორედ ერთგული სამსახურისთვის იმპერატორმა ქართველებს პატივი მიაგო და 1036 წლის ფატიმიანებთან დადებულ საზავო ხელშეკრულებაში, სხვა ეკლესიების აღდგენასთან ერთად, ერთ-ერთ პუნქტად იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღდგენაც შეიტანა. აქვე შეიძლება დაისვას კითხვა: სწორედ ჯვრის მონასტრისთვის ხომ არ შეუკვეთა აბუკაბმა წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული, 1031 წლით დათარიღებული კრებული? ზაზა ალექსიძის კვლევის შედეგად

[580] Ibid. 55.
[581] ზ. ალექსიძე, „ვინ იყო აბუკაბ ზოლავარი“, *საისტორიო კრებული,* N 3 (თბილისი: მხედარი 2013), 11 – 21.
[582] Ibid. 15.
[583] Ibid. 20.

გამოჩნდა, რომ ეს ხელნაწერი 1049 წელს ჯერ იერუსალიმში, გოლგოთის წინამძღვართან იგზავნება და სინას მთაზე მხოლოდ XII საუკუნეში ხვდება.[584] არ არის ასევე გამორიცხული, 1030 წლის კამპანიაში ლიპარიტ ერისთავსაც მიეღო მონაწილეობა, რადგან მომდევნო თავებში ქემალ ად-დინი მას აფხაზთა მალიქს უწოდებს. ცნობილია, რომ ალეპოს კამპანია 1030 წლის ზაფხულში მიმდინარეობდა, ხოლო თბილისის ალყაში ლიპარიტი უკვე 1031 წელს მონაწილეობდა. ამდენად არ არის გამორიცხული რომ, მას შემდეგ რაც სამოც წელს მიტანებულ აბუკაბს იმპერატორმა ედესა გადასაცა, მან ახალ მოკავშირედ ახალგაზრდა და ენერგიული ლიპარიტ ბაღვაში აირჩია.

ბიზანტიასა და საქართველოს შორის ურთიერთობა 30-იანი წლების შუა ხანებში ფუჭდება. ორ ქვეყანას შორის დროებითი მშვიდობა დასრულდა. გარდაიცვალა ელენე დედოფალი და ბაგრატმა შეირთო ოსთა მეფის ასული, ბორენა.[585] მაშასადამე, გაწყდა ნათესაური კავშირი ბაგრატ მეფესა და ბიზანტიის კეისარს შორის.

ამავე დროს ფუჭდება ურთიერთობა მეფესა და ლიპარიტ ბაღვაშს შორის თბილისის საამიროს ირგვლივ მომხდარი მოვლენების გამო. 1038 წლიდან კონფლიქტი ბაგრატსა და ლიპარიტს შორის სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა. ქართველი დიდგვაროვნების რჩევით, „არა განდიდებისათვის ლიპარიტის“, ბაგრატი უზავდება თბილისის ამირას. თბილისის ამირასთან დაზავების შემდეგ ბაგრატმა კახეთი დალაშქრა. მან რამდენიმე ციხე აიღო, თუმცა წარმატება ვერ შეინარჩუნა: „ვერღარა ჩავიდეს კახეთს და შემოიქცა, რამეთუ ლიპარიტ იწყო საურავთა გვერდქცეულთა” და აფხაზეთში დაბრუნდა[586].

1043 წელს, ლიპარიტ ბაღვაშმა ბიზანტიელთა დახმარებით მოისურვა საქართველოს ტახტზე აეყვანა ბაგრატის ნახევარძმა, დემეტრე, რომელიც იმჟამად დედასთან, ალდე დედოფალთან ერთად ანაკოფიის ციხეში ცხოვრობდა. თუმცა, ამ ქმედებას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან იმავე წელს ბიზანტიაში აჯანყდა გიორგი მანიაკე, ამიტომ ბერძნეთა ლაშქარი ბიზანტიაში დაბრუნდა. დემეტრეც ბიზანტიაში გაიქცა და ანაკოფიის ციხე ბერძნებს გადასცა. ამის შემდეგ ლიპარიტი მცირე ხნით ბაგრატს დაუზავდა და სავარაუდოდ ბიზანტიაში წავიდა. მოგვიანებით, ბიზანტიის იმპერატორმა დემეტრეს მაგისტროსის წოდება მიანიჭა.[587]

1045 წელს გარდაიცვალა ანისის მეფე და სომეხმა დიდგვაროვნებმა ქალაქი ბაგრატის დედას, მარიამს გადასცეს. დედოფალმა ანისის სამართავად ქართველი მთავრები დანიშნა. შემოდგომის დამდეგს ლიპარიტმა ანისს დადგენილი

[584] Ibid. 14.
[585] „მატიანე ქართლისა“, 295.
[586] Ibid.298.
[587] გიორგი კედრენე, „ქრონოგრაფია“, 283

ქართველი დიდგვაროვნები ქალაქიდან მოტყუებით გამოიყვანა და დაატყვევა. მან ქალაქი იმპერატორს, კომსტანტინე მონომახს (1042 – 1055 წწ.) გადასცა და საქართველოში დაბრუნდა. სწორედ ამ დროს „თბილისის ბერებმა“ ქალაქი ბაგრატს გადასცეს და კახელებიც დროებით დაუზავდნენ. თუმცა, მეფემ საბოლოო წარმატებას კვლავ ვერ მიღწია, რადგან მის წინააღმდეგ საქართველოში დაბრუნებული ლიპარიტი გამოვიდა.

ლიპარიტს თან ახლდა ბაგრატის ნახევარძმა დემეტრე და ბიზანტიელთა ჯარი. ერისთავის მხარეს ასევე იყვნენ კახეთისა და ტაშირის მეფეები. ლიპარიტმა ზედიზედ ორჯერ დაამარცხა მეფე, სასირეთის ჭალასა და არყისციხესთან. ამის შედეგად, მის ხელში გადავიდა სამხრეთ დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ციხეები. დამარცხებულმა ბაგრატმა ლიპარიტს დაზავება სთხოვა, თუმცა ერისთავმა უარით უპასუხა. ტერიტორიების შემომტკიცების შემდეგ, ლიპარიტი კვლავ ბიზანტიელთა დასახმარებლად გაემართა. 1047 წელს მან ჯერ დვინზე ულაშქრა ბიზანტიელებს, ხოლო 1049 წელს კაპეტრონთან, სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა, რომლის დროსაც ტყვედ ჩავარდა. მამის დატყვევებით შეშინებულმა იოანემ და ნიანიამ ბაგრატს პატიება სთხოვეს „და გამოიყვანეს მეფე მეფედ“.[588]

მნიშვნელოვანია, რომ ლიპარიტის დატყვევების შემდეგ, ბიზანტიის იმპერატორი ბაგრატს სთხოვს დახმარებას სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს მეფე იმპერატორის წინადადებას თანხმდა და განძასთან მისული სელჩუკები ქართულ-ბიზანტიურმა ლაშქარმა უკუაქცია. ამ გამარჯვების შემდეგ თბილისის მოსახლეობამ ხელმეორედ გადასცა ქალაქი ბაგრატს: „და ამისსა შემდგომად კუალად უჴმეს ტფილელთა და მოსცეს ტფილისს ბაგრატს, და შეიყვანეს შინა. და იყო სიხარული და მშჳდობა დიდი“.[589]

იმპერატორმა ძალღონე არ დაიშურა და ერთგული მოკავშირე ლიპარიტი მალევე დაიხსნა ტყვეობიდან. ლიპარიტი საქართველოში დაბრუნდა და მეფესთან მტრობა გააგრძელა. ბაგრატმა ვერ გაუძლო ლიპარიტის ზეწოლას და ბიზანტიის იმპერატორთან გაემგზავრა. მეფის არყოფნით ისარგებლა ლიპარიტმა, ბაგრატის მცირეწლოვანი ვაჟი, გიორგი, მეფედ აკურთხებინა და ბაგრატის დასთან, გურანდუხტთან ერთად მისი მეურვე გახდა.[590]

ქართველი მემატიანეს ცნობით მეფე კონსტანტინოპოლში სამი წელი დარჩა.[591] სკილიცას და კედრენეს თქმით, ბაგრატმა მონომახს საყვედურით მიმართა, რომ იმპერატორი ხელშეკრულებას არღვევდა, ბაგრატის ვასალს მფარველობდა და მხარს უჭერდა. ბოლოს კი ურჩ ერისთავთან დაზავების

[588] Ibid. 301 – 302.
[589] Ibid. 302.
[590] Ibid. 304.
[591] Ibid. 303.

შუამდგომლობა სთხოვა. საგულისხმოა, რომ ამ მოლაპარაკებებში აქტიურ მონაწილეობას კვლავ ბაგრატის დედა, მარიამი იღებს. კონსტანტინოპოლში მყოფ ბაგრატს და მარიამს ეახლა გიორგი მთაწმინდელი და მხარდაჭერა აღუთქვა.[592]

იმპერატორმა ბაგრატის მოთხოვნა დააკმაყოფილა და დაადგინა, რომ ბაგრატი მთელი საქართველოს (იბერიისა და აბაზგიის) მეფე იქნებოდა, ხოლო ლიპარიტი კი მესხეთის მმართველი და ბაგრატს მეფედ სცნობდა.[593]

ბაგრატი, როდესაც იმპერატორს საყვედურობდა, სავარაუდოდ ბიზანტიასა და საქართველოს შორის 1031 წელს დადებულ ხელშეკრულებას გულისხმობდა. თუმცა, გარდა ხელშეკრულებისა, ბაგრატს საყვედურისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი ჰქონდა, ლიპარიტის ტყვეობის დროს სწორედ ქართველი მეფე ეხმარება მონომახს სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სავარაუდოდ იმპარატორის მხარდაჭერის მოპოვებაში მხოლოდ ბაგრატის არგუმენტებს არ უმოქმედია. დიდი როლი ასევე უნდა ეთამაშა ლიპარიტის მიერ ტოღრულბეგისთვის მიცემულ პირობას, რომ ის სელჩუკთა წინააღმდეგ აღარასდროს გაილაშქრებდა.[594] ლიპარიტი პირობას ასრულებდა. ქართველი მემატიანე აღნიშნავს „და იყო მოყუარედ მისა ხუარასანს დოღლურბეგ სულტანი“.[595]

ამ დროს ხდება კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი შეთანხმება ბიზანტიასა და საქართველოს შორის. ბიზანტიის რეალურმა მმართველმა, დედოფალმა თეოდორამ (გარდ. 1056 წელს) ბაგრატისგან ასულის გამოგზავნა ითხოვა. „მას ჟამსა თეოდორა დედოფალს ეპყრა ბერძენთა მეფობა, ითხოვა ბაგრატ მეფისგან, რათა მოსცეს ასული მისი მართა და შვილად თჳსად აღზარდოს“.[596] კონსტანტინე მონომახოსის სიკვდილდან და მიქაელ VI სტრატიოტიკოსის აღზევებამდე (1055 – 1056 წწ) თეოდორა ბიზანტიის ტახტს ერთპიროვნულად განაგებდა.

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ბაგრატი სამშობლოში მიქაელ VI სტრატიოტიკოსის დროს (1056 - 1057 წწ.) ბრუნდება.[597] „მატიანე ქართლისა“-ს მიხედვით კი თეოდორას გარდაცვალების მომენტში კონსტანტინოპოლში მხოლოდ მარიამი და გიორგი მთაწმინდელი არიან. ასევე, „მატიანე ქართლისა“-ში ვკითხულობთ, რომ ბაგრატმა კონსტანტინოპოლში „სიხარულითა დიდითა წარმოგზავნა შვილი თჳსი მართა კაცთა თანა საკუთართა თჳსთა“. ასევე მატიანეში ნათლად ჩანს, რომ მართას კონსტანტინოპოლში მარიამ დედოფალი და გიორგი მთაწმინდელი ხვდებიან.[598] როგორც ჩანს, მარიამ დედოფლისა და გიორგი

[592] Ibid. 303.
[593] John Skylitzes, *A Synopsis,* 421; გიორგი კედრენე, „ქრონოგრაფია“, 68.
[594] John Skylitzes, *A Synopsis,* 426; გიორგი კედრენე, „ქრონოგრაფია“, 78.
[595] „მატიანე ქართლისა“, 304.
[596] Ibid. 307
[597] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 148.
[598] „მატიანე ქართლისა“, 307.

მთაწმინდელის გეგმები მართასთან დაკავშირებით გაცილებით შორსმიმავალი იყო, ვიდრე თეოდორას „შვილობა“. წმინდა მამა და დედა-დედოფალი მართას ბიზანტიის დედოფლად მოიაზრებდნენ „მი-რა-იცვალა თეოდორა დედოფალი მეყუსეულად მართა, ასული ბაგრატისი, სამეუფოდ შემოიყვანეს და, ვითარცა იხილა წმინდამან ამან მართა, სასმენლად ყოველთა წინასწარმეტყუელა და თქუა, ვითარმედ: „უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა“.[599]

თეოდორას სიკვდილის შემდეგ ბიზანტიაში მდგომარეობა დროებით აირია და მართა საქართველოში დააბრუნეს, თუმცა ტახტზე კონსტანტინე X დუკას (1059 – 1067 წწ.) აღზევების შემდეგ, იმპერატორმა მართა თავისი შვილის, მომავალი იმპერატორის მიქაელ VII დუკას (1067 – 1078 წწ.) საცოლედ მიიწვია. გიორგი მთაწმინდელისა და მარიამ დედოფლის გეგმა წარმატებით განხორციელდა, მართა ბიზანტიის მომავალი დედოფალი გახდა. ამ წარმატებას მარიამ დედოფალი გიორგი მთაწმინდელს ულოცავს და ეუბნება: „მამაო, აღესრულა წინასწარმეტყუელება შენი, რა-იგი ოდესმე წინასწარმეტყუელე მართასთჳს“.[600]

როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლში ბაგრატის ვიზიტის შემდეგ, ლიპარიტმა იმპერატორის მხარდაჭერა დაკარგა, ის ქართველმა დიდგვაროვნებმა შეიპყრეს და ბაგრატს მიჰგვარეს. ლიპარიტმა მის ხელთ არსებული ციხე-სიმაგრეები მეფეს გადასცა, ბერად აღიკვეცა და ბიზანტიაში წავიდა. ნიანია ანისში გაიქცა, სადაც გარდაიცვალა, ხოლო ივანე ლიპარიტმა „უურვა ბაგრატთა თანა“. მეფემ ივანე შეინდო და არგვეთისა და ქართლის ერისთავობა უბოძა. თავის მხრივ ივანე „ჰმონობდა ერთგულობით. და იყო თავად თავადთავე თანა ამას სამეფოსათა და სპასალარ სიკეთითა მისითა“.[601] ამის შემდეგ „მოიჭურნა ბაგრატ და განძლიერდა უფროს ყოველთა მეფეთა მის ქუეყანისასა“. მეფემ დალაშქრა კახეთი და „კვეტერისა და ნახჭევანის“ გარდა ყველა ციხე დაიკავა.[602] ამის შემდეგ თითქოს ბაგრატის სამეფოში სიმშვიდეს უნდა დაესადგურა, მაგრამ სწორედ ამ დროს საქართველოში შემოიჭრა ერთ-ერთი ყველაზე დაუნდობელი მტერი, სელჩუკები.

1.2. ბაგრატ IV-ს დახასიათება

1027 წელს ცხრა წლის ბაგრატ IV მეფედ აკურთხეს. საქართველოს ტახტი მას ორმოცდახუთი წელი ეკავა. ხანგრძლივი მმართველობის მანძილზე ბაგრატს მრავალი საშინაო, თუ საგარეო სირთულის გადალახვა მოუწია. ის ებრძოდა თბილისის ამირას და ლიპარიტ ბაღვაშს, ცდილობდა ურთიერთობა დაელაგებინა ბიზანტიასთან და საქართველო დიდი თურქობისგან დაეცვა.

[599] Ibid. 307.
[600] Ibid. 308.
[601] Ibid. 305.
[602] Ibid. 306.

„მატიანე ქართლისა“-ს ავტორი აღწერს მეფის ფიზიკურ გარეგნობას და მოგვითხრობს პიროვნულ ხასიათზე. მემატიანის ცნობით, ბაგრატი: „იყო კაცი სახითა უშუენიერესი ყოველთა კაცთა, სრული სიბრძნითა, ფილოსოფოსი ენითა, სჯიანი ბედითა, უმდიდრესი ყოველთა მეფეთა აფხაზეთისასა, მოწყალე შეცოდებულთათჳს, უხჯ ალაგთა ზედა“. თუმცა სკილიცას ქრონიკებში ვკითხულობთ ბაგრატის არც თუ სახარბიელო საქმეების შესახებაც. ისტორიკოსი წერს, რომ ლიპარიტ ბაღვაშთან მორიგი კონფლიქტის შემდეგ ბაგრატმა: „შეურაცხჰყო ლიპარიტის საწოლი“. ასევე „მატიანე ქართლისა“-ს ავტორი უარყოფითად აფასებს ბაგრატის მმართველობის დროს საქართველოს შიდა მდგომარეობას და წერს: „ხოლო ჟამთა მისთა ქუეყანასა დაწყნარება არა ჰქონდა: ეკლესიანი და გლეხნი, აზნაურნი და გლახაკნი ვერ იკითხვებოდეს“.

მიუხედავად ბაგრატ მეფის არაერთგვაროვანი დახასიათებებისა, დღეს რთულია რამე კონკრეტული შეფასება მიეცეს ბაგრატის პიროვნებას. თუმცა, წყაროებიდან ჩანს, რომ ის ხშირად დამოკიდებული იყო დიდებულებზე და მათი მითითებებით მოქმედებდა. ეს კარგად გამოჩნდა თბილისის 1037 წლის ალყის დროს, როდესაც დიდებულებმა „არა განდიდებისათვის ლიპარიტის“, ბაგრატ მეფეს ამირასთან დაზავება ურჩიეს.[603]

ბაგრატ მეფის დახასიათებისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი ბიზანტიური ტიტულატურა. კურაპალატის ტიტული მან ჯერ კიდევ ბავშვობაში, ბიზანტიაში მძევლად ყოფნისას მიიღო ბასილი კეისრისგან. შემდეგ ეს წოდება მას ასევე რომანოზ III-მ დაუმტკიცა, როდესაც თავისი ძმისშვილი, ელენე შერთო ბაგრატს ცოლად. ამ ქორწინების სულისჩამდგმელი მარიამ დედა-დედოფალი იყო, რომელიც უშუალოდ ჩავიდა კონსტანტინოპოლში და შეხვდა იმპერატორს. ქართველი მეფის ტიტულატურაში კურაპალატის წოდების არსებობა გაოცებას არ იწვევს, რადგან როგორც აღინიშნულ იქნა გიორგი I-ის გარდა ამ წოდებას ყველა ქართველთა მეფე ატარებდა. ყურადღებას იმსახურებს „მატიანე ქართლისა“-ში მოხსენიებული სხვა ბიზანტიური წოდებები. ქართველი მემატანე წერს: „ესე ბაგრატ პირველ იყო კურაპალატი, შემდგომად ნოველისიმოსი, და მერმე იქმნა სევასტოს“. დღეს რთული სათქმელია, თუ როდის და რა ვითარებაში მიიღო ბაგრატმა აღნიშნული წოდებები, თუმცა, სავარაუდოდ, ეს ან ბაგრატის კონსტანტინოპოლში ვიზიტის დროს უნდა მომხდარიყო, ან მართას ბიზანტიის იმპერატორზე დაქორწინებისას. მართას ჯერ კიდევ თეოდორამ უხმო კანსტანტინოპოლში და ბაგრატიც სიამოვნებით დათანხმდა. თუმცა, თეოდორა მალევე გარდაიცვალა, იმპერიაში არეულობა დაიწყო და მოკლე ხანში ტახტზე რამდენიმე იმპერატორი შეიცვალა. საბოლოოდ ტახტი დუკათა დინასტიამ დაიკავა, მართა მეორედ მიიწვიეს კონსტანტინოპოლში და მომავალ იმპერატორს,

[603] Ibid. 297.

მიქაელ VII-ს მიათხოვეს. ყოველ შემთხვევაში ბაგრატი ორჯერ იყო პირდაპირ დანათესავებული საიმპერიო ოჯახთან, პირველად, როდესაც რომანოზ III-ის ძმისშვილი, ელენე შეირთო ცოლად და მეორედ, როდესაც შვილი, მართა, იმპერატორის მემკვიდრეს მიათხოვა.[604] აღსანიშნავია, რომ მარიამ დედა-დედოფალი ამ მისიასაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა. ამის შედეგად ბაგრატმა მიიღო ბიზანტიის საიმპერატორო კარის ერთ-ერთი უმაღლესი წოდება, სებასტოსი, რითიც საიმპერატორო ოჯახის წევრებს უტოლდებოდა. ეს ბიზანტიასთან ურთიერთობის ახალი ეტაპი იყო. ქართველთა მეფე იმპერტორის რიგითი ვასალი კი არა იყო, არამედ მათი ოჯახის წევრი. მართას შვილს, კონსტანტინე დუკას იმპერიის ტახტზე ასვლის ლეგიტიმური უფლება ჰქონდა. თუმცა, ბაგრატიონთა შთამომავალს ბიზანტიაში გამეფება არ ეწერა, გადატრიალებების შედეგად ტახტი ჯერ ნიკიფორე ბოტანიატემ და შემდეგ ალექსი კომნენოსმა დაიკავა.[605] ნიკიფორემ ლეგიტიმაციის მიზნით მართა შეირთო ცოლად, თუმცა იმ პირობით, რომ მისი მემკვიდრე მართასა და მიქაელის შვილი, კონსტანტინე იქნებოდა. ნიკიფორეც არ გამოდგა ძლიერი მმართველი და ამბოხების შემდეგ, ბიზანტიის ტახტი ალექსი კომნენოსმა დაიკავა.

ისიც არის აღსანიშნავია, რომ ბიზანტიასთან დიპლომატიურ ურთიეთობებს ყოველთვის ბაგრატის დედა, მარიამ დედოფალი ხელმძღვანელობდა. სწორედ მარიამი იყო ბიზანტიასთან დაზავების ინიციატორი და სულისჩამდგმელი. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ის არაერთხელ პირადად იყო ჩასული ბიზანტიაში და ყოველთვის საქართველოსთვის სასარგებლო შედეგებს აღწევდა.

ნიშანდობლივია, რომ 1045 წელს სომეხმა ნახარარებმა ანისი მარიამს გადასცეს, როგორც ვასპურაკანის სომეხთა მეფის ასულს. ცნობილია, რომ ანისს სომეხი ბაგრატუნები განაგებდნენ და ქალაქის არწრუნთა გვარის წარმომადგენლსთვის გადაცემა, ერთი შეხედვით უცნაური ჩანს. თუმცა, არსებობს ვარაუდი, რომ დედის მხრიდან, მარიამი ანისის ბაგრატუნთა პირდაპირი შთამომავალიც იყო. ამ ვარაუდის მიხედვით, მარიამი ანისის მეფის, გაგიკ I-ის შვილიშვილია. ის გაგიკის ქალიშვილის ხუშუშისა და სინაქერიმ არწრუნის შვილია.[606] თუ ეს ვარაუდი სიმართლეს შეესაბამება მაშინ გასაგები ხდება ანისელი დიდგვაროვნების გადაწყვეტილება ქალაქი გადაეცათ ორი სომხური სამეფო გვარის, ბაგრატუნებისა და არწრუნების, წარმომადგენლისათვის.

---

[604] მართას გათხოვების შესახებ ცნობები დაცულია გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში.

[605] მართას (მარიამ) დედოფლის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ანა კომნენე (ანნა კომნენე, „ალექსიადა“ *გეორგიკა, ტ. VI*, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა (თბილისი, 1966), 33 – 120.

[606] Степаненко В. П., „Еще раз о грузинском посольстве в Ани в 1045 г. (К генеалогии грузинских и армянских Багратидов и Арцрунидов Васпуракана)“ *Античная древность и средние века*, (Екатеринбург: Изд-во Урал. ун-та), 2003. — Вып. 34: материалы XI Международных научных Сюзюмовских чтений (Екатеринбург, 26-28 марта 2003 г.) — С. 265-274.

ბაგრატი ბოლომდე ეცადა ქვეყანა სელჩუკთა საფრთხისგან ეხსნა და ბიზანტიის სახით ძლიერი მოკავშირე შეეძინა, თუმცა, დიდი თურქობა გარდაუვალი იყო. მეფე ბაგრატი გარდაიცვალა 1072 წელს. ის ჭყონდიდში დიდი პატივით დაკრძალეს.

§ 2. ბიზანტია XI საუკუნის 30-იან წლებში

ბასილი ბულგართმმუსვრელის სიკვდილით სრულდება ბიზანტიის სამხედრო უძლეველობის ხანა. ცნობილია, რომ ბასილ II-ს არც მეუღლე და არც შვილი არ ჰყოლია. ამდენად, ბიზანტიის ტახტზე ადის მისი ძმა კონსტანტინე VIII (1025-1028 წწ). კონსტანტინე ჯერ კიდევ 963 წელს აკურთხეს ბასილის თანამმართველად, თუმცა, ძმებს ტახტი ჯერ ნიკიფორე ფოკამ და შემდეგ იოანე ციმისხიოსმა წაართვეს. ბასილმა ტახტი მხოლოდ 976 წელს დაიბრუნა. ძმის სიკვდილამდე კონსტანტინე ბასილის თანამმართველად ითვლებოდა. ამდენად, მის მემკვიდრეობას კითხვები არ გაუჩენია. კონსტანტინე სულ სამი წელი იჯდა ტახტზე, მაგრამ მაინც მოასწრო როგორც დიდგვაროვნების, ასევე ჩვეულებრივი მოსახლეობის ანტიპატია გამოეწვია. სკილიცას თქმით, ის მხოლოდ გართობით იყო დაკავებული და უღირისი ადამიანები დანიშნა თანამდებობებზე.[607] მან მიზეზით, თუ უმიზეზოდ მრავალი დიდგვაროვანი დასაჯა და ბრძანა იმ გადასახადების ამოღება, რომელთაგან მისმა ძმამ მოსახლეობა ორი წლით გაათავისუფლა.[608] კონსტანტინეს არ ჰყავდა ძე და მისი არც ერთი ქალიშვილი გათხოვილი არ იყო. ამიტომ, სიკვდილის წინ იმპერატორმა შუათანა ქალიშვილი ზოია (უფროსი ქალიშვილი ევდოკია მონაზვნად იყო აღკვეცილი) რომანოს არგიროსს მიათხოვა, რომელიც იმპერატორი გახდა. ეს ბევრისთვის მოულოდნელი იყო, რადგან ყველას ეგონა, რომ ზოიას ქმარი და შესაბამისად ახალი იმპერატორი კონსტანტინე დალასინოსი იქნებოდა. ამ დროისთვის ზოია ორმოცდაცხრა წლის, რომანოზი კი მასზე უფროსი იყო. რომანოზ III-მ (1028-1034 წწ.) სუსტი და არაეფექტური გადაწყვეტილებების მიღებით დაიწყო მმართველობა. მან გააუქმა ბასილის მიერ მიღებული კანონი, რომლის მიხედვითაც, ყოველი რეგიონის გამგებელი პასუხისმგებელი იყო იქ აკრეფილ გადასახადებზე, ყველას აპატია ხაზინის ვალები და გადასახადების ამკრეფების უპასუხისმგებლობას ყურადღებას არ აქცევდა. ასევე, იმპერატორმა გაათავისუფლა ბასილისა და კონსტანტინეს მიერ დაჭერილი მხედართმთავრები. მალევე მის წინააღმდეგ ზოიას უმცროსმა დამ, თეოდორამ და კონსტანტინე დიოგენემ შეთქმულება მოაწყვეს. ზოიამ ამის შესახებ შეიტყო, თეოდორა და

[607] John Skylitzes, *A Synopsis,* 349.
[608] Ibid. 352.

კონსტანტინე მონასტერში გაუშვა, ხოლო სხვა შეთქმულები დილეგში ჩაყარა.[609] იმპერატორმა, ვერც საერთაშორისო არენაზე მიაღწია წარმატებებს. ის გულგრილად უყურებდა როგორ ლაშქრობდნენ სიცილიელი არაბები კალაბრიაში. მთელი თავისი ყურადღება ჩრდილოეთ სირიისკენ მიმართა. 1030 წელს მან ალეპო დალაშქრა, თუმცა წარმატებას ვერ მიაღწია. რომანოზმა მხედართმთავრული ნიჭიც ვერ გამოავლინა, ყველა მისი ქმედება ჯარის საზიანო აღმოჩნდა და ბიზანტიელებმა მალევე დატოვეს ალეპოს შემოგარენი.[610] მიუხედავად ამ მარცხისა, 1031 წელს ბიზანტიელებსა და ალეპოელებს შორის ზავი დაიდო. შემდეგ საფრთხე ქალაქ ედესას დაემუქრა. ქალაქი დიარ ბექირის მარვანიანებმა აიღეს, თუმცა დიდ ხანს ვერ შეინარჩუნეს. ქალაქის დაბრუნება ცნობილმა მხედართმთავარმა, გიორგი მანიაკემ შეძლო.[611] რომანოზმა ასევე მხარი დაუჭირა ტრიპოლის ამირას ფატიმიანთა წინააღმდეგ აჯანყებაში, თუმცა ამ ქმედებითაც ბევრი ვერაფერი სარგებელი ნახა.[612] ფატიმიანებთან ზავის დადება რომანოზმა მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს გადაწყვიტა. მხარეებმა პირობებზე მოლაპარაკებები დაიწყეს.

ბიზანტიის იმპერატორი ზავის გაფორმებას ვერ მოესწრი, 1034 წელს ის საეჭვო ვითარებაში აბანოში გარდაიცვალა. ყველა ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ რომაზონი მისმა ცოლმა, ზოიამ, თავის ახალგაზრდა საყვარელთან, მიქაელთან შეთანხმებით მოკლა.[613] რომანოზის სიკვდილის მეორე დღესვე ზოიამ მიქაელთან ჯვარი დაიწერა და კონსტანტინოპოლის პატრიარქი აიძულა მისი ახალი მეუღლე იმპერატორად ეკურთხებინა. ტახტზე ასვლისას მიქაელ IV ოცდაათი წლისაც არ იყო და მას სახელმწიფოს გამგებლობის გამოცდილება არ ჰქონია. ახალი იმპერატორის, მიქაელ IV პათლაგონიელის მმართველობა (1034-1041 წწ.) არასახარბიელოდ დაიწყო. არაბები მცირე აზიის სანაპიროებს უტევდნენ, პაჭანიკები - თესალონიკს[614], ხოლო სერბები აჯანყდნენ. როგორც ჩანს, იმპერატორის უკან მისი უფროსი ძმა იოანე ორფანორტოპუსი იდგა და სწორედ ის იღებდა გადაწყვეტილებებს. იოანე იყო საჭურისი, რომელიც ჯერ კიდევ ბასილი იმპერატორის სამსახურში იდგა და მშვენივრად ერკვეოდა სახელმწიფო საქმეებში. თავდაპრველად სწორედ მან გააცნო ზოიას მიქაელი და შემდგომ ძალღონე არ დაიშურა, რათა ძმა ტახტზე აეყვანა. 30-ანი წლების ბოლოს იმპერიის მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა, გაფორმდა ათწლიანი ზავი ფატიმიანებთან და ბიზანტიელთა ჯარმა, გიორგი მანიაკეს სარდლობით

[609] John Skylitzes, *A Synopsis,* 363; Treadgold, *A History of the Byzantine State and Society*, 484.
[610] John Skylitzes, *A Synopsis,* 359 – 360; Yaḥya, *Tārīkh al-Anṭakī*, 314 – 315.
[611] Treadgold, *A History of the Byzantine State and Society*, 585.
[612] John Skylitzes, *A Synopsis,* 366 – 367.
[613] Treadgold, *A History of the Byzantine State and Society*, 586.
[614] John Skylitzes, *A Synopsis,* 374.

სიცილიაზე შეტევა დაიწყო.[615] პირველი წარმატების მიუხედავად, სიცილიის კამპანია სრული კრახით დასრულდა. ბიზანტიელებს ნორმანი მოქირავნეები აუჯანყდნენ, ხოლო მანიაკეს შეთქმულების მოწყობა დაბრალდა და ის იოანეს ბრძანებით დააპატიმრეს. აჯანყებულმა ნორმანებმა ბიზანტიელთა ლაშქარი დაამარცხეს და სიცილიის დიდი ნაწილი ისევ არაბებმა დაიბრუნეს. ამ მარცხს დაემატა ბულგარელთა აჯანყება, რომლის ჩახშობაც იმპერიას ძალზე გაუჭირდა.[616] ამ ვითარებაში 1041 წელს გარდაიცვალა იმპერატორი მიქაელ IV პათლაგონიელი და ტახტს მისმა ძმისშვილმა მიქაელმა დაიკავა, რომელიც გვირგვინოსანმა წყვილმა მანამდე იშვილა.

§ 3. ხალიფა აზ-ზაჰირი და ზავი ბიზანტიასთან

ალ ჰაქიმის გაედაცვალების შემდეგ ფატიმიანთა ხალიფა გახდა ალ-ჰაქიმის შვილი აზ-ზაჰირი (1021-1036 წწ.). მისი მმართველობის პერიოდში ფატიმიანებმა სირიაში ძალაუფლება დროებით დაკარგეს. ალეპოში თავისი ხელისუფლება აღადგინა ქელბიტთა ტომის ბელადმა, სალიჰ იბნ მირდასმა, ხოლო, პალესტინაში აჯანყდა ჰასან იბნ მუფარაჯი. მათ წინააღმდეგ ხალიფამ გაგზავნა თავისი მხედართმთავარი ანუშთექინი, რომელმაც დაამარცხა აჯანყებულები. ანუშთექინის წინაღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა ალეპოს მმართველი, სალიჰიც.[617] სალიჰის სიკვდილის შემდეგ ალეპოს მმართველობა გადავიდა მისი შვილების, მუიზ ად-დავლასა და შიბლ ად-დავლას, ხელში. მუიზ ად-დავლა განაგებდა ციტადელს, ხოლო შიბლ ად-დავლა - ქალაქს.[618] მალე შიბლ ად-დავლა ციტადელსაც დაეპატრონა. ამის შემდეგ ალეპოს გამგებელმა რამდენჯერმე დაამარცხა ანტიოქიის მმართველი. შიბლ ად-დავლას ქმედებებმა ბიზანტიის იმპერატორის გაღიზიანება გამოიწვია. მან 1031/421 წელს ალეპო დალაშქრა, მაგრამ დამარცხდა და უკან დაიხია.[619]

საინტერსოა ის ფაქტი, რომ იმპერატორის მიერ მოწყობილ ამ ლაშქრობაში მონაწილეთა შორის ქემალ ად-დინი აფხაზებს იხსენიებს.[620] შეტაკებები ფატიმიანებსა და ბიზანტიელებს შორის გაგრძელდა 1033 წლამდე, როდესაც მხარეებს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყო. ხალიფა აზ-ზაჰირმა ბიზანტიის იმპერატორს, რომანოზ III-ს შემდეგი პირობები შესთავაზა:

- იმპერატორი საკუთარი სახსრებით აღადგენდა მაცხოვრის საფლავის ეკლესიას.

---

[615] Ibid. 380.
[616] Treadgold, *A History of the Byzantine State and Society*, 588 – 389.
[617] Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq*, 119.
[618] Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab*, 135.
[619] O'Leary, *A Short History of Fatimid Khalifat*, 194.
[620] Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab*, 137.

- ქრისტიანებს მიეცემოდათ უფლება აღედგინათ ყველა დანგრეული ეკლესია, რომელიც ფატიმიანთა იმპერიის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

- იერუსალიმის პატრიარქი კონსტანტინოპოლიდან დაინიშნებოდა.

- ფატიმიანები ალეპოს საფრთხეს აღარ შეუქმნიდნენ და იქ აკრეფილი ყოველწლიური გადასახადები კონსტანტინოპოლში გაიგზავნებოდა.

- ფატიმიანები უარს იტყოდნენ სიცილიის ამირას დახმარებაზე ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმპერატორმა დაამატა შემდეგი:

- ფატიმიანები გაათავისუფლებდნენ ყველა ტყვეს, რომლებიც რომანოზ III-ის ზეობისას აიყვანეს.

- იმპერატორი აზ-ზაჰირს შეიზარის ციხე-სიმაგრეს გადასცემდა, ხოლო აზ-ზაჰირი მას აპამეას დაუბრუნებდა.

აზ-ზაჰირმა რომანოზის პირობები მიიღო ორი შენიშვნით:

- ქრისტიანები აღადგენდნენ მხოლოდ იმ ეკლესიებს, რომლებიც მეჩეთებად არ ყოფილა გადაკეთებული.

- ფატიმიანები არ დაეხმარებოდნენ სიცილიის ამირას, თუ იმპერატორი იგივეს გააკეთებდა.[621]

ეს მოლაპარაკებები სამ წელიწადს გაგრძელდა და 1036 წელს მხარეებს შორის სამშვიდობო ზავი დაიდო. ამ სამი წლის მანძილზე რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი. რომანოზ III მოწამლეს და ბიზანტიის ტახტი დაიკავა მიხეილ პათლაგონიელმა. ამით ისარგებლეს ფატიმიანებმა და ქალაქი ტრიპოლი დაიკავეს. გარდა ამისა, ალეპოს მმართველმა ქალაქიდან გააძევა ბიზანტიის წარმომადგენელი და დაამარცხა მის წინააღმდეგ გამოსული ანტიოქიის გამგებელი კონსტანტინე. მოუხედავად ამ მოვლენებისა, საზავო ხელშეკრულება მაინც დაიდო. წყაროები განსხვავებულ მონაცემებს იძლევიან. ზუსტად არაა ცნობილი ეს მოხდა აზ-ზაჰირის მმართველობის ბოლოს, თუ ალ-მუსთანსირის (1036 – 1094 წწ.). მმართველობის დასაწყისში.[622]

ჩანს, რომ მოლაპარაკებებში და ზავის პირობების აღსრულებაში ქართველებმაც მიიღეს მონაწილეობა. მონაცემთა სიმცირის გამო, ახლა ძნელია იმაზე საუბარი თუ საქართველოზე რა გავლენა იქონია ამ ზავმა. თუმცა, ცხადია, რომ ქართველები მონაწილეობენ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღდგენაში.

[621] Yaḥya, *Tārīkh al-Antakī*, 437.

[622] Ṭaqqūsh, *Tārīkh al-Fāṭimiyyīn,* 327-328.

§ 4. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.

წმინდა მიწაზე ქართული სამონასტრო ცხოვრება V საუკუნიდან იწყება. ამ პერიოდიდან იერუსალიმსა და ახლო აღმოსავლეთის სხვა რეგიონებში მოქმედებდა უმნიშვნელოვანესი ქართული სამონასტრო კერები, როგორიცაა საბაწმინდას ლავრა, ხარიტონის ლავრა, სინას მთა და იერუსალიმის ჯვრის მინასტერი.[623] XI საუკუნეში წმინდა მიწაზე ქართველები უკვე ოცამდე სავანეს ფლობენ.[624]

XI საუკუნის 30-იან წლრბში იერუსალიმი ფატიმიანთა იმპერიის შემდგენლობაშია და ნებისმიერი მშენებლობა – და მით უმეტეს ეკლესიის – მათი ნებართვის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. ამდენად, იერუსალმში დიდი სამონასტრო მშენებლობა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებებზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული.

1030 წელს, ქართველებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს რომანოზ III-ს ჩრდილოეთ სირიის კამპანიის დროს.

1031 წელს დაიდო ზავი საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის და ქართველთა მეფემ ბაგრატ IV-მ ცოლად შეირთო იმპერატორის ძმისშვილი, ელენე.

1030 წელს ჩრდილოეთ სირიაში გაწეული დახმარებისათვის ბიზანტიელებმა ქართველთა ინტრესებიც გაითვალისწინეს ფატიმიანთა სახალიფოსთან 1036 წელს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებაში.

ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი იყო წმინდა მიწაზე დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენა. 1036 წლის სამშვიდობო შეთანხმებით, ბიზანტიელებმა აღადგინეს მაცხოვრის ეკლესია იერუსალიმში და გაათავისუფლეს 5000 მუსლიმი ტყვე.[625] როგორც ჩანს, სწორედ ამ ხელშეკრულების ფარგლებში მოხდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აშენება-რესტავრაცია. აღსადგენი მონასტრების სიაში ქართული მონასტრის (მონასტრების) მოხვედრა მიუთითებს იმაზე, თუ რა მნიშვნელოვან პარტნიორად განიხილავდა ბიზანტია საქართველოს.

---

[623] კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტომი I (თბილისი: მეცნიერება 1980), 89 – 92.

[624] Ibid. 104.

[625] Abū al-Fidā, *al-Mukhtasar fī Akhbār al-Bashar*, taḥqīq ad-duktūr Muḥammad Zaynham Muḥammad ʻazab wa ustādh Yaḥya sayyd Ḥusayn, al-juz' ath-thānyi (dār al-maʻārif, 1998), 232; Surūr, Muḥammad Jamāl al-Dīn, *Syyāsa al-Fāṭimyyin al-Khārijyya*, (al-qahira: dār al-fikr al-ʻarabyi 1994), 345; as-Sayyd, ʻabd al-Laṭīf ʻabd al-Hadyi, *ad-dawla al-Fāṭimyya* (jāmi'a ghryyan, lībīa, 2010), 254; al-ʻAydarūs, Muḥammad Ḥasan, *ad-Dawla al-Islāmyya al-Khāmisa* (dār al-kitāb al-ḥadīth, al-qāhira, 2010), 778; K.E.F. Thomson "Relations between the Fatimid and Byzantine empires during the reign of the caliph al-Mustansir bi'llah, 1036-1094/427-487" in *Byzantine and Modern Greek Studies, Volume 32, Number 1*, (2008), 54; A. Hamdani. "Byzantine-Fatimid Relations before the Battle of Manzikert" *Byzantine studies I* (1974), 174.

ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯვრის მონასტერი დაექვემდებარა არა ბერძნულ, არამედ ქართულ ეკლესიას. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ საბაწმინდაში, ხარიტონის ლავრასა თუ სხვა ცენტრებში ქართველი ბერები მოღვაწეობდნენ, ეს მონასტრები საკუთრივ ქართული არ ყოფილა.[626] ასევე აღსანიშნავია, რომ, თუკი ჯვრის მონასტერი ძველ ნაშთებზე იქნა აგებული, წინამორბედი ტაძარი სხვა სახელს ატარებდა, რადგან XI საუკუნემდე, წმინდა მიწაზე ჯვრის მონასტერს არც ერთი წყარო არ მოიხსენიებს.[627]

ამდენად, იერუსალიმში ქართული მონასტრის მშენებლობა ბიზანტიურ-ფატიმიური ხელშეკრულებით აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, რადგან ფატიმიანები მხოლოდ ბიზანტიელებს აძლევდნენ უფლებას აღედგინათ ეკლესია-მონასტრები.

ქართული წყაროები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მშენებლობას გიორგი პროხორეს სახელს უკავშირებენ. პროხორე წარმოშობით შავშეთიდან იყო და ბავშვობიდან კლარჯეთში, წყაროსთავის მონატერში ცხოვრობდა, სადაც მისი ძმა მოღვაწეობდა. შემდგომში პროხორე ბერად აღკვეცეს და მღვდლად აკურთხეს. ამის შემდეგ მან პალესტინაში, საბას ლავრაში გააგრძელა მოღვაწეობა. XI საუკუნის შუა ხანებში, ექვთიმე გრძელის[628] ბრძანებით, ზეთისხილის მთის მახლობლად, პროხორემ დაიწყო ქართული ჯვრის მონასტრის მშენებლობა, რამაც დაახლოებით 1060 წლამდე გასტანა. გიორგი პროხორე გარდაიცვალა 1066 წელს.[629]

1038 წელს დასრულდა მონასტრის კომპლექსის ძირითადი ნაწილის მშენებლობა.[630] პროფ. გოჩა ჯაფარიძე ვარაუდობს, რომ ეს მოხდა 1036 წლის ფატიმიანთა სახალიფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროფ. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ისლამური კანონმდებლობის მიხედვით, ისლამის მიწებზე ახალი ეკლესიების მშენებლობა აკრძალულია. ამდენად, 1038 წელს ახალი მონასტრის მშენებლობა კი არა, არამედ ძველის აღდგენა-რესტავრაცია უნდა მომხდარიყო. ამასვე ადასტურებს მონასტრის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები.[631]

პროფ. გოჩა ჯაფარიძე თვლის, რომ: „მონასტრის დაფუძნების იდეა შეიძლებოდა ჩასახულიყო გაცილებით ადრე, XI ს. 20-იანი წლებიდან მაინც, როცა დაისახა კონტურები სამხედრო-პოლიტიკური კავშირისა გიორგი I-სა და ფატიმიან ხალიფა ალ-ჰაქიმს შორის"[632]. სრულიად ვეთანხმები ქართველი

[626] ჯაფარიძე, „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება", 139.
[627] Ibid. 143.
[628] ქართველი საეკლესიო მოღვაწე XI საუკუნეში.
[629] კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია,* 103.
[630] ჯაფარიძე, „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება", 139.
[631] Ibid. 142.
[632] Ibid. 141.

მეცნიერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. როგორც არ უნდა ყოფილიყო, ეს ფაქტი ქართული დიპლომატიის მნიშვნელოვანი წარმატება იყო და ქართულ-ბიზანტიური თუ ქართულ-ფატიმიური ურთიერთობები სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდა. საქართველო უკვე დიდი იმპერიების პარტნიორად განიხილებოდა. ასევე, წმინდა მიწაზე გაჩნდა მნიშვნელოვანი რელიგიური და კულტურული ქართული ცენტრი, სადაც ქართველი ბერმონაზვნები მოღვაწეობდნენ. ჯვრის მონასტერი ქართული კულტურისა და სასულიერო ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად XVII საუკუნის 80-იან წლებამდე რჩებოდა.

თავი IV: საქართველო და ფატიმიანთა სახალიფო სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში

სელჩუკები მომთაბარე ოღუზების ერთ-ერთი ტომს, კინიკებს მიეკუთვნებიან. ოღუზები ვოლგისპირეთისა და ცენტრალური აზიის სტეპებში მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ისინი ჯერ კიდევ X საუკუნეში გამოჩნდნენ ისლამური სამყაროს ჩრდილოეთ საზღვრებთან. ოღუზები ხშირად სამანიანთა[633] მმართველების სამსახურში დგებოდნენ როგორც მოქირავნე მეომრები. თუმცა, X საუკუნის ბოლოს სამანიანთა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა და მათი ტერიტორიების დიდი ნაწილი ღაზნევიანებმა[634] მიიტაცეს. ამ დროს სელჩუკები საკმაოდ ძლიერ სამხედრო ძალას ფლობენ და ხშირად აწყობენ მარბიელ ლაშქრობებს ხორასანსა და ჩრდილოეთ ირანში. თავდაპირველად მაჰმუდ ღაზნევი[635] სელჩუკთა რეიდების აღსაკვეთად ყველა ძალას იყენებდა. თუმცა, 1027 წელს მათ ხორასანში დამკვიდრების ნება მაინც მისცა. როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს ეს მაჰმუდის უდიდესი შეცდომა იყო. ერთი წლის შემდეგ 1028 წელს მან გაილაშქრა სელჩუკებზე და სასტიკად დაამარცხა ისინი, მაგრამ ეს ღაზნევიანების უკანასკნელი გამარჯვება იყო. 1038 წელს სელჩუკთა ბელადმა თოღრულ-ბეგმა ნიშაპური აიღო და თავი სულთნად გამოაცხადა. ხოლო 1040 წელს დანდანაკანთან ღაზნევიანთა არმია დაამარცხა, რის შემდეგაც სელჩუკებმა თითქმის მთელი ირანი დაიპყრეს. ამის შემდეგ სელჩუკებმა ერაყის, სირიის, კასპიისა და კავკასიის რეგიონებისაკენ მიმართეს თავიანთი ძალები. თურქმანთა მარბიელი რაზმები რეიდებს უშუალოდ საქართველოს, ბიზანტიისა და ფატიმიანთა საზღვრებთან აწყობენ.

ახლო აღმოსავლეთში თურქ-სელჯუკთა გამოჩენას ძალთა თანაფარდობის ცვლილება მოყვა. ბიზანტიის იმპერიას, არაბთა სახალიფოებს და კავკასიის ქვეყნებს რეალური საფრთხე დაემუქრა.

ამ ბრძოლაში საქართველოს ბუნებრივი მოკავშირე ბიზანტიის იმპერია უნდა ყოფილიყო. თუმცა, ბიზანტიის ინტერესებმა არ შედიოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს გაძლიერება, ამიტომ XI საუკუნის 40-იანი წლებისთვის ბიზანტიის პოლიტიკა საქრთველოს მიმართ შეიცვალა და იმპერატორი ცენტრალური ხელისუფლების ნაცვლად სხვა ქართველ მმართველებსა და ერისთავებს ეყრდნობოდა. ჩვენი აზრით, ეს დამოკიდებულება უნდა იყოს ასახული ნასირ

[633] ხორასანის მმართველი დინასტია IX – X სს.

[634] თურქული წარმომავლობის დინასტია. ღაზნევიანთა სახელმწიფოში (977 - 1163) შედიოდა ავღანეთი, ირანისა და შუა აზიის დიდი ნაწილი.

[635] მაჰმუდ ღაზნევი (მმართველობის წლები 998 – 1030 წწ.) - ღაზნევიანთა დინასტიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მმართველი.

ხოსროუს ერთ ცნობაშიც, სადაც მოხსენიებული არიან „ქართველ მეფეთა შვილები.“

მეცნიერები „ქართველ მეფეთა შვილებში“ კახეთ-ჰერეთის სამეფოს და კლდეკარის საერისთაოს მემკვიდრეებსაც გულისხმობენ.

თურქ-სელჯუკთა ახლო აღმოსავლეთში გამოჩენის და დამკვიდრების დროს საქართველოს მეფე იყო ბაგრატ IV, ფატიმიანთა სახალიფოს ტახტზე ხალიფა ალ-მუსთანსირი იჯდა, ბიზანტიის ტახტზე კი რამდენიმე იმპერატორი შეიცვალა (მექაელ IV პათლაგონიელი, კონსტანტინე IX მონომახოსი, კონსტანტინე X დუკა, მიქაელ VI დუკა, რომანოზ IV დიოგენე, ნიკიფორე III ბოტანიატესი და სხვ.).

§ 1. ფატიმიანთა სახალიფო ალ მუსთანსირის მმართველობის დროს.

ფატიმიანთა ტახტზე აზ-ზაჰირი შეცვალა მისმა შვიდი წლის შვილმა, აბუ თამიმ მაადმა, რომელიც ცნობილია ალ-მუსთანსირის სახელით. ფატიმიან ხალიფათა შორის ალ-მუსთანსირის მმართველობა იყო ყველაზე ხანგრძლივი, ის 58 წლის მანძილზე იჯდა ტახტზე (1036 – 1094 წწ.). აღსანიშნავია, რომ მისი მმართველობით დასრულდა ფატიმიანთა ოქროს ხანა.

ალ-მუსთანსირის მმართველობის პირველი ცხრა წლის მანძილზე რეალური პოლიტიკური ძალაუფლება მისი ვეზირის, ალ-ჯარჯარაის ხელში იყო. აზ-ზაჰირის გარდაცვალების შემდეგ, შიბლ ად-დავლამ ელჩი გაგზავნა კაიროში და ახალ ხალიფას ბიზანტიელებზე გამარჯვების შედეგად მოპოვებული ალაფიდან ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა, ხოლო ალ-მუსთანსირმა ის ალეპოს გამგებლად დანიშნა.[636] ამ დროს ანუშთექინმა, რომელიც დამასკოში იყო გამაგრებული, განუდგა რა ხალიფას, გადაწყვიტა ალეპო დაელაშქრა. როგორც ქემალ ად-დინი გადმოგვცემს: „ად-დარაზიიმ მისწერა ბიზანტიის იმპერატორს და ნებართვა ითხოვა მისგან, რომ ნასრს შებრძოლებოდა და ეხსნა ალეპო მისგან“.[637]

იმპერატორმა ანუშთექინს ამის უფლება მისცა. ანუშთექინმა ბედუინთა ტომები მოისყიდა და მათი დახმარებით ალეპო აიღო.[638] ქალაქის აღების შემდეგ მან იქ თავისი წარმომადგენლები დანიშნა. ანუშთექინის გაძლიერებამ ვეზირ ალ-ჯარჯარაის უკმაყოფილება გამოიწვია და მისი რჩევით, ხალიფა ალ-მუსთანსირმა ალეპო შიბლ ად-დავლას ძმას, მუიზ ად-დავლას, გადასცა. მალე ანუშთექინი გარდაიცვალა. მუიზ ად-დავლას შემდეგ ალეპოს მმართველი გახდა მისი

[636] Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab*, 140.
[637] Ibid. 142.
[638] Ibid. 142.

ძმისშვილი, მაჰმუდი, რომელმაც დაინახა ფატიმიანთა სისუსტე და მორჩილება აბასიან ხალიფასა და სელჩუკიან ალფ არსლანს აღუთქვა.[639]

1044/436 წელს გარდაიცვალა ვეზირი ალ-ჯარჯარაი და ფატიმიანთა სახალიფოს რეალურ მმართველად ალ-მუსთანსირის დედა, რას ა სუდანი, იქცა. ამ დროისთვის კიდევ უფრო მძაფრდება უთანხმოებები და რასობრივი დაპირისპირება ფატიმიანთა ჯარში. ბერბერები, თურქები, დაილემიტები და არაბები, რომლებიც მანამდეც ერთმანეთთან მუდმივ კონფრონტაციაში იყვნენ, ამჯერად დაუპირისპირდნენ შავკანიანებს, რომელთაც დედა-დედოფალი მფარველობდა. ჯარში არეულობას მოჰყვა ქაოსი სამოქალაქო ადმინისტრაციაშიც, რასაც ხაზინის უაზრო ფლანგვა დაემატა.[640]

ამ დროს ახლო აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკებიც გამოჩენდნენ. მას შემდეგ, რაც 1040 წელს თოღრულ-ბეგმა სპარსეთის დიდი ნაწილი დაიპყრო, იგი ერაყში შეიჭრა. სელჩუკებს თავი ისლამის დამცველებად მიაჩნდათ და ამდენად, საკუთარ მოვალეობად თვლიდნენ აბასიანი ხალიფები შიიტი ბუვეიანების ზეგავლენისგან და მუსლიმური სამყარო ისმაილიტი ფატიმიანებისგან ეხსნათ.

თოღრულ-ბეგი ბაღდადში 1055 წლის დეკემბერში/447 წლის რამადანში შევიდა და დილეგში ჩააგდო ბუვეიანთა უკანასკნელი მმართველი, ალ-მალიქ არ-რაჰიმი.[641] ამის შემდეგ თოღრულმა გადაწყვიტა ფატიმიანთა წინააღმდეგ გაელაშქრა სირიასა და ეგვიპტეში, თუმცა სელჩუკთა და პროფატიმიდურად განწყობილი ალ-ბასასირის შორის არსებულმა უთახმოებამ ჩაშალა თოღრულის გეგმები.

აბუ ალ-ჰარის არსლან ალ-ბასასირი თურქული წარმოშობის მონა იყო. ბუვეიანთა მმართველობის ბოლო პერიოდში, თავისუფლების მოპოვების შემდეგ, ის ერაყში ერთ-ერთ წამყვან სამხედრო ფიგურად იქცა. აღსანიშნავია, რომ ალ-მალიქ არ-რაჰიმის შვიდწლიანი მმართველობა გამოირჩეოდა ძალადობითა და აჯანყებების სიმრავლით, რაც გამოიწვია თურქული ნაწილების არადისციპლინურობამ, უთანხმოებებმა შიიტებსა და სუნიტებს შორის და დაპირისპირებებმა ბუვეინებსა და ადგილობრივ არაბ ბელადებს შორის.[642] ამ არეულ პერიოდში ბასრა და ბევრი სხვა ქალაქი თურქმა სარდალმა ალ-ბასასირიმ დაიკავა. მას ბაღდადში ძლიერი მეტოქე ჰყავდა აბასიანი ვეზირის, ალ-მუსლიმას სახით. ალ-მუსლიმა თოღრულ-ბეგს დაუკავშირდა და ხალიფა ალ-კაიმთან ერთად მხარი დაუჭირა სელჩუკთა შესვლას ბაღდადში. ამ გარემოებებმა აიძულა ალ-ბასასირი ფატიმიანებთან დაეწყო მოლაპარაკებები. აღსანიშნავია, რომ თურქი სარდალი მანამდეც თანაუგძნობდა შიიტებს და ამჯერად მან ალ-მუსთანსირს

[639] O'Leary, *A Short History of Fatimid Khalifat*, 195.
[640] Daftary, *The Isma'ilis*, 193.
[641] C. E. Bosworth, "The Political and Dynastic History of the Iranian World (A.D. 1000 – 1217), in *The Cambridge History of Iran*, vol. 5, ed. By J. A. Boyle (Cambridge: Cambridge University Press, 1968), 46.
[642] Daftary, *The Isma'ilis*, 195.

შესთავაზა ფატიმიანთა სახელით დაეკავებინა ბაღდადი. სწორედ ამ დროს აბასიანთა დედაქალაქში დაიწყო აჯანყება თოღრულის ჯარისკაცების წინააღმდეგ. დღეს უკვე ცნობილია, რომ ფატიმიანთა დაი, ალ-მუაიად აშ-შირაზი აქტიურად მუშაობდა ერაყში ანტისელჩუკური მოძრაობების გაღვივებაზე და ალ-ბასასირის ქმედებებს კოორდინირებდა. ალ-მუაიადის ხელმძღვანელობითა და ფატიმიანთა სამხედრო დახმარებით ისმაილიტურმა პროპაგანდამ ერაყის ტერიტორიაზე კიდევ უფრო მყარად მოიკიდა ფეხი. მოსულში, ვასიტსა და ქუფაში ხუტბა ალ-მუსთანსირის სახელზე აღევლინა. ფულადი და სამხედრო დახმარებისა და არაბული ტომების მხარდაჭერით ალ-ბასასირიმ 1057/448 წელს სასტიკად დაამარცხა სელჩუკები სინჯარის რეგიონში[643]. ამის შემდეგ თოღრულმა მალევე დაიბრუნა მოსული, თუმცა ალ-ბასასირის წინააღმდეგ მოქმედება ვერ განაგრძო, რადგანაც ფატიმიანთა და ალ-ბასასირის მხარდაჭერით მას აუჯანყდა ნახევარძმა, იბრაჰიმ ინალი. ამის შედეგად თოღრულ-ბეგმა ერაყში ყველა საქმე მიატოვა და აჯანყების ჩასახშობად ირანში გაემართა.[644]

თოღრულ-ბეგის აღმოსავლეთ ირანში გამგზავრებამ ალ-ბასასირს უფრო აქტიური მოქმედების საშუალება მისცა. 1058 წლის დეკემბერში/450 წლის ზულ ჰაჯჯაში ის თითქმის უბრძოლველად შევიდა ბაღდადში, სადაც ლოცვა შიიტური ფორმით წარიმართა და ხუტბა ფატიმიანი ხალიფა ალ-მუსთანსირის სახელზე აღევლინა. როგორც სუნიტთა, ასევე შიიტთა მხარდაჭერით, რომელთაც სელჩუკთა მიმართ ზიზღი აერთიანებდა, ალ-ბასასირიმ აბასიანთა სასახლეც აიღო. თუმცა, ალ-მუსთანსირის სურვილის საწინააღმდეგოდ მან აბასიანი ხალიფა ბაღდადში დატოვა. ამის შემდეგ ალ-ბასასირიმ ბასრასა და ვასიტის რეგიონები შემოიმტკიცა, მაგრამ ხუზისტანში აღარ გადასულა. მსგავსმა ქმედებამ კაიროში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ალ-ბასასირიმ ფატიმიანთა კეთილგანწყობა მაშინ დაკარგა, როდესაც ის ძლიერების ზენიტში იყო. ფატიმიანთა ვეზირმა ალ-მაღრიბიმ უარი განაცხადა ალ-ბასისირისთვის რაიმე სახის დახმარებაზე.[645] ამ დროს თოღრულ-ბეგმა ჩაახშო ინალის აჯანყება და ბაღდადში დაბრუნებისთვის დაიწყო მზადება. მან შესთავაზა ალ-ბასასირის ბაღდადში დარჩენა იმ პირობით, რომ მას ფატიმიანებთან ყველანაირი კავშირი უნდა გაეწყვიტა. ალ-ბასასირიმ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა და 1059 წლის დეკემბერში/451 წლის ზულ კადაში ბაღდადი დატოვა. რამდენიმე დღის შემდეგ თოღრულ-ბეგი ბაღდადში შევიდა, სადაც მას დახვდა ხალიფა ალ-კაიმი. ცოტა ხანში ალ-ბასასირი ქუფას მახლობლად სელჩუკებმა მოკლეს[646], რასაც ერაყის შიიტთა მასიური ჟლეტა მოჰყვა.[647] ფატიმიანთა პრეტენზიები ერაყზე იმით დასრულდა, რომ ალ-ბასასირიმ

[643] Ṭaqqūsh, *Tārīkh al-Fāṭimiyyīn*, 301.
[644] Ṭaqqūsh, Muḥammad Suhayl, *Tārīkh as-Salājiqa fī Bilād ash-Shām* (Bayrūt: Dār an-Nafā'is, 2002), 103.
[645] Daftary, *The Isma'ilis*, 196.
[646] Ṭaqqūsh, *Tārīkh as-Salājiqa,* 103.
[647] Bosworth, "The Political and Dynastic History of the Iranian World", 47.

ბაღდადში მხოლოდ ერთი წლის მანძილზე შეძლო აღევლინა ხუტბა ალ-მუსთანსირის სახელზე.

ამ პერიოდში ფატიმიანთა იმპერიაში ქაოსი სუფევდა. ბერბერებსა და თურქებს შორის ჯარში არსებულმა დაპირისპირებამ სირიაშიც გამოიწვია არეულობა. ამდენად, ფატიმიანთა მიერ დანიშნული დამასკოს გამგებლები სიტუაციას ვეღარ აკონტროლებდნენ და აღმოსავლეთიდან შემოჭრილ თურქმანთა მარბიელ რაზმებს ვერ უმკლავდებოდნენ. ბადრი ალ-ჯამალი რამდენჯერმე შეეცადა დამასკოში სიტუაცია დაერეგულირებინა (1063-1064/455-456 და 1066-1068/458-460 წწ.). თუმცა, მისი ყველა მცდელობა წარუმატებლად დასრულდა.[648]

გარემოება დაამძიმა პალესტინის არაბული ტომების აჯანყებამ. ფატიმიანთა ხალიფა, წინამორბედთა მსგავსად, იძულებული გახდა აჯანყების ჩასაქრობად თურქმანული წარმოშობის ბელადისათვის მიემართა და ის ასთიზ იბნ უვაკს დაუკავშირდა დახმარებისთვის. ცოტა ხანში თვითონ ასთიზიც აჯანყდა და 1071/463 წელს იერუსალიმი დაიკავა. 1076/468 წელს, ასთიზმა, რომელიც უკვე ერთპიროვნულად მართავდა პალესტინისა და სირიის ნაწილს, ბადრ ალ-ჯამალის ეგვიპტეში გადასვლის შემდეგ, დამასკოც დაიკავა. ამავე წელს ასთიზმა შეძლო ალეპოს აღებაც.[649] ბადრის ყველა მცდელობა დამასკო დაებრუნებინა წარუმატებლად დასრულდა და სირია ფატიმიანთათვის საბოლოოდ დაიკარგა. 1077/469 წელს ასთიზმა კაიროს შეუტია, მაგრამ ბადრიმ ის დაამარცხა და აიძულა უკან გაბრუნებულიყო.[650]

ამ მარცხის შემდეგ, ასთიზმა დახმარებისთვის მიმართა სელჩუკთა მხედართმთავარს, თუთუშს, რომელიც მისმა ძმამ, მალიქშაჰმა, სირიის გამგებლად დანიშნა. 1078-1079/471 წელს ასთიზმა დამასკო თუთუშს გადასცა. თუთუში ასთიზს არ ენდობოდა და მისი მოკვლა ბრძანა.[651]

ალ-მუსთანსირის მმართველობის ბოლოს ფატიმიანები პალესტინის ტერიტორიაზე მხოლოდ ასკალონსა და რამდენიმე საპორტო ქალაქს, მათ შორის ტვიროსსა და აკრას აკონტროლებდნენ.[652]

სელჩუკებისგან განსხვავებით, ფატიმიანებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ბიზანტიის იმპერიასთან. მაგალითად, ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინე IX მონომახი, ეგვიპტეს საკვებით დაეხმარა, როდესაც იქ შიმშილი მძვინვარებდა. ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის შემდეგში შედარებით გაგრილდა, რადგანაც ფატიმიანები სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ბიზანტიელებს არ დაეხმარნენ. მოგვიანებით, მხარეებმა რამდენიმე დიპლომატიური მისია გაცვალეს და მათ

[648] Daftary, *The Isma'ilis*, 197.
[649] Ṭaqqūsh, *Tārīkh as-Salājiqa,* 121.
[650] Ibid. 124.
[651] Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq*, 182 – 183.
[652] Daftary, *The Isma'ilis*, 197.

შორის კარგი ურთიერთობა კვლავ აღდგა. ერთ-ერთი ელჩობა 1069/461 წელს უკვე რომანოზ დიოგენეს ზეობის ხანაში შედგა.

სელჩუკთა წარმატებებმა ფატიმიანთა ზეგავლენა ჰიჯაზსა და არაბეთის ნახევარკუნძულის სხვა ტერიტორიებზეც შეასუსტა. 1069-1070/462 წელს მექის შერიფმა შეატყობინა ალფ არსლანს, რომ ამიერიდან მექაში ხუტბა აღევლინებოდა აბასიანი ხალიფასა და სელჩუკი სულთნის სახელზე და უარყოფილ იქნებოდა ლოცვის შიიტური წესი და შარიათი. ამის სანაცვლოდ, ალფ არსლანმა მექის შერიფს მაღალი პენსია დაუნიშნა. მოგვიანებით, 1074-1081/467-473 წწ. ფატიმიანებმა მცირე დროით აღადგინეს კონტროლი ჰიჯაზსა და ისლამის წმინდა ქალაქებზე, თუმცა მალევე საბოლოოდ დაკარგეს ეს ტერიტორიები. გარკვეული დროით ფატიმიანთა კონტროლის ქვეშ რჩებოდა იემენი, რომელსაც ისმაილიზმის მიმდევარი სულაიჰიდების დინასტია მართავდა.[653]

ფატიმიანთა ჯარში არსებული დაპირისპირებაც გაღრმავდა. 1062/454 წელს თურქთა და შავკანიანთა შორის არსებული უთანხმოება გადაიზარდა სამოქალაქო ომში, რომელიც 1067/459 წლამდე გაგრძელდა და საბოლოოდ შავკანიანთა მარცხით დასრულდა. ამის შემდეგ დამარცხებულები ზემო ეგვიპტეში გადაასახლეს. გამარჯვებულთა მეთაურმა, ჰამდანიანთა შთამომავალმა, ნასირ ად-დავლამ, ეგვიპტეში დიდი ძალაუფლება მოიპოვა. ცოტა ხანში ის ფატიმიან ხალიფას აუჯანყდა და 1070/462 წელს ალექსანდრიასა და ქვემო ეგვიპტის მთელს ტერიტორიაზე აბასიანი ხალიფას, ალ-კაიმის, სახელზე ბრძანა ხუტბის აღვლენა. ამ პერიოდში ეგვიპტე ეკონომიკურ კრიზისსაც განიცდიდა. შვიდი წლის მანძილზე ნილოსის წყლის დონის დაცემამ ქვეყანაში შიმშილი გამოიწვია. ამას დაემატა თურქი ჯარისკაცების ყაჩაღობა, რამაც საბოლოოდ მოშალა ეგვიპტის სოფლის მეურნეობა.[654]

ამ გარემოებების ფონზე დაიწყო დაპირისპირება თვითონ თურქთა რიგებშიც, რასაც 1073/465 წელს ნასირ ად-დავლას მკვლელობა მოჰყვა. სწორედ ეს წელი გამოდგა ძალზედ მოსავლიანი და ალ-მუსთანსირმა გადაწყვიტა მდგომარეობა გამოესწორებინა. მან დახმარებისთვის აკრას გამგებელს, ბადრი ალ-ჯამალის მიმართა. ბადრი იყო სომხური წარმოშობის მოხა, რომელმაც თავისუფლების მიღების შემდეგ მაღალ თანამდებობებს მიაღწია. ის ორჯერ იქნა ფატიმიანთა მიერ დანიშნული დამასკოს გამგებლად 1063/455 და 1066/458 წწ. ბადრიმ აღუთქვა ხალიფას დახმარება, იმ პირობით, რომ თან წამოიყვანდა თავის სომეხ მებრძოლებს. ბადრი კაიროში ჩავიდა 1074/466 წელს.[655] მან მალე შეძლო ყველა თურქი ლიდერის დამარცხება და ფატიმიანთა სახალიფო უეჭველ განადგურებას გადაარჩინა. ამის სანაცვლოდ მან მიიღო „კალმისა და მახვილის ვეზირის“

[653] Ibid. 198.
[654] O'Leary, *A Short History of Fatimid Khalifat*, 204.
[655] Lev, "Army, Regime, and Society in Fatimid Egypt", 352.

ტიტული, რაც მას სახალიფოს უძლიერეს სამოქალაქო და სამხედრო პიროვნებად ხდიდა და ფაქტიურად უსაზღვრო ძალაუფლებას ანიჭებდა.[656] გარდა ამისა მან მიიღო უმაღლესი სასულიერო ტიტულებიც, კერძოდ კი „კადი ალ-კუდათ“-ი ანუ მთავარი მოსამართლე და „დაʿი ად-დუʿათ“-ი ანუ მთავარი დაი. სწორედ ბადრი ალ-ჯამალის დამსახურებაა, რომ ალ-მუსთანსირის ზეობის უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ეგვიპტეში სიმშვიდემ დაისადგურა. მიუხედავად ამისა ალ-მუსთანსირის მმართველობის დროს მისი იმპერიის ტერიტორიები საგრძნობლად შემცირდა. კერძოდ, ფატიმიანებმა დაკარგეს ყველანაირი ზეგავლენა სირიაზე. ამის ძირითადი მიზეზი, შიდა არეულობის გარდა, გახლდათ სელჩუკთა სახით ახალი ძალის გამოჩენა ახლო აღმოსავლეთში.[657]

§ 2. ბიზანტია XI საუკუნის 40-იან წლებში

1041 წელს ბიზანტიის ტახტზე ავიდა მიქაელ V (1041 – 1042 წწ.), რომელიც ბიძის მსგავსად, საკმაოდ ახალგაზრდა იყო. მან ერთი წელიც ვერ გაატარა იმპერიის ტახტზე. მიქაელმა გიორგი მანიაკე სატუსაღოდან გაათავისუფლა და ისევ იტალიაში საბრძოლველად გაგზავნა. შემდეგ ის დაუპირისპირდა დედობილს, ზოიას და ბიძას იოანეს. ამის შედეგად ახალგაზრდა იმპერატორს კონსტანტინოპოლის მოსახლეობა აუჯანყდა. ამბოხებულებმა ზოიას და, თეოდორა, მონასტრიდან გამოიყვანეს, ხოლო მიქაელი და მისი ერთგული დიდგვაროვნები შეიპყრეს და თვალები დათხარეს.[658]

იმპერიის ტახტი ისევ ბასილ კეისრის ძმისშვილების, ზოიას და თეოდორას ხელში აღმოჩნდა. კვლავ დადგა საკითხი თუ ვინ გახდებოდა ახალი იმპერატორი. თავდაპირველად ზოიას სურდა კონსტანტინე დალასენოსზე დაეწერა ჯვარი და ის აეყვანა ტახტზე, თუმცა შემდეგ აზრი შეიცვალა და არჩევანი კონსტანტინე მონომახოსზე შეაჩერა.

1042 წელს ზოიამ მესამედ იქორწინა და ბიზანტიის ახალი იმპერატორი კონსტანტინე IX მონომახი (1042 – 1055 წწ.) გახდა. ზოიას მესამე ქმარიც არ აღმოჩნდა ძლიერი მმართველი. მას ძირითადად შიდა პრობლემების მოგვარება უწევდა. საგარეო მიმართულებით მის უდიდეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს 1046 წელს ფატიამინთა სახალიფოსთან განახლებული სამშვიდობო ზავი. რომის პაპთან და თოღრულ-ბეგთან დაზავების მცდელობები 50-იანი წლების დასაწყისში უშედეგოდ დასრულდა.

ტახტზე ასვლისთანავე იმპერატორმა გარკვეული ცვლილებები განახორციელა ადმინისტრაციის შემადგენლობაში. 1042 წლის შემოდგომაზე,

[656] Daftary, *The Isma'ilis*, 194.
[657] Ibid. 195.
[658] Treadgold, *A History of the Byzantine State and Society*, 590.

ცნობილი მხედათმთავრის, გიორგი მანიაკეს ნაცვლად იმპერატორმა იტალიის ახალი კატებანი დანიშნა. სავარაუდოდ ამის მიზეზი ის იყო, რომ იმპერატორს სურდა ესიამოვნებინა თავისი საყვარლის, მარია სკლიაროსის ძმისთვის, რომელიც მანიაკეს დიდი ხნის მანძილზე ემტერებოდა.[659] ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია მანიაკეს გაღიზიანება, მან თავი იმპერატორად გამოაცხადა და კონსტანტინოპოლისკენ დაიძრა. 1043 წლის ზამთრის მიწურულს მანიაკე თავისი ლაშქრით ბალკანეთში გადავიდა. ამ რეგიონში დისლოცირებული ჯარის ნაწილი გაიქცა, ხოლო ნაწილი აჯანყებულებს შეუერთდა. იმპერატორმა სცადა აჯანყებულებთან მოლაპარაკებები დაეწყო, თუმცა ეს ცდა წარუმატებლად დასრულდა. ამის შემდეგ იმპერატორმა ჯარი შეკრიბა. გადამწყვეტი ბრძოლა თესალონიკთან ახლოს მოხდა. თავდაპირველად წარმატება აჯანყებულთა მხარეზე იყო, თუმცა ბრძოლის დროს მანიაკე მძიმედ დაიჭრა და ადგილზე გარდაიცალა, რამაც გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. ამის შედეგად აჯანყებულების რიგებში დაიწყო პანიკა და გამარჯვება საიმპერატორო ჯარებს ხვდათ წილად. გამარჯვებულებმა მისი მოჭრილი თავი და აჯანყებული ტყვეები იმპერატორს კონსტანტინოპოლში გაუგზავნეს.[660]

ამ დროს კონსტანტინოპოლს მოადგა რუსთა ფლოტი, რომელიც შედგებოდა ოთხასი გემისაგან. სავარაუდოდ, რუსები მანიაკეს დასახმარებლად იყვნენ წამოსულები და ძვირფასი ალაფის აღების იმედი ჰქონდათ. როდესაც მათ აჯანყებულთა მარცხის შესახებ შეიტყვეს, ბიზანტიის იმპერატორს მოსთხოვეს თითო გემზე ათასი ნომისმას (ოქროს მონეტა) გადახდა, რაზეც იმპერატორმა უარით უპასუხა. რუსთა გემები ბოსფორში შევიდნენ, თუმცა ბიზანტიელებმა ისინი ბერძნული ცეცხლის საშუალებით გაანადგურეს.[661]

1046 წელს იმპერატორმა ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა ფატიმიან ხალიფა ალ-მუსთანსირს და ქვეყნებს შორის სამშვიდობო ზავი განახლდა.[662] არაბი მეცნიერის, სუჰაილ ტაკუშის აზრით, შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი მიზანი საერთო მტრის, სელჩუკებისგან თავდაცვა იყო.[663]

1046-47 წლის ზამთარში, ბიზანტიელებმა დვინის საკითხის საბოლოოდ გადაჭრა გადაწყვიტეს. მათ აიღეს რამდენიმე ციხესიმაგრე, თუმცა საბოლოო მიზნის მიღწევა ვერ შეძლეს. 1047 წლის სექტემბერში დაიწყო ლეონტი თორნიკის აჯანყება. დასავლეთში დისლოცირებულმა ჯარებმა ის მონასტრიდან გამოიყვანეს და ანდრიანოპოლში იმპერატორად აკურთხეს. ამის შემდეგ თორნიკი გაემართა კონსტანტინოპოლში და გამოაცხადა, რომ ცოლად უნდა შეირთოს თეოდორა.

---

[659] John Skylitzes, *A Synopsis,* 402.
[660] Ibid. 403.
[661] Treadgold, *A History of the Byzantine State and Society*, 592.
[662] Ibn al-Athīr, *Kāmil fi al-Tārīkh*, 279; al-Maqrīzī, *Itti'āẓ*, 194.
[663] Ṭaqqūsh, *Tārīkh al-Fāṭimiyyīn,* 377.

თავის მხრივ, იმპერატორმა თავის სარდლებს დვინზე ლაშქრობა შეაწყვეტინა და კონსტანტინოპოლში გამოიძახა[664]. აჯანყებულებმა გზად თრაკია დაარბიეს და კონსტანტინოპოლის კედლებს მიადგნენ. თორნიკი დარწმუნებული იყო, რომ დედაქალაქის მოსახლეობა მას სიხარულით მიიღებდა, მაგრამ ჩარაზული კარები და გამაგრებული კედლები დახვდა. კონსტანტინოპოლის მოსახლეობას შეეშინდა, რომ დედაქალაქს თრაკიის ბედი ეწეოდა და აჯანყებულებთან საბრძოლველად გაემზადნენ. თორნიკის სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა და ბევრმა ჯარისკაცმა აჯანყებულთა ლაშქარი მიატოვა. თორნიკი იძულებული იყო არკადიოპოლისისკენ დაეხია. ამ დროს აღმოსავლეთიდან მოხსნილი არმიაც გამოჩნდა და აჯანყებულები დაამარცხა. თორნიკიმ ერთ-ერთ მონასტერს შეაფარა თავი, თუმცა ამავე წლის შობის დღესასწაულზე მას თვალები დასთხარეს.[665]

სწორედ ამ დროს სელჩუკები უშუალოდ ბიზანტიის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. იმპერატორმა მათ წინააღმდეგ ცნობილი მხედართმთავრები კეტეკალონ კევკამენოსი და არონ ვესტი გაგზავნა. მათი დახმარება ლიპარიტ ბაღვაშს სთხოვა. ბრძოლა 1048 წელს ბასიანზე, კაპეტრონთან გაიმართა. ბიზანტიელებმა გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ ქართველი ერისთავთ-ერისთავი სელჩუკებს ტყვედ ჩაუვარდა.[666]

სკილიცას თქმით, კონსტანტინე იმპერატორი შეეცადა ლიპარიტი ტყვეობიდან გაეთავისუფლებინა და სელჩუკებს დაზავებოდა. თოღრულ-ბეგმა ლიპარიტი გაათავისუფლა, თუმცა ზავი მხარეებს შორის არ დადებულა.[667] ამ ცნობას ასევე ადასტურებს იბნ ალ-ასირი, თუმცა ამატებს, რომ ბერძნებმა აღადგინეს კონსტანტინოპოლის მეჩეთი, სადაც ლოცვა და ხუტბა ამიერიდან თოღრულ-ბეგის სახელზე აღევლინა.[668] ამ მოქმედებით იმპერატორმა ფატიმიანებთან ურთიერთობა გაიფუჭა. კონსტანტინოპოლის მეჩეთში ხუტბა ფატიმიანი ხალიფას სახელზე 1036 წლის ზავის შემდეგ განახლდა და სავარაუდოდ 1046 წლის შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტიც იყო. ამდენად, ხუტბაში ალ-მუსთანსირის სელჩუკი სულთნის სახელით ჩანაცვლება შეთანხმების პირდაპირი დარღვევა გამოდიოდა. ასევე, ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯიც იყო. ამით ბიზანტიის იმპერატორი მთელ ისლამურ სამყაროს ამცნობდა, რომ ის ზურგს აქცევდა შიიტ ფატიმიანებს და კვლავ სუნიტებს ცნობდა ისლამური სამყაროს ლეგიტიმურ მმართველებად. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხუტბაში არა აბასიანი ხალიფას სახელი იხსენიებოდა, არამედ სელჩუკი სულთნისა, რომელსაც არანაირი უფლება არ ჰქონდა ყოფილიყო მუსლიმთა

[664] გიორგი კედრენე, „ქრონოგრაფია“, 66.
[665] John Skylitzes, *A Synopsis,* 416; Treadgold, *A History of the Byzantine State and Society*, 594.
[666] John Skylitzes, *A Synopsis,* 423 – 425.
[667] Ibid. 426.
[668] Ibn al-Athīr, *Kāmil fi al-Tārīkh*, 289; ჯაფარიძე, „ლიპარიტ IV ბაღვაში“, 132.

სულიერი ლიდერი. მიუხედავად იმპერატორის მიერ გადადგმული ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯისა, მხარეები სხვა პირობებზე ვერ შეთანხმდნენ, ზავი არ გაფორმდა და სელჩუკებმა 1054 წელს ბიზანტიაზე თავდასხმები განაახლეს. ამის შემდეგ არაა უცნაური ის ფაქტი, რომ ფატიმიანებიც არღვევენ შეთანხმებას და ბიზანტიელებს სამხედრო მხარდაჭერას არ უგზავნიან. 1055 წელს გარდაიცვალა იმპერატორი კონსტანტინე მონომახი და ტახტი ზოიას დამ, სამოცდათხუთმეტი წლის თეოდორამ დაიკავა. ეგვიპტის ხორბლით მომარაგების სანაცვლოდ, ის ალ-მუსთანსირს სამხედრო დახმარებას სთხოვს[669]. ამ პირობაზე ალ-მუსთანსირი უარით პასუხობს და განრისხებული თეოდორა აცხადებს, რომ მან ზავის პირობები დაარღვია. ამაზე ალ-მუსთანსირმა ლატაკიაზე თავდასხმით უპასუხა.[670] თეოდორა გარდაიცვალა 1056 წელს. მისი გარდაცვალებით დასრულდა მაკედონელთა დინასტიის მმართველობა.

§ 3. საქართველოს შიდა პოლიტიკური მდგომარეობა

XI საუკუნის 40-იან წლებში საქართველოსა და ფატიმიანთა სახლიფოს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი ფიქსირდება. ამ ურთიერთობის ხასიათის და მნიშვნელობის წარმოჩენისათვის აუცილებელია საქართველოში ამ დროს მიმდინარე შიდა პროცესების დაწვრილებით განხილვა. XI საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში მძიმე შიდაპოლიტიკური დაპირისპირება იყო.

გაერთიანებული საქართველოს მეფეს არ ემორჩილებოდა და დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებდა კლდეკარის ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ IV ბაღვაში. ლიპარიტმა, ბიზანტიელთა მხარდაჭერით, არაერთ წარმატებასაც მიაღწია. ამ პერიოდში კახეთ-ჰერეთი დამოუკიდებელი სამეფო იყო, რომელიც კლდეკარის ერისთავს ღიად უჭერდა მხარს.

ბაღვაშები ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ლიპარიტ IV ბაღვაშს ეგვიპტის ფატიმიან ხალიფებთანაც ჰქონდათ გარკვეული ურთიერთობა. ასევე დასაშვებია კახეთ-ჰერეთის ტახტის მემკვიდრის მონაწილეობა ფატიმიანებთან წარმოებულ მოლაპარაკებებში. ამიტომ, განსახილველი საკითხის უკეთ წარმოჩენისა და სათანდოდ შეფასების მიზნით მიზანშეწონილად მივიჩნიე ჰერეთ-კახეთის სამეფოს და კლდეკარის საერისთავოს ისტორიის შედარებით ფართოდ გადმოცემა.

---

669 Thomson, "Relations between the Fatimid and Byzantine empires", 58; Hamdani, "Byzantine-Fatimid Relations", 175; Surūr, *Syyāsa al-Fāṭimyyin al-Khārijyya*, 216; al-'Aydarūs, *ad-Dawla al-Islāmyya al-Khāmisa,* 779.

670 Ṭaqqūsh, *Tārīkh al-Fāṭimiyyīn,* 377.

3.1. ბაღვაშთა სახლის ისტორიისთვის.

ქართლის ცხოვრებაში ბაღვაშთა საგვარეულო პირველად მოხსენიებულია მატიანე ქართლისას ავტორის მიერ, IX საუკუნის 70-იან წლებში აფხაზეთის სამეფოში მომხდარი გადატრიალების კონტექტსტში. ავტორის თქმით, იმ დროს, როდესაც აფხაზეთის ტახტი, დროებით, დაიკავა შავლიანთა დინასტიამ, არგვეთის ერისთავთ-ერისთავმა ლიპარიტმა „შეიპყრნა ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდე-კართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“.[671]

ამ ქმედებით ლიპარიტ ბაღვაში აქტიურად ჩაერთო ქართულ სამეფო დინასტიებს შორის მიმდინარე დაპირისპირებაში. არგვეთისა და კლდეკარის საერისთაოების ერთი მმართველობის ქვეშ გაერთიანებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ქართლისთვის მიმდინარე ბრძოლაში. ერთის მხრივ ბრძოლა მომდინარეობდა აშოტ ბაგრატიონის შთამომავალთა შორის, ხოლო მეორეს მხრივ აფხაზეთისა და სომხეთის სამეფოები ერთმანეთს ქართლს ეცილებოდნენ. ლიპარიტის „პატრონობა“ და ბაღვაშის თრიალეთში დამკვიდრება „ქართველთა მეფე“ დავით I კურაპალატის რამდენიმე მიზანს ერთდროულად ემსახურებოდა. პირველ რიგში ლიპარიტის ხელით გუარამ მამფალს თრიალეთს ართმევდა და ასევე თავისი კონტროლის ქვეშ აქცევდა ქართლში გადასასვლელ უმნიშვნელოვანეს გზებს. ამ ნაბიჯით დავით I კურაპალატი მუდმივ საფრთხეს უქმნიდა იქ გაბატონებულ აფხაზებს. როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვაჩვენა, დავით კურაპალატის ამ ქმედებამ ტაოს ბაგრატიონებისათვის სასურველი შედეგი მოიტანა.

888 წელს გუარამ მამფალის შვილი ნასრა მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში დამარცხდა და მისი მიწების დიდი ნაწილი „ქართველთა მეფეს“, დავით კურაპალატის ძეს, ადარნასეს შეხვდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში „ქართველთა მეფეები“ ქართლში ვერ დამკვდირდნენ, თრიალეთი მათ ხელშია, რაც შემდგომში უდიდეს როლს ითამაშებს, როგორც ქართლისთვის, ასევე ერთიანი საქართველოსთვის ბრძოლაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არგვეთი ბაღვაშთა მამულად რჩება და თუკი, სამეფო ხელისუფლება მათ თრიალეთს პერიოდულად ართმევს, არგვეთი დავით აღმეშენებლის დროსაც ხელშეუხებელი რჩება. მხოლოდ ბაღვაშთა გვარის უკანასკნელი წარმომადგენლის რატი IV-ის გარდაცვალების შემდეგ აუქმებს დავითი არგვეთის საერისთავოს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ ბაღვაშთა საგვარეულო მუდამ უპირისპირდებოდა სამეფო ხელისუფლებას და ტახტის ხელში ჩაგდებსაც კი ლამობდა.

[671] „მატიანე ქართლისა“, 258.

ჩემი აზრით, ეს ხედვა ბოლომდე მართებული არ უნდა იყოს, რადგანაც ბაღვაშები მხოლოდ გარკვეულ მომენტებში გამოდიოდნენ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. 1038 წლამდე ბაღვაშები უმეტესწილად ბაგრატიონების მხარეზე იბრძოდნენ. რატი II აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში და 1021 წელს შირიმნთან დაიღუპა. ლიპარიტ IV, თბილისის 1038 წლის ალყამდე, ერთგულად მსახურობდა ბაგრატ IV-ს. 1027 წელს კონსტანტინე იმპერატორის მიერ გამოგზავნილი ლაშქარი მან თრიალეთში დაამარცხა. ასევე, თბილისის ამირასა და განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიებს ხელმძღვანელობდა. აღნიშნული თარიღის შემდეგ დაიწყო მწავავე დაპირისპირება ლიპარიტსა და ბაგრატს შორის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მაშინაც ლიპარიტი არ ცდილობს სამეფო ხელისუფლების ხელში ჩაგდებას. 1052 წელს, თავისი ძლიერების ზენიტში მყოფი ლიპარიტ IV ბაგრატ IV-ის მცირეწლოვან ძეს, გიორგის მეფედ კურთხევას უჭერს მხარს და მას მეურვედ უდგება.

ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბაღვაშები პირველად ბაგრატ III-ის ზეობის ხანაში გამოდიან, თუმცა დაპირისპირების მიზეზი, მატიანეებში არ არის მოხსენიებული. სავარაუდოდ, ეს ბაგრატის წინააღმდეგ ქართლის ერისთავების მიერ მოწყობილ აჯანყებასთან უნდა იყოს კავშირში. ბაგრატ III-ის მიერ, 980 წელს ქავთარ ტბელის მეთაურობით მოწყობილი აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, რამდენიმე წელიწადში მეფესა და კლდეკარის ერისთავ რატი I-ს შორის დიდი დაპირისპირება იწყება. მემატიანეს ცნობით:

და ამას შინა გარდაჴდეს წელიწადნი რაოდენნიმე. იყო მას ჟამსა ერისთავად კლდე-კართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლის-ჴევი და სკჳრეთი. არა მორჩილობდა კეთილად ბაგრატ მეფესა.[672]

ბაგრატმა უმალ დაძრა ჯარი კლდეკარის მიმართულებით და მას მამამისი გურგენიც შეუერთდა. თავდაპირველად ამ დაპირისპირებაში დავით კურაპალატიც ჩაერთო, რადგან ეგონა, რომ მამა-შვილის კამპანია მის წინააღმდეგ იყო მიმართული, თუმცა ბაგრატთთან პირადი საუბრის შემდეგ მას ნება დართო ურჩი ერისთავი დაემორჩილებინა.

ვითარ მოიწია ჟამი ზამთრისა, მოვიდა ძალითა თჳსითა ყოვლითა და მოადგა კლდე-კართა. იხილა რა ესე რატი, გამოვიდა გარე და გამოიტანა შვილი მისი ლიპარიტ თანა, შევედრა ბაგრატ აფხაზთა მეფესა, და მისცა ციხე თჳსი ბაგრატს და თჳთ დაჯდა მამულსა თჳსსა არგუეთს.[673]

[672] Ibid. 276.
[673] Ibid. 277 – 278.

მემატიანეს ცნობით ეს ამბავი 989 წელს მომხდარა. ამის შემდეგ ბაღუაშები უკვე გიორგი I-ის ზეობის ხანაში ჩნდებიან. 1021 წელს ბასილი კეისრის წინააღდეგ ბრძოლისას იღუპება ლიპარიტის ძე რატი. შემდგომ წელს, ბასილი კეისართან ბრძოლაში მორიგი მარცხის შემდეგ, გიორგი მეფე ბაღვაშებს თრიალეთს უბრუნებს. ეს ნათლად ჩანს სოფელ დიდი გომარეთის ეკლესიების წარწერებიდან.[674]

ამ პერიოდისთვის ბაღვაშთა საგვარეულოს გენეოლოგია შემდეგნაირად გამოიყურება.[675] როგორც თავში აღვნიშნე, ჩვენთვის ცნობილი პირველი ბაღვაშია ლიპარიტ I, რომელიც ცხოვრობდა IX საუკუნის ბოლოსა და X საუკუნის დასაწყისში. სწორედ ის დამკვიდრდა თრიალეთში, „იპატრონა“ დავით „ქართველთა მეფე“ და ააგო კლდეკარი. მისი მემკვიდრეა ლიპარიტ II (X საუკუნე), რომელზეც არაფერს ამბობს „ქართლის ცხოვრება“, თუმცა ის მოხსენიებულია სარკინეთის (დღევანდელი სოფ. შეპიაკი, წალკის მუნიციპალიტეტში) ეკლესიის წარწერაში. მისი შვილები არიან ივანე და რატი I (გარდ. 898 წლის შემდეგ), ეს სწორედ ის რატია, რომელსაც ბაგრატ III-მ ურჩობის გამო თრიალეთი ჩამოართვა. გოხნარის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებულია მისი ძმა ივანე.[676] რატი I-ს ჰყავდა ძე ლიპარიტი, შემდგომში ლიპარიტ III (1022 – 1027 წლებში თრიალეთის ერისთავთ-ერისთავი). მისი ძეა რატი II (1021 წელს დაიღუპა ბასილი კეისართან ბრძოლაში).[677]

ლიპარიტ III-ის შვილია ლიპარიტ IV (ერისთავთ-ერისთავი 1027 – 1059 წწ, მაგისტროსი 1047 წლიდან, 1059 წელს ბერად აღიკვეცა და გარდაიცვალა 1063 ან 1064 წელს) ს.[678]

3.2. ლიპარიტ IV

ლიპარიტ IV ბაღვაშთა სახლის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. იგი შვილია ლიპარიტ III-სა, რომელსაც გიორგი I კლდეკარის საერისთაოს უბრუნებს 1022 წლის ბასიანის ბრძოლის შემდეგ.

როგორც გელათის სახარების მინაწერიდან ირკვევა, ლიპარიტ IV-ს დედას, დეოფალთ-დედოფალს, ცხოვრება ჰქვია. ამ მინაწერიდანვე ირკვევა, რომ ლიპარიტ III ყავს სამი ვაჟი - რატი, ივანე და ლიპარიტი. რატი II ბასიანის ბრძოლაში დაიღუპა, ივანე 1047 წელს გარდაცვლილი ჩანს. ლიპარიტ III-ის გარდაცვალების შემდეგ, 1027 წელს კლდეკარის ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ

[674] Такайшвили, Е. С., „Археологическія экскурсіи“, 83, 86, 87.

[675] გ. ნარიმანიშვილი, *ბაღვათა საგვარეულოს ისტორიისათვის* (ხელნაწერი, თბილისი, 2015, მომზადებულია დასაბეჭდად.).

[676] Такайшвили, Е. С., „Археологическія экскурсіи“, 6.

[677] ლიპარიტ IV გელათის სახარების მინაწერში რატი I-სა და ლიპარიტ III-ს იხსენიებს როგორც მამას და პაპას.

[678] თ. ჟორდანია, *ქრონიკები* I (თბილისი: არტანუჯი, 2004), 191.

IV გახდა. ლიპარიტ IV-ს ჰყავს სამი შვილი: რატი (გარდ. 1057 წლამდე), ივანე III (ერისთავთ-ერისთავი 1059 წლიდან, გარდ. 1074 წლის შემდეგ) და ნიანია (გარდაიცვალა 1057 წ.)[679].

ბაგრატის მცირეწლოვნობის ჟამს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების წინა პლანზე გამოდიან ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბაღვაში და ივანე აბაზას ძე. მათ დაამარცხეს ამირა ფადლონი, რომელიც „ავად იქცეოდა, და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათა“. აღსანიშნავია, რომ ფადლონის წინააღმდეგ, ქართველი დიდებულების მხარეზე, გამოდის თბილისის ამირა ჯაფარი, კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე და სომეხთა მეფე დავითი. „მოვიდა დიდი კჯირიკე, რანთა და კახთა მეფე, დავით სომეხთა მეფე, და ჯაფარ ამირა ტფილელი“. შეებრძოლნენ ფადლონს ეკლეცთან და დაამარცხეს. ეს უნდა მომხდარიყო 1031 წელს.[680]

ფადლონის დამარცხების შემდგომ, ლიპარიტმა და ივანე აბაზას ძემ გადაწყვიტეს თბილისის შემომტკიცებაც. „სიმცირესავე შინა ბაგრატ მეფისასა“, ლიპარიტ ლიპარიტის ძემ და ივანე აბაზას-ძემ 1032 წელს, მუხათგვერდში გამოიტყუეს და შემდეგ დაატყვევეს, თბილისის ამირა ჯაფარი. ქართველი მემატიანის სიტყვებით, ამირამ ტვეობაში საკმაო ხანი დაჰყო. ამ დროს ლიპარიტმა და ივანემ არაბებს ბირთვისის ციხე ჩამოართვეს. ეს ფაქტი ასახულია სოფ. განახლების წმინდა ილიას სახელობის ეკლესიის წარწერაზე:

ქორონიკონი იყო სმიბ. ქ. მოწყალებითა ღმრთისაჲთა მე თეოდორე ღირს ვიქმენ აღშენებად წმიდისა საყდრისა, ადიდენ ღმერთმან, ბაგრატ მეფისა სალოცველად და შემდგომად ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისა. მას ჟამსა მიწყია ბალავარი, ოდეს შეიპყრა ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავმან ამირაჲ.[681]

ამდენად, ირკვევა, რომ ლიპარიტმა თბილისის ამირა შეიპყრო 1032 წელს. მატიანე ქართლისა ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „სიმცირესავე შინა ბაგრატ მეფისასა, ლიპარიტ ლიპარიტის ძემან და ივანე აბაზას-ძემან, ქართლისა ერისთავმან, მუხათგუერდსა გამოიტყუეს ტფილელი ამირა ჯაფარ, შეიპყრეს, და დიდი ხანი დაყვეს პატიმრობასა შინა, და წარუღეს ბირთჳსი“.[682]

მიუხედავად ერითავთა ასეთი ძალისხმევისა, ბაგარტ მეფემ ამირა ჯაფარი შეიწყალა და თბილისის ამირად დააბრუნა, თუმცა ქართველი მემატიანე აღნიშნავს, რომ „და მიერითგან დარჩა მტერობა ლიპარიტეთ და ამირას შუა“.[683] თუმცა, როგორც ქართველი ისტორიკოსის სიტყვებიდან ჩანს, მეფე მალევე მიხვდა

[679] Ibid. 191.

[680] „მატიანე ქართლისა“, 296; ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 145; ლორთქიფანიძე, „საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება“, 145; 196.

[681] Такайшвили, Е. С., „Археологическія экскурсіи“, 101, 102.

[682] „მატიანე ქართლისა“, 296.

[683] „მატიანე ქართლისა“, 296; ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 145.

თავის შეცდომას „და შემდგომად მცირედისა ჟამისა აზრახა ლიპარიტ ბაგრატს წაღება ტფილისისა“. მეფემ მოიწონა ლიპარიტის განზრახვა და დასახმარებლად კახეთის მეფეს მოუხმო. მეფის ჯარი მიადგა ქალაქს, ჰერ-კახნი კი ისანს მიადგნენ. თბილისზე შეტევა ორი მხრიდან განხორციელდა. „მოადგეს ტფილისსა მტკუარსა ამიერით, ზემოთ და ქუემოთ, აფხაზთა მეფისა ლაშქარნი, და წყალსა იმიერით, ისნით კერძო, მოადგეს ლაშქარნი კახნი და ჰერნი“. ქართველი მემატიანე გადმოგვცემს, რომ თბილისის ალყა ორ წელს გაგრძელებულა. ამ ცნობას ადასტურებს ასევე არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი. მას თბილისის გარემოცვის თარიღიც აქვს შემონახული 429/1037-1038.[684] ამ ალყის დროს ქართველებმა ორბეთისა და ფარცხისის ციხეებიც დაიბრუნეს. მიუხედავად წარმატებით დაწყებული კამპანიისა... „ამირა შეეკაზმა თავის ლაშქრითა, შემზადა ტივები და ნავები ღამით წასვლად“. მაგრამ დიდებულებმა „არა განდიდებისათვის ლიპარიტის“, ბაგრატ მეფეს ამირასთან დაზავება ურჩიეს.[685]

ამ ფაქტმა, რა თქმა უნდა, ლიპარიტის გაღიზიანება გამოიწვია და „მიერითგან შეიქმნა ლიპარიტ ქუეგამხედვარად თავის პატრონისაგან“. ქართველი მემატიანის ცნობით, ამ ნაბიჯზე ქართველ მეფეს აფხაზმა დიდებულებმა უბიძგეს „რომელთამე დიდებულთა აფხაზთა მეფისათა ლიპარიტისგან ფარულად გააზრახეს მეფესა არა განძება ამირასი, და ფარულად ლიპარიტისგან დაჰკიდეს ზავი ამირასა, გამოაცხადეს და დაამკჳდრეს ამირა ტფილისსავე ზედა“. ამავე ცნობას ადასტურებს არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი და რამდენიმე საყურადღებო ფაქტსაც ამატებს. მისი სიტყვებით, ამირამ დახმარებისთვის სელჩუკებს მიმართა და სწორედ სელჩუკთა შიშით დაუზავდნენ ქართველები თბილისის ამირას.[686]

საყურადღებოა, რომ 1038 წელს ჩაღრი ბეგის[687] მეთაურობით დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სელჩუკთა დიდი რაზმი შეიჭრა, რომელმაც სომხეთი დაარბია და ბიზანტიის საზღვრებამდე მივიდა. რასაც, რა თქმა უნდა, ბიზანტიის შეშფოთება უნდა გამოეწვია. სავარაუდოა, რომ თბილისის ამირა ჯაფარმა სწორედ მათ მიმართა დახმარებისთვის. თბილისის ამირასა და სელჩუკთა კავშირი დიდ საფრთხეს უქმნიდა ბიზანტიას. ამგვარად, ბაგრატის ზავი ამირა ჯაფართან ბერძენთათვის, ისევე როგორც ლიპარიტისთვის, სრულიად მიუღებელი იყო. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ გარემოებებმა გამოიწვიეს

[684] Ibn al-Athīr, *Kāmil fi al-Tārīkh*, 1987, 226.
[685] „მატიანე ქართლისა“, 297.
[686] Ibn al-Athīr, *Kāmil fi al-Tārīkh*, 1987, 226.
[687] ჩაღრი ბეგი (989 – 1060 წწ.) - სელჩუკი მხედართმთავარი, თოღრულ-ბეგის ძმა და ალფ არსლანის მამა.

ლიპარიტისა და ბიზანტიის კავშირი, რომელიც საქართველოში ძლიერ დასაყრდენს ეძებდა.[688]

თბილისზე წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ, ლიპარიტ ბაღვაშმა გადაწყვიტა თავისი ძალაუფლება ჯავახეთზე, მესხეთსა და შიდა ქართლზე გაევრცელებინა. ამ მიზნით მან 1043 წელს ბიზანტიიდან გამოიყვანა ბაგრატ IV-ს ნახევარძმა, დემეტრე. დემეტრეს მოჰყვა ბიზანტიელთა ლაშქარი, ხოლო მოგიანებით მათ ზოგიერთი ქართველი თავადებიც შეუერთდნენ: „და მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი“. ლიპარიტის სარდლობით გაერთიანებულმა ლაშქარმა „მოვლეს ზემო ქვეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენს, არე-არე მოწუეს ქართლი“, თუმცა ატენის აღება ვერ შეძლეს. ამ დროს სამეფო ჯარებმა დაიწყეს ჯავახეთის ახალქალაქის გამაგრება „რამეთუ მას ჟამსა უზღუდო იყო“.

ზამთარის დადგომისთანავე ბიზანტიელები სამშობლოში დაბრუნდნენ და დემეტრეც თან გაიყოლეს. თუმცა, როგორც ჩანს, ზამთარი არ არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ბერძნები უკან გაბრუნდნენ. 1042 წლის შემოდგომაზე აჯანყდა ცნობილი მხედათმთავრი გიორგი მანიაკე რომელიც იმპერიისათვის უფრო საშიშ ძალას წარმოადგენდა.[689] რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ბიზანტია ვერ გაუწევდა ლიპარიტს კიდევ უფრო აქტიურ დახმარებას და ზამთრის დამდეგს თავისი ლაშქარი საქართველოდან გაიძახა. ბერძენთა ლაშქარს დემეტრეც გაჰყვა. ლიპარიტი მიხვდა, რომ ბიზანტიელთა დახმარების გარეშე ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და ბაგრატს დაუზავდა. მეფემ ლიპარიტი შეიწყალა და ქართლის ერისთავად დააყენა, მაგრამ სამაგიეროდ მძევლად შვილი - ივანე გამოართვა. ვასილ კოპალიანის აზრით, ლიპარიტ ბაღვაშიც გაჰყვა ბერძნებს, რამაც მეფის ხელისუფლების გაძლიერებას შეუწყო ხელი. ჩვენი აზრით, მეცნიერის ეს ვარაუდი მართებული უნდა იყოს და შესაძლებელია სწორედ ამ პირობით მოხდა შეთანხმება მეფესა და ლიპარიტს შორის.[690]

ანისის აღება 1045 წელს. 1044 ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა (1042-1055) ანისის მეფე გაგიკ II-ს მოსთხოვა ანისის ბიზანტიისთვის გადაცემა, რაც 1022 წელს ჰოვჰანეს-სუმბატთან ტრაპზონში დადებული ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.[691] იმპერატორმა გაგიკი თავისთან მიიწვია და უკან დაბრუნების უფლება აღარ მისცა და ანისის გადაცემის სანაცვლოდ მილიტენე შესთავაზა. თავიდან გაგიკი უარზე იყო, თუმცა შემდეგ

---

[688] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 142; კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა*, 184-185; „მატიანე ქართლისა“, 297-298

[689] John Skylitzes, *A Synopsis*, 402.

[690] კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა*, 191 – 192; ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 143.

[691] გიორგი კედრენე, „ქრონოგრაფია“, 59-60.

დათანხმდა და მიიღო შეთავაზება.[692] ვინაიდან გაგიკი ანისის ბაგრატუნთა უკანასკნელი შთამომავალი იყო, ქალაქი მეფის გარეშე დარჩა. უმეფოდ დარჩენილი ქალაქის მმართველების აზრი სამ ნაწილად გაიყო იმ საკითხზე, თუ ვისთვის უნდა გადაეცათ ქალაქი. ზემოთ აღწერილი ბიზანტიური საკანონმდებლო ცვლილებების გამო, მსხვილი ნახარარები ბიზანტიასთან მიერთების აზრს ემხრობოდნენ, ხოლო შედარებით მცირე ნახარარები და ვაჭარ-ხელოსნები ქალაქის დავით დვინელისთვის, ან ბაგრატისთვის გადაცემას უჭერდნენ მხარს, რადგან, როგორც ცნობილია, ბაგრატ IV-ის დედა - მარიამი სინაქერიმ სომეხთა მეფის ასული იყო. საბოლოოდ საქართველოზე ორიენტირებულმა ჯგუფმა გაიმარჯვა და მარიამ დედოფალმა ქალაქი ჩაიბარა. ბაგრატმა ანისის გამგებლად არტანუჯის ერისთავი, აბუსერი, დააყენა.

ამის შემდგომ, ბაგრატმა ანაკოფიის დაბრუნება გადაწყვიტა და 1045 წლის გაზაფხულზე ანაკოფიის ციხეს ალყა შემოარტყა. ამ დროს გარდაიცვალა თბილისის ამირა ჯაფარი და თბილისის ბერებმა ბაგრატს „უქადეს ქალაქი და უჴმეს სასწრაფოდ“. ბაგარტმა ანაკოფიის ასაღებად ჯარის ნაწილი დატოვა, თვითონ კი უმალვე თბილისისკენ გაემართა და დიდი ზარზეიმით შევიდა ქალაქში. მეფემ თბილისის ირგვლივ ყველა ციხე დაიკავა, თვითონ კი ამირას სასახლეში დასახლდა. თუმცა მეფეს მთელი თბილისი არ დაემორჩილა, ისნის მოსახლებამ მას სასტკი წინააღმდეგობა გაუწია. თბილისში მყოფ ბაგრატს კახეთის დიდებულები ეწვივნენ და მშვიდობა სთხოვეს. მეფემ აზნაურები შეიწყალა და დიდი დარბაზობა გაუმართა. ამგვარად, ბაგრატ მეფემ ცოტა ხნით კახელები შემოირიგა. ამავე წლის შემოდგომის დამდეგს ლიპარიტმა ანისის მმართველი ქართველი დიდგვაროვნები ქალაქიდან მოტყუებით გამოიყვანა და დაატყვევა.

მემატიანეს თქმით:

> და გამოიტყუვნა ანისით დედოფლისაგან აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა, და ხიხათა და ციხის-ჯუარისა და აწყუერის ციხის პატრონი, და ივანე ერისთავი, ივანე დადიანი და გუარამ გოდერძის ძე, ბეჭის ციხისა პატრონი, - და შეიპყრნა იგინი ანისის კარსა.[693]

ბიზანტიის იმპერატორმა გადაწყვიტა აღმოსავლეთ საზღვრების განმტკიცება, რაშიც აქტიურად იყენებს ლიპარიტის მხარდაჭერას. რა პოლიტიკური ხრიკები იხმარა ბაღვაშმა ანისიდან ქართველი მთავრების გამოტყუებისთვის უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ აბუსერისა და ივანე დადიანის დატყვევების შემდეგ, ის ბიზანტიელთა დიდი ლაშქრით საქართველოსკენ გამოემართა. როგორც ჩანს, ლიპარიტმა განიზრახა 1043 წლის წარუმატებელი კამპანიის გამოსწორება და

---

[692] Greenwood, “Armenian Neighbours”, 362.

[693] „მატიანე ქართლისა“, 300

სამხრეთ საქართველოს შემომტკიცება. ამავე დროს, 1045 წლის შემოდგომის დამდეგს, ბიზანტიელებმა დვინი დალაშქრეს, თუმცა სასტიკად დამარცხდნენ.

ლიპარიტის ქმედებით შეწუხებულმა მეფემ უმალ თავი დაანება თბილისს და ჯავახეთში დაბანაკდა. ამგვარად, ბაგრატმა თბილისი კვლავაც ვერ დაიმორჩილა, ანისი კი სომეხმა კათალიკოზმა, პეტროსმა, ბიზანტიელებს გადასცა. ანისის დაკავების შემდეგ, ბაგრატი ფარავნის ტბის ჩრდილოეთით, ღრტილაში დაბანაკდა, ხოლო ლიპარიტი სამხრეთიდან მოადგა ფარავანს და ფოკაში შეჩერდა. ჯავახეთში მყოფ ლიპარიტს კახელები შეუერთდნენ; მეფეს კი საშველად მაწყვერელი ეახლა: „ამისა შემდგომ გამოიყვანნა მაწყუერელმან მესხნი, განძითა ბაგრატისითა, შუელად მეფისა“. თუმცა, შემდეგ, გადაწყვეტილება შეცვალა და ლიპარიტის მხარეზე გადავიდა, „გამოექცა მაწყუერელი მეფესა ბაგრატს და შეეზრახა ლიპარიტს“. როგორც ჩანს, მაწყვერელმა უპირატესობა ლიპარიტის მხარეზე დაინახა, ამიტომ უღალატა მეფეს. ბაგრატმა უთანასწორო ბრძოლას თავი აარიდა და შავშეთის გზით ქართლში გაიქცა.

სასირეთის და არყისციხის ბრძოლები. ლიპარიტმა რამდენიმე წლის წინ გაკეთებული პოლიტიკური სვლა გაიმეორა. ამჯერად მან ბაგრატის ნახევარძმა, დემეტრე უფლისწული გამოიყვანა საბერძნეთიდან. ქართველი მემატიანის თქმით, ლიპარიტს არც ამ შემთხვევაში აკლდა ბიზანტიური სამხედრო, თუ ფინანსური დახმარება: „ბერძენთა მეფის ლაშქარი და განძი შემწე იყო“. ბერძენთა ლაშქრის გარდა, ლიპარიტის ბანაკს კვლავ კახელები და დავით სომეხთა მეფე შეუერთდნენ. გარდა ამისა, მეფის მოწინააღმდეგე ქართველთა ნაწილი დემეტრეს მიემხრო, რამაც კიდევ უფრო შეარყია ცენტრალური ხელისუფლება. მეფის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წინ ლიპარიტმა გადაწყვიტა მისთვის არცთუ უკანასკნელი პრობლემის გადაჭრა. მან მძევლობიდან იხსნა შვილი ივანე, რომელიც ანისთან დატყვევებულ აბუსერზე გაცვალა. ბრძოლის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, გარდაიცვალა დემეტრე უფლისწული, მაგრამ ამ ფაქტმა არ შეაფერხა ლიპარიტი. ბრძოლა გაიმართა 1046 წელს სასირეთის ჭალაში. ბაგრატი სასტიკად დამარცხდა. ვასილ კოპლანიანის აზრით, ლიპარიტის გამარჯვებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ვარანგთა რაზმმა შეასრულა.[694] ლიპარიტს ემხრობოდნენ კახნი, დავით სომეხთა მეფე და 3 000 ვარანგი. „და ამათ ვარანგთა მესხნი ვერღარა მოილოდინნეს, მივიდეს და შეიბნეს თავსა სასირეთისა ჭალისასა”, ... მეფე დამარცხდა, აბუსერი კვლავ ტყვედ ჩაუვარდა ლიპარიტს. „ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა; მისცნა ლიპარიტ პაშტნი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს”.[695]

---

[694] კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა*, 224 - 233

[695] „მატიანე ქართლისა“, 300-301.

დამარცხებული მეფე, მცირე რაზმით, ლიპარიტს ხოვლეში მოსალაპარაკებლად ეახლა, თუმცა ლიპარიტმა მეფის ნახვაც კი არ ისურვა და უმალვე გაერიდა იქაურობას, მეფემაც არ დააყოვნა და აფხაზეთში წავიდა.

შეშინდა ბაგრატ სამეფოსა და მამულისა მისისა განხეთქილობასა. და უქმნა მუდარა ლიპარიტს, და მცირედითა ცხენოსნითა მივიდა ლიპარიტისა თანა ხოვლეს. და რა ცნა ლიპარიტ მისლვა მისი, არა ნახა, გარიდა მუნით; შეიქცა მეფეცა და წარვიდა აფხაზეთს.[696]

ლიპარიტის ასეთი საქციელი ქართულ წყაროებში არანაირად არ არის ახსნილი, თუმცა გიორგი კედრენეს ცნობა ნათელს ჰფენს ამ საკითხს. ბიზანტიელი ისტორიკოსი მოგვითხობს, რომ ურჩ ერისთავზე გაბრაზებულ ბაგრატ მეფეს შურისძიების მიზნით სრულიად აღმაშფოთებელი საქციელი ჩაუდენია. ლიპარიტის საქართველოში არყოფნის დროს მეფეს ერისთავის ცოლისთვის ნამუსი აუხდია, „შეურაცხჰყო ლიპარიტის საწოლი“. იმავე ისტორიკოსის სიტყვებით, ამის საპასუხოდ ლიპარიტმა ბაგრატის დედა გააუპატურა.[697] რა თქმა უნდა, თუ ეს ცნობები სიმართლეს შეესაბამება (ამ ფაქტების შესახებ არაფერს გადმოგვცემენ არც ქართული და არც სომხური წყაროები), სრულიად გასაგები ხდება, რატომ არ ისურვა ლიპარიტმა მეფესთან პირისპირ შეხვედრა. მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ, მესხმა დიდებულებმა „სულა ერისთავმან კალმახისამან, გრიგოლ ერისთავმან არტანუჯისამან შეაერთეს სიტყუა და შეიწჯვნეს მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მესხნი, და უჴმეს მეფესა ბაგრატს“. მეფემაც არ დააყოვნა და რკინისჯვრის გავლით მესხეთის აზნაურებს არყის ციხესთან შეუერთდა. „და წარმოემართა ლაშქრითა, გარდამოვლო გზა რკინის-ჯუარისა, და შეკრბეს არყის-ციხეს“. შეიტყო თუ არა ლიპარიტმა მათი მზადების შესახებ, შეკრიბა

თვისი ლაშქარი, და მოირთნა კახნი და სომეხნი, და ბერძენნიცა თანავე ჰყვეს. და მიუხდა უგრძნეულად არყის-ციხეს, და შეიბნეს. და სძლია ლიპარიტვე, და გააქცია მეფე.[698]

როგორც ჩანს, ანისიდან წამოსვლის შემდეგ, ლიპარიტს ბიზანტიელთა ლაშქარი მუდამ თან ახლავს. ლიპარიტი კი, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ბიზანტიის მთავარი დასაყრდენი იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიაში. არყის ციხესთან მომხდარი ბრძოლის დროს ლიპარიტს ტყვედ ჩაუვარდა

[696] Ibid. 301.
[697] გიორგი კედრენე, „ქრონოგრაფია“, 67.
[698] „მატიანე ქართლისა“, 301.

სულა, კალმახისა ერისთავი, და მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასუმითა სთხოვეს კალმახი, და არა მიცა. მასვე ომსა შეიპყრეს გრიგოლ, ძე აბუსერისი, და სთხოვეს არტანუჯი სიკუდილისა ქადებითა, და მისცა. მოირჭუნა ლიპარიტ ზემოსა ქუეყანასა და აღიხუნა ციხენი და მიიერთნა თავადნი კაცნი.[699]

ამრიგად, ლიპარიტის ხელში გადავიდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძირითადი ციხეები, რამაც ბიზანტიის გავლენა ამ რეგიონში კიდევ უფრო გააძლიერა. იგივე ლაშქრით ლიპარიტი დაეხმარა ბერძნებს, „ულაშქრა ბერძენთა მეფესა დვინელთა ზედა“.[700] ეს ლაშქრობა 1046-47 წლების ზამთრით თარიღდება.[701]

1047 წლის ლაშქრობა დვინზე. 1045 წელს დვინზე წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ 1046-47 წლის ზამთარში, ბიზანტიელებმა დვინის საკითხის საბოლოოდ გადაჭრა გადაწყვიტეს. მათ აიღეს რამდენიმე ციხესიმაგრე, თუმცა საბოლოო მიზნის მიღწევა ვერ შეძლეს. ამ ბრძოლაში ლიპარიტი ბერძნებს ეხმარება. თუმცა, 1047 წლის სექტემბერში ბიზანტიაში დაიწყო ლეონტი თორნიკის აჯანყება, რამაც დვინის კამპანია შეაჩერა.

ბრძოლა ბასიანთან (კაპეტრონთან). დვინზე შეწყვეტილი ლაშქრობის შემდეგ, ლიპარიტი უმალ „შემოიქცა თავის ქუეყანად“. 1048 წელს ბიზანტიას კვლავ დასჭირდა ლიპარიტის დახმარება. ამჯერად გაცილებით უფრო საშიში მტრის წინააღმდეგ, ვიდრე დვინელი ამირა იყო, ბიზანტიას სელჩუკებმა შეუტიეს. ლიპარიტმა შეკრიბა ლაშქარი და ბასიანისკენ გაემართა, სადაც მას ბერძენი მთავარსარდლები კატაკალონ კეკავმენოსი და არონ ვესტი ელოდებოდნენ. სანამ ბიზანტიელები ლიპარიტის მისვლას ელოდებოდნენ, სელჩუკებმა გადაწვეს ქ. არძე. კეკაუმენოსი სთავაზობდა ვესტს ლიპარიტის მოსვლამდე შებმოდნენ მოწინააღმდეგეს, თუმცა ვესტი უარზე იყო, რადგან იმპერატორის ბრძანება ჰქონდა მიღებული ლიპარიტის გარეშე ბრძოლა არ დაეწყოთ.[702] როდესაც ლიპარიტი ბიზანტიელებს შეუერთდა, მათ ურჩიეს ქართველ ერისთავს უმალ დაეწყო შეტევა, მაგრამ ლიპარიტმა უარი განაცხადა. როგორც კედრენე გვიამბობს, ლიპარიტი საკმაოდ ცრუმორწმუნე ყოფილა და ამ მიზეზით ბრძოლის დაწყება ერთი დღით გადადო:

ლიპარიტმა არ მოინდომა იმ დღეს ბრძოლა, ვინაიდან შაბათი იყო, სექტემბრის თვის თვრამეტი რიცხვი, მეორე ინდიქტონისა, ხოლო ლიპარიტი უბედურ დღეთა რიცხვს მიაკუთვნებდა შაბათს, და ამ დღეს ომის წარმოებაზე უარი უნდა თქმულიყო.[703]

[699] Ibid. 301 – 302.
[700] Ibid. 302.
[701] ჯაფარიძე, „ლიპარიტ IV ბაღვაში“, 121.
[702] გიორგი კედრენე, „ქრონოგრაფია“, 75.
[703] Ibid. 75.

ამით ისარგებლეს სელჩუკებმა, სასწრაფოდ გაემზადნენ საბრძოლველად და ბიზანტიელებს დაესხნენ თავს. ბიზანტიელები და ლიპარიტი უმალ საბრძოლოდ გადაეწყვნენ და თურქების დასახვედრად გაემზადნენ. მარჯვენა ფლანგს კეკავმენოსი ხელმძღვანელობდა, მარცხენას - არონი, ცენტრი კი ლიპარიტს ჰქონდა ჩაბარებული. კეკავმენოსმა და არონმა გაიმარჯვეს, თუმცა ლიპარიტი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა.

იქმნა მოსრვა დიდი, და შეიპყრეს ლიპარიტი და წარიყვანეს ხუარასანს სულტანსა თანა. დიდებულთა ამის სამეფოსათა და შვილთა ლიპარიტისათა, ივანე და ნიანია, იძებნეს უშიშოება და გამოიყვენეს მეფე მეფედ. და კუალად მოირჭუნა და შეიპყრნა შვილნი ლიპარიტისანი; აიღო უფლისციხე და გამოუშვა ივანე.[704]

როგორც ჩანს, ლიპარიტ ბაღვაშის დატყვევება და შემდეგ გათავისფლება ქრონისტთა მხრიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქნა მიჩნეული. ამ ამბავმა როგორც ქართველი,[705] ასევე ბიზანტიელი,[706] სომეხი[707] და არაბი[708] ისტორიკოსების ყურადღება მიიპყრო. თითოეული წყარო მეტნაკლებად დეტალურ ინფორმაციას გადმოგვცემს ქართველი ერისთავთ ერისთავის ტყვედ ჩავარდნისა და მისი დახსნის შესახებ.

იმპერატორმა ძალღონე არ დაიშურა, რათა ერთგული მოკავშირე ტყვეობიდან დაეხსნა და თოღრულ-ბეგს ელჩები გაუგზავნა. სკილიცა და კედრენე გადმოგვცემენ:

როდესაც მეფემ გაიგო ლიპარიტის დატყვევების შესახებ. მთლად იმის ცდაში იყო, რომ გამოესყიდა; ამიტომ მან ძვირფასი საჩუქრები და გამოსასყიდი გაუგზავნა სულთანს გიორგის (დროსოსად სახელდებულის) ხელით (დროსოსი ხომ აარონის მდივანი იყო) და სთხოვდა ლიპარიტის განთავისუფლებას და ზავის დადებას.

სულთანმა მიიღო ელჩები და მოინდომა ეჩვენებინა, რომ ის უფრო დიდსულოვანი მეფეა, ვიდრე უღირსი ვაჭარი, და მეფეს საჩუქრად გაუგზავნა იგი (ლიპარიტი): გამოსასყიდი აიღო, ხოლო მთლიანად ლიპარიტს მისცა და თან ურჩია: ეს დღე სამუდამოდ დაიხსომე და არასდროს არ მოინდომო იარაღის ხელში აღება თურქების წინააღმდეგო.[709]

[704] „მატიანე ქართლისა“, 302.
[705] Ibid. 302 – 303.
[706] John Skylitzes, *A Synopsis,* 424 – 426; გიორგი კედრენე, „ქრონოგრაფია“, 75 – 78.
[707] Matthew of Edessa, *The Cronicle*, 79. არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია,* 85.
[708] Ibn al-Athīr, *Kāmil fi al-Tārīkh*, 289, 362; Al-ʻAzīmyyī, Muḥammad b. ʻAli al-Ḥalabyyī, *Tārīkh Ḥalab,* haqqaqahu wa qaddama lahu Ibrāhīm Zaʻrūr (Dimashq, 1984), 338, 339.
[709] გიორგი კედრენე, „ქრონოგრაფია“, 78; John Skylitzes, *A Synopsis,* 426.

იბნ ალ-ასირი, თოღრულ-ბეგის მიერ ქართველი ერისთავთ-ერისთავის უსასყიდლოდ გათავისუფლებისა და იმაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ლიპარიტი იმპერატორისთვის, წერს:

ბიზანტიის მეფემ (*მალიქ არ-რუმ*) გაუგზავნა თოღრულ-ბეგს [მოციქული], გაუგზავნა დიდძალი საჩუქარი და სთხოვა დაზავება, რასაც ის დასთანხმდა. ბიზანტიის მეფემ [აგრეთვე] გაუგზავნა [მოციქული] იბნ მარვანს [ნასრ დავლას] და სთხოვა, ეზრუნა აბხაზთა ზემოხსენებული მთავრის (*მალიქ*) განთავისუფლების თაობაზე. ნასრ ად-დავლამ ამის გამო წარგზავნა შაიხ ალ-ისლამი აბუ ʿაბდ ალლაჰ იბნ მარვანი სულთან თოღრულ-ბეგთან და მან გაანთავისუფლა ის გამოსასყიდის გარეშე. ეს იყო მნიშვნელოვანი [ამბავი] მისთვის [ლიპარიტისთვის] და ბიზანტიის მეფისთვის, რომელმაც [სულთანს] სანაცვლოდ გაუგზავნა დიდძალი საჩუქარი [ბიზანტიელებმა] განაახლეს კონსტანტინოპოლის მეჩეთი (*მასჯიდ*), სადაც შეასრულეს ლოცვა და [აღვლინეს] ხუტბა თუღრულ-ბეგის სახელზე.[710]

მათე უარჰეცი გადმოგვცემს, რომ თოღრულ-ბეგმა ლიპარიტის სიმამაცის შესახებ დატყვევებამდეც იცოდა. ქართველმა დიდგვაროვანმა სულთანთან ორი წელი დაჰყო:

ის სულთანთან ორი წელი დარჩა და მრავალ ადგილას ბევრჯერ გამოიჩინა სიმამაცე. იქ იყო ერთი ეთიოპელი, ძლიერი და უშიშარი კაცი. ერთხელაც ის და ლიპარიტი სულთანს მიჰგვარეს, რათა მის წინ ერთმაანეთს შებმოდნენ. ლიპარიტმა დაამარცხა და მოკლა ურწმუნო ეთიოპელი. ამის შემდეგ სულთანმა ის გაანთავისუფლა, უხვად დაასაჩუქრა და რომაელებთან გაგზავნა.[711]

მათე ურჰაეცის მონათხრობი ლეგენდას ჰგავს. ამიტომ უფრო სანდოდ სკილიცასა და იბნ ალ-ასირის მონათხრობი უნდა მივიჩნიოთ. ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ბიზანტიელი და არაბი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ კონსტანტინე მონომახოსმა თოღრულ-ბეგთან შუამავალი გაგზავნა და ლიპარიტის გამოსასყიდად ძვირფასი საჩუქრებიც გაატანა. სკილიცას თქმით, ეს შუამავალი ვასპურაკანის დუკას აარონის მდივანი, გიორგი დროსოსი იყო, ხოლო იბნ ალ-ასირის მონაცემებით იმპერატორმა შუამავლობა დიარბექირის მარვანიან გამგებელს, ნასირ ად-დავლას სთხოვა, რომელმაც სელჩუკთა სულთანთან მოლაპარაკებებზე შეიხ ალ-ისლამი გაგზავნა. რა თქმა უნდა, ეს მონაცემები ერთმანეთს არ გამორიცხავს და დასაშვებია, რომ ლიპარიტის გასათავისუფლებლად ბიზანტიის იმპერატორმა ორ შუამავალს ერთდროლად მიმართა. ეს იმას ამტკიცებს, რომ ქართველი ერისთავის ტყვეობიდან გათავისუფლებას იმპერატორი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ის ფაქტი, რომ

[710] ციტატა თარგმნილია პროფ. გ. ჯაფარიძის მიერ: ჯაფარიძე, „ლიპარიტ IV ბაღვაში“, 132; Ibn al-Athīr, *Kāmil fi al-Tārīkh*, 289.

[711] Matthew of Edessa, *The Cronicle*, 79.

ლიპარიტის ტყვეობასა და გათავისუფლებას არაერთი მემატიანე აღწერს, ქართველი ერისთავთ-ერისთავის გამორჩეულ პოლიტიკურ როლზე მიუთითებს.

§ 4. კახეთ-ჰერეთის სამეფო

XI საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კახეთ-ჰერეთის სამეფო.

კახეთი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად VIII საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა.[712] ვახუშტის თქმით, ქართლის ერისთავთ-ერისთავის ჯუანშერის გარდაცვალების შემდეგ, აჯანყდა მთავარი გრიგოლი, რომელმაც დაიპყრო კახეთი, კუხეთი და გარდაბანი, მანვე დაამარცხა აშოტ კურაპალატი და ქსნის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიები დაიკავა. [713]

IX საუკუნის მანძილზე კახეთის სამეფო აღმოსავლეთ საქართველოს შიდა პოლიტიკაში აქტიურად იყო ჩართული. კახეთის მმართველი ქორეპისკოპოსები არაბების წინააღმდეგ ბრძოლით იყვნენ დაკავებულები, ასევე ცდილობდნენ თავისი სამფლობელოები გაეფართოვებინათ ჰერეთის ხარჯზე, რომელსაც იმ დროს დამოუკიდებელი მმართველი ჰყავდა.

VIII-IX საუკუნეებში კახეთს მართავდნენ: გრიგოლი (787 – 827 წწ.), ვაჩე/დაჩი (827 – 839 წწ.), სამოელი (839 – 861 წწ.), გაბრიელი (861 – 881 წწ.), ფადლა I (881 – 893 წწ.) და კვირიკე I (893 – 918).[714] კახეთს ქორეპისკოპოსი (ქორიკოზი) განაგებდა. პირველი ქორეპისკოპოსის, გრიგოლის წარმომავლობა უცნობია. მისი სიკვდილის შემდეგ ძალაუფლებას ხელში იგდებენ გარდაბნელი დიდგვაროვნები - ვაჩე/დაჩი, რომელიც ქუაბულის ძეთა გვარიდანაა, ხოლო სამოელი და გაბრიელი დონაურები არიან.[715] გარდაბნელი ქორეპისკოპოსები თბილისის ამირების ერთგული მოკავშირეები არიან. ეს ნათლად გამოჩნდა კახეთის ქორეპისკოპოს სამოელისა და თბილისის ამირა საჰაკის ურთიერთობაში. კახელები ამირა ისჰაკს ეხმარებიან ბაღდადიდან გამოგზავნილი სადამსჯელო ექსპედიციების (ხალიდ იბნ იაზიდი - 840-841 წლები, მუჰამად იბნ ხალიდი - 842 წელი, ბუღა თურქი - 853 წელი) წინააღმდეგ ბრძოლაში.[716] მას შემდეგ, რაც ბუღა თურქმა თბილისის ამირა დაამარცხა, რამდენჯერმე სცადა კახეთზე ლაშქრობა, თუმცა უშედეგოდ. კახელებმა შეძლეს ეფექტურად დაეცვათ თავი.

---

[712] ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების შექმნა“, 382.
[713] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 557.
[714] ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების შექმნა“, 386 – 387.
[715] Ibid. 393.
[716] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 558; ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების შექმნა“, 393 – 394.

881 წელს გაბრიელი ქორეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ, კახეთის ტახტზე გარდაბნელ დონაურებს არევმანელთა დინასტია ცვლის, რომლის პირველი წარმომადგენელი იყო ფადლა I.

კვირიკე I-ის დროს საქართველოში შემოიჭრა აბუ ალ-კასიმი, მან მოაოხრა ქართლი, თუმცა კახეთის ქორეპისკოპოსმა არაბ სარდალს მორჩილება აღუთქვა და უჯარმისა და ბოჭორმის ციხეები გადასცა, რითაც კახეთი დარბევას გადაარჩინა.[717] მას შემდეგ რაც აბუ ალ-კასიმმა საქართველო დატოვა, კვირიკემ გადაწყვიტა ჰერეთზე ელაშქრა და დახმარება აფხაზეთის მეფე კონსტანტი III-ს (893 – 922 წწ.) სთხოვა. აფხაზეთის მეფემ კვირიკე ქორეპისკოპოსს სამხედრო დახმარება გაუგზავნა და ჰერეთის მთავარმა, ადარნასემ მათ უბრძოლველად რამდენიმე ციხე გადასცა.[718] თუმცა, კვირიკეს გარდაცვალების შემდეგ მდგომარეობა იცვლება, კახეთი საჯთა ტომებმა დალაშქრეს, ხოლო ჰერეთის მთავარმა, ადარნასეს ძემ კვირიკესა და კონსტანტინესთვის გადაცემული ციხეები დაიბრუნა. ასევე თავის შვილს ცოლად შერთო კლარჯელი ბაგრატიონი, გურგენ ერისთავთ-ერისთავის ასული დინარი.[719]

X საუკუნიდან კახეთის მმართველები აქტიურ ბრძოლას იწყებენ ქართლისთვის. ამ ბრძოლაში კახელთა ძირითადი მეტოქე აფხაზეთის სამეფოა. ამ პერიოდში კახეთს მართავენ: ფადლა II (918 – 929 წწ.), კვირიკე II (929 – 976 წწ.) და დავითი (976 – 1010 წწ.).[720]

კვირიკე I-ის მემკვიდრე, ფადლა II მხარს უჭერს გიორგი აფხაზთა მეფეს ქართლში აჯანყებული შვილის, კონსტანტინეს წინააღმდეგ. „ხოლო ამან ფადალა ქორიკოზმან უშუელა აფხაზთა მეფესა გიორგის, რაჟამს მოადგა უფლისციხეს ძესა თჳსსა და შემდგომად ამისა მოკუდა ფადალა ქორიკოზი“.[721]

ფადლას გარდაცვალების შემდეგ კახეთსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობა გაფუჭდა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით კახეთის უწინდელ მმართველებს, გარდაბნელ დონაურთა გვარს. ისინი აფხაზეთის მეფე გიორგი II-ს (922-957 წწ.) დაუკავშირდნენ და კახეთში ლაშქრობა სთხოვეს. აფხაზთა მეფემაც არ დააყოვნა და კახეთის დიდი ნაწილი დაიპყრო.[722]

შემდგომ, ქართლის აზნაურების დახმარებით კვირიკე II-მ დაკარგულ მიწები დაიბრუნა, თუმცა გიორგი აფხაზთა მეფემ მის წინააღმდეგ შვილი, ლეონი (აფხაზეთის მეფე 957 – 967 წწ.) გაგზავნა. ლეონმა კვლავ დაიპყრო კახეთის ნაწილი, თუმცა მამის გარდაცვალების შემდეგ ბაზალეთთან კვირიკეს შეხვდა და

---

[717] „მატიანე ქართლისა“, 264; ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 559; ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების შექმნა“, 398.
[718] „მატიანე ქართლისა“, 264; ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 559.
[719] „მატიანე ქართლისა“, 266; ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 560.
[720] ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების შექმნა“, 387.
[721] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 560.
[722] „მატიანე ქართლისა“, 268; ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 560.

დროებით დაუზავდა. ზავის სიმტკიცისთვის ლეონმა კვირიკეს შვილს თავისი ასული შერთო ცოლად და აფხაზეთში დაბრუნდა. ლეონის ასული მალევე გარდაიცვალა და შიდა პრობლემების მოგვარების შემდეგ, მეფე ლეონმა ისევ კახეთს შეუტია. ლეონმა დაიპყრო მუხრანი და ბაზალეთი, თუმცა ამ ლაშქრობაში ავად გახდა და მალევე გარდაიცვალა, ხოლო აფხაზეთის სამეფოში შიდა არეულობა დაიწყო.[723]

ამით ისარგებლეს ქართლის დიდებულებმა და ტაოს მეფე დავით III კურაპალატს შესტავაზეს ქართლში მისი შვილობილის, ბაგრატის გამეფება. დავითმა მიიღო ეს წინადადება და ქართლი დაიკავა.

ქართლის დაკავება კვირიკემაც სცადა. კახეთის ჯარი უფლისციხეს მიადგა. სადაც იმ დროს იმყოფებოდნენ მცირეწლოვანი ბაგრატი, მისი მამა გურგენი და დედა, დედოფალი გურანდუხტი. კვირიკეს ქართლის დიდებულთა ნაწილიც მიემხრო და ქართლ-კახეთის ლაშქარმა მოახერხა უფლისციხის აღება, მათ დაატყვევეს სამეფო ოჯახი და კახეთში გაგზავნეს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით კვირიკე II-მ, რომელმაც „გამოიყვანა უფლისციხიდამ მეფე ბაგრატ და დედა მისი გურანდუხტ“.

შეიტყო თუ არა დავით კურაპალატმა გურგენისა და მისი ოჯახის შეპყრობის ამბავი, უმალ თრიალეთში გადავიდა და კახეთის საზღვარს მიუახლოვდა. იმჟამად დავით კურაპალატი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც მთელ საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. დავით კურაპალატთან ღია ბრძოლა კახელებმა ვერ გაბედეს და იძულებულები შეიქმნენ უბრძოლველად გამოეშვათ სამეფო ოჯახი. „ესევე კვირიკე დაეზავა დავით კურაპალატს“[724]. ქართლი კვლავ ბაგრატს გადაეცა. მას შემდეგ რაც ბაგრატი III ქართველთა და აფხაზთა მეფე გახდა, მან კახეთი და ჰერეთი ძალის გამოყენებით მიუერთა თავის სამფლობელოებს. ბაგრატთან დაპირისირების დროს გარდაიცვალა დავით ქორეპისკოპოსი (976 – 1010 წწ.) და საქართველოს მეფემ, მისი ძე, კვირიკე (შემდგომში კახეთის მეფე 1014 – 1037 წწ.) დაატყვევა. მეფემ ასევე მიიერთა იმ დროს უბატონოდ დარჩენილი ჰერეთი.[725] ბაგრატის გამარჯვებით კახეთმა და ჰერეთმა დროებით დამოუკიდებლობა დაკარგეს და ერთიანი საქართველოს სამეფოს ნაწილებად იქცნენ. თუმცა, არსებული მდგომარეობა ბაგრატის სიკვდილის შემდეგ შეიცვალა. გიორგი I-ის გამეფებისთანავე ახალგაზრდა მეფეს კვირიკე აუჯანყდა, კახეთი და ჰერეთი დაიპყრო და თავი მეფედ გამოაცხადა.

კვირიკე III-მ კახეთ-ჰერეთი საერისთავოებად დაყო და დედაქალაქი თიანეთიდან თელავში გადაიტანა. მიუხედავად ამისა, გიორგი მეფესა და

[723] „მატიანე ქართლისა“, 270.

[724] „მატიანე ქართლისა“, 274; ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 560; ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 124.

[725] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 561.

კვირიკეს შორის დაპირისპირება არ ჩანს. 1021 წელს კვირიკე ქართველთა მეფეს ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაშიც კი ეხმარება. გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ კვირიკე მონაწილეობს განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიაში, რომელსაც ლიპარიტ ბაღვაში და ივანე აბაზას ძე ხელმძღვანელობდნენ. კვირიკეს მხარს უჭერენ „დავით სომეხთა მეფე, და ჯაფარ ამირა ტფილელი, რამეთუ ესე ყოველნი პირობითა კჳრიკესითა შეკრებილ იყვნეს ეკლეცს ფადლონს ზედა“.[726] მოკავშირეებმა ფადლონი დაამარცხეს და „ამიერითგან ვიდრე სიკუდილამდე შეჰავდა ფადლონ“.[727] ამის შემდეგ ლიპარიტმა და ივანე აბაზას ძემ თბილისის ამირა შიპყრეს, ხოლო კვირიკე ოსთა მეფეს, ურდურუს ებრძვის, რომელმაც თიანეთი დალაშქრა. კვირიკე იმარჯვებს და კლავს ოსთა მეფეს, მაგრამ ცოტა ხანში კახეთის მეფე „მოკლა ვინმე ოვსმან მონამან დიდი კჳრიკე მეფე კახთა, სისხლთათჳს ოვსთა მეფისა ურდურესა“.[728] ეს დაახლოებით 1037 წლისთვის უნდა მოხდარიყო, რადგან თბილისის ალყაში უკვე კვირიკეს მემკვიდრე, მისი დის შვილი, ტაშირის სომეხთა მეფის დავითის ძე, გაგი (1037 – 1058 წწ.) მონაწილეობს. ალყის გამო ამირა მზად იყო თბილისი დაეტოვებინა, თუმცა დიდებულთა რჩევით ბაგრატ IV ამირას დაუზავდა და კახეთს შეუტია. ამ ქმედებებით მეფემ საბოლოოდ გადაიმტერა ბაღვაში. თავდაპირველად ბაგრატმა კახეთში გარკვეულ წარმატებას მიაღწია, თუმცა კახელების დასახმარებლად ლიპარიტი გამოვიდა და ქართველთა მეფემ უკან დაიხია. ამის შემდეგ გაგი ლიპარიტის ერთგული მოკავშირეა. კახელები ემხრობიან ბაღვაშს, როდესაც მან 1043 წელს ბაგრატის წინააღმდეგ მისი ნახევარძმა, დემეტრე შემოჰყავს. მას შემდეგ რაც ლიპარიტი მეფეს დროებით დაუზავდა, გაგიც ეახლა 1045 წელს ბაგრატ მეფეს თბილისში და მშვიდობა აღუთქვა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ლიპარიტი ანისიდან საქართველოში დაბრუნდა და კვლავ დემეტრე შემოიყვანა, კახელები ისევ ლიპარიტის მხარეს იჭერენ. კახთა ლაშქარი ლიპარიტს თან ახლავს როგორც ჯავახეთში, ასევე სასირეთისა და არყისციხის ბრძოლებში.[729] 1048 წელს ბასიანის ბრძოლაში ლიპარიტის დატყვევებით გაგიმ ძლიერი მოკავშირე დაკარგა. 1058 წელს კახეთის ტახტს იკავებს გაგის ძე, აღსართან I (1058 – 1084 წწ.). აღსართანის აღზევებიდან მალე ბაგრატ მეფემ თითქმის მთელი კახეთი და ჰერეთი უბრძოლველად დაიკავა.[730] თუმცა, ცოტა ხანში კავკასიას სელჩუკებმა შეუტიეს, აღსართანი ეახლა სულთან ალფარსლანს, მორჩილება აღუთქვა და ისლამი მიიღო.

[726] „მატიანე ქართლისა“, 296.
[727] Ibid. 296.
[728] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 562.
[729] „მატიანე ქართლისა“, 300 – 301.
[730] „მატიანე ქართლისა“, 306; ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 562.

ამის საპასუხოდ სულთანმა აღსართანს ბაგრატის მიერ წართმეული მიწები დაუმტკიცა და კახეთში დააბრუნა.[731]

§ 5. თურქ-სელჩუკთა დამკვიდრება ახლო აღმოსავლეთში და ახალი იმპერიის შექმნა

1040 წელს, ირანის უდიდესი ნაწილის დაპყრობის შემდეგ, თოღრულ-ბეგმა ყურადღება დასავლეთისკენ გადაიტანა. სელჩუკებმა რამდენიმე მიმართულებით დაიწყეს შეტევა. ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, ირანის აზერბაიჯანში, ძირითადად მომთაბარე თურქმანთა მარბიელი რაზმები გაიგზავნა, მარვანიანთა და ბიზანტიელთა წინააღმდეგ თოღრულ-ბეგის ძმა, იბრაჰიმ ინალი მოქმედებდა, ხოლო მთავარი ძალების მიზანს ერაყი წარმოადგენდა.[732] აღსანიშნავია, რომ ერაყში შესვლისთვის თოღრულ-ბეგს ყველა წინაპირობა უწყობდა ხელს. ბუვეიანთა მმართველობა დასუსტებული იყო, ხოლო აბასიანი ხალიფა მხოლოდ რელიგიური ლიდერის უფლებებით სარგებლობდა. ამასთან, სამხედრო ელიტასა და ჯარის პირადი შემადგენლობის უდიდეს ნაწილს თურქული წარმომავლობის ადამიანები წარმოადგენდნენ. თუმცა, ერაყში შეჭრამდე თუღრულ-ბეგმა პირადად დალაშქრა ბიზანტიის ტერიტორიები.[733]

1055 წელს თოღრულ-ბეგმა ბაღდადი დაიკავა.[734] ამის შემდეგ ფატიმიანთა წინააღმდეგ გაილაშქრა. თუმცა, ძმის აჯანყების გამო თოღრულ-ბეგი ირანში დაბრუნდა.[735]

თოღრულ-ბეგის სიკვდილის შემდეგ, მისმა ძმისშვილმა და მემკვიდრემ, ალფ არსლანმა აქტიურად შეუტია ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებს. 1065 წელს მისი ლაშქრობების შედეგად სელჩუკთა ხელში გადავიდა ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები როგორიცაა: ანისი და ყარსი. ამის შემდეგ სულტანმა საქართველოს ტერიტორიები დალაშქრა, რის შემდეგაც არანში გადავიდა, სადაც მას შადადიდებმა და შირვანშაჰმა მორჩილება აღუთქვეს.

1068 წელს ალფ არსლანმა განმეორებით დალაშქრა საქართველო და სირიაში წავიდა.[736] ამ დროს თურქული წარმოშობის მომთაბარეები აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიებზე მარბიელ ლაშქრობებს განაგრძობდნენ.

---

[731] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 562.
[732] Bosworth, “The Political and Dynastic History of the Iranian World”, 43; Ṭaqqūsh, *Tārīkh as-Salājiqa,* 93 – 94.
[733] Ṭaqqūsh, *Tārīkh as-Salājiqa,* 101.
[734] Bosworth, “The Political and Dynastic History of the Iranian World”, 46.
[735] Ṭaqqūsh, *Tārīkh as-Salājiqa,* 103.
[736] Ibid. 62.

თოღრულ-ბეგის მემკვიდრეებმა საგრძნობლად გააფართოვეს იმპერიის ტერიტორიები. მათი მიზანი ბიზანტიისა და ეგვიპტის დაპყრობა იყო. 1071 წელს მანასკერტში ბიზანტიასა და სელჩუკებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა, რომელიც სელჩუკთა სრული გამარჯვებით დასრულდა.[737]

ფატიმიანთა იმპერიაში კი სრული ქაოსი სუფევდა. ფატიმიანთა ხალიფა, წინამორბედთა მსგავსად, იძულებული იყო აჯანყების ჩასაქრობად თურქმანული წარმოშობის ბელადისათვის მიემართა.[738] ფატიმიანთა ყველა მცდელობა დამასკო დაებრუნებინათ წარუმატებლად დასრულდა და სირია მათთის საბოლოოდ დაიკარგა. 1078-1079/471 წელს სელჩუკთა მხედართმთავარმა, მალიქშაჰის ძმამ, თუთუშმა, დამასკო დაიკავა.[739]

ალ-მუსთანსირის მმართველობის ბოლოს ფატიმიანები პალესტინის მხოლოდ მცირე ნაწილს აკონტროლებდნენ.[740]

სელჩუკები და საქართველო. 1065 წელს საქართველოს ალფარსლანი შემოესია. მან მოაოხრა კანგარი და თრიალეთი. სელჩუკთა ლაშქარი გადავიდა ტაოსა და კლარჯეთში „ვიდრე ფანასკერტამდე“. თვით ალფარსლანმა კი თრიალეთში სამი დღე დაჰყო. მეფე ამ დროს ცოლშვილით ტაოში იმყოფებოდა, ის სასწაულად გადაურჩა თურქთა მარბიელ ლაშქარს და ქართლში ჩამოასწრო. მარბიელი ლაშქრის გაგზავნის შემდეგ ალფარსლანი ძირითადი ჯარით ახალქალაქისკენ დაიძრა, მან აიღო ქალაქი და „ტყუე ყვნეს ურიცხუნი სულნი ქრისტიანეთანი; აღიღეს განძი და ტყუე ძლიერი, და შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა“. ახალქალაქის აღების შემდეგ ალფარსალანი ანისისკენ გაემართა და ქალაქი ბერძნებს ჩამოართვა. საქართველოდან წასვლის წინ სულთანმა ბაგრატის დისშვილი ითხოვა ცოლად, რომელიც ამავე დროს სომეხთა მეფის კვირიკეს ძმისშვილი იყო. ბაგრატმა კვირიკეს ძმისშვილის ალფარსლანზე მითხოვება სთხოვა, მაგრამ სომეხთა მეფემ სასტიკი უარი განუცხადა. მაშინ ბაგრატმა სომეხთა მეფეს ერისთავი ვარაზ-ბაკურ გამრეკელი გაუგზავნა. ამ უკანასკნელმა სომეხთა მეფის კაცები გადმოიბირა და მათ კვირიკე და მისი ძმა სუმბატი სამშვილდის შესასვლელთან შეიპყრეს, თუმცა სომეხთა მეფის მეორე ძმამ ადარნასემ ქალაქში შეასწრო. კვირიკეს დატყვევების ამბავი უმალ ბაგრატ მეფეს აცნობეს. ბაგრატი ქვახვრელიდან თრიალეთში გადავიდა, სადაც „მოგვარნეს პყრობილნი კლდე-კართა ქუეშე“, რადგან კვირიკემ სამშვილდის გადაცემაზე და ძმისშვილის გათხოვებაზე კვლავ უარი განაცხადა, ბაგრატმა ძალას მიმართა. კვირიკე სამშვილდესთან წაიყვანეს და ქალაქის წინ სამი დღის მანძილზე ძელზე

[737] Ibid. 63 – 64.
[738] Ṭaqqūsh, *Tārīkh as-Salājiqa,* 121,
[739] Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq*, 182 – 183.
[740] Daftary, *The Isma'ilis*, 197.

ჰყავდათ გასმული. კვირიკემ წამებას ვეღარ გაუძლო და ბაგრატის ყველა მოთხოვანა დააკმაყოფილა.[741]

1068 წელს ალფარსლანი კვლავ შემოესია საქართველოს. მან მოაოხრა კახეთი, და კახთა მეფე აღსართანი აიძულა მიეღო ისლამი და სელჩუკთა მოხარკე გამხდარიყო. ამის შემდეგ მან ბაგრატის წინააღმდეგ გაილაშქრა და მოკავშირეებად აღსართანი, სომეხთა მეფე კვირიკე და თბილისის ამირა გაიყოლა. ბაგრატმა მრავალრიცხოვან მტერთან შებმა ვერ გაბედა და აფხაზეთში გაიხიზნა, სელჩუკებმა კი მთელი საქართველო მოარბიეს. აფხაზეთში მყოფმა ბაგრატ მეფემ ალფარსლანთან მოლაპარაკება გადაწყვიტა და ელჩად ივანე ბაღვაში გაუგზავნა. ბაგრატმა მიუგზავნა „მოციქულად ივანე, ძე ლიპარიტისი, ... ძიებად მშჳდობისა“. სულთანმა ქართველ მეფეს მშვიდობის ნაცვლად ხარაჯა სთხოვა, თუმცა მკაცრი ზამთრით შეწუხებული ბაგრატის პასუხს აღარ დაელოდა და საქართველოდან წავიდა. გზადაგზა მან მოარბია თბილისი და რუსთავი, რომლებიც განძის ამირა ფადლონს[742] გადასცა სამართავად. ფადლონმა იწყო ქართლის რბევა. გაზაფხულის დადგომისთანავე ბაგრატი გადმოვიდა ქართლში და დადგა დიდგორს „საზაფხულო მეფეთა სადგომი არს ადგილი იგი“. ფადლონი არ შეეპუა ქართლში მეფის ყოფნას და გააგრძელა რბევა-თარეში. ფადლონის წინააღმდეგ ბაგრატმა ივანე II ლიპარიტის ძე, ნიანია ქუაბულის ძე და ყველის ერისთავი მურვან ჯაყელი გაგზავნა მესხთა რჩეული ლაშქრით. ქართველები ფადლონის დიდძალ ლაშქარს ნარეკვავის ხევთან შეებნენ და სასტიკად დაამარცხეს. თვითონ ფადლონი კი თხუთმეტი მხედრით ძლივს გაიქცა და კახთა მეფე აღსართანთან გაემართა, მაგრამ ის გზაში ვიღაც კაცმა იცნო და მესხ აზნაურს, ისაკ ტოლობელის ძეს მიჰგვარა. მესხმა აზნაურმა ფადლონი გაძარცვა და დამცირების მიზნით ჯორზე შესვა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ბაგრატისთვის გადაეცა, აღსართან კახთა მეფეს გაუგზავნა. ბაგრატმა უმალ დაიწყო აღსართანთან მოლაპარაკება და ფადლონი ბოჭორმასა და უჯარმაში გაუცვალა აღსართანს. მეფემ ფადლონი თბილისის წინ ძელზე გასვა და ქალაქი აიღო. ბაგრატმა დაიკავა ციხეები თბილისის ირგვლივ, თუმცა ქალაქი სამართავად ვინმე სითლარაბს გადასცა. დატყვევებული ფადლონი კი სპარსეთის სულთნის თხოვნითა და შუამავლობით გაათავისუფლა, თუმცა დიდი ხარკი დააკისრა და მძევლები ჩამოართვა. ამის შემდეგ ფადლონი კიდევ ერთხელ განუდგა ქართველ მეფეს, მაგრამ ბაგრატმა ის ოსთა მეფის, დორღოლელის დახმარებით დაამარცხა, განძა აიღო და საბოლოოდ განიმტკიცა აღმოსავლეთი საზღვარი. მართალია სულთანი რამდენჯერმე შეეცადა ბაგრატისთვის ხარაჯა დაეკისრებინა, მაგრამ მეფე სელჩუკ ელჩებს მუდამ ზრდილობიანი უარით ისტუმრებდა. ამის შემდეგ ბაგრატს დიდ ხანს აღარ

[741] „მატიანე ქართლისა“, 306 – 307.

[742] ალ-ფადლ იბნ შაკურ. განძის შადადიანი მმართველი 1067 – 1073 წწ.

უცოცხლია, 1072 წელს 56 წლის ასაკში ის მძიმე ავადმყოფობის შედეგად მიიცვალა. სიკვდილის წინ მან კიდევ ერთხელ მეფედ აკურთხებინა მისი შვილი გიორგი. ბაგრატი დაკრძალეს ჭყონდიდში.[743]

§ 6. ქართველ მეფეთა შვილების ვიზიტი კაიროში და საქართველოს ანტისელჩუკურ კოალიციაში მონაწილეობის საკითხი

საქართველოსა და ფატიმიანთა იმპერიას შორის არსებულ ურთიერთობების კიდევ ერთ ეპიზოდს ასახავს 1047 წელს კაიროში შემდგარი ცერემონიალის ისტორია.

ცნობილი სპარსელი მოგზაური და ისმაილიტი დაი, ნასირ ხოსროუ თავის ნაშრომ „საფარ-ნამეში“ დაწვრილებით აღწერს 1047 წელს, კაიროში, ნილოსის არხის გახსნის ცერემონიალს, რომელიც მან საკუთარი თვალით ნახა. ის გადმოგვცემს, რომ ცერემონიას ხელმძღვანელობდა უშუალოდ ხალიფა ალ-მუსთანსირი. აღსანიშნავია, რომ ფატიმიანთა სახალიფოში დღესასწაულებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ყველა ცერემონია მკაცრად იყო დადგენილი ისმაილიტური დოქტრინის შესაბამისად. ხალიფა-იმამი ითვლებოდა სამყაროს გონის მიწიერ განსახიერებად, იმ პირველი ქმნილებისა, რომელიც ემანაციის გზით ღმერთისგან წარმოიშვა[744]. ამიტომ, ფატმიანთა კარის პროტოკოლი და ძალაუფლების სიმბოლოები ხალიფა-იმამს იერარქიული კიბის ყველაზე მაღალ საფეხურზე ათავსებდნენ. ყველა სხვა თანამდებობა მასზე იყო დამოკიდებული. ნებისმიერი რიტუალი ამ პრინციპით ტარდებოდა და იერარქიულობა მკაცრად იყო დაცული. ხალიფა-იმამის რიტუალში მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც ისმაილიტებისთვის იმამის დანახვაც კი დალოცვის ტოლფასი და მადლის მომტანად ითვლებოდა[745]. ნილოსის არხის ყოველწლიური გახსნის ცერემონია გამოხატავდა ხელისუფლების პასუხისმგებლობას საირიგაციო არხების შემუშავებული სისტემის შენარჩუნებაზე, რაც იყო ქვეყნის კეთილდღეობის გარანტია. ცერემონიაში მონაწილეობის შედეგად ხელისუფალი მოსახლეობის წინ გამოჩნდებოდა, რითიც ამტკიცებდა მისი ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას ქვეყნის კეთილდღეობაზე[746].

ნასირ ხოსროუ გადმოგვცემს, რომ არხის გახსნის დღეს, დილით ადრე, ხალიფას სასახლიდან არხისკენ გაემართა დიდი პროცესია, რომელიც შედგებოდა

[743] Ibid. 308 – 314.
[744] Sanders, *Ritual, Politics, and the City in Fatimid Cairo*, 41.
[745] ფატიმიანთა რიტუალების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ: Sanders, *Ritual, Politics, and the City in Fatimid Cairo*.
[746] Sanders, *Ritual, Politics, and the City in Fatimid Cairo*, 102.

ხალიფას მსახურების, ჯარისკაცებისა და მაღალჩინოსნებისგან, ხოლო თვითონ ხალიფა პროცესიის შუაგულში იმყოფებოდა. სპარსელი მოგზაური ასევე გადმოგვცემს, რომ პროცესიაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნების მეფეთა და დიდებულთა შვილები და რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, „ქართველ მეფეთა ვაჟები“. ნასირ ხოსროუ წერს:

> ერთი ჯგუფი შედგებოდა სხვადასხვა ქვეყნების უფლისწულთა და დიდებულთა შვილებისგან, რომელნიც აქ იყვნენ ჩამოსულნი და ლაშქრისა და სპის ანგარიშში არ ითვლებოდნენ. ისინი იყვნენ მაღრიბიდან, იემენიდან, რუმიდან, სლავთა ქვეყნიდან, ნუბიიდან, ჰაბაშადან. აქ იყვნენ ჩამოსულნი დელის მეფის (ხოსროვ) ძენი და მათი დედა, ქართველ მეფეთა ვაჟები, დეილემელთა უფლისწულები და თურქესტანის ხაკანის ვაჟები.[747]

აქ რა თქმა უნდა ჩნდება კითხვა: ვინ არიან ხსენებული ქართველთა მეფეები და მათი ვაჟები? როგორც ცნობილია, 1047 წელს საქართველოს მეფეა ბაგრატ IV და მისი ვაჟია გიორგი, მომავალში მეფე გიორგი II. ქართული წყაროები არანაირ ცნობას არ გვაწვდიან ქართველი უფლისწულის ეგვიპტეში ვიზიტის შესახებ. ასევე ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ნასირ ხოსროუ არა ერთი მეფის ვაჟებს არამედ, მეფეთა ვაჟებს მოიხსენიებს. პროფესორი ვალერიან გაბაშვილი აღნიშნავს, რომ სპარსელი მოგზაური შეცდომას არ უშვებს, როდესაც ქართველ მეფეებს იხსენიებს, რადგან იმ პერიოდში კახეთს დამოუკიდებელი მეფე მართავდა.[748] აღსანიშნავია, რომ კათალიკოსი მელქისედეკი თავის ანდერძში კვირიკეს კახეთის მეფედ მოიხსენიებს და ბაგრატ IV-სთან ერთად ანდერძის დამტკიცებას სთხოვს.[749] კვირიკე მეფედ (მალიქ) მოიხსენიება ასევე მის მიერ მოჭრილ მონეტებზე.[750] ასევე არ უნდა გამოირიცხოს კლდეკარის ციხის მფლობელი, ერისთავი ლიპარიტ IV, რომელსაც იბნ ალ-ასირი იხსენიებს როგორც აფხაზთა მალიქს[751] (მეფე, მთავარი). რა თქმა უნდა ყველა მოწვეულ სტუმარს, ფატიმიანები, რეალურ, ან სავარაუდო მოკავშირეებად განიხილავდნენ. ამ პერიოდში ფატიმინათა მთავარი მოწინააღმდეგები სელჩუკები იყვნენ, ამდენად გასაკვირი არაა, რომ ხალიფა ალ-მუსთანსირი აქტიურად ეძებდა მოკავშირეებს სელჩუკების წინააღმდეგ საბრძოლველად. სელჩუკები ახლო აღმოსავლეთში XI/V საუკუნეში გამოჩნდნენ. თოღრულ-ბეგმა, ღაზნევიანების დამარცხების შემდეგ 1038/429 წელს, თავი

---

[747] ციტიტატა თარგმნილია პროფ. გ. ჟორჟოლიანის მიერ. ჟორჟოლიანი, „ერთი ცნობა ნასერ ხოსროუს „საფარ-ნამედან“, 53.

[748] გაბაშვილი, „საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან“, 70.

[749] ნ. ბერძენიშვილი, „მცხეთის საბუთი XI საუკუნისა“, *საქართველოს მუზეუმის მოამბე* VI (თბილისი, 1931), 293.

[750] ი. ფაღავა, „საქართველოს გაერთიანება და ნუმიზმატიკური ევოლუციის ვექტორები (X საუკუნის დასასრული - XII საუკუნის დასაწყისი“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* IX (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივესიტეტის გამომცემლიბა, 2016), 261.

[751] Ibn al-Athīr, *Kāmil fi al-Tārīkh*, 289, 362.

ნიშაპურის სულთანად გამოაცხადა[752]. ამის შემდეგ, მან სპარსეთის დიდი ნაწილი დაიპყრო და ერაყში შეიჭრა. სელჩუკები საკუთარ მოვალეობად თვლიდნენ აბასიანი ხალიფები შიიტი ბუვეიანების ზეგავლენისგან და მუსლიმური სამყარო ისმაილიტი ფატიმიანებისგან ეხსნათ[753]. ფატიმიანებთან მტრულ დამოკიდებულებას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 1044-45/436 წელს მავერანაჰრის გამგებელმა ისმაილიტთა ჟლეტა მოაწყო[754]. მთავარი ძალა, რომელსაც შეეძლო რეალური მხარდაჭერა აღმოეჩინა ფატიმიანებისთვის საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, იყო ბიზანტიის იმპერია. თვითონ ბიზანტიელებიც დაინტერესებულნი იყვნენ ძლიერი მოკავშირის პოვნაში, რადგან სელჩუკები იმპერიის საზღვრებს მიადგნენ 1044 წელს და ვასპურაკანი დალაშქრეს[755].

ნასირ ხოსროუ კაიროში ჩავიდა 1047 წლის 4 აგვისტოს. ამ პერიოდში ლიპარიტი დვინის ალყაში იღებდა მონაწილეობას. არც ერთი მისი შვილი ტყვეობაში არ იმყოფება[756] და როგორც ჩანს, ისინი ბაგრატ მეფის მოწინააღმდეგეები არიან, რადგანაც მხოლოდ მამის დატყვევების შემდეგ, მათ: „იძებნეს უშიშოება და გამოიყვენეს მეფე მეფედ“[757]. ჩვენ არაფერი ვიცით კახეთის მეფის, გაგის შვილების შესახებ. ცნობილია, რომ გაგი ლიპარიტის მხარეს იბრძოდა სასირეთის ჭალასა და არყის ციხესთან, ამდენად ამ პერიოდში ის ბაღვაშის მომხრე იყო[758].

[752] Ṭaqqūsh, *Tārīkh as-Salājiqa,* 85.
[753] Ibid. 91.
[754] Ibn al-Athīr, *Kāmil fi al-Tārīkh*, 267.
[755] Treadgold, *A History of the Byzantine State and Society*, 592.
[756] ლიპარიტმა მისი შვილი ივანე, რომელიც ბაგრატის ტყვეობაში იმყოფებოდა, სასირეთის ბრძოლის წინ არტანუჯის ერისთავ აბუსერზე გაცვალა.
[757] „მატიანე ქართლისა“, 302.
[758] Ibid. 299-300.

დასკვნა

საქართველოსა და ფატიმიანთა სახალიფოს ურთიერთობა XI საუკუნეში საკმაოდ ინტენსიური ჩანს.

პირველი დიპლომატიური კავშირი გიორგი I-სა და ხალიფა ალ-ჰაქიმს შორის შედგა. მათ შორის მიმდინარე მოლაპარაკებათა მიზანს ანტიბიზანტიური კოალიციის შექმნა წარმოადგენდა.

დიპლომატიური ურთიერთობის შემდეგი ეტაპი ბაგრატ IV-ის ზეობის ხანას ემთხვევა. საქართველოს და ფატიმიანთა სახალიფოს ურთიერთობის ამ ეტაპზე მნიშვნელოვან როლს ბიზანტიის იმპერია ასრულებს.

XI საუკუნის დასაწყისში საქართველომ დამოუკიდებელი საერთაშორისო პოლიტიკის გატარება დაიწყო და საერთაშორისო ალიანსების ინიციატორადაც გვევლინება ან ამ ალიანსების თანამონაწილეა. ორივე პერიოდში საქართველოს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ფატიმიანთა სახლიფოსთან. თავის მხრივ ფატიმიანთა სახალიფოც უმეტესწილად პრაგმატულ პოლიტიკას ატარებდა. ქვეყნებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები და მიღწეული შეთანხმებები კონკრეტულ მიზნებს ემსახურებოდა. ორივე ქვეყანა პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა.

გიორგი I-სა და ხალიფა ალ-ჰაქიმს შორის არსებულ ურთიერთობების შესახებ ერთადერთი ცნობა არსებობს. იაჰია ანტიოქელის მიხდევით საქართველოს მეფე გიორგი I-მა ფატიმიან ხალიფა ალ-ჰაქიმ ბი ამრ ალაჰს შესთავაზა ერთად გამოსულიყვნენ ბიზანტიის იმპერატორის ბასილი II-ის წინააღმდეგ საომრად.

XI საუკუნის დასაწყისში საქართველოს გაერთიანებულ სამეფოს რთულ ვითარებაში უხდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრება. ძირითად პოლიტიკურ მოთამაშეს ბიზანტიის იმპერია წარმოადგენდა, რომელსაც თავის გარშემო დამოუკიდებელი და ძლიერი ქვეყნების არსებობა ხელს არ აძლევდა. ამდენად ქართველი მეფეები ალტერნატიულ მოკავშირეებს ეძებდნენ. ასეთი კი მხოლოდ ბიზანტიასთან დაპირისპირებული სახელმწიფოები შეიძლება ყოფილიყვნენ.

იაჰია ანტიოქელის მოკლე ცნობა არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ ვისი მეშვეობით უნდა მომხდარიყო კავშირის დამყარება, ან როგორ ვითარდებოდა დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის. როგორც აღვნიშნეთ, ვ. გაბაშვილის აზრით, საქართველო-ეგვიპტის დამაკავშირებლის როლში შეიძლებოდა თბილისის საამირო და ისმაილიტი დაიები გამოსულიყვნენ.

თუმცა, უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია, რომ ქართველი და ეგვიპტელი დიპლომატები ერთმანეთს კონსტანტინოპოლში შეხდნენ და ანტიბიზანტიური

კოალიციის ჩამოყალიბების იდეის განხორციელება სწორედ კონსტანტინოპოლში დაიწყო.

XI საუკუნის დასაწყისში ბიზანტიასა და ფატიმიანთა სახალიფოს შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა. ამის მთავარი მიზეზი იყო ხალიფა ალ-ჰაქიმის აგრესიული პოლიტიკა ჩრდილოეთ სირიაში, რასაც იერუსალიმში მაცხოვრის საფლავისა და სხვა ეკლესიების ნგრევა დაემატა. ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ საბრძოლველად ალ-ჰაქიმი აქტიურად ეძებდა მოკავშირეებს. ამდენად ის დათანხმდა გიორგი მეფის წინადადებას ერთად გამოსულიყვნენ ბიზანტიის წინააღმდეგ. თუმცა, გიორგი I-ის და ალ ჰაქიმის კავშირი ვერ შედგა. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიის იმპერიამ ბასილი II-ს დროს ძლიერების ზენიტს მიაღწია. ამავე დროს ბიზანტიამ დაასრულა ბულგარეთთან მიმდინარე ხანგრძლივი ომი და მთელი ძალები აღმოსავლეთით მიმართა. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ორივე ქვეყანაში მიმდინარე შიდა პოლიტიკურმა პროცესებმა. საქართველოში და ფატიმიანთა სახალიფოში თავი იჩინა შიდა დაპირისპირებამ, რამაც მიმდინარე მოლაპარაკებების ჩაშლას შეუწყო ხელი.

გიორგი I-ის მხრიდან ფატიმიანთა სახალიფოსთან კავშირის დამყარება გამოწვეული იყო იმით, რომ მისი ყველა მცდელობა შეეჩერებინა ბიზანტიიდან წამოსული აგრესია, უშედეგოდ დასრულდა. წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი შიდა დაპირისპირებაც იყო. გიორგი მეფის თამამმა პოლიტიკამ საქართველოში გარკვეული წრეების უკმაყოფილება გამოიწვია. უკმაყოფილოები პირობითად ორ ბანაკად შეგვიძლია დავყოთ. პირველ ბანაკში უნდა მოვიაზროთ „მებრძოლი“ დიდგვაროვნები, რომლებიც „ომის პოლიტიკას“ ემხრობოდნენ, ხოლო მეორეში - პრობიზანტიური ოპოზიცია. სავარაუდოდ „მებრძოლ“ დიდგვაროვნებს სათავეში ზვიად მარუშიანი ედგა. ეს გამოჩნდა 1022 წელს, ბასიანის ბრძოლისას ბასილი კეისრის წინააღმდეგ. ქართველი მემატიანეს თქმით, გიორგი მეფე მზად იყო კეისარს დაზავებოდა, თუმცა, თავის დაზღვევის მიზნით თან დიდძალი ლაშქარიც გაიყოლა. მიუხედავად გიორგის მეფის გეგმისა, მოვლენები სხვაგვარად წარიმართა. „მებრძოლმა“ აზნაურებმა დაზავების ჩაშლა განიზრახეს და პირდაპირ შეტევაზე გადავიდნენ,

ბრძოლა ქართველთა მარცხით დასრულდა, მხარეებს შორის ზავი დაიდო, თუმცა ქართული მხარისთვის ძალიან წამგებიანი პირობებით. ქართული წყაროებიდან არ ჩანს, თუ ვინ იყო „მებრძოლი“ დიდგვაროვნების მეთაური, თუმცა ირკვევა, რომ ბასიანის ველზე, გიორგი მეფის წინ ზვიად ერისთავი იდგა თავისი ლაშქრით. ზავის ჩაშლაში ზვიად ერისთავს პირდაპირ ადანაშაულებს იაჰია ანტიოქელი. როგორც ჩანს, გიორგი I-მა მართლაც ზვიადი ცნო დამნაშავედ და მისი დაპატიმრება ბრძანა. ამ ფაქტზე მიუთითებს სოფ. დიდი გომარეთის

ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერა. სავარაუდოდ ზვიადის დაპატიმრების შემდეგ გიორგი მეფე თრიალეთში ბაღვაშებს აბრუნებს.

ბიზანტიასთან ზავის შემდეგ საქართველოში დროებით მშვიდობა ისადგურებს. გიორგი მეფე ღიად აღარ უპირისპირება ბიზანტიას და ყურადღება ჩრდილოეთ კავკასიისკენ გადააქვს. 1026 წელს გიორგი I-ს ცოლად მოჰყავს ოსთა მეფის ასული, ალდე. თუ რა გეგმები ჰქონდა გიორგი მეფეს ოსეთთან დაკავშირებთ, რთული სათქმელია, რადგან ახალგაზრდა მეფე 1027 წელს უცაბედად გარდაიცვალა.

გიორგი I-ის ინიციატივა, დაემყარებინა კავშირი ფატიმიანთა სახალიფოსთან, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი იყო, რადგან ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში ახლო აღმოსავლეთში იცვლებოდა გეოპოლიტიკური სიტუაცია. კერძოდ: საქართველოსა და ფატიმიანთა სახალიფოს ალიანსი მკვეთრად ზღუდავდა ბიზანტიის როლს ახლო აღმოსავლეთში; ფატიმიანებს საშუალება ეძლეოდათ ჩრდილოეთ სირიაში დამკვიდრებულიყვნენ; იზრდებოდა საქართველოს როლი კავკასიაში.

გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ იწყება ფატიმიანებთან ურთიერთობის შემდეგი ეტაპი. ამ ეტაპზე საქართველო აგრძელებს დამოუკიდებელი საერთაშორისო პოლიტიკის გატარებას და მნიშვნელოვანი კავშირებისა და ალიანსების პოტენციურ წევრად გვევლინება. როგორც ჩანს, ამ დროს საქართველო აქტიურად მონაწილეობს ბიზანტია-ფატიმიანთა მოლაპარაკებებში და ხელშეკრულებებში.

გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ ძალას იკრებენ პრობიზანტიური ძალები, რომლებსაც, როგორც ჩანს, მარიამ დედოფალი უდგას სათავეში. გიორგი მეფის ზეობის ხანაში ბიზანტიასთან პირდაპირი კავშირების დამყარებას მხოლოდ მცხეთის კათალიკოსი, მელქისედეკი ბედავდა. ის ორჯერ ჩავიდა ბიზანტიის კარზე და კეისრის მიერ ნაბოძები სიმდიდრით დაბრუნდა საქართველოში. პირველად ეს მოხდა ბაგრატ III-ის ზეობის ხანაში, როდესაც მცხეთის კათალიკოსი მელქისედეკი ბასილი II-ის კარზე ჩადის და სვეტიცხოვლის აღსადგენად დიდძალ თანხას ითხოვს და იღებს კიდეც. მეორედ კი გიორგი I-ის ზეობისას, როდესაც მელქისედეკი 1025 წელს, ახალგამეფებულ კონსტანტინე კეისარს ეახლა და მდიდრული საჩუქრებით დაბრუნდა.

გიორგი I-ის გარდაცვალებისთანავე, ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ საქართველოზე გამოილაშქრა, თუმცა ლიპარიტ ბაღვაშის აქტიური მოქმედების გამო უკან დაბრუნდა. იმპერატორ კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ გიორგი I-ის ცოლი მარიამ დედოფალი ჩადის კონსტანტინოპოლში და ბაგრატის ჯვრისწერის თხოვნით მიმართავს უშუალოდ იმპერატორ რომანოზს. კეისარი აკმაყოფილებს მარიამის მოთხოვნას და ქართველ მეფეს ცოლად აყოლებს თავისი ძმის ასულს, ელენეს. სავარაუდოდ მოლეპარაკებების აქტიური მონაწილე

მაელქიდეკ კათალიკოსიც იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, მარიამი აქტიურად ერევა საქართველოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში და მუდამ პრობიზანტიური კურსი უჭირავს. ასევე საგულისხმოა, რომ რომანოზის კარზე ანაკოფიიდან ჩადის გიორგი I-ის ქვრივი, ალდე დედოფალი და იმპერატორი ქართველ უფლისწულს, დემეტრეს მაგისტროსის წოდება მიანიჭა. პრობიზანტიური განწყობა უნდა ჰქონოდათ ბაგრატ III-ის მიერ მოკლული კლარჯელი ბაგრატიონების, სუმბატისა და გურგენის შვილებსაც, რომლებიც კონსტანტინოპოლში გაიქცნენ და ბასილი II-ის კარზე ცხოვრობდნენ. ფაქტია, რომ გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველოში პრობიზანტიული ძალები გააქტირდნენ, რასაც 1031 წელს ზავის დადება მოჰყვა.

ალ-ჰაქიმის გარდაცვალების შემდეგ პრობიზანტიური ძალები იმარჯვებენ ფატიმიანთა სახალიფოშიც. მცირე სასაზღვრო შეტაკებების მიუხედავად, ბიზანტიასა და ფატიმიანთა სახალიფოს შორის ურთიერთობა დათბა. ხშირი იყო დიპლომატიური მისიებისა და ძვირფასი საჩუქრების ცვლა. სით მულქის და ალ-ზაჰირის ბიზანტიასთან ურთიერთობების დათბობის მრავალწლიანი მცდელობები 1036 წელს ზავით დასრულდა. 1036 წლის შეთამხმების თანახმად აღადგინეს ბიზანტიელებმა მაცხოვრის ეკლესია იერუსალიმში.

მანამდე ბიზანტიასა და საქართველოს შორის დაიდო ზავი. ბიზანტია-ფატიმიანთა და ბიზანტია-საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები ცვლიდა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკას და ქართულ-ფატიმიანთა ურთიერთობა ახალ ეტაპზე აყავდა.

აღსანიშნავია, რომ 1030 წელს ქართველთა ლაშქარმა მონაწილეობა მიიღო ჩრდილოეთ სირიაში ბიზანტიელების ლაშქრობაში. რასაც 1031 წელს ბიზანტია-საქართვლოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება მოჰყვა.

იმის გამო, რომ ქართველები 1030 წელს ჩრდილოეთ სირიაში ბიზანტიის მიერ განხორციელებულ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ, ბიზანტიასა და ფატიმიანთა სახალიფოს შორის დადებული ზავის პირობების აღსრულებაში ქართველებმაც მიიღეს მონაწილეობა. კერძოდ, ქართველებმა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის რეკონსტრუცია-მშენებლობის უფლება მიიღეს. საისტორიო წყაროები მიუთითებენ, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის რესტავრაცია/მშენებლობა 1038 წელს დაიწყო და 1060 წლამდე მიმდინარეობდა. ამ სამუშაოებს გიორგი მთაწმინდელის დავალებით გიორგი პროხორე ხელმძღვანელობდა.

ქართველთა და ფატიმიანთა ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია ქართველ მეფეთა შვილების ვიზიტი კაიროში.

ამ ვიზიტის შესახებ მხოლოდ ნასირ ხოსროუ გვაწვდის ინფორმაციას. იგი აღწერს 1047 წლის აგვისტოში ნილოსის არხის გახსნის აღსანიშნავად გამართულ

ცერემონიალს და გვამცნობს, რომ მასში „ქართველ მეფეთა შვილები“ მონაწილეობდნენ.

ამ დროისთვის ფატიმიანთა სახალიფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის შესანიშნავი ურთიერთობა იყო. ცოტა ხნით ადრე განახლდა 1036 წელს დადებული საზავო ხელშეკრულება. კონსტანტინემ კაიროში ძვირფასი საჩუქრები გაგზავნა. „ულამაზესი“ ცხენების გარდა მან გააგზავნა „ოცდაათი კინტარი ოქრო, კინტარი კი მათთან შვიდიათას ორას დინარს უდრის”.

ამდენად, კაიროში გამართული ეს ღონისძიება იძლეოდა შესანიშნავ შესაძლებლობას შემდგარიყო ანტისელჩუკური სამხედრო ალიანსი, რომელშიც გაერთიანდებოდნენ ფატიმიანები, ბიზანტიელები, ქართველები და სხვა მოწვეული სტუმრები.

სავარაუდოდ, მოლაპარაკებები სამხედრო საკითხებზეც მიმდინარეობდა. მცირე სასაზღვრო დავების გარდა, ბიზანტიას და ფატიმიანთა სახლიფოს გარე საფრთხეებზეც უნდა ეზრუნა. არ არის გამორიცხული, რომ იმპერიები ურთიერთდახმარებაზე და საერთო უსაფრთხოებაზეც შეთანხმებულიყვნენ, რადგან იმპერიებს აღმოსავლეთიდან დიდი საფრთხე დაემუქრათ. პოლიტიკურ ასპარეზზე სელჩუკების სახით ახალი, ძლიერი ძალა გამოჩნდა. ამდენად, აღმოსავლეთი საზღვრების დაცვა ორივე ქვეყნის საერთო ინტერესს წარმოადგენდა.

იმ პერიოდის პოლიტიკური რუკა გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთიდან მტრის შემოტევის საწინააღმდეგო ფატიმიანთა თავდაცვითი ზოლი სამხრეთით იწყება სინაის ნახევარკუნძულიდან და დასავლეთ სირიის გავლით ალეპომდე ადის. ბიზანტიის თავდაცვითი ზოლი კი, სამხრეთით ჩრდილოეთ სირიიდან იწყება, აღმოსავლეთ ანატოლიას მიუყვება და საქართველომდე ამოდის.

ასეთი თავდაცვითი ზოლის შექმნის შემთხვევაში თავისთავად იგულისხმებოდა მასში საქართველოს ჩართვა. როგორც უკვე აღინიშნა, ზოლის ჩრდილოეთი ნაწილი ბიზანტიის იმპერიას უნდა გაემაგრებინა. ამ ამოცანის შესრულებისთვის კი აუცილებელი იყო საქართველოს ტერიტორიის გაკონტროლება. იმ პერიოდში ბიზანტიას ძალა არ შესწევდა, რომ ძლიერი და ერთიანი საქართველოს სრული ანექსია მოეხდინა. ამდენად, თავისი მიზნის მისაღწევად, ბიზანტიამ ლიპარიტ ბაღვაშის გამოყენება გადაწყვიტა. XI საუკუნის შუა ხანებისთვის ქართველ მეფეზე გაცილებით დიდ ძალას ლიპარიტ ბაღვაში წარმოადგენდა, რომელიც ბიზანტიის ერთგული მოკავშირეც იყო. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ სელჩუკთა წინააღმდეგ ჩამოყალიბებული კოალიცია კავკასიის ხაზის გამაგრების და დაცვის სათავეში ლიპარიტს მოიაზრებდა და არა ბაგრატ IV-ს. თუმცა, სელჩუკთა ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ლიპარიტმა დაკარგა იმპერატორის ნდობა და ბიზანტიამ ბაგრატ IV-ს დაუჭირა მხარი.

ამ დროისათვის სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი, მდ. მტკვრის ქვემო დინების გასწვრივ მუსლიმებს ეკავათ. ამდენად, სელჭუკთა წინააღმდეგ შექმნილი თავდაცვითი ზოლის ჩრდილოეთი ხაზი კახეთიდან უნდა დაწყებულიყო და თბილისის გავლით, მტკვრის ხეობით, ტაო-კლარჯეთში ჩასულიყო, სადაც ბიზანტიის საზღვარს შეუერთდებოდა.

ჩემი აზრით, ლიპარიტის ყველა ქმედება სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოეთის თავდაცვითი ზოლის შექმნას ემსახურებოდა და მას ამ მიზნის მიღწევაში კახეთის მეფე ეხმარებოდა.

თანმიმდევრობით რომ მივყვეთ ლიპარიტის ქმედებებს თბილისის წარუმატებელი ალყის შემდეგ, დავინახავთ, თუ როგორ იკავებდა იგი მტკვრის ხეობაში სტრატეგიულად მნიშვნელოვან ციხესიმაგრეებს. სავარაუდოდ, ლიპარიტის მიერ კონტროლირებადი ზოლი თბილისის შემოგარენიდან უნდა დაწყებულიყო და დასავლეთის მიმართულებით, მტკვრის ხეობის გასწვრივ, ტაო კლარჯეთამდე ჩასულიყო. კახეთისა და ტაშირ-ძორაგეტის მეფეები ლიპარიტის ერთგული მოკავშირეები იყვნენ და თბილისის თავდაცვითი ციხეების დაკავების შემთხვევაში, ქალაქი თითქმის სრულ იზოლაციაში ექცეოდა. თბილისის საამიროს აღმოსავლეთიდან კახეთის სამეფო ბლოკავდა, ხოლო სამხრეთიდან ტაშირ-ძორაგეტის სომეხთა სამეფო უკეტავდა გზებს. კახეთის მეფის ხელში ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტები იყო როგორიცაა: უჯარმა, ხორნაბუჯი, პანკისი, კვეტერა, ზედაზენი და სხვა. ტაშირ-ძორაგეტის სამეფოში შედიოდა, სამშვილდე, დმანისი, ლორე და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები. ბაღვაშთა თრიალეთის საერისთაო უშუალოდ ესაზღვრებოდა ტაშირს გომარეთის მიდამოებში. აქვე აღსანიშნავია, რომ კახეთისა და ტაშირ-ძორაგეტის მეფეები ახლო ნათესაურ კავშირში იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ 1032 წელს თბილისის დაკავება ვერ მოხერხდა, ლიპარიტი ბირთვისის ციხეს იკავებს. 1037 – 38 წლებში ქართველები თბილისის ამირას, ასევე, ფარცხისის და ორბეთის ციხეებს ართმევენ, თუმცა ნათლად არ ჩანს ამ ციხეებს ბაგრატი აკონტროლებს თუ ლიპარიტი. 1043 წელს ლიპარიტს საქართველოში დემეტრე შემოჰყავს, ქართველ დიდებულთა ნაწილი მას ემხრობა, თუმცა ბაღვაში ატენის ციხეს ვერ იღებს. მიუხედავად ამისა, ბაგრატი მას ქართლის ერისთავად ნიშნავს. როგორც ჩანს, ამ დროს უფლისციხე და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები ქართლში ლიპარიტის კონტროლის ქვეშაა. 1045 წელს ლიპარიტს ასევე მაწყვერელი მიემხრო, ამდენად, აწყურის ციხეც ლიპარიტის განკარგულებაშია. 1046 წელს კი ლიპარიტმა ორი დიდი გამარჯვება მოიპოვა. პირველი, სასირეთის ჭალაში, რითიც საბოლოოდ განიმტკიცა პოზიციები ქართლში და არყისციხესთან, რის შემდეგაც მის ხელში გადადის ახალციხის მახლობლად მდებარე ციხეები და რაც მთავარია, ლიპარიტმა, ტყვედ ჩავარდნილ გრიგოლ აბუსერის ძეს, არტანუჯის ციხე წაართვა. „მოირჭუნა ლიპარიტ ზემოსა

ქუეყანასა და აღიხუნა ციხენი და მიიერთნა თავადნი კაცნი“. ამდენად, იკვეთება ის გეოგრაფიული ზოლი, რომელიც პირადად ლიპარიტს უნდა გაეკონტროლებინა და ის ტერიტორიები, რომლებსაც ბაღვაშის მოკავშირეები, კახეთისა და ტაშირ-ძორაგეტის მეფეები აკონტროლებდნენ. სავარაუდოდ, სწორედ ამ ზოლის გამაგრებას ემსახურებოდა ასევე ანისისა და დვინის კამპანიებიც.

სამწუხაროდ დღეს რთული სათქმელია, განიხილავდა ბიზანტია სამხრეთ კავკასიას მხოლოდ ბუფერულ ზონად, თუ თავის უშუალო სატელიტად, სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში. სავარაოდოდ, აქ ორმაგ თამაშთან გვაქვს საქმე. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში სამეფო ხელისუფლება გაიმარჯვებდა, საქართველო ბიზანტიისთვის მხოლოდ კეთილი მეზობელი და ომის შემთხვევაში ბუფერი იქნებოდა, ხოლო თუ ლიპარიტის ოპოზიციური ძალები გაიმარჯვებდნენ, ბიზანტია მხოლოდ „კეთილი მეზობლის“ სტატუსით არ დაკმაყოფილდებოდა. იქიდან გამომდინარე, თუ რა უზარმაზარი რესურსიც დაახარჯა ბიზანტიამ ლიპარიტ ბაღვაშს, იმპერიას საქართველოზე სრული კონტროლის პრეტენზია უნდა ჰქონოდა.

თუმცა, ბიზანტიისა და ლიპარიტის მიზნებს შესრულება არ ეწერა, საქართველოს მეფე ბაგრატი დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა, ხოლო ლიპარიტი სელჩუკთა ტყვეობაში მოხვდა. მალე ბიზანტიისა და ფატიმიანთა ალიანსიც დაიშალა და სელჩუკების წინ აღარაფერი და აღარავინ იდგა. როგორც ბიზანტიამ, ასევე საქართველომ დიდი თურქობა ძალიან მძიმედ გადაიტანეს, თუმცა, თუ ბიზანტიისთვის სელჩუკთა შემოსევები დასასრულის დასაწყისი აღმოჩნდა, საქართველო მალევე დაუბრუდა განვითარების გზას. ჩემი აზრით, სწორედ ეს ეპოქა გახდა გარდამტეხი საქართველოს, როგორც სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საქმეში. აშკარაა, რომ XI საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ძლიერი დიპლომატიური კორპუსი ჰყავდა. სამეფო ოჯახის გარდა, დიპლომატიურ მისიებში მონაწილეობას იღებდნენ ერისთავები და მაღალი რანგის სასულიერო პირები.

გიორგი I იყო საქართველოს პირველი მეფე, ვინც არანაირ ბიზანტიურ ტიტულს არ ატარებდა, ის იყო პირველი, ვინც ღიად დაუპირისპირდა ერთმორწმუნე ბიზანტიას საკუთარი ინტერესების დასაცავად და რაც მთავარია, ის იყო პირველი, ვინც საქართველო საერთაშორისო არენაზე გაიყვანა. სწორედ XI საუკუნეში მოღვაწეობდნენ ლეონტი მროველი, სუმბატ დავითის ძე და „მატიანე ქართლისას“ ანონიმი ავტორი, რომელთა ნაწარმოებებში პირველად ნათლად აისახა ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ ეპოქაში ხდება უდიდესი ქართული ტაძრების აღმშენებლობა, რაც ასევე დამოუკიდებელი და ძლიერი ქართული სამეფოს სიმბოლოდ შეგვიძლია

მივიჩნიოთ. სწორედ გიორგი I-მა გახადა შეუქცევადი საქართველოს ერთიან და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი.

მიუხედავად საშინაო თუ საგარეო სიძნელეებისა და დროებითი შეფერხებებისა, გიორგი I-ის მიერ დაწყებული საქმე ბრწყინვალედ დააგვირგვინა მისმა შვილთაშვილმა, დავით აღმაშენებელმა და XII საუკუნის დასაწყისში სამეფო ტახტის ირგვლივ გაერთიანებული საქართველო დამოუკიდებელ და თამამ საგარეო პოლიტიკას ატარებდა.

ლიტერატურის სია

წყაროები:

არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, ქართული თარგმანი გამოკვლევებით, კომენტარებითა და საძიებლით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი: მეცნიერება 1974.

ანნა კომნენე, „ალექსიადა“ *გეორგიკა, ტ. VI*, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1966, 33 – 120.

გიორგი კედრენე, „ქრონოგრაფია“, *გეორგიკა, ტ. V*, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1963.

გიორგი მცირე, „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ ქართული მწერლობა, ტომი 2, თბილისი: ნაკადული, 1987.

ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, *ქართლის ცხოვრება ტ. IV*, დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: საბჭოთა საქართველო 1973.

„მატიანე ქართლისა“, *ქართლის ცხოვრება ტ. I*, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: სახელგამი 1955. გვ. 249 – 317.

სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: სახელგამი 1955. გვ. 372 – 386.

ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, *ქართლის ცხოვრება ტ. I*, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: სახელგამი 1955. გვ. 139 – 244.

Abū al-Fidā, *al-Mukhtasar fī Akhbār al-Bashar*, taḥqīq ad-duktūr Muḥammad Zaynham Muḥammad ‘azab wa ustādh Yaḥya sayyd Ḥusayn, al-juz’ ath-thānyi, dār al-ma‘ārif, 1998.

Al-‘Azīmyyī, Muḥammad b. ‘Ali al-Ḥalabyyī, *Tārīkh Ḥalab*, haqqaqahu wa qaddama lahu Ibrāhīm Za‘rūr, Dimashq, 1984.

al-Maqrīzī, Taqī al-Dīn Ahmad b. ‘Alī. *Itti‘āẓ al-Ḥunafā’ bi Akhbar al-A’imma al-Fāṭimīin al-Khulafā’*. al-juz’ al-awwal, taḥqīq al-duktūr Muḥammad Ḥulmī Muḥammad Aḥmad, al-Qāhira, 1996.

Matthew of Edessa, *Armenia and the Crusades, Tenth to Twelfthe centurias: the Cronicle of Matthew of Edessa*, translated from the original Armenian with a commentary and introduction by Ara Edmond Dostourian, Lanham, 1993.

Ibn al-Athīr, *Kāmil fi al-Tārīkh*, M., IX, taḥqīq Abi al-Fiḍa’ ‘Abd Allah al-Qaḍi, dar al-kutub al-‘imiyya, Beirut 1987.

Ibn al-Qalānisī, *Tārīkh Dimashq*, taḥqīq Suhayl Zakkār. Dimashq, 1983.

Idrīs ‘Imād ad-dīn, *Tārīkh al-Khulafā’ al-Fāṭimiyyīn bi al-Maghrib*, al-Qism al-Khāṣ min Kitāb *‘Uyūn al-Akhbār* li ad-Da’yī Idrīs ‘Imād ad-dīn, al-Mutawaffyi sana 1488/872, taḥqīq Muḥammad al-Ya‘ulāwyyi, Bayrūt: dār al-Gharb al-Islāmyi, 1985.

John Skylitzes, *A Synopsis of Byzantine History 811 – 1057*, Translated by John Wortley, Cambridge University Press 2010.

Kamāl al-Dīn, *Zubdat al-Ḥalab min Tārīkh Ḥalab*, waḍa‘a ḥawāshya khalīl al-anṣūr, Bayrūt: dār al-kutub al-‘ilmiyya 1996.

Shihāb ad-Dīn bnu Aḥmad abū al-fataḥ al-Abshīhyī, *al-mustaṭraf fi kull fann mustaẓraf*, taḥqīq ad-duktūr Aḥmad Aḥmad ash-Shutaywyi, al-Manṣūra: dār al-Ghad al-Jadīd, 2003.

Yaḥya, b. Sa‘īd b. Yahya b. al-Antakī. *Tārīkh al-Antakī al-Ma‘rūf bi Ṣilla Tārīkh Ūtīkhā*. ḥaqqaqahu wa ṣana‘a fahārisahu ustādh duktūr ‘umar ‘abd al-Salām Tadmurī. Ṭarablus, 1990.

Константин Багрянородый, *Об управлении империей*, Москва, 1989.

Лев Диакон, *История*, Москва, 1988.

Михаил Пселл, *Хронография*, Москва, 1978.

Насир-и Хусрау, *Сафар-наме, книга путешествия*, Москва, 1933.

ლიტერატურა:

ალექსიძე, ზ., „ვინ იყო აბუკაბ ზოლავარი“, საისტორიო კრებული, N 3, (თბილისი: მხედარი 2013), 11 – 21.

ბერძენიშვილი დ., „თრიალეთის უცნობი წარწერები“, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI*, თბილისი, 1982.

ბერძენიშვილი ნ., „მცხეთის საბუთი XI საუკუნისა“, საქართველოს მუზეუმის მოამბე VI, თბილისი, 1931.

ბოგვერაძე ა., „ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI – VIII საუკუნეებში“, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. II*, რედ. შ. მესხია, თბილისი: საბჭოთა საქართველო 1973. გვ. 246 – 296.

ბუაჩიძე გ., „საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო“. *ქართული დიპლომატია, წელიწდეული 4*, თბილისი, 1997.

ბუაჩიძე გ., *ბიზანტიის ახლოაღმოსავლური პოლიტიკა იაჰია ანტიოქელის “ისტორიაში” (X ს. 40 -იანი წლები _ XI ს. პირველი მესამედი).* 07.00.04 _ მსოფლიო ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2002.

გაბაშვილი ვ., „საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI - XII სს.)“, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* ტ. 125, თბილისი, 1968.

გელოვანი ნ., სანიკიძე გ., *ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია)*, თბილისი, 2009.

დილი შ., *ბიზანტიის იმპერიის ისტორია*, თბილისი, 1998.

კეკელიძე კ., *ძველი ქართული ლიტერატურის ისტოირია*, ტომი I, თბილისი: მეცნიერება 1980.

კოპალიანი ვ., *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა*, თბილისი, 1969.

ლორთქიფანიძე მ., „ახალი ფეოდალური სამთავროების შექმნა“, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. II*, რედ. შ. მესხია, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973. გვ. 372 – 506.

ლორთქიფანიძე მ., „საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე“. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. III*, ტომის რედაქტორები: ზ. ანჩაბაძე, ვ. გოჩუა, თბილისი: საბჭოთა საქართველო 1979.

მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები ტომი II, თბილისი: მეცნერება, 1980.

მეტრეველი რ., სამუშია ჯ., *მეფეთ მეფე გიორგი II* , თბილისი, 2003.

ნარიმანიშვილი გ., „შუა საუკუნეების ქართული დიპლომატიის ისტორიისათვის“, *შრომათა კრებული #7*, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, შპს „საარი“, 2014. გვ. 71 – 91.

ნარიმანიშვილი გ., *ბაღვათა საგვარეულოს ისტორიისათვის* (ხელნაწერი), თბილისი, 2015 (მომზადებულია დასაბეჭდად.).

ჟორდანია, თ., *ქრონიკები* I, თბილისი: არტანუჯი, 2004.

ჟორდანია, თ., *ქრონიკები* II, თბილისი, 1897.

ჟორჟოლიანი გ., „ერთი ცნობა ნასერ ხოსროუს „საფარ-ნამედან“, *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები*, წიგნი II, თბილისი, 1979.

სამუშია ჯ., „XI საუკუნის საქართველოს ისტორიის რამდენიმე მოვლენის დათარიღებისთვის“, *ქართული დიპლომატია, წელიწდეული 4*, თბილისი 1997. გვ. 235 - 249.

სანიკიძე გ., „ისმაილიტები“, *ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი*, თბილისი, 1999. გვ. 103 – 104.

სანიკიძე გ., „შავი ქვა“, *ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი*, თბილისი, 1999. გვ. 207 – 208. -

სანიკიძე გ., „ფატიმიანები“, *ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი,* თბილისი, 1999. გვ. 188 – 189.

სილაგაძე ვ., *არაბთა გატონობა საქართველოში,* თბილისი, 1991.

ტიკაძე მ., *არაბთა ისტორია (V – XV სს.),* თბილისი 2008.

ფაღავა ი., „საქართველოს გაერთიანება და ნუმიზმატიკური ევოლუციის ვექტორები (X საუკუნის დასასრული - XII საუკუნის დასაწყისი“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* IX, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივესიტეტის გამომცემლიბა, 2016.

ცქიტიშვილი ო., „მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისთვის გიორგი I -ს მეფობის ხანაში“, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. მაცნე #4*, თბილისი, 1968.

ჯავახიშვილი ივ., *ქართველი ერის ისტორია,* ტ. II, თბილისი, 1983.

ჯაფარიძე გ., „დაცვის სიგელი“, *ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი,* თბილისი, 1999. გვ. 49 – 51.

ჯაფარიძე გ., “იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიის შუქზე“, *ახლო აღმოსახლეთი და საქართველო IV*, თბილისი, 2005.

ჯაფარიძე გ., „ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დილომატიურ ურთიერთობებში“, *ძიებანი საქართვველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში,* ტომი I, თბილისი, 2012.

ʿAnān, Muḥammad ʿabd Allah. *al-Ḥākim bi Amr Allah wa Asrār al-Daʿwa al-Fāṭimiyya*, al-Qāhira, 1959.

Anderson, G. D., “Islamic Spaces and Diplomacy in Constantinople (Tenth to Thirteenth Centuries C.E.)”, *Medieval Encounters* 15, 2009, pp. 86 – 113.

al-ʿAydarūs, Muḥammad Ḥasan, *ad-Dawla al-Islāmyya al-Khāmisa,* dār al-kitāb al-ḥadīth, al-qāhira, 2010.

Bianquis, Th., “Autonomous Egypt from Ibn Tulun to Kafur, 868 – 969”, *The Cambridge History of Egypt. Islamic Egypt 640 – 1517*, Volume I, Edited by Carl F. Petry, Cambridge University Press, 2006. pp. 86 – 119.

Bosworth, C. E., “The Political and Dynastic History of the Iranian World (A.D. 1000 – 1217), in *The Cambridge History of Iran*, vol. 5, ed. By J. A. Boyle, Cambridge: Cambridge University Press, 1968.

Brett, M., “The Diplomacy of Empire: Fatimids and Zirids, 990 – 1062”, *Bulletin of SOAS*, 78, 1 (2015), pp. 149 – 159.

Canard M., “Fatimids”, *The Encyclopedia of Islam*. New Edition, Vol. II. Prepared by a number of leading orientalists. Edited by B. Lewis, Ch. Pellat and J. Schacht. Assisted by J. Burton-Page, C. Dumont and V. L. Menage as Editional secretaries. Under the patronage of The International Union of Academics, Leiden 1991. pp. 850 – 862.

Clarke P. B., “The Ismailis: A Study of Community”, *The British Journal of Sociology*, Vol. 27, No. 4, (Dec., 1976), pp. 484 – 494.

Daftary F., “The Earliest Ismā‘īlīs”, *Arabica*, T. 38, Fasc. 2, (Jul., 1991), pp. 214 – 245.

Daftary F., “A Major Schism in the Early Isma‘ili Movement”, *Studia Islamica*, No. 77, 1993. pp. 123 – 139.

Daftary F., *Mukhtaṣir Tārīkh al-Ismā‘iliīn*, Dimashq, 1999.

Daftary F., *Ismaili literature: a bibliography of sources and studies*, New York, London, 2004.

Daftary F., *The Isma‘ilis. Their History and Doctrines,* Cambridge University Press, 2007.

al-Dashrāwī, Farhāt. *al-Khilafa al-Fāṭimiyya bi-l-Maghrib*. naqalahu ila al-‘arabyya Ḥamādī al-Sāḥilī. Bayrūt – Lubnān: Dar al-Maghrib al-Islāmī, 1993.

Donner F. M. “Muhammad and the Caliphate, Political History of the Islamic Empire up to the Mongol Conquest”. *The Oxford History of Islam*. Edited by John L. Esposito. Oxford University press. New York, 1999. Pp. 1 – 62.

Enamorado, V. M., “Fāṭimid Ambassadors in Bobastro: Changing Religious and Political Allegiances in the Islamic West”, *Journal of the Economic and Social History of the Orient*, Vol. 52, No. 2 (2009), pp. 267 – 300.

Greenwood T. W., “Armenian Neighbours (600 – 1045)”, *The Cambridge History of the Byzantine Empire c. 500 – 1492*, Edited by Jonathan Shepard, Cambridge University Press 2008. pp. 333 – 364.

Halm H., “Sitt al-Mulk”, *The Encyclopedia of Islam. New edition. vol. IX* . Prepared by a number of leading orientalists. Edited by C.E. Bosworth, E. van Dozel, W. P. Heinrichs and the late G. Lecomte. Assisted by P.J. Bearman and Mme S. Nurit. Under the patronage of the International Union of Academics. (Leiden: Brill 1997), 685.

Halm H., “kūzmūlūjiya al-ismā‘iliīna min al-‘ahd ma qabla al-fāṭimī”, *al-ismā‘iliūna fi al-‘aṣr al-wasīṭ tārīkhuhum wa fikaruhum*. taḥrīr Farhad Daftary, Dimashq 1999.

Halm H., *al-Fāṭimiūn wa taqālīduhum fi at-ta‘līm*, Dimashq 1999.

Hamdani A., “Byzantine-Fatimid Relations before the Battle of Manzikert” *Byzantine studies I*, 1974, 169-179.

Hamdani, Abbas, “Examples of Fatimid Realpolitik”, *Digest of Middle East Studies*, Vol. 7, Issue 4, (Fall 1998), pp. 1 – 12.

Hassan Z. M., “Ahmad b. Tulun”, *The Encyclopedia of Islam*. New edition, Vol. I. Prepared by a number of leading orientalists. Edited by an additoral committee consisting of H.A.R. Gibb, J. H. Kramers, E. Lévi Provençal, J. Schacht. Assisted by S.M. Stern as secretary General (pp. 1-320). B. Lewis, Ch. Pellat and J. Schacht. Assisted by C. Dumont and R.M. Savory as editoral secretaries (pp.321-1359). Under the patronage of The International Union of Academics, Leiden: Brill, 1986. pp. 278 - 279.

Ḥasan, Ibrāhīm Ḥasan, *al-Fāīmiyyūn fī Miṣr wa A‘māluhum as-Siyyasiyya wa ad-Dīniyya bi Wajh Khāṣ*, al-Qāhira: al-Maṭba‘a al-Amīriyya bi al-Qāhira, 1932.

Ḥasan, Ibrāhīm Ḥasan, Shaf Ṭaha Ahmad, *‘Ubayd Allah al-Mahdi, Imām ash-Shī’a al-Ismā‘iliyya wa Mu’assas ad-Dawla al-Fāṭimiyya fī Bilād al-Magrib*, al-Qāhira: Maktaba an-Nahḍa al-Miṣriyya, 1947.

Ḥasan, ‘Ali Ibrāhīm, *Tārīkh Jawhar aṣ-Ṣaqiliyy: Qa’id al-Mu’iz li Dīn Allah al-Fāṭimiyy*, al-Qāhira: Maṭba‘a as-Sa‘āda, 1963.

Ivanow W., *A Creed of the Fatimids (a summery of the Tājū' l-'aqāid, by Sayydnā 'Ali b. Muhammad b. al-Walīd, ob. 612/1215),* Bombay: Qayymah Press, 1936.

Ivanow W., *Studies in Early Persian Ismailism,* Bombay, 1955.

Jamāl al-Dīn, 'abd Allah Muḥammad. *al-Dawla al-Fāṭimiyya*. al-Qāhira, 1991.

al-Kharbūṭi, 'Ali Ḥusni, *Abū 'Abd Allah ash-Shī'i: Mu'assas ad-Dawla al-Fāṭimiyya,* al-Maṭba'a al-Fanniyya al-Ḥadītha, 1972.

Kohlberg E. "Zayn al-'abidin", *The Encyclopedia of Islam*. New Edition Vol. XI. .Prepared by a Number of Leading Orientalists. Edited by P. J. Bearman, Th. Bianquis, C. E. Bosworth, E. van Donzel and W. P. Heinrichs. Leiden, 2002. pp. 481 – 483.

Kennedy H., *The Prophet and the Age of the Caliphates,* Pearson Longman, 2004.

Lev Y., State and Society in Fatimid Egypt, Brill, 1991.

Lev Y., "Army, Regime, and Society in Fatimid Egypt, 358-487/968-1094" in *International Journal of Middle East Studies,* Vol. 19, No. 3 (Aug., 1987) pp.337 – 365.

Levi Della Vida G. "Salman al-Farisi", *The Encyclopedia of Islam*. New Edition, Vol. XII, Supplement, Prepared by a number of leading orientalists. Edited by P. J. Bearman, Th. Bianquis, C.E. Bosworth, E. van Donzel and W. P. Heinrichs. Assisted by C. Ott. Under the patronage of the International Union of Academics. Volume Leiden: Brill, 2004. pp. 701-703.

Lewis B., *The Assassins: A Radical Sect in Islam,* London, 2003.

Madelung W., "Iasma'ilyya", *The Encyclopedia of Islam*. New Edition, Vol. IV. Prepared by a Number of Leading Orientalists. Edited by E. van Donzel, B. Lewis, Ch. Pellat and C. E. Bosworth, Leiden, 1997. pp. 198 – 206.

Mahāsna, Muḥammad Ḥusain. *Tārīkh Madīna Dimashq Khilāl al-ḥukm al-Fāṭimī.* Dimashq, 2001.

Mājid, 'abd al-Mun'am. *al-Ḥākim bi Amr Allah: al-Khalifa al-Muftara 'alaihi,* al-Qāhira, 1982.

Mājid, 'Abd al-Mun'am, *Zuhūr al-Khilāfa Fāṭimiyya wa Suqūṭuha fī Miṣr,* al-Qāhira: Dār al-Fikr al-'Arabyy, 1994.

Montgomery Watt W. "Abu Bakr", *The Encyclopedia of Islam*. New Edition Vol. I. Prepared by a Number of Leading Orientalists. Edited by an editional committee consistong of H. A. R. Gibb, J. H. Kramers, E. Lévi-Provençal, J. Schacht. Assissted by S. M. Stern as secretary General (pp. 1-320). B. Lewis, Ch. Pellat and J. Schacht. Assisted by Dumont and R. M. Savory as editorial secretaries (pp. 321-1359) Leiden, 1986. pp. 109 – 111.

Narimanishvili G., "Foreign Policy of George I and al-Hakim", *International Symposium on East Anatolia and South Caucasus Cultures, Proceedings II*, Ed. by M. Işikli and B. Can, Cambridge Scholars Publishing, 2015. pp. 496 – 500.

O'Leary, De Lacy. *A Short History of Fatimid Khalifate.* London, 1923.

Popovic A., "al-Zandj", *The Encyclopedia of Islam*. New Edition, Vol. XI. Prepared by a number of leading orientalists. Edited by P. J. Bearman, Th. Bianquis, C.E. Bosworth, E. van Donzel and W. P. Heinrichs. Under the patronage of the International Union of Academics. pp. 444 – 446.

Sanders P., *Ritual, Politics, and the City in Fatimid Cairo,* Albany: State University of New York Press 1994.

Sanders, P. A., "The Fatimid state, 969 – 1171" in *The Cambrigdge History of Egypt. Vol. I. Islamic Egypt, 640 – 1517*. Edited by Carl F. Petry, Cambridge University Press, 2006. pp. 151 – 174.

Sayyd, Fu'ād Ayman. *al-Dawla al-Fāṭimiyya fi Miṣr*. al-Qāhira: al-Dār al-Miṣryya al-Lubnānyya, 1992.

as-Sayyd, 'abd al-Laṭīf 'abd al-Hadyi, *ad-dawla al-Fāṭimyya*, jāmi'a ghryyan, lībīa, 2010.

Shepard J., "Western Approaches", *The Cambridge History of the Byzantine Empire c. 500 – 1492*. Edited by Jonathan Shepard, Cambridge University Press, 2008. pp. 537 – 559.

Shepard J., "Equilibrium to Expansion", *The Cambridge History of the Byzantine Empire c. 500 – 1492*. Edited by Jonathan Shepard, Cambridge University Press, 2008. pp. 493 – 536.

Stern S. M., *The First Appearance of Ismailism in Iran*, Faculty of Letters, Tehran University, 1961.

Stern S. M., "The Early Ismā'īlī Missionaries in North-West Persia and in Khurāsān and Transoxania", *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, University of London, Vol. 23, No. 1, (1960) pp. 56 – 90.

Surūr, Muḥammad Jamāl al-Dīn. *Tārīkh al-Dawla al-Fāṭimiyya fi qarnayn ar-rābi' wa al-khāmis min al-hijra,* al-Qāhira, 1970.

Surūr, Muḥammad Jamāl al-Dīn, *Syyāsa al-Fāṭimyyin al-Khārijyya*, al-qahira: dār al-fikr al-'arabyi,1994.

Surūr, Muḥammad Jamāl al-Dīn. *Tārīkh al-Dawla al-Fāṭimiyya*. al-Qāhira: Dār al-Fikr al-'arabī, 1995.

Ṭaqqūsh, Muḥammad Suhayl, *Tārīkh al-Fāṭimiyyīn fī Shimalay Ifriqyya wa Miṣr wa Bilād ash-Shām,* Bayrūt, 2007.

Ṭaqqūsh, Muḥammad Suhayl, *Tārīkh as-Salājiqa fī Bilād ash-Shām,* Bayrūt: Dār an-Nafā'is, 2002.

Thomson K.E.F., "Relations between the Fatimid and Byzantine empires during the reign of the caliph al-Mustans ir bi'llah, 1036-1094/427-487" in *Byzantine and Modern Greek Studies, Volume 32, Number 1*, 2008. 50 – 62 pp.

Treadgold W., *A History of the Byzantine State and Society,* Stanford University Press, 1997.

'Ubabyi, Aḥmad Mukhtār, *Fī at-Tārīkh al-'Abbāsiyy wa al-Fāṭimiyy*, Bayrūt: Dār an-Nahḍa al-'Arabiyya, 2000.

Walker P. E., "The Ismaili Da'wa in the Reign of the Fatimid Caliph Al-Hakim", *Journal of the American Research Center in Egypt, Vol. 30*, (1993). pp. 161 – 182.

Walker P. E., "The Isma'ili Da'wa and Fatimid Caliphate" in *The Cambridge History of Egypt. Volume I, Islamic Egypt 640 – 1517*. Edited by Carl F. Petry, Cambridge University Press, 2006.

Walker P. E., *Exploring an Islamic Empire: Fatimid History and its Sources*, London: I. B. Tauris, 2002.

Zakkar S., *The Emirate of Aleppo 1004 – 1094*, Damsacus, 1982.

Мец А., *Мусульманский ренесанс*, Москва, 1973.

Розен В.Р., *Император Василий Болгаробоица. Извлечения из летописи Яхьи Антиохийского*, Санкт - Петербург 1883.

Степаненко В. П., „Еще раз о грузинском посольстве в Ани в 1045 г. (К генеалогии грузинских и армянских Багратидов и Арцрунидов Васпуракана)“ *Античная древность и средние века*, (Екатеринбург: Изд-во Урал. ун-та), 2003. — Вып. 34: материалы XI Международных научных Сюзюмовских чтений (Екатеринбург, 26-28 марта 2003 г.) — С. 265-274.

Такайшвили, Е. С., „Археологическія экскурсіи, разысканія и замѣтки“, *Извѣстия Кавказскаго Отдѣленія Императорскаго Московскаго Археологическаго Общества*, (Тифлис, 1913),